

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ზოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

I



გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1977

კრებულში მოთავსებული წერილები XIX საუკუნის ქართულ მწერლობის ნაკლებად შესწავლილი საკითხებისადმი მიძღვნილი.

წერილებში განხილულია სამოქალაქო მოტივები XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში, დასმულია ქართული რომანტიზმის საწყისების საკითხი, — კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობის რომანტიკულ ელემენტებზე; საუბარია ვაჟა-ფშაველას ლირიკული კომპოზიციების შესახებ, აკაკი წერეთლისა და სერგეი მესხის საზოგადოებრივ-ლიტერატურულ თანამეგობრობაზე; დახასიათებულია ანტონ ფურცელაძის მხატვრული პროზის თავისებურებანი, განალიზებულია „პატარა ადამიანის“ პრობლემა XIX საუკუნის მიწურულის ქართულ ლიტერატურაში. განხილულია ქართული ჟურნალისტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის ცალკეული საკითხები. კრებული გამიზნულია როგორც ლიტერატურის სპეციალისტების, ასევე XIX საუკუნის ქართული მწერლობით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

„ნარკვევები“ გამოვა ხუთ წიგნად.

რედაქტორები: გ. აბაშიძე, გ. ასათიანი

ОЧЕРКИ ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ XIX В.

I

(на грузинском языке)

ქართული რომანტიზმის საკითხები და ალორქინების
კერიოდის მწერლობა

(თეიმურაზ პირველი)

რომანტიზმი, ლიტერატურული და ესთეტიკური მიმართულება, რომელმაც მე-18—19 საუკუნეებში მოიცვა მთელი ევროპულად ცივილიზებული სამყარო, საქართველოში მკვიდრდება მე-19 საუკუნის პირველი ათეული წლებიდან და ქმნის მეტად ძლიერ და საინტერესო ლიტერატურულ გარემოს. საქართველოში რომანტიზმის შემოსვლა და დამკვიდრება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ლიტერატურისათვის. რომანტიზმი ჩვენში არ შემოსულა როგორც მოდური ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მოვილის მთელ მსოფლიოს, ადვილად დამკვიდრდება ყველა ხალხის ლიტერატურაში და გაივლის მოდასთან ერთად. ქართულ ლიტერატურას ადრიდანვე ბევრი რამ აკავშირებდა ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციებთან. რომანტიზმიც, მსგავსად ევროპული ქვეყნებისა, ჩვენშიც ლიტერატურის განვითარების კანონზომიერი შედეგია.

ცნობილია, რომ რომანტიკული მიმართულება, რომელმაც შესძრა ორი საუკუნის განმავლობაში ცივილიზებული სამყარო, დარჩა ქრისტიანული, ევროპული ერების კუთვნილებად, ხოლო სხვა, არაქრისტიანული და არაევროპელი ხალხებისათვის მხოლოდ განსწავლისა და გატაცების საგანი იყო: ისინი აღმოჩნდნენ შემოქმედებითი მონაწილეობის გარეშე ამ მიმართულებისადმი, მისი ლიტერატურული, ესთეტიკური და ეთიკური ნორმებისადმი. დასავლეთ-ევროპულ ერებთან ერთად რომანტიზმით შეუძლიათ იამაყონ სლავურმა ხალხებმა — რუსებმა, პოლონელებმა, უკრაინელებმა, სადაც სწორედ რომანტიზმის დამკვიდრებასთან ერთად, მისი საფუძვლების და მისი ესთეტიკური, ეთიკური და მორალური ნორ-

შეზღვევის მიხედვით იქმნება დიდი ლიტერატურა. რუსეთში ამ პერიოდში გვაქვს ბრწყინვალე ლიტერატურა, რომელიც რუსეთის დიდი ლიტერატურის დასაწყისი და უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტია.

ეს არის პუშკინისა და ლერმონტოვის, მიცკევიჩის, შევჩენკოს ხანა, მაგრამ ყველა ეს პოეტი თავისი შემოქმედებით დავალებულია და გამოდინარეობს ევროპული რომანტიზმის ძლიერი სკოლიდან. ამ ერებს, მათ არისტოკრატიასა და ინტელიგენციას, რომელიც ძირითადად არისტოკრატიული წარმომავლობისა იყო, ჰქონდა უშუალო კონტაქტი ევროპასთან, ისინი იზრდებოდნენ ევროპული განათლებით, ევროპული ლიტერატურული გარემოთი საზრდოობდნენ — როგორც მეორე დედაენით და ევროპაში წარმოქმნილი ყოველგვარი სიახლე მათთვის იყო ისევე ხელმისაწვდომი, როგორც ყველა ევროპელისათვის, — ფრანგისათვის, ინგლისელისა თუ იტალიელისათვის.

საქართველოში კონტაქტები ევროპულ ლიტერატურასთან უფრო შორეული იყო. ეს კონტაქტები ხორციელდებოდა ძირითადად რუსეთის ან პოლონეთის ინტელიგენციის მეშვეობით. რუსეთის არისტოკრატიასთან და მის ინტელიგენციასთან განსაკუთრებით მჭიდრო და ორგანული კავშირი (აღზრდით, ოჯახით, წრით, და ა. შ.), ქართველ რომანტიკოსთაგან ჰქონდა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეს. მიუხედავად ამ შედარებითი სიშორისა, საქართველოში რომანტიზმი დამკვიდრდა და შექმნა მეტად მძლავრი, საინტერესო ლიტერატურული ატმოსფერო. საქართველოში რომანტიზმის შემოსვლისათვის საუკუნეების მანძილზე მომზადდა შესაფერი ნიადაგი, პირველ ყოვლისა იმით, რომ საქართველო ევროპულ ქვეყნებთან ერთ რელიგიურ რწმენას იზიარებდა, რაც ნიშნავდა ამ ქვეყნებთან მორალურ, ეთიკურ და ესთეტიკურ სფეროებში საერთო ნიშნების არსებობას, რომელიც განაპირობებს ერის სულიერი ცხოვრების ძალების მიმართულებას და ხასიათს. ამ მორალური, ეთიკური და ესთეტიკური ნორმების თვალსაზრისით, შემუშავდა და განისაზღვრა ქართველი ერის ისტორიული ყოფა და მისი ლიტერატურული ცხოვრება.

ქართული ლიტერატურის განვითარება ქმნის შესანიშნავ წინაპირობას რომანტიზმის დამკვიდრებისათვის საქართველოში. ამ ლიტერატურის განვითარება არ არის სწორხაზობრივი და არც ყოველი მისი მომენტი გამოდგება რომანტიზმის წინაპირობის გაშინაბულებად. მაგრამ ლიტერატურის ძირითადი ეტაპები, მისი

სასულიერო და საერო მწერლობის განსაზღვრული ტენდენციებო აუცილებლად უნდა განიხილოს, როგორც გარკვეული საფუძველი საქართველოში რომანტიზმის წარმოქმნისათვის.

ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში „ეკლესიასტეს“- მსოფლიო გოდების, ლირიზმისა და პიროვნული ლტოლვის საფუძვლები მეტად ნიშნულია. ამავე დროს საერო მწერლობაში, ხოლო უფრო კონკრეტულად, აღორძინების ხანის მწერლობასა და ქართულ ემიგრანტულ პოეზიაში შეინიშნება მკვეთრად გამოხატული ტენდენციები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს და საფუძველი მოუზადეს რომანტიკულ მიმართულებას. საერო მწერლობის ეს ტენდენციებია „სოფლის სამღურავის“ თემა, ესოდენ გავრცელებული აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში, ამავე პერიოდში, სამყაროსა და სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე დამკვიდრებული ჟგამაყოფილება, ინდივიდუალიზმი, ახლად შემოჭრილი ლირიზმი, რომელიც ეპიკაშიაც კი იკიდებს ფეხს, რაც სრულიად უცხოა კლასიკური პოემის აღნაგობისა და ნორმებისათვის და სხვ.

ამ ტენდენციათა ანალიზისათვის არსებულ ნაშრომში ჩვენ მივმართეთ აღორძინების პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვან პოეტს, თეიმურაზ პირველს, ვისი შემოქმედებაც ამ პერიოდის ლიტერატურის ტონის მიმცემია და წარმოადგენს ახალ ეტაპს ქართული პოეზიის განვითარებაში.

ქართულ ფილოლოგიაში უკვე საკმაოდ დამკვიდრებულია აზრი, რომ ბარათაშვილის სევდას აქვს შორეული საფუძვლები ეროვნულ მწერლობაში. ამ აზრმა პირველად გაიელვა 1876 წ. ნიკო ნიკოლაძის რეცენზიაში ბარათაშვილის ახლად გამოცემულ ლექსთა კრებულზე¹, ხოლო 1892 წ., ილია ქავჭავაძემ ცნობილ წერილში ბარათაშვილზე, კვლავ დააყენა საკითხი ბარათაშვილის პოეზიის ეროვნული საფუძვლების შესახებ². ინდივიდუალიზმის გრძნობას ძველ ქართულ მწერლობაში ბარათაშვილის შემოქმედების ანალიზისას, შეეხო გერონტი ქიქოძე³.

აღორძინების პერიოდის მწერლობის გავლენას ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებაზე აღნიშნავენ ცნობილი ქართველი

¹ Н. Николодзе, Николай Бараташвили, «Тифлисский Вестник» 1876, № 17.

² ი. ქავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, „ივერია“, 1892, № 77.

³ გ. ქიქოძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებული, 1922, გვ. 189.

მკვლევრები — კ. კეკელიძე⁴, ალ. ბარამიძე⁵, ს. ჩიქოვანი⁶, გ. ნადირაძე⁷, პ. ინგოროყვა⁸, დ. გამეზარდაშვილი⁹, გ. ასათიანი¹⁰.

თეიმურაზ პირველისა და დავით გურამიშვილის პოეზიის ინდივიდუალიზმი და გოდების კილო რამდენიმეჯერ იქნა დაპირისპირებული რომანტიკოსთა განწყობილებებთან. ამ მხრივ, ვახტანგ VI-ის პოეზია ნაკლებჯერ გამხდარა მსჯელობის საგანი. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილ გამოკვლევებში (ძირითადად დ. გამეზარდაშვილის, გ. ასათიანის, ს. ჩიქოვანის, პ. ინგოროყვას და სხვ.) არჩილ მეფის პოეზია, თეიმურაზისა და გურამიშვილის პოეზიასთან ერთად, ყველგან ერთ რკალშია მოქცეული, როგორც რომანტიკული პოეზიის წინამორბედი და საფუძველი.

ჩვენი აზრით, არჩილის პოეზიის განსხვავებული ხასიათისა და მიმართულების გამო (ეს განსხვავება არჩილისა და თეიმურაზის პოეზიათა შორის სათანადო გამოკვლევებში აღიარებულია და შესწავლილი), იგი ნაკლებად გამოდგება იმ ერთიანი ხაზის ანალიზისათვის, რომელიც რომანტიზმის წარმოშობისათვის ქმნის ლიტერატურულ საფუძვლებს. ამ მხრივ, თეიმურაზის, ვახტანგ VI-ის და გურამიშვილის პოეზიათა ხასიათი ქმნის ერთიან ხაზს ზემოაღნიშნულ საკითხთა განვითარებაში.

თეიმურაზის, როგორც მეფისა და როგორც პიროვნების ტრაგიზმი და ბედის მუხტლობა ეპოქალური ხასიათისაა. თეიმურაზ პირველი გამოხატავს თავისი ეპოქის სულისკვეთებას, როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე. იგი გამოხატავს მე-17 საუკ. საქართველოს მწუხარე, სასტიკ ბედისწერას, რომელსაც მეტად წააგავს ბედი

⁴ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევედა, საზ. მეცნ. განყ. მოამბე, 1963, № 3.

⁵ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია, ლიტერატურული ძიებანი, III, თბ., 1946, მ ი ს ი ე ვ ე, თეიმურაზ პირველი, — თ ე ი მ უ რ ა ზ I, თხზ. სრული კრებ., ალ. ბარამიძისა და გ. ჭავჭავაძის რედ. ტფ., 1934.

⁶ ს. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, რჩეული წერილები, თბ., 1963.

⁷ გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, პოეტი და ადამიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ., 1938.

⁸ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზ. კრებ., ტ. III, თბ., 1965.

⁹ დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული რომანტიზმი, თბ., 1948.

¹⁰ გ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.

მისი მეფისა და უპირველესი მოქალაქის, თეიმურაზის. როგორი უნდა ყოფილიყო ამ მეფის სულიერი ცხოვრება? — იგი იყო ხელმწიფე, პოეტი და უპირველესი რაინდი, რომლის გონებასა და მკლავის სიძლიერეზე დამოკიდებულია მრავალთა ბედი, ბედი სახელმწიფოს მომავალი არსებობისა, რომელსაც უნდა მისცეს გეზი მისმა მეუფემ — მმართველმა. მაგრამ ერთმმართველი დიდი ხელმწიფე ძნელად შესცვლის ბედისწერის საშინელებას, რომელიც სახელმწიფოებსა და თვით სამყაროს ძალებს თავისი ნების მიხედვით ცვლის. — ასეთი პოეტური გააზრებით შეხედეს რომანტიკოსებმა ადამიანური ყოფის კანონებს, ისინი თავიანთი პოეზიისა და მიმართულების ჩამოყალიბებაში დაეყრდნენ, ანტიკურ და ბიბლიურ გაგებას ბედისწერისა, „ეკლესიასტეს“ უიმედო მზერას სამყაროს მიმართ და შუა საუკუნეთა რომანტიკას და ელეგიურ ტონს.

თეიმურაზმა საკუთარი ბედის მაგალითზე დაინახა, რომ ბედისწერის საშინელ სიმუხთლესთან ამაოა ყოველგვარი სხვა ძალა, გონება და მხნეობა, ნიჭი და ვაჟკაცობა. მე-17 საუკუნის საქართველოს მწარე ბედი ვერ შეცვალა ვერც ლომივით მამაცმა და დაუცხრომელმა მეფემ — თეიმურაზ პირველმა, ვერც წმინდანი დედოფლის სამშობლოსა და რწმენისათვის დაღვრილმა სისხლმა და ვედრებამ ღვთისადმი. თეიმურაზის, როგორც მეფის ბედი და როგორც პოეტის უჭკნობი დიდება, მის პიროვნებაში გამთლიანებული, დაკავშირებულია დიდ ეპოქალურ მოკლენებთან, დიდ ეროვნულ ტრაგიზმთან.

მე-16—17 საუკუნის ევროპა განიცდიდა აღორძინებას ხელოვნებაში, ჰუმანიზმის აღზევებას, პოეტური სულის ზეიმს. ამ დროს საქართველო ნაცარწაყრილი სულს დაფავდა არსებობასა და არარსებობას შორის, სპარსეთის მძვინვარე სამეფოს შემოტევათაგან სისხლდაცლილი. სწორედ ამ ტრაგიზმისა და ბედის ცვალებადობის სასტიკ ხანაში ქართული ეროვნული პოეზია იწყებს ახალ ელერადობას, იქამდე უცნობ საკითხთა და სატკივართა ამეტყველებას.

მკვლევართა და კრიტიკოსთა ყურადღება არაერთხელ მიიპყრო ამ ეპოქის, საქართველოს პოეზიის ახლებურმა აუღერებამ, თავისებურმა მიმართულებამ და ხმოვანებამ.

თეიმურაზ პირველის, როგორც უიღბლო მეფისა და მწუხარე პოეტის სახე იწყებს ახალ ეპოქას ქართული პოეზიის ისტორიაში, რომელიც დღესდღეობით ქართულ ფილოლოგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ცნობილია აღორძინების ეპოქის სახელწოდებით. ამ ეპოქას თავისებურ ნიშნებსა და მიმართულებას აძლევს

თეიმურაზის პოეზია და ამავე დროს იგი არის ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ფიგურა თავისი პიროვნული თვისებებითაც.

რა არის ის ახალი და ესოდენ მნიშვნელოვანი, რაც შემოიტანა და დაამკვიდრა თეიმურაზმა, როგორც პოეტმა? ეს არის მთელი რიგი საკითხებისა და თემებისა, რომლებიც მანამდე არ არსებობდა ქართული პოეზიისათვის, რადგან მანამდე — ქართული ლიტერატურის აყვავების პერიოდში, მე-12 საუკუნეში, არ არსებობდა ამ თემატიკისათვის სათანადო საფუძველი. მე-12 საუკ. ქართული ეპიკა ასახავს თავის ბრწყინვალე დროს და დაშორებულა ბედისწერის სიმუხთლის გარდუვალლობას. მისთვის ცხოვრება არის ზეიმი, ნათელი და ძლიერი, სიძნელეებით და გამარჯვებებით სავსე, სადაც ყოველივე უნდა დაგვირგვინდეს აუცილებელი გამარჯვებით და ბედნიერი დასასრულით. მაგრამ ახალი ეპოქა წარმოქმნის ახალ განწყობილებებს და ყურადღებას მიაპყრობს ახალ თემებსა და ტკივილებს, სადაც მეფობს ბედის არალოგიკური მოქმედება. ამოტივტივდება უძველესი, კაცობრიობის აკვანშივე არსებული ტკივილები და მწარე მოთქმა ბედისწერის სისასტიკის გამო, რომელიც იწყებს ახალ არსებობას აღორძინების ეპოქაში.

ამრიგად, ეპოქის მიმართულებით განსაზღვრულ პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც აყენებს საკითხებს, მანამდე ქართული საერო პოეზიისათვის უცხოს. ამ ტკივილთა და ამ საკითხთა პირველი და ყველაზე ნიჭიერი გამომხატველი არის თეიმურაზი, უიღბლო მეფე, ბრწყინვალე რაინდი და დიდებული პოეტი, რომლის გოდება მოეფინა მაშინდელ სამყაროს და ჩაუმქრალი სხივებით გაანათა საქართველოს მომავალ პოეტთა გზა. თეიმურაზის გოდება გადაიქცა ქართულ პოეზიაში გოდების თემათა ტონის მიმცემად და ახალ ხიდად, სადაც პოეტური სული ჰპოვებდა გრძნობათა გამოხატვისათვის შესაფერ გზას. ამ გზას დაეწაფნენ და შვება იგრძნეს ისეთმა დიდმა და საინტერესო პოეტებმა, როგორნიც არიან მეფე ვახტანგ VI და ვახტანგის მოწაფე, მის მსგავსად უცხო მხარეს გადახვეწილი — დავით გურამიშვილი.

თეიმურაზ პირველის მიერ წამოყენებული და დამკვიდრებული თემა არის „სოფლის სამღურავის“ თემა, რომელიც მოიცავს საკითხთა მთელ წყებას. ამ თემამ ისეთი დიდი გამოხმაურება ჰპოვა და ისე ზუსტად გამოხატა ეპოქის მაჯისცემა, რომ თეიმურაზი პოეზიის უკნობი გვირგვინით შეამკეს და თვით დიდ შოთა რუსთველსაც კი დაადარეს.

დღევანდელ მკითხველს ეს შედარება შეიძლება თავხედურად

და აფსურდულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ იმ პერიოდის მოქალაქისათვის, რომელსაც ამდენი ტკივილი აწუხებდა და ვერ ჰპოვებდა გამოსავალს და სულის შევებას, უცებ მიართვეს შესაფერი ფორმა მის კაეშანთა გამოხატვისათვის, სადაც შეეძლო სულის წუხილთა გადმოღვრა და დაგუბებული სათქმელის აღმოთქმა. ეს იყო ის, რასაც ეძებდა მწუხარე, უბედურებისაგან გაოგნებული სული და ჰპოვა ნუგეშად, მის ტანჯვათა გამომხატველად და შვებით ამოისუნთქა. ამიერიდან მოყოლებული, თეიმურაზისაგან დანერგილი „სოფლის სამღურავის“ თემა იქცევა ქართველ პოეტთა საყვარელ თემად, რომელიც მათ სულიერ წონასწორობასა და მათი სამშობლოს ბედ-იღბლის გამოხატულებას მეტად კარგად შეესადაგა. ეს თემა საოცრად გაიზარდა. იგი განავრცო არა მარტო თეიმურაზთან ახლო მდგომმა პოეტთა წრემ და მისმა შემდგომმა, იმავე ეპოქასთან დაკავშირებულმა პოეტებმა — ვახტანგ VI და დავით გურამიშვილმა, არამედ, თვით მე-19 საუკუნეშიაც, ამ თემის გამოძახილს ფართოდ ვხვდებით რომანტიკოსთა შემოქმედებაში, — ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვახტანგ ორბელიანის, მამია გურიელისა და სხვ. პოეზიაში. რომანტიკოსთა მთელმა პლედამ მიიღო თეიმურაზის მიერ დანერგილი თემა და ამისათვის მათ ჰქონდათ საკმაო საფუძველი. თეიმურაზის მიერ ამოკენესილი სოფლისადმი მღურვა შესანიშნავად შეესადაგა უკვე სრულიად ახალ ეპოქაში, ახალი ფორმისა და სრულიად ახალი მიმართულების პოეზიას, რომანტიზმის სახელით ცნობილს.

ინტიმი, პიროვნების პირადი მწუხარება, მისი სულის მოძრაობა, მისი არსებობის სიმწარე და ბედის მონაცვლეობა, რომელიც პირადად მხოლოდ მისია და მას შეეხება, ამიერიდან იღებს არსებობის უფლებას. ეს უფლებები თამამად გამოთქვა თეიმურაზმა, ხოლო შემდეგ გურამიშვილმა და ვახტანგ მეექვსემ. პოეტმა გაბედა თავის პიროვნებაზე ლაპარაკი. „მე“ იღებს არსებობის უფლებებს. განყენებული, ველად მოარული გმირი კი არ არის მხოლოდ თანაგრძნობის ღირსი, ან ზღაპრული სილამაზის ბანოვანი, კოშკში თუ სასახლეში მჭდომარე, არამედ ყოველი პიროვნება, რომელსაც აქვს სატიკვარი, წუხილი და გულის კაეშანი, რომელსაც შეუძლია აღმოთქვას იგი. პოეტის „მე“, ამიერიდან მოყოლებული, შექმნის შესანიშნავ ლირიკულ ციკლებს, იგი განივრცობა, გაიზრდება, შეიძენს ახალ-ახალ თვისებებს სხვადასხვა ეპოქებში, რომლებიც წინ არიან, მომავალ საუკუნეთა იდუმალებაში, და ბოლოს მივა რომანტიზმამდე, რომელსაც იგი დახვდება უკვე არსებული და სი-

ცოცხლემინიჭებული, როგორც ძირი, რომელზედაც უნდა აღმოცენდეს ახალი ეპოქის დამახასიათებელი თავისებურება, როგორც ახალი სიცოცხლე. ახალ ეპოქალურ ძვრებს კაცობრიობის ისტორიაში მოჰყვება ახლებური განწყობილება ლიტერატურაში. ეს იქნება გაბედული სიტყვა, უკმაყოფილება და პროტესტი, უკომპრომისო ბრძოლა ბედისწერასთან და ბრძოლა თვით ღვთაებრივი კანონების მიმართაც კი, რომელიც არ იცის და არც შეიძლება იცოდეს ადრეულ ეპოქათა პოეზიამ, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქებმა.

მაგრამ მე-17 საუკუნეში, როდესაც საქართველოში გამოჩნდება „სოფლის სამღურავის“ თემა ლიტერატურაში, როდესაც ამოტივტივდება ბედით უკმაყოფილო პიროვნების „მე“, როდესაც პოეტი ბედს პირველად, ლიტერატურული ფორმით იქამდე ხორცმეუხსმელს, საკუთარი სულის ტანჯვათა შესახებ ლაპარაკს, როცა ლექსის ინტიმი წარმოსახავს ტანჯულ პიროვნების სახეს. უკვე ერთი გაბედული ნაბიჯიღა რჩება პოეზიაში ახალი ხანის წარმოსაქმნელად. ხოლო მაშინ, როცა ეს ხანა დადგება, ყველაფერი გადაიზრდება აშკარა პროტესტში, დაიმსხვრევა მანამდე არსებული პრინციპები და დადგება საკითხი ახლებური, მემამოხე გმირის თანაგრძობისა.

თეიმურაზის კაეშანი, რა თქმა უნდა, სულაც არ არის რომანტიკოსთა კაეშანი, თეიმურაზის „მე“ ეს ჯერ კიდევ არ არის რომანტიკოსის „მე“. მისი პოეზიის ფორმა და სტილი, მისი პოეზიის პროტესტის საზღვრები და ხასიათი, მისი, როგორც ინდივიდუალისტის თვისებები არ არის იგივეობრივი რომანტიკოსის ინდივიდუალისტურ თავისებურებათა, მაგრამ არსებობა ამ ინდივიდუალიზმისა, პიროვნების პირადი განწყობილებებისა და მწუხარებისათვის ფორმის მინიჭების უფლებათა მოპოვება, არის უდიდესი მომენტი, რომელიც ოდესმე პოეზიის თვისობრივად ახალ სამყაროდ უნდა გადაიზარდოს.

თეიმურაზის პოეზიაში პირველად — აღიარება და არსებობის უფლება მოიპოვა ისეთმა აუცილებელმა კომპონენტმა მომავალი, ჯერ კიდევ სრულიად შორეულ პოტენციაში არსებული რომანტიზმისა, როგორც არის ბედისწერის უკულმართობა. ბედისწერის აღიარება და პროტესტი, „სამღურავი“ მისი ცვალებადობისა და სისასტიკის გამო, რომელმაც მოიცვა და გაუღინთა თეიმურაზის ყველა ნაწარმოები, თვით ნათარგმნი პოემები და სატრფიალო ლექსებიც კი, ცენტრალური საკითხია პოეტის შე-

მოქმედებაში. მას უკავშირდება და ორგანულად ერწყმის მეორე ახალი საკითხი, რომელსაც ქართულ პოეზიაში აგრეთვე თეიმურაზი აძლევს გასაქანს, — ესაა პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. უფლების მოპოვება პიროვნულ განწყობილებათა არსებობისა, ადამიანის ინტიმური ცხოვრებისა, სევდისა თუ სიხარულისა; ეს არის პოეტის „მე“, რომელიც ქართულ პოეზიაში იწყებს სიცოცხლეს თეიმურაზის პოეზიით.

ეს ორი დიდი, ახალი საკითხი ერთმანეთთან დაკავშირებული და გამთლიანებული, სათავეს იღებს თეიმურაზის პოეზიაში. თეიმურაზის ლექსის ზომა კლასიკურია, ძირითადად რუსთველური შაირი (ამ მხრივ დიდი სიხალე შეაქვთ მის შემდეგდროინდელ პოეტებს, გურამიშვილსა და ვახტანგს), თეიმურაზის თემატიკაც კლასიკურია, რომელიც ძირითადად სპარსული პოეზიის თემატიკას მისდევს. ქართული საერო ლექსის თემატიკა იმ ხანად სპარსული პოეზიის ნორმებს ემორჩილებოდა. პოეზიის თემათა და საგანთა სფერო იყო მკაცრად განსაზღვრული და გარკვეული, მისი შეცვლა და გადასხვაფერება თითქმის წარმოუდგენლად იყო მიჩნეული. წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი პოეზია, სხვა დამოკიდებულება და მიმართება საგანთა და მოვლენათა მიმართ.

თეიმურაზი არსებულ თემებს, არსებულ კანონებს, არსებულ ლექსს აძლევს ახალ შინაარსს, ახალ მიმართულებას. იგი აღწევს საკითხის მანამდე არყოფილ შემობრუნებას პოეზიაში. მომდევნო პოეტები, რომლებიც გაიზიარებენ მისი პოეზიის ძირითად ხაზს, — „სოფლის სამღურავის“ თემას და ინდივიდუალისტურ განწყობილებას, ყველაზე მეტად იმ საკითხთა ამეტყველებით იქნებიან საინტერესო, რაც თეიმურაზმა დანერგა პოეზიაში. ეს პოეტებია დავით გურამიშვილი და ვახტანგ VI, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ პოეზიის საგანძურში, გაამდიდრებენ მას ახალი თემებით, ახალი სალექსო ზომებით, ახალი მხატვრული სახეებით და ახალი გამომსახველობითი ხერხებით.

თეიმურაზის პოეტური მემკვიდრეობა შედგება ლირიკისაგან, პოემებისა და თარგმანებისაგან. ეს პოეტური მემკვიდრეობა რაოდენობრივად არ არის დიდი, მაგრამ მათი მნიშვნელობა განუზომლად დიდია. თეიმურაზის პოეზიის ეს მნიშვნელობა იმდენად კარგად იქნა გაგებული მისი თანამედროვეების მიერ, რომ როგორც ცნობილია, თვით რუსთველის გვერდითაც კი დააყენეს იგი თანამედროვეებმა. თეიმურაზი რუსთველის გვერდით დააყენეს არა როგორც მეფე მისმა მეხოტბე ქვეშევრდომებმა, არამედ ეს აზრი

გავრცელებას ჰპოვებდა თეიმურაზის სიკვდილის შემდეგაც. ამის დამადასტურებელია ყველასათვის ცნობილი არჩილ მეფის პოემა — „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. ეს თხზულება მეფის მიერაა დაწერილი, რომელსაც არაფერი ჰქონდა მისაკერძობელი თეიმურაზთან. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას არჩილი თავის „გაბაასებაში“ თეიმურაზის მიმართ არც იჩენს. არჩილს მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისის გარკვევისათვის აინტერესებდა ზემოხსენებული საკითხის განხილვა. თავისი პოეზიით კი, როგორც ცნობილია, არჩილი თეიმურაზის მიმდევრათა რიცხვს არ განეკუთვნება. გარდა ამისა, თეიმურაზის დიდ გავლენაზე მეტყველებს, როგორც აღვნიშნეთ, მისი პოეზიის მნიშვნელობა მომავალ პოეტთა შემოქმედებით გზაზე. თეიმურაზის პოეზიით შექმნილი სამყაროდან აწოზიდებიან ისეთი დიდი პოეტები, როგორიც არიან ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი. ეს პოეტები თეიმურაზთან ერთად ქმნიან გარკვეულ ნიადაგს მომავალი, მე-19 საუკუნის ახალი ქართული ლიტერატურის შექმნისათვის.

თეიმურაზის პოეტური ნაწერები, როგორც აღვნიშნეთ, მცირეა. ეს არის სულ ერთი პატარა ტომი, სადაც შედის რამდენიმე ლექსი, ორი-სამი მცირე ზომის პოემა და ოთხიოდე თარგმნილი პოემა. ეს პოემები, უფრო სწორად, გადმოქართულებულია თეიმურაზის მიერ არსებული სპარსული ტექსტების გამოყენებით¹¹.

¹¹ თეიმურაზის თარგმანების და მათი სპარსული წყაროების შესახებ არსებობს მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა. იხ. სპეციალური გამოკვლევები: ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, თეიმურაზ პირველის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ, ლიტერატურული ძიებანი, ტ. XII, თბ., 1959. მ ი ს ი ვ ე, ნარკვევი — თეიმურაზ პირველი, — თ ე ი მ უ რ ა ზ I, თხზ. სრული კრებ., ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედ., ტფ., 1934; გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, თეიმურაზის თარგმანები, — თ ე ი მ უ რ ა ზ I, თხზ. სრული კრებ., ტფ., 1934; ე. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, Руставели и Низами Ганджеви, სახ. უნივერსიტ. შრომები, V, 1936; ე. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954; დ. კ ო ბ ი ძ ე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძიებანი, ტ. III, თბ., 1947; მ ი ს ი ვ ე, ჯამიდა ქართული ლიტერატურის ზოგიერთი საკითხი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, 108; მ. შ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი, თეიმურაზ პირველის „ლექს-მაჯნუნიანის“ სპარსული წყაროები, თბ., 1967; ა. გ ვ ა ხ ა რ ი ა, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1958.

პროფ. დ. კობიძე თეიმურაზის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ წერს, რომ თეიმურაზი კი არ თარგმნის — ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, — არამედ „ამ თემებისა და ამ თემებზე ირანელი პოეტების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა ნიადაგზე, თავისებურად ამუშავებს მათ“¹².

თეიმურაზის ლექსები — „სოფლის სამღურავე“, „გრემის სასახლეზე“, „თამარის სახე დავით გარეჯას“, ლექსთა კრება — „მაჯამა“, პოემები — „წამება ქეთევან დედოფლისა“, „გაბაასება გაზაფხულისა და შემდგომისა“ წარმოადგენენ თეიმურაზის შემოქმედების ძირითად, მეტად მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც განსაკუთრებულია თავისი სიახლითაც. მათთანვე დადგება პოეტური მნიშვნელობითა და ავტორიტეტულობით მისივე თარგმანებიც — „ლეილ-მაჯნუნიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „შამი-ფარვანიანი“, „ვარდ-ბულბულიანი“.

თეიმურაზის ლექსი „თამარ მეფის სახე დავით გარეჯას“ სრულიად ცალკე დგას პოეტის შემოქმედებაში და მეტად უახლოვდება სასულიერო პოეზიის საგალობლებისა და ძლისპირების სტილს.

შენ სამებაო, ერთ არსებაო, სამ გვაშოვნებთ განუწყალებლო,
ერთ ბუნებაო, უშობელო და ძეო შობილო, სულო, მამისაგან გამოშავალო,
მოსავსა შენსა, პატრონს თეიმურაზს, მეოხ მეყავ.

ოდეს მოხვიდე განკითხვად. ქრისტე, და გამოსჩნდეს მადლი, დიდება
შენი და დასჯდე ცხოველთა და მკედართა მსაჯულად, და განარჩევდე
ცხოვართა თიკართაგან, ნუ წარმავლენ მარცხენით კერძო,
შეყოლებულსა ამას მონასა შენსა, არამედ მომეც შენდობა ბრალეულსა.

დედაო უსხეულოსა ნათლისაო და მშობელო სიტყვისა ღვთისაო,
საყდარო. ვტლო. ღრუბელო ნათლისაო, მე დაბნელებულსა ამას
ცოდვითაგან, შითხოვე ძისა შენისაგან შენდობა ბრალთაგან¹³.

ეს არის ლოცვა თეიმურაზის, ურითმო ლექსად დაწერილი, რომელიც სასულიერო პოეზიის ნიმუშად გამოდგება. ამ ლექსის დასაწყისი სტროფი, რომელიც თამარისადმი მიძღვნილი, სრულიად განსხვავდება ლექსის დანარჩენი ნაწილისაგან, როგორც თემატიკით და განწყობილებით, ასევე ფორმით.

მეფენ მოვლენ სურვილით, შენსა სახესა კმონებენ,
შეურაცხყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ,
სხივ-მოსიერად გიმზერენ, უკვდავყოფელად გგონებენ.
და იშვებენ, მათთა პატიეთა მათ ლხინთა შეუწონებენ¹⁴.

¹² დ. კობიძე, ქართულ-სპასული ლიტერატურული ურთიერთობიდან, ლიტერატურული ძეგანი, ტ. III, თბ., 1947, გვ. 215.

¹³ თეიმურაზ I, თამარ მეფის სახე დავით გარეჯას, თბზ. სული კრება., ტფ., 1934, გვ. 144.

¹⁴ იქვე.

აქვე უნდა მოვიყვანოთ გრიგოლ ორბელიანის, მე-19 საუკუნის ამ ბრწყინვალე პოეტისა და ქართველი რომანტიკოსის ცნობილი ლექსი — „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ჩვენის აზრით, ამ ლექსებს შორის არსებობს აშკარა ნათესაობა. ეს ნათესაობა არის არა მხოლოდ შინაგანი, არამედ ფორმის მხრივაც საგრძნობია. საკითხის დაყენებაშიაც კი დიდი მსგავსებაა ორბელიანისა და თეიმურაზის ამ ლექსთა შორის. იგრძნობა მეტად ნიშნეული, არსებითი გავლენა განწყობილების გამოხატვის თვალსაზრისით.

ფრესკული სახე დიდებული მეფის, უბედური აწმყოს მხილველ მაღალ პოეტს აღუძრავენ ასოციაციებს შარავანდედით მოსილ გარდასულ დღეთა დაბრუნებულ სიტკბოებაზე. ეს განწყობილება საერთო აქვს ორივე ლექსს და პირველად ფორმას მას თეიმურაზი ანიჭებს.

შენს შმინდა სახეს,
 შვენებით საესეს,
 სახიერებით განსხივებულსა,
 ვუშზერ კრძალვითა,
 თაყვანცემითა,
 ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
 მიხარის — გიმზერ,
 ვსწუხვარ — და გიმზერ,
 და ესრეთ შზერა მსურს სიკვდილამდე,
 არ გამოვფხიზლდე,
 რომ აღარ ვპგრძნობდე
 ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!...
 ყვავილოვანი
 წალკოტი შენი,
 შენის დიდების სხივ-მოკლებული,
 აღარა კშვენის,
 აღარ გვიბრწყინვის
 შავ დროთა ძალით, ფერ წახდენილი!...¹⁵

თითქოს გრიგოლ ორბელიანის ლექსი არის პასუხი თეიმურაზის ლექსსა და იქ დასმულ საკითხებზე. აქ მოყვანილი ორბელიანის ლექსის პირველი ნაწილი, თეიმურაზის ლექსის მსგავსად, თამარის სახის მკობას და თაყვანისცემას წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილი („ყვავილოვანი წალკოტი შენი...“), თითქოს ეპასუხება თეიმურაზის ლექსის ბოლო სტრიქონს — „იშვებენ, მათთა

¹⁵ გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში, თხზ. სრული კრებული, თბ., 1959, გვ. 76.

პატიყთა მათ ლხინთა შეუწონებენ...“ და მიუთითებს, რომ ლხინის სანაცვალოდ, იმ მშვენიერ წალკოტში, რომელიც სამშობლოს ხატებას წარმოადგენს, დღეს სევდას დაუსადგურებია, ბედის მონაცვლეობის გამო. გრიგოლ ორბელიანის ლექსში ქარბობს კმუნვა წარსულის მიმართ, უსასოობა და მწუხარება თამარ მეფის დიდებული სახის ხილვისას, უბედური აწყყოს გამო; თეიმურაზის ლექსში, რომელთანაც, ჩვენის აზრით, ბევრი აქვს საერთო ორბელიანის ლექსს, თამარის ხილვა იწვევს ალტაცებას და სიხარულის თაყვანისცემას იმ უკვდავოფილი დიდების გამო, რომელიც გარდასულ დღეთა თამარის მეფობაშია. ასე განსხვავდება ჭეშმარიტი რომანტიკოსი და მისი წინამორბედი ერთი და იგივე საკითხისა და განწყობილების გადმოცემისას.

კ. კეკელიძე თეიმურაზის სევდის შესახებ წერს: „სარწმუნოებრივ გრძნობასთან ერთად თეიმურაზის პოეზიაში არანაკლები სიმძლავრით თავი უჩენია, აგრეთვე, პესიმისტურ მოტივსაც. ეს მოტივი ისმის თითქმის თითოეულ მის სტროფში“. მისი აზრით, თეიმურაზის პესიმისტიკის მიზეზი პირველ ყოვლისა, სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა¹⁶.

„სოფლის სამღურავი“ არის ცენტრალური თემა თეიმურაზის შემოქმედებაში, ლეიტმოტივი, რომელიც გასდევს მთელ მის პოეზიას. თეიმურაზის თხზულებები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა კარდინალურად ატარებს ამ ხაზს, — სატრფიალო იქნება თხზულება თუ სხვა ხასიათისა. ასეთი ნაწარმოებებია „სოფლის სამღურავი“, „წამება ქეთევან დედოფლისა“, „მაჯამა“, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, აგრეთვე თარგმნილი პოემების შესავალი და ბოლოთქმები, რომლებიც საკუთრივ თეიმურაზისაა. ამ თხზულებათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ამ საკითხზე სპეციალურად შეთხზული ვრცელი ლექსი — პირობითად დასათურებული აკად. აღ. ბარამიძის მიერ¹⁷, — „სოფლის სამღურავი“. ეს ლექსი წარმოადგენს ერთგვარ თავმოყრას მთელი იმ განწყობილებათა ნაკადისა, რომელიც ასე უღინთავს თეიმურაზის შემოქმედებას. ამავე ლექსში მეტად აშკარაა და ნიშანდობლივი თეიმურაზის შემოქმედების მეორე პრინციპული მხარე, — ინ-

¹⁶ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 568.

¹⁷ აღ. ბარამიძე, თეიმურაზის ტექსტისათვის, თეიმურაზ I, თხზ. სრული კრებ., ტფ. 1934, გვ. 023.

დივიდუალიზმი, რომელიც შესანიშნავად ეთვისება ლირიკული პოეზიის სპეციფიკას. ამ გრძელი ლექსის მწუხარე ტონი სავსეა ფილოსოფიური და რელიგიური განმარტებებით და განწყობილებებით ყოფიერების საკითხებზე, მის დროთა ბრუნვის უკუღმართობის აუცილებლობაზე და გარდუვალობაზე. ფილოსოფიურ, მაღალპოეტურ მსჯელობას და ფიქრს კაცობრიობის ზოგად სატიკვარზე თან ერთვის პოეტის პიროვნული ჩივილი საკუთარი დიდი ტკივილებისა და მწუხარების გამო: თან ერთვის სინანული და ღვთაების მიმართ ვედრება, სარწმუნოებრივი სასოება და ბოლო დღის საშინელების განცდა, იმქვეყნიური საზღაური ამქვეყნიური ცხოვრების შეცდომათა გამო. ყველა ეს ნიშნები და განწყობილებები „სოფლის სამღურავს“ განსაკუთრებულ ელფერს აძლევს და აახლოვებს შემდგომად მოსულ პოეტურ ტენდენციებთან, რომელმაც მე-19 საუკუნეში მიიღო საბოლოო ფორმა და ჩამოყალიბდა რომანტიზმის სანით.

უწყის უფალმან, სოფელი არავის გაუთავადების,
პირველად ამოდ შეიტკობს, საყვარლად დაუამდების.
ალარ გაპყვები, ბოლოს ეამს უმუხთლებს, გაუავდების,
და მე მას ვკვობ, ვინცა მიენდოს, ანუ ვინც დაუზავდების.

გასინჯეთ საქმე სოფლისა, ნეტარ ვის ვასთავებია?
ვის ჰქონდა მუდამ სრა-ტახტი, მოშლია მას თავებია,
ვინ რომ დაიპყრა ქვეყანა, ღლე მასცა ასთავებია,
და სულო მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად დაებია?¹⁸

ამ ეკლესიასტესეული მოტივის ანალოგიურ გამოძახილს ვხედავთ ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის სტრიქონებში:

სამეფონი ურთიერთსა მქვევლობენ,
შეუწყალად, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,...

გარნა მძლევა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისადვე მიიქცევის,
ყველაჟი წარუვალს, განელევის¹⁹.

ბარათაშვილის ცნობილი სტრიქონები ამა ქვეყნის ამოებზე, მის წარმავალ დიდებზე, თვით ხელმწიფეთა წარმავალ ძლიე-

¹⁸ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „სოფლის სამღურავი“, 11, 12.

¹⁹ ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, „ეპი, სოფელსა ამის“, — ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ლექსები, თბ., გამ. „საბჭოთა მწერალი“, 1949, გვ. 33—34.

ჩრებაზე თითქოს ეხმაურება დიდი პოეტისა და წინამორბედის, დიდი პესიმისტის, თეიმურაზის ფილოსოფიურ მღერვას ბედის მუხტ-ლობაზე, ხელმწიფეთა წარმავალ ბედნიერებაზე, ამქვეყნიური დიდების ცვალებად ბუნებაზე:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინლა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: „როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და აღიძვრიან
იმავე მიწისთვის, რაც ღღეს თუ ხვალ თვითვე არიან...²⁰

საწუთროს უხანოზისა და სიმუხთლის გამომხატველი სტროფების გვერდით, თეიმურაზის ლექსში „სოფლის სამღურავი“, როგორც ამ განწყობილების ლოგიკური გამოძახილი, მრავლად გვხვდება საკუთარი ბედისა და პირადი ცხოვრების გამო ამეტყველებული მწუხარე სტრიქონები:

სულო, ნიადაგ წვილილდები, ლხინი აროდეს მოგეცა,
ტანჯვისა შუა არს ლახვარი, საკრავად გულსა მო გეცა,
გიჯობდა ეკლესიისა კარი ნიადაგ მოგეცა,
და ცრემლითა მოლი მოგერწყო, ტანს მულამ ძაძა მოგეცა.

შენ, ცოდვილო სულო ჩემო, სიკვდილს რად არ მოელოდი?
ჯოჯოხეთში ქვა დაჯკრიბონ, არ დაჯკრიბონ, მოელოდი,
შენთვის ყოვლგან ღრუბელია, მზემანც დაჯკრას — მოელოდი,
და კერპთ-მსახურთა განვეშორნეთ, არსად გვხადოს მოელოდი²¹.

ამ მწარე მოთქმას პოეტი მიაღვენს თითქოს სასოების მოსაპოვებლად, ვედრებით ღვთაებრივი ძალისადმი, რომელიც ერთადერთი ნუგეშისა და სამართლის წყაროდ ესახება ყოფიერების მწარე უქამურობაში. მისი გოდება გადადის რელიგიურ სინანულში და ვედრებაში სულისათვის და ტანჯვათა შემსუბუქებისათვის, რომლის ზრუნვისათვის მას ცხოვრების ბრუნვამ არ მოაცალა:

შემაშოო სოფლის ბრუნვამა, ვამე, რალა ვჰყო აწა მე?!
— განაგდე შეება სოფლისა, თავი ღვთისათვის აწამე!
უფალსა შენსა ჰმსახურე, გულითა მასცა აწამე, —
და მიგელის მძაფრი სასჯელი, მაშინ რალა ვჰყო აწა მე!

²⁰ ნ. ბარათაშვილი, „ფიქრნი მტკვრის პირას“, — ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., გამ. „საბჭოთა მწერალი“, 1954, გვ. 20.

²¹ თეიმურაზ I, „სოფლის სამღურავი“, 7, 9.

ჩემმა ცოდვამ სინანულად დრო არ მომცა დანაცალი,
კაემნისა ტვირთი მკიდაეს, იგ შემქნია დანაცალი,
მუნ შეშინის, ოდეს შექმნას სულმან ხორცის დანაცალი,
და ჯოჯობეთად ჩვენთვის მზა ჰყოს სახმილი და დანაც, ალი.²²

ასევე მკვეთრი და ძლიერი რელიგიური გოდების განწყობი-
ლებითაა დაწერილი „სოფლის სამღერავის“ სტროფები—5, 6,
8, 20 და სხვ.

თეიმურაზის პოეზიის რელიგიურ-პესიმისტური განწყობილე-
ბის გამო კ. კეკელიძე წერს: „თეიმურაზის პოეზიაში მეტად მძლავ-
რად ისმის რელიგიური მოტივი. რომელი ნაწარმოებიც უნდა აი-
ლოთ მისი, პროლოგსა და ეპილოგში ყველგან იპოვით ვრცელსა
თუ მოკლე ტრაქტატს ღმერთის შესახებ, ანალიზს ცოდვებით და-
ზიანებული სულისას და შიშს..

სარწმუნოებრივი გრძნობის სიღრმითა და უშუალოდ თეი-
მურაზს დავით გურამიშვილი თუ შეედრება აღორძინების პერიო-
დის მწერლობაში“²³.

„სოფლისადმი“ მღერვის თემა და განწყობილება წითელ ზო-
ლად გასდევს თეიმურაზის პოემებს, სადაც თვალის ერთი გადავ-
ლებითაც აშკარა ხდება ამ საკითხისადმი პოეტის ლტოლვა. ავი-
ლოთ „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, მისი ბოლოსი-
ტყვაობა, რომელიც სავესეა ბრწყინვალე სტრიქონებით სოფლის-
ამაოებაზე, მის მუხთალ ბუნებაზე, სადაც გვირგვინოსანნიც კი სა-
წარისა და სიკვდილის, ტანჯვის შვილები არიან. ამ ნაწარმოებში-
გამოთქმულია თეიმურაზის ცნობილი საყვედური წუთისოფლი-
სადმი:

რად სოფელო, სხვა არ დასწვი ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?
გლახ, ლახვარი სასიკვდილე ყველა მე მკარ, დასად აგე!
დამიკარგე ძე, ასული, ძმა არ ვიცი, და სად აგე?
და სხვა ნაყოფი მათებრ ტურფა რა აშენე და სად აჯე?²⁴

თეიმურაზის გაგებით საშინელებაა ყოფიერება, სიმწარე და
წვალება, ხოლო მეფობა სულაც არ არის ბედნიერება, პირიქით,
ტახტი ღირსი არ არის ზედ სათნო კაცი იჯდეს, იმდენად უხანო და
მწარეა მეფეთა ცხოვრება:

²² თეიმურაზ I, „სოფლის სამღერავი“, 10, 19.

²³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 567—
568.

²⁴ თეიმურაზ I, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 85.

ხმელთა მფლობელსაც არ ასცდეს ბოლოს დაცემა ჩეხისა,
და მას დაუღუმდეს ბაგენი, ველარვის შეუქეხისა²⁶.

და, რადგან ასეა, —

ტახტი იმას არ ღირს იყოს, რომ ჯდეს ვინმე ალვა ზრდილი,
იგ ანაზღად გაღმოგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი²⁶.

საშინელებაა ცხოვრება, ან ადრე მოგკლავს „საწუთრო“, ანდა,
თუ გაცოცხლა, გაგამწარებს, უსაყვარლეს ადამიანებს წაგართმევს
უღროოდ, —

ან ადრე დაგვხოცს უღროოდ ახალსა მოუწევარსა,
ვარდა დაგვიკნობს, უფრკვენელსა, შეგვიქმს ბედისა მწყევარსა²⁷.

ანდა, —

თუ გრძლად გვაცოცხლებს ჩვენ გვიზამს საქმესა უარესებასა,
რაც გვიყვარს თვალწინ დაგვიხოცს სულთაგან უკეთესებასა,
ცეხსლა მოგვიდებს უშრეტსა, ჩვენთვის ჩამოჰკრავს კვესებასა,
და ჩვენ დაგვიმკვიდრებს ჰირთა და სულთქმა, ვაება, კენესებასა²⁸.

და თუ გვაცოცხლებს საწუთრო, განა სიბერე საშინელება
არაა? დაგაუძღურებს, დაგამახინჯებს, დაგტანჯავს, სრულიად შე-
ცვლის სილამაზის უებრო ქმნილებას (იქვე, 99). და მაინც ეგ
არის უკეთესი, რაც შეუქმნია ბედს კაცთათვის, თუ მიაღწიე ამ სი-
ბერეს, რომელსაც მოსდევს გარდაუვალი, საშინელი სიკვდილი, —

ეს არის საუკეთესო იგ ჩვენგან მოსალოდები,
აწ ამაშიგან ვითმც იქმნას გული არ დასაკოდები?
ერთ დღე ვიციინოთ, მით უნდა მრავალჯამ ვიყოთ მგოდები ი,
და ბოლოჯამს ისევ სიკვდილი, გულზე მიწა და ლოდები²⁹.

თეიმურაზის პოეზიით ხდება აღდგენა იმ ტრადიციებისა, რაც
ქართულ ლიტერატურაში ადრეულ შუა საუკუნეებში სასულიერო
მწერლობაში დაინერგა „ეკლესიასტესა“ და მისი ტიპის ლიტერა-
ტურის გავლენით. თეიმურაზი ამ მხრივ დიდ სიახლეს წარმოად-
გენს. იმ დროს, მე-17 საუკუნის ლიტერატურაში, როდესაც მთე-

²⁶ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 93.

²⁸ იქვე, 94.

²⁷ იქვე, 96.

²⁸ იქვე, 97.

²⁹ იქვე, 103.

ლი ევროპა კლასიციზმის მანერით იყო გატაცებული, თეიმურაზის პოეზიაში მკვიდრდება „ეკლესიასტეს“ მოტივების შორეული გამოძახილი, განპირობებული იმდროინდელი საქართველოს სინამდვილით.

თეიმურაზის პოეზიის ტონი, მისტიკური, პესიმისტური, განაპირობა არსებულმა სინამდვილემ, ხოლო ლიტერატურული საფუძვლებია, ერთი მხრივ, ქართულ სასულიერო პოეზიაში არსებული ქრისტიანული და „ეკლესიასტეს“ მოტივები, ხოლო მეორე მხრივ, — სპარსული ლირიკის გავლენა³⁰. აქვე აღვნიშნავთ, როგორც თეიმურაზის მკვლევარებიც აღიარებენ, სპარსული ლირიკის გავლენა უფრო სხვა მხრივ არის ნიშნეული თეიმურაზის პოეზიაზე, სახელდობრ, პოეტურ სტილურ ნიშნებზე, მეტაფორებზე, შედარებებზე, პოეტურ სახეებზე, პოეტურ მეტყველებაზე, მანერაზე სათქმელის გამოხატვისა და სხვ. ერთი სიტყვით, პოეტური მეტყველების ფორმის თვალსაზრისით მეტად დიდია დავალება სპარსული ლირიკისაგან და ეს სათანადოდ აღინიშნა კიდევ თეიმურაზის შემოქმედების შესახებ არსებულ გამოკვლევებში. პესიმისტურ-მისტიკური კილო სპარსულ ლირიკოსთა უფრო სპეციფიკურია, განსხვავებული თვალსაზრისითა და რელიგიურ-ფილოსოფიური მოტივებით არის განპირობებული.

თეიმურაზის მისტიკა და პესიმიზმი, მისი „სოფლისადმი მღურვა“ უფრო ნაციონალურ ფესვებს ემყარება, სახელდობრ, ქრისტიანულ-მისტიკურ თვალსაზრისს, შუა საუკუნეთა ქართულ სასულიერო პოეზიას და „ეკლესიასტეს“ თემატიკას.

თეიმურაზი მიდის საწუთროს უარყოფის უკიდურეს საზღვრებამდე, უსასო პესიმიზმში გადადის მისი სამყაროს კანონებისადმი მღურვა, არსებობის არცერთგვარი შესაძლებლობა აღარ ეჩვენება სასიხარულოდ და მიშვიდველად. სამყაროს კანონებისა და სიკვდილის რაობის არსში ღრმად ჩახედვა, ირგვლივ გამეფებული საშინელება და პირადი უბედურება, ყველაფერი ერთად, წარმოქმნის დიდებული პოეტის მწუხარე, პესიმისტურ დამოკიდებულებას სამყაროსადმი. თეიმურაზი თავის პოეზიაში წამოაყენებს თითქმის ყველა იმ ძირითად საკითხებს, რომლის ირგვლივ ტრიალებდა მსოფლიოს პესიმისტური ლიტერატურა — „ეკლესიასტეს“

³⁰ სპარსული ლიტერატურის გავლენებზე თეიმურაზის პოეზიაში მიუთითებენ თეიმურაზის შემოქმედებას მკვლევარება, — კ. კეკელიძე, აღ. ბარამიძე, დ. კობიძე, გ. ჭავჭავაძე, აღ. გვახარია, მ. შამაცაშვილი და სხვ., ჩვენ მიერ ზემოთ დასახ. ნაშრომებში.

დან“ მოყოლებული, ვიდრე რომანტიზმამდე. მაგრამ თეიმურაზს, როგორც ღრმად მორწმუნე ქრისტიანს, მაინც რჩება სასოებად ღვთაებრივი სამართლის იმედი და რელიგიით დანერგილი სულის უკვდავება. ეს არის ადამიანური ყოფის ერთადერთი იმედი, — რომ, რა წავა ეს ცხოვრება, „სრულ არ დაგვეხშას კარები“, — არსებობს იმედი სულის კეთილისადმი ზიარებისა. ამიტომაც, ცხოვრებას მაინც აქვს აზრი და მის არსებობას კეთილი მხარეები:

ჩვენთვის დაბადა სოფელი მან, ყოვლთა არსთა მბადემან,
ესეც ჩვენ მოგვცა, სიმართლით მუნცა კეთილთა მზადემან,
სრულ ვერ გვიშოვნოს წარწყმედად ბოროტთა მოსაწადემან.

და ვერ შეგვიმწყვედიოს უხსნელად სრულად ცოდვისა ბაღე მან³¹.

თეიმურაზის შემოქმედებაში დახვეწილობითა და სინატიფით გამოირჩევა ლექსთა კრება „მაჯამა“.

სპარსულად ჰქვიან „მაჯამა“ — შეყრილად ითარგმანება,
წიგნები გამოკრებული, იგ ერთად მოიხმარება;
იკითხვიდენ და თარგმნიდენ, ლხინი ვერ შეეღარება,

და გული მოყვარე სიბრძნისა მასთანა დაევაწება³².

ამრიგად, „მაჯამა“ არის სხვადასხვა ლექსების კრებული ერთად შეერთებული, სადაც ძირითადი თემაა სიყვარული, სატრფოს შესხმა-შექება. ამ ლექსთა კრების სათაურებიც ასეთია: „მზე ცულ მაშვრალობს“, „შენთვის ხელმან“. „ტურფა ხარ მშვენიერებით“, „გაბაასება ღვინისა და ბაგისა“ და სხვ.

მაგრამ „მაჯამას“ მთელ განწყობილებას მკვეთრად გასდევს — სასიყვარულო შესხმა-ქებითი მოტივის გვერდით, — „სოფლის სამღურავის“ მწუხარე თემა და იგი იმდენად ნიშნეულია, რომ „მაჯამას“ თითქმის არც ერთი ლექსი არ არის თავისუფალი ამ განწყობილებისაგან.

გრძლად მიტირა საწუთრომან, ცრემლთა ღვრი დაშელია,
მიჯობდა თუ სიკვდილისა, გლახ, სასმელი დაშელია;
მომძულა თვისთა ტომთა. ძმა არ მაძმო, და შელია,

და აწ სოფელი ვარდთა ზრობად მოვალ, რადგან დამე ლია³³.

მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა,
ჩემკენ არ ბრუნავს საწუთრო, მისთვის მომძულდა მე ყოფა,
რა გამეყარა მოყვარე, ხედავთ, რომ სულიც მეყოფა!

და გული საესე მაქვს ლახვრითა, სხვა კიდევ... აღარ მეყოფა?! ³⁴

³¹ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „შეღარება გაზაფხულისა და შემოდგომისა“, 104.

³² მ ი ს ი ვ ე, „მაჯამა“, 3.

³³ თ ე ი მ უ რ ა ზ I, „მაჯამა“, „შენთვის ხელმან“, 6.

³⁴ მ ი ს ი ვ ე, „მაჯამა“, „მზე უნათლე ჰქმენ“, 4.

ეს ლირიკული წიაღსვლები ავტორისა, თეიმურაზის სევდითა და მოთქმით სავსე პოეზიისათვის მეტად ნიშნეულია და ამ პოეზიას აძლევს გოდებისა და მწუხარების ელფერს. ასეთი ლირიკული წიაღსვლები ამბავის გადმოცემისას უშუალოდ წარმოსახავს პოეტის პიროვნულ, ინდივიდუალისტურ სახეს. თეიმურაზი, თავისი პიროვნული ტრაგიზმის პოეზიაში გამოხატვით, უახლოვდება შემდგომ საუკუნეთა ინდივიდუალისტ პოეტებს, რომანტიკოსთა წრეს.

სოფელმან და ეამმან კრულმან ლხინი ჩემი განაქარკა,
ათასი და უმეტესი. კირი ჩემი განაქა რვა?

.....

ნეტამეა ვინმე სიკედლისა მიმეა და არ დამაზარა!
ლხინის სანაცვლოდ სოფელმან სულ მატირა და მაზარა,
უყვავილომ და უფარდომ ღვინომ რაც ქნა, დამაზარა,
და აგრე რამ მოჩანს: სოფელი ბოლოდ მომეა და მაზარა³⁶.

მსგავსი სტროფების მოყვანა „მაჩამადან“ მრავლად შეიძლება, რომელთა ანალიზი კიდევ ერთხელ დაგვანახვებს თეიმურაზის პოეზიის კარდინალურ განწყობილებას, მის მწარე ნალველს, პესიმიზმს, რომელიც ედება და ფარავს ყველა თემას, თვით სიყვარულისა და მშვენიერების თემებსაც კი.

თეიმურაზის თითქმის ყველა ნაწარმოებშია მიმობნეული ბედისა და ყოფიერების კანონებისადმი უკმაყოფილების გამომხატველი სტროფები.

ფათრაკია სოფლისა სიცოცხლე, თვალის წამება,
ფერობა, ბრუნვა, ჩვენება, წესად სჭირს ცილის წამება,
ფრთინვა ვისცა აქვს შეებითა, ბოლო მისთვისცა წამება.
და ფრთხილად ვიყავ და გასინჯეთ, ამაღ არ მექმნას წამება.

თუ ვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი აღიღოს, სხვა არვიწ შეიწყნაროსა,
უხეებით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა,
და უკმორიღოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა³⁷.

ასევეა თეიმურაზის თარგმანებში, სადაც შესავალსა და ბოლოთქმამში პოეტი გადმოსცემს თავის პირად განწყობილებას და გულსტიკვილს, ლაპარაკობს თავის ხვედრზე, უბედობაზე, აგრეთვე პოეზიისა და რელიგიის ზოგად საკითხებზე, და სხვ. ასევეა პოე-

³⁶ თეიმურაზ I, „მაჩამა“, „ეშურეების ბაგე ვარდი“, 6, 16.

³⁷ თეიმურაზ I, „წამება ქეთევან დედოფლისა“, 2, 3.

მაში „შამი-ფარვანიანი“, სადაც პოეტი მოთქვამს თავისი მწარე
ცხოვრების შესახებ:

სრულ განსაცდელში დავლიე ჩემნი ქამნი და ღლენა,
სხვას ვისმე ჩემნი პატიუნი არც ვის კი ამაღალ სმენია;
თვალთაგან ცრემლი უწყვეტი ნილოსის მსგავსად მდენია,
და ცულად უსაქმოდ ყოფითა ცნობანი გარდამელა.

მე გასაძლებად დავწერე ხან ისი, ხან ეს რამეო,
გული ამაზედ დავაპყარ, ბერი დლე დავალამეო,
სრულად ფიქრშიგან ჯდომითა გული არ შევილამეო,
და ჩარხი უკულმა დაბრუნდა, ბელი დამტერდა, ვა მეო!³⁷

სცანით, სიბრძნისა ტრფილნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა,
უცებთა არად სანდომი, ცნობილთა — წამლად გულისა;
მე დამიმწარდა საწუთრო, აბეზარ ვიქმენ სულისა,
და სოფლისა ავად ბრუნვამან მე ერთობ გამაგულისა³⁸.

ჩვენ არ შევეხებით თეიმურაზის პოეზიის სხვა მხარეებს და არ
შეველდებით ამ ნაშრომში მათ გარჩევას. თეიმურაზის შემოქმედება
და მისი ანალიზი გარკვეული მიზნითა და კუთხით გვიანტერესებ-
და ამჟერად, სახელდობრ, თუ როგორ გამოიყურება იგი როგორც
ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი საფუძველთაგანი.

თეიმურაზის ლექსების სევდა და გლოვის ზარი, მისი მწუხარ-
რება შეზავებულია რელიგიურ მისტიკასთან და ქრისტიანულ მორ-
წმუნეობრივ იმედთან. თეიმურაზს დიდი მწუხარებისა და გლო-
ვის მიუხედავად, ზრუნვა და ბრძოლა ამქვეყნიურ გამარჯვებათა
შოსაპოვებლად თავის მოვალეობად მიაჩნდა არა მხოლოდ რო-
გორც მეფეს, რომელსაც თავისი ერის დასაცავად ბრძოლა არ
შეუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, არამედ, აგრეთ-
ვე, როგორც პოეტს.

თეიმურაზის ლექსი დახვეწილია, გრძნობები ნატიფი, სევდა
და მწუხარება არ ივიწყდება გულის გასართველ, სამიჯნურო ლექს-
თა წერის დროსაც, სოფლის სიმუხთლე და ბედის ამაოება თავს
დასტრიალებს და უზუნდნიერეს გატაცების წამებშიაც შეაქვს გეს-
ლი. ასე, მზავლითად, ლექსთა კრებაში „მაჯამა“, ანდა პოემაში
„გაბაასება ვაზაფხულმა და შემოდგომისა“ და სხვ.

რაც შეეხება თეიმურაზის თარგმანებს, სამიჯნურო პოემებს
„ლეილ-მაჯუნიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „შამი-ფარვანიანი“ და

³⁷ თეიმურაზ I, „შამი-ფარვანიანი“, 12, 13.

³⁸ მისივე, „ვარდ-ბულბულიანი“, 3.

„გარდ-ბულბულიანი“, მათ რომანულ ელემენტში ჩაქსოვილია ძლიერი სიყვარულის გარდუვალი ტრაგიზმი და კვლავ გამოს-
კვივის ამოება და სიმუხთლე ბედისწერისა, რაც ასე მწვავედ გა-
ნიცადა მეფე-პოეტმა საკუთარი ცხოვრების მანძილზე.

თეიმურაზის პოეზიის კარდინალური ხაზი სოფლისადმი მდუ-
რვანა, მისი გოდება უსაზღვრო სიმწუხარეში გადადის, ყოფიერების
კანონების შეუსაბამობათა აღიარებაში, მისი პესიმიზმი
ძირითად თემად აირჩევს „სოფლისადმი მდურ-
ვას“ და ამ გზით პოემებშიაც კი შეიჭრება ინტიმური მხარე,
ღირისში, წარმოიქმნება ინდივიდუალის საკ-
მაოდ მკვეთრი გამოხატულება. თეიმურაზის პოე-
ზია ამ სიახლით ხდება ტონის მიმცემი მომავალ საუკუნეთა ქარ-
თული მწერლობისა.

თეიმურაზის პოეზიის ამ ახალ მხარეებს აგრძელებენ პოეტები
ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი.

სამოქალაქო მოტივები XIX საუკუნის პირველი
მეოთხედის ქართულ პოეზიაში

წინამდებარე ნაშრომის მიზანია XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ ლიტერატურაში სამოქალაქო იდეებისა და მოტივების შესწავლა, გაშუქება იმისა, თუ როგორ აისახა იმ დროის ქართულ პოეზიაში „სამოქალაქო გულისტკივილი“ (ილია ჭავჭავაძე). ასეთი თვალსაზრისით საკმაოდ კარგადაა დახასიათებული მთავარი ლიტერატურული კორიფეები — ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, მაგრამ სპეციალურად, მონოგრაფიულად არაა; მით უფრო, ამ თვალსაზრისით ნაკლებად არის შესწავლილი მრავალრიცხოვან კალმოსანთა, პოეტთა შემოქმედება, რომელნიც თავიანთ ნაწარმოებებს ქმნიდნენ ქართული რომანტიზმის უდიდეს წარმომადგენელთა გვერდით და რომელნიც წარმოადგენდნენ იმ ეპოქის თავისებურ ლიტერატურულ ფონს, რაც ხშირად საკმაოდ მრავლისმეტყველი და საინტერესო აღმოჩნდება ხოლმე. სწორად არის აღნიშნული, რომ იმ დროს მრავალი მწერლის „ამოგდება მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან და შემოფარგვლა ამ ისტორიისა სამი პოეტის — ა. ჭავჭავაძის; ნ. ბარათაშვილის და გ. ორბელიანის შემოქმედებით არ იქნებოდა სწორი და გამართლებული“¹. იმ ეპოქის მეორეხარისხოვან პოეტთა შორის არის არაერთი ნაწარმოები, აღბეჭდილი კემპარიტი ნიჰიერებით და მათში ქართული ლიტერატურის ახალი გეზი, განახლების პროცესი ისახება არა მხოლოდ წმინდა ფორმალურ მონაცემებში, არამედ იდეათა, თვალსაზრისთა სფეროშიც.

XIX საუკუნის I ათეული წლების არა მხოლოდ კლასიკოსთა, არამედ „ლიტერატურული ფონის“ კონკრეტული გაცნობა ეწინააღ-

¹ ტ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში, 1939, 33-3.

მდგეგება ერთ დროს გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ თითქოს იმ დროს ჩვენი ლიტერატურა „სრულიად მოწყვეტილი იყო ცხოვრების მიმდინარეობას... რომ ჩვენს ლიტერატურას ნახევარი საუკუნის განმავლობაში არისტოკრატიზმის ბეჭედი დაეკრა“².

XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოეზია როდი ატარებდა ვიწრო სალონურ თუ კასტობრივ ხასიათს, იგი არ იყო მოწყვეტილი სახალხო და სამოქალაქო იდეალებისაგან, ეროვნული ცხოვრების ფესვებისაგან. რა თქმა უნდა, ხალხის ოცნებათა. შიზან-სწრაფვათა და სასიცოცხლო ინტერესთა და მწერალთა სამოქალაქო-ეთიკურ იდეალთა ცოცხალი და მკიდრო ურთიერთობა, ამ ორი საწყისის შერწყმა ახალ დონეზე, მაღალ საფეხურზე XIX საუკუნის 60-იან წლებში მოხდა, როცა განხორციელდა მოწინავე ინტელიგენციის დაახლოება მშრომელ ხალხთან, მთელ ერთან სოციალური სამართლიანობის, ეროვნული თვითმყოფადობის, ცხოვრებისეული პარმონიის საძიებლად. მაგრამ ეს პროცესი ერთბაშად არ მომხდარა და ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ის ხანა, როცა მოღვაწეობს და ასპარეზზე გამოდის ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის პოეტთა თაობა. ამ თაობას ისეთი სიცხადით, მასშტაბურობითა და პროგრამული სინათლით არ ჩამოუყალიბებია სამოქალაქო იდეალები, როგორც ეს მოახდინა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობამ, მაგრამ ალ. ჭავჭავაძის დროის პოეზიას ქმნიდნენ ის პოეტები, რომლებიც პირველნი იაზრებენ და აცნობიერებენ ახალი ისტორიული ეპოქის ამოცანებს, ქართლის ბედის ახალ პერსპექტივას და ეს გარემოება უთუოდ საგულისხმოა. როგორც მარქსი აღნიშნავს, „გონებანი ყოველთვის დაკავშირებულნი არიან უხილავი ძაფებით ხალხის სხეულთან“³. თუ როგორი იყო კავშირი XIX საუკუნის I ნახევრის ქართველი პოეტებისა „ხალხის სხეულთან“, მის ინტერესებთან და იდეალებთან, ეპოქის მოვლენებთან, როგორ გამოხატეს მათ იმ დროის მოწინავე სამოქალაქო იდეალები — ეს რთული საკითხია, რომელიც უთუოდ გასათვალისწინებელია ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების სრულყოფილი დახასიათებისათვის.

გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში სალექსო ჟანრების სწრაფი განვითარება, შესაძლოა, ნაწილობრივ განპირობებულია

² ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია — XIX საუკუნე, 1919, გვ. 7.

³ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 33, стр. 143.

იმით, რომ ლირიკა იმ დროის პოეტებს საშუალებას აძლევდა სწრაფად განეცადათ და გამოეხატათ აზრთა და გრძნობათა ის ახალი წრე, რომელიც წამოიჭრა ქართული საზოგადოების წინაშე 1801 წლის ისტორიული აქტის შემდეგ. აშკარაა, რომ ლიტერატურაში, კერძოდ, პოეზიის სფეროში მიმდინარე პროცესები დიდად არის დაკავშირებული ქართლის ბედის ახალ გადაწყვეტასთან, ეროვნული ისტორიული გზის პერიპეტიებთან.

ახალმა ისტორიულმა ეპოქამ თავი იჩინა ქართველი ერის, ქართული სინამდვილის ყველა სფეროში. ქართული პოეზია გულგრილი არ დარჩენილა ამ სიახლეთა მიმართ. ქართული ლირიკა თავისუფლებისმოყვარე ეროვნული და სოციალური იდეების ქადაგების ერთ-ერთი უმძლავრესი ძალა ხდება. ქართული ლირიკა აქტიურად ებმება ეპოქის ისტორიული მოვლენების შეფასებაში და მათ განსჯისას ხშირად ატარებს მოწინავე სამოქალაქო იდეალებს. „ერისთვის, მოკლებულს საზოგადოებრივ თავისუფლებას, ლიტერატურა — ერთადერთი ტრიბუნაა, რომლის სიმალლიდან იგი გვაიძულებს მოვისმინოთ თავისი აღშფოთებისა და თავისი სინდისის ხმა“, — წერდა გერცენი თავის ცნობილ ტრაქტატში „რუსეთში რევოლუციური იდეების განვითარების შესახებ“⁴. ეს სიტყვები სრული უფლებით ითქმის XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელმაც ხან უშუალოდ, ხან მეტ-ნაკლები უშუალობით ასახა ეპოქის მტკივნეული და ძლეულვარე სამოქალაქო იდეები.

XIX საუკუნის I-ელ მეოთხედში ქართულ პოეზიაში დიდი ადგილი დაიკავა 1801 წლის აქტის გააზრების საკითხმა. ამ საკითხის გააზრებაში თავი იჩინა რამდენიმე პოზიციამ. მწერლების ერთი ნაწილი (გიორგი ავალიშვილი, იონა ხელაშვილი, იოანე ბაგრატიონი, დიმიტრი ბაგრატიონი, ი. რატიშვილი, გიორგი ბაგრატიონი, ბეგლარ ორბელიანი, დავით რექტორი და სხვ.) ამ აქტს მხოლოდ დადებითად აფასებენ და მეტ-ნაკლებად ადიდებენ კიდევ ერთაგან არწივს — მოხიბლული არიან მისი ძლევამოსილებით. მწერლების მეორე ნაწილი (უმთავრესად ე. წ. ბატონიშვილი პოეტები — მარიამი, ქეთევანი, თეკლა, ფარნაოზი და სხვ.) 1801 წლის აქტს, ე. ი. ქართული სამეფოს გაუქმებას უარყოფითად აფასებენ, იაზრებენ, როგორც დაპყრობას, როგორც ეროვნულ უბედურებას. პოეტთა ამ გჯუფს ეკუთვნის ა. ჭავჭავაძეც — იმ განსხვავებით, რომ

⁴ Герцен, т. VII, стр. 198.

20-იან წლებში პოეტმა კავკასიის დაპყრობაში განმანათლებლური როლიც დაინახა („კავკასია“). არის მესამე პოზიცია — ახალი რეჟიმისადმი გულგრილობისა, თუ პოზიციის გაურკვევლობისა. ასეთია პ. ლარაძე და სხვ. მათთვის ნიშანდობლივია ერთგვარი პოლიტიკური დაბნეულობა.

პოლიტიკურმა ექსპანსიამ, რიგმა შეთქმულებებისა, ეროვნული თვითშეგნების პროცესმა კანონზომიერად გამოიწვია ორგვარი რეაქცია: ერთი მხრივ, პასიური დამოკიდებულება საზოგადოებრივი საკითხებისადმი და, მეორე მხრივ, აქტიური ჩარევა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში, პროტესტის, უკმაყოფილების აშკარა გამოთქმა. ქართულ ლირიკაში თავს იჩენს როგორც ინტიმური თემებით გატაცება, ასევე გაისმის სამოქალაქო — მამხილებელი მოტივები. ქართულ პოეზიაში მკვიდრდება პოლიტიკური ასოციაციების მთელი კომპლექსით აღჭურვილი სიტყვები: მოქალაქე, თავისუფლება, მამული, ტირანი, ვალი, ბედი ქართლისა და სხვ.

შევიჩრდეთ ბატონიშვილ პოეტებზე, მათ მიერ ერის ბედ-იღბლის შეფასებაზე. ბატონიშვილი პოეტების ლირიკაში ეროვნული წუხილის მოტივის შეფასებისას გარკვეული სიფრთხილე და სიზუსტეა საჭირო. ისევე შორს ვიქნებით ჰუმანიტებისაგან, თუ მათ ლექსებში მხოლოდ დინასტიური პრივილეგიების, ტახტის დაკარგვის გამო ჩივილს დავინახავთ, როგორც იმ შემთხვევაში, თუ მათ ლექსებში ამ მომენტს მთლიანად გამოვრიცხავთ და მხოლოდ ეროვნულ, მამულიშვილურ ტკივილს მივიჩნევთ მათი ლირიკის ლეიტმოტივად. მათ ლექსებში პირადული განცდების მიღმა იგრძნობა აგრეთვე დაფიქრება სამშობლოს, „სადავითოს“, „ივერიის“, „ქართლის ძვირფასი მტილის“ ხვედრზე. ამ ლექსებში იმიტომ იჩენს თავს ქართული რომანტიზმის ელემენტები, რომ მათი ავტორები ხშირად მალღებთან სუბიექტურ, პირად ინტერესებზე და თავიანთი ქვეყნის მოწინავე წრეების განწყობილებებსაც გამოხატავენ. ასე თუ ისე, თუ სუბიექტურად არა, ობიექტურად შინც, ბატონიშვილი პოეტების მეფის რუსეთის საწინააღმდეგო კურსი, მათი ოპოზიციონიზმი არსებული სინამდვილისადმი ხელს უწყობდა ქართულ პოეზიაში აწყმითი უკმაყოფილების სულისკვეთების, ეროვნული პრობლემატიკის იდეათა დამკვიდრებას, ახალი ინტონაციებისა და პოეტური ფრაზეოლოგიის დანერგვას ქართლის ბედთან დაკავშირებულ იდეათა კომპლექსის გადმოსაცემად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მეფის რუსეთის პოლიტიკური არსის გადმოსაცემად გარკვეული სახეობრივი სისტემა — „ჩრდილოთ ღრუბე-

ლი“, „ჩრდილოთ ქარი“, „ჩრდილოთ ზღვა“ და სხვ.—ბატონიშვილმა პოეტებმა დანერგეს და შემდეგ გამოიყენეს ნ. ბარათაშვილმა, ს. რაზმაძემ და ქართული რომანტიზმის სხვა წარმომადგენლებმა. ბატონიშვილი პოეტების ლირიკის ერთ-ერთი დიდი ღირსება ისაა, რომ ამ ლირიკამ დიდი როლი შეასრულა ქართულ პოეზიაში მეფის რუსეთის პოლიტიკისადმი ოპოზიციონიზმის, ქართლის ბედზე ღრმა დაფიქრებათა დამკვიდრების საქმეში.

გრ. ბატონიშვილი (1789—1830) თავის ლექსებში ხშირად ჩივის ტანტის დაქარგვას. „ვითა დავკარგეთ მეფობა, მოთხრობა ჩემთვის ძნელია“, ჩივის იგი თავის ვრცელ ლექსში, რომელიც საქართველოს ისტორიის აღწერას ეძღვნება (ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, E—156). „საქართველო რუსებმა დაიპყრეს“. — წერდა იგი. ავტორის სუბიექტური განზრახვების მიუხედავად, იმ დროის ქართველი მკითხველი უფრო დიდ ეროვნულ გულსტკივილს ხედავდა გრ. ბატონიშვილის შემდეგ სიტყვებში:

„ცამან ჩრდილოეთი დაცაგვიფარნა შავისა ღრუბლით,
ივერთა მზენი ველარ ბრწყინავენ ივერად ხმულნი“...
(გრ. ბატონიშვილის ანთოლოგია, H—2130).

ბატონიშვილმა პოეტებმა თავიანთ მრავალ ლექსში ზურგი შეაქციეს იმ დროს გავრცელებულ კლასიციკურ ოდას და თავიანთ ლექსებში სამშობლოს ბედ-იღბალი სუბიექტური თრთოლვით აღსავეს პოეტური მონოლოგებით გამოხატეს. მათ დიდი დამსახურება მიუძღვით იმაში, რომ საფუძველს უყრიან საქართველოს ისტორიული წარსულის რომანტიკულად წარმოსახვისათვის აუცილებელი პოეტური ლექსიკისა და ასოციაციების, განცდათა და ინტონაციათა დანერგვას. ამასთანავე სუბიექტური განცდის უშუალობამ და სიძლიერემ მათ ლექსებში ხელი შეუწყო პოეტური ენის ერთგვარ სისადავესა და ბუნებრიობას. საგულისხმოა, მაგალითად, მარიამ ბატონიშვილის ლექსები: „ჰოი, დამწარდეს დღეთა ტკბილობა“, „აჰა, დამეცნეს რისხვით ცანია“ და სხვანი, რომლებშიც გამოყენებულია ის პოეტური ლექსიკა („ქართლოსი“, „სადავითო“ და სხვ.), რომელიც საქართველოს ისტორიული წარსულის რომანტიკულ გაზრებას ემსახურება. მარიამ ბატონიშვილის ლექსებში გაისმის სამშობლოს მდგომარეობის ღრმა განცდის ხმა, იგრძნობა დიდი სიყვარული საქართველოს წარსულისადმი და სიძულვილი ჩრდილოეთის ქარისადმი. ასეთი ლექსების პოეტური ლექსიკის სისადავეს, გრძნობათა გადმოცემის უშუალობას ბევრი

საერთო აქვს ნ. ბარათაშვილის პოემის „ბედი ქართლისას“ სტილთან. იმ დროის მოწინავე ქართულ საზოგადოებას უთუოდ შეეძლო თავისი მამულიშვილური განცდებიც ამოეკითხა თეკლა ბატონიშვილის ლექსებში:

„პოი, დამწარდეს დღეთა ტკბილობა,
აღფხვრა წალკოტთა ვარდთა შლილობა,
დასპორგუნა ჩემი დღე-კეთილობა,
ბნელჰყო ქართლოსის ძვირფას მტილობა...
ჩრდილოს კერძომან საბავთოს ქარმან,
მძვინვარედ მქროლმან და დაუწყუნარმან,
ჩემნი მთიებნი ჰყო გარისგარმან...“
(„პოი, დამწარდეს დღეთა ტკბილობა“).

რა თქმა უნდა, პატრიოტიზმის, ბედი ქართლისას პრობლემატიკის ახალ, მაღალ საფეხურზე გააზრება ალ. ჭავჭავაძეს, ნ. ბარათაშვილს, გრ. ორბელიანს და მომდევნო თაობებს ხედა წილად, მაგრამ ამ ტრადიციიდან მაინც არ არის გათიშული ბატონიშვილების ლირიკა, რომელმაც უთუოდ გარკვეული როლიც ითამაშა ქართული რომანტიკული პოეზიის განვითარებაში. საგულისხმო მსგავსებაა, მაგალითად, ისეთ ლექსებს შორის, როგორცაა ქეთევან ბატონიშვილის „მოვსთქვამ სულთქმითა“ და ალ. ჭავჭავაძის „ვისაც გსურთ“:

„პოი, ვითარ, ვსთქვა განსაერთომელი,
ჩემის სიცოცხლის დამამცრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთიებთ დამბნელებელი,
ბედნიერთ პალატთ დამამხოველი.
გუშაგნი მრავალად ჩემთვის მცველობენ,
სხვადასხვა პაზრით გველებრ კრელობენ,
...მათნი მახვილნი გულსა მჭრელობენ...
(„მოვსთქვამ სულთქმითა“)

ამ ლექსის მეოთხე სტროფთან უაღრესად ახლოს არის შემდეგი სტროფი ალ. ჭავჭავაძის ლექსიდან „ვისაც გსურთ“, რომელშიც პოეტი თავის პატივმოყვარის სიმძიმესა და სოფლის ცვალებადობაზე ლაპარაკობს:

„ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ღირსი ფლობილს,...
გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვეყვან ნების წარმტაცველად...
ხვალ სხვანი ზოელენ მათს გამომცველად,
გველოვე ჰშთება გველად“.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ბატონიშვილთა ლირიკის ინტონაციების, პოეტური საზოგადოების, პოეტური ლექსიკისა და მეტაფორების როლი ქართული რომანტიკული ლირიკის განვითარებაში უთუოდ საგულისხმოა და უფრო მეტად გათვალისწინების ღირსია.

„ჩრდილოეთისადმი“, მეფის რუსეთის ტახტისადმი სიძულვილით არის გამსკვალული თეკლა ბატონიშვილის (1776—1846) ლირიკაც, რომელიც, აგრეთვე, პოეტური ენის გარკვეული დემოკრატიზმით ხასიათდება, რაც უფრო ზრდიდა მისი ლექსების იდეურ-მხატვრულ უღერადობას. „რადგან ჩრდილოთ მზემ ესრეთ ინება, კრძალვით ითმინე სახმილთ გზებანი“, — ურჩევს იგი თავის დას — ქეთევან ბატონიშვილს.

ქართულ ლირიკაში ისტორიული წარსულის რომანტიკული განცდის ტრადიციის დანერგვაში გარკვეული წვლილი მიუძღვის 1804 წლის მთიულეთის აჯანყების სულისჩამდგმელს ფარნაოზ ბატონიშვილს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ფარნაოზ ბატონიშვილის მუხამბაზი — „იგონეთ ყოველთ დრონი წინარე“, რომელიც წარსულის გადიაღებით, აწმყოს პოლიტიკური ვითარების უარყოფით და აშკარა ოპოზიციონიზმით ხასიათდება:

იგონეთ ყოველთა დრონი წინარე,
ჟამ ყოველთ განცხრომით მოსალხინარე.
აწუც გიხმით გლოვა მოუთმინარე,
ისმინეთ კირნი მოუსმინარე.

სამშობლოსაგან დაშორებამ დიდად განსაზღვრა დავით ბატონიშვილის (1767—1819) ლექსების განცდათა სიღრმე, უშუალობა და გარკვეული სისადავე. იგი შეიძლება მივიჩნიოთ ქართულ ლირიკაში ნოსტალგიის განცდის ერთ-ერთ შესანიშნავ გამომხატველ პოეტად. სამშობლოსაგან შორს ყოფნის გამო მისცემია პოეტი „სევდასა წვლილთა“. დავით ბატონიშვილის ლექსები სამოქალაქო იდეალების, სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას ნერგავდნენ. ამის შესანიშნავი ნიმუშია მისი შემდეგი პოეტური სტრიქონები: „რად ამ უბედურს ხვედრსა შევესწარ, ოდეს ოხრად მრჩა ჩემს მტილს იანი“...

ბატონიშვილმა პოეტებმა ქართულ ლირიკაში ხელი შეუწყვეს არსებული სინამდვილისადმი ოპოზიციური სულისკვეთების დანერგვასა და საქართველოს ისტორიული წარსულის რომანტიკულ გაიდებას. ამავე ტრადიციას ეკუთვნის ელიზბარ ერისთავის (1738—1813) გვიანდელი ლირიკა, განსაკუთრებით მისი ლექსი —

„ვინ, ეს დრონი“, რომელიც პირდაპირი გამოცხადება 1801 წელს სიონის ტაძარში გამოცხადებული აქტისა; ე. ერისთავი გრძნობს ამ ისტორიული დოკუმენტის უზარმაზარ მნიშვნელობას. ამასთანავე, იგი უარყოფითად არის განწყობილი მომხდარი ფაქტისადმი:

ვინ, ეს დრონი, სვედრონი მომცემს წყენასა,
ალარ ჩნდა ნათლად, მოკამათლად მზე, არც მთვარენი...
...თუ არ მკვლელობა, სისხლთმსმელობა, ვერ ვნახე ლობა.

მაგრამ ე. ერისთავი განსაცდელის გაძლებასა და სულიერი სიმბნევის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებს თანამომხმეებს. ასეთი პოზიცია თავისებურად უწყობს ხელს იმ დროის ქართულ პოეზიაში სამოქალაქო იდეალების, ქედუხრელობისა და ოპტიმიზმის განმტკიცებას.

1801 წლის აქტის დადებითი შეფასება აქვს გამოთქმული ი. ბაგრატიონს „კალმასობაში“ იონა ხელაშვილის პირით: „ღმერთმან არ გიტევათ დაცემად და მოგივლინათ თქვენ შემწედ ჩრდილოეთ კერძოდ მხედარნი“ („კალმასობა“, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 157); თავს იჩენს მეფის რუსეთისადმი პატივისცემით აღსავსე დამოკიდებულებაც კი: „როსია ახალი ათინა არს“, — ამბობს იონა ხელაშვილი (S — 1532, გვ. 22), ხოლო გ. ავალიშვილს მაშინდელი მეფის რუსეთი „ახალ ბიზანტიად“ ესახებოდა (S — 450, „მოგზაურობა გ. ავალიშვილისა“).

XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში ეროვნული თვითშეგნების განვითარების თვალსაზრისით საყურადღებოა ბეგლარ ორბელიანის ოდა „თქმულნი სტიხნი (შაირნი) აღებასა ფოთისასა ბეგლარ ორბელიანისაგან წელსა 1810“. აქ უაღრესად დადებითად არის შეფასებული რუსეთის როლი ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრებაში. მაგრამ ამ ლექსში არა ნაკლებ საგულისხმოა მეორე გარემოება: პოეტი თავისებური სამოქალაქო კლასიციტური ლირიკის წარმომადგენლად გვევლინება. „ქართველი კლასიკოსები, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ ქართველ მეფეებს და საქართველოს განდიდებაზე ოცნებობდნენ, ინკორპორაციის შემდეგ რუსეთის მეფეებს, დიდებულებსა და სარდლებს აქებენ“⁵.

ბელგარ ორბელიანი გვესაუბრება არა საკუთარ განცდებზე, არამედ აყალიბებს თავის მრწამსს საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. ფოთის გამოხსნა თურქთაგან პოეტისათვის

⁵ ალ. კ ა ლ ი ნ დ ა ძ ე, ლიტერატურული წერილები, 1972, გვ. 5.

მხოლოდ კერძო საბაბია, რომელიც მას საშუალებას აძლევს იმსჯელოს პოლიტიკურ საკითხებზე, გამოამჟღავნოს პოეტ-მოქალაქის პოზიცია, საქართველოს ევროპასთან დაახლოება, ახალი პერსპექტივები, განსაკუთრებული შეფასება მისცეს მონარქიული რუსეთის ძღვევამოსილებას საქართველოსთვის:

ჰსძლევენ ყოველთა როსია, და უმეტეს მხნედ არი
აწ შემწედ მყავს როსია და ვინღა მერეოდენ,
თუ თამარ დიდის დროსა მკლავნი მქონდა გრძელეზი,
ევროპა ვერ მიცნობდა, არც პოლშისა ველეზი....
... ძენი ჩემნი მიენდენენ როსიისა ძალასა,
თუ რუსები არა და თქვენცა არ გემარჯვათ:
იქნებოდა სადამდე სახელი ქართველობა?

ბეგლარ ორბელიანის ოდაში ჩანს უაღრესად გაცნობიერებული პოზიცია, სამოქალაქო იდეალებისადმი სამსახურისაკენ პირდაპირი მოწოდება. პოეტი ოპერირებს ისეთი მაღალი იდეალებით, როგორცაა „მამული“, „ქართველობა“, პატრიოტიზმი და სამშობლოსათვის თავგანწირვა. საქართველოს პოლიტიკური დაკავშირება ძლიერ რუსეთთან პოეტს მიაჩნია საშუალებად, რომელიც საქართველოს შესაძლებლობას მისცემს ძღვევამოსილი წარსულის, ანუ როგორც იგი ამბობს, „ძველობის“ განახლებისას. ასეთია ის პოზიცია, რომლითაც პოეტი ამართლებს საქართველოს კავშირს რუსეთთან. ბეგლარ ორბელიანი სალი და გააზრებული პოლიტიკური პოზიციების პოეტი. ამიტომ არ მიგვაჩნია მართებულად ის აზრი, თითქოს ბეგლარ ორბელიანი პოეტა იმ წყებას მიეკუთვნება, რომელთათვისაც დამახასიათებელია „პოზიციის შეცვლა — ანტირეჟიმული ბანაკიდან რუსეთის ორიენტაციის მომხრეთა დასში გადასვლა“⁶. ამ თვალსაზრისის თანახმად მისი ლექსი „ჩემო სიამევე, შეებავე“ (S — 1512, S — 2464), რომელშიც გამოთქმულია ალტაცება მარიამ დედოფლის გმირული აქტით, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ არი მიმართული, ხოლო „სტიხნი აღებასა ფოთისასა“ რუსული ორიენტაციის გამოვლინების დამადასტურებელი ლექსია.

ჩვენი აზრით, ორივე შემთხვევაში ბეგლარ ორბელიანი ქართული სამოქალაქო ლირიკის ბრწყინვალე თანამიმდევრული წარმომადგენელია. პირველ ლექსში „სტიხნი აღებასა ფოთისასა“ იგი

⁶ მაქს. ბერძნიშვილი, XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან (ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესიის თეზისები, 1950).

სამშობლოს განახლების გზებს ეძებს რუსეთთან კავშირში და როდი გვევლინება მონარქისტული რეჟიმის ბრმა მეხოტბედ. მისი უპირველესი ფიქრის საგანი საქართველოა, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. მართალია, ამ ლექსში არაა პოლიტიკური რადიკალიზმი, მაგრამ ამ ლექსის სამოქალაქო იდეალებს, მამულის „ქელობის“ განახლებისაკენ მომწოდებელ ლექსს არ ეწინააღმდეგება ბეგლარ ორბელიანის ლექსი „ჩემო სიამევე, შევებავ“, რომელშიც პოეტი კვლავ მამულიშვილური იდეების ქომაგად და მეხოტბედ გვევლინება.

„ჩემო სიამევე, შევებავ“ 5 სტროფიანი ლექსია. მას ერთ დროს ალ. ქავჭავაძეს მიაწერდნენ. გარეგნულად ეს ნაწარმოები სატრფიალო ლექსია, მაგრამ სინამდვილეში იგი პოლიტიკური ხოტბაა მარიამ დედოფლისა, როგორც საქართველოს ეროვნული ღირსების დამამცირებლის გენერალ ლაზარევის მკვლელისა. ლექსის პოლიტიკური ხასიათი აშკარა ხდება ადრესატის — ქართველი ქალის და მისი ქეშმარიტი გამირობის ხაზგასმით:

ჩემო სიამევე, შევებავ, განცხრომისა აესებავ,
იმრთულე მცირე ლექსი ჩემის კმუნეის დავსებავ...,
ქართლოსისა ასულთა გვირგვინ შრომა მაშვენო,
მთვარევე მტრედო უბინდოთ, ვინ თქვას ქება საშენო.

დიმიტრი ბაგრატიონის (1746—1826) პოეტური ხელწერა, თემატიკა და იდეური მრწამსი ძირითადად ტრადიციული ხასიათისაა („ქეთევანიანი“, „ელისაბედნიანი“ და სხვ.), მაგრამ თანადროულობა მის ლირიკაშიც იჭრება. როგორც ჩანს, იგი რუსული პოეზიის ზეგავლენასაც განიცდის. კერძოდ, პეტრე ბაგრატიონის დაღუპვის გამო დაწერილ ლექსში — „პეტრე ბაგრატიონზე თქმული“ პოეტი აცხადებს: „მეც აღმძრეს შენთა სამკობლად ჩრდილოეთ მოშაირეთა“. დიდი მხედარმთავრის გამირობა და სიკვდილი დიმიტრი ბაგრატიონის ლექსში შეფასებულია არა პირადი ემოციების, სუბიექტური განცდის პლანში, არამედ ზოგად-ეთიკურ, კლასიციტური ნორმის თვალსაზრისით:

...მცირეთი სძლია მრავალთა, მიიღო სიმხნით დიდება.
...მსხვერპლად შეწირულს მიმადლა ცამ ვერძის ჯადმოკიდება.

დიდი მხედარმთავრის — პეტრე ბაგრატიონის საგმირო მოღვაწეობის შეფასება მოცემულია, აგრეთვე, უცნობი ავტორის ლექსში — „პეტრე ქართველთა ხარ დიდებაო“ (S 1534, გვ. 50). იგი 800-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი, რადგან აქ პ. ბაგრა-

ტიონი ნახსენებია როგორც ცოცხალი. საგულისხმოა, რომ პოეტმა ბაგრატიონს ქართველი ერის დიდების სიმბოლოდ მიიჩნევს. რაც ავტორის სამოქალაქო პოზიციის თავისებურებაზე მეტყველებს. ეს ლექსი XIX საუკუნის დასაწყისის ქართული კლასიციტური ოდის იმ ნიმუშთაგანია, როცა ამ მაღალი ჟანრის ინტონაციაში იჭრება ახალი დროის სამოქალაქო იდეალები, ეროვნული ცნობიერების ახალი იმპულსები:

პეტრე ქართველთა ხარ დიდებო,
სახსოვრად დავსდვა შენი ქებაო.
სუაროვისა მხნისა შემდგომი
ვინ გვისახელა ჩვენ თვისი ტომი.

უთუოდ, პატრიოტული გრძნობა იყო ის ძირითადი მიზეზი, რამაც ალ. ქავეკავაძეს ათარგმნია ნ. ახვერდოვის ლექსი „მიცვალებასა ზედა... პეტრე ბაგრატიონისა“ (1813). დამახასიათებელია, რომ ამ ლექსში ხაზგასმულია პ. ბაგრატიონის ქართული წარმოშობა:

არა გუშინ... ოპ, არა გუშინ იყო?
რტო ჩინებული ივერიის მეფეთა,...
ბაგრატიონი არა გუშინ იყო?
როსიის სპათა მხნედრე წინა მძლომარე...

საქართველოში რუსეთის დამკვიდრებისადმი დადებითი დამოკიდებულების დასახასიათებლად საინტერესოა დავით რექტორის — „შესხმა დიდისა არხიეპისკოპოსისა მიმართ (S 105)“. იგი დაწერილია 1816 წელს. ამ ოდის შესავალში მოცემულია იმპერატორ ალექსანდრე პირველის ქება-დიდება, დამახასიათებელი კლასიციტური ოდისათვის.

დ. რექტორს მიაჩნია, რომ რუსეთთან დაკავშირების გარეშე: საქართველო მძიმე განსაცდელში აღმოჩნდებოდა, ხოლო

იმპერატორმან ალექსანდრე პირველმან...
თავისუფალყო ივერია ტყვექმნილი...

ალექსანდრე პირველმა მტერთაგან იხსნა კიდეც, და ააყვავა კიდეც საქართველო; იარალი ზედმეტი გახდა, — სრული მშვიდობა დამყარდა:

...მახვილნი იქმნეს მანგლებად და სახნისად
და კრავნი იქმნეს მძოველთა მგელთა თანა...
უშენნი შენად — უვალნი სავალად გზად.

პირველმა დ. რექტორმა შენიშნა, რომ XIX საუკუნის დამდეგდან საქართველოში „იქმნა ცა ახალ“ და „იქცა იგი ქვეყნად ახალ“.

დ. რექტორი განადიდებს ალექსანდრეს იმ როლისათვის, რომელიც რუსეთმა შეასრულა ნაპოლეონის დამხობის და საქართველოს გაძლიერების საქმეში. რა თქმა უნდა, დ. რექტორი არ დგას ისეთ იდეურ პოზიციებზე, რომ იმ დროის მოწინავე ადამიანთა მსგავსად ნაპოლეონის დამარცხება დაუკავშიროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს. მაგრამ ქართველი პოეტი არ იმეორებს არც იმ დროის კონსერვატულ-რეაქციული წრეებისათვის დამახასიათებელ თვალსაზრისს, რომელნიც ნაპოლეონს უპირველესად ფრანგული რევოლუციის შფოთვის მომტან იდეებს უკავშირებდნენ. დ. რექტორი თავისი ლექსით არსებითად პროგრესულ პოზიციას დგას, როცა იგი ნაპოლეონის დამარცხების ფაქტში ევროპაში ომების ბოლოს მოღებასა და მშვიდობიანობის დამყარებას მიესალმება.

ეროვნული თავისუფლების დაკარგვა XIX საუკ. I მეოთხედის ქართულ პოეზიაში განსაკუთრებული პოეტური ელვარებითა და ძალით არის გამოხატული ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ჭერ კიდევ 1804—1808—1810 წლებში. „ვაჰ, სოფელსა“, „ბრძოლისათვის“, „ფისტიკაური“, „პყრობილისაგან“, „ვისაც გსურთ“, „პყრობილის შრომა“, „ყოველსა კეთილ მგრძნობელსა“ და სხვ. XIX საუკუნის პირველი ათეულის „მამულიშვილური გულისტკივილის“, ქართლის ბედის ახლებური პოეზიის უმნიშვნელოვანესი პოეტური დოკუმენტებია, რომელშიც იკვეთება განცდათა და აზრთა ის წრე, სამოქალაქო იდეალთა სიმბოლური წარმოსახვის ის ცალკეული მხარეები, ან ანტიცარისტული პათოსი, რაც სახელმძღვანელო გახდება შემდგომი თაობებისათვის და რასაც მოგვიანებით, როგორც ცნობილია, მაღალ შეფასებას მისცემს ილია ჭავჭავაძე.

1801 წლის აქტის სოციალურმა და პოლიტიკურმა შედეგებმა განსაკუთრებული ძალით დაძაბა ქართველ პოეტთა ცნობიერება, მოახდინა მათი სულიერი და გონებრივი ძალების იშვიათი მობილიზება; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პოეტთაგან — ალ. ჭავჭავაძე, ფ. ბატონიშვილი და სხვები სხვადასხვა აჯანყებათა, პოლიტიკურ დაჯგუფებათა მონაწილეები არიან, ხოლო მოგვიანებით ზოგი მათგანი მკიდროდ უახლოვდება დეკაბრისტულ მოძრაობას. ჭერ კიდევ ყმაწვილი იყო ალ. ჭავჭავაძე, როცა იგი 1804 წლის

მთიულეთის აჯანყების მონაწილე აღმოჩნდა. ახალგაზრდა პოეტის წინაშე მთელი სიცხადით წარმოისახა ამ აჯანყების და მის სულისჩამდგმელთა სურათები: „ასტყდა ომი საშინელი, ცემა-სროლა აირია...“

აჯანყების მარცხი ალ. ჭავჭავაძისათვის ახალი ფიქრებისა და დაკვირვებების საგანი გახდა. აჯანყების მონაწილეთა ერთ ნაწილში პოეტი ხედავდა გარკვეულ მერყეობას, თუ სულიერ დაცემას. მათი მისამართით არის დაწერილი ლექსი „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული ოდეს რუსთაგან პყრობილ იყო: პყრობილისაგან თანაპყრობილთა მიმართ“ (1805), რომელშიც პოეტი ამხნევეებს თანამებრძოლებს სამშობლოს მომავალი თავისუფლების მოლოდინით:

რადგან იქება სულგრძელობა, იხმართ რად არ?

ნუთუ ევლავ ღმერთმან გკურნოსთ ერთმან ყოვლთ მძლემან რგების!

მე ამას ესტირი განაწირი, ვაჰ თუ ვესწრა ვერ!

თვარალა ჟამი, გულთ მაამი, ევლავცა იქნების!

იმ დროის ქართულ ლირიკაში მამულიშვილური გულისტკივისლის გრძნობათა თემატიკის სწრაფ ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა იმ ფაქტმა, რომ საუკუნის პირველივე წლები ქართული საზოგადოებისათვის ჟემშიმეს შექცირებათა ჟამი აღმოჩნდა, — იმ დროს, როცა იგივე ხანა რუსული საზოგადოებისათვის ერთგვარი ლიბერალიზმის ხანა იყო, როცა ალექსანდრე პირველმა თავისი მეფობის პირველ წლებში რამდენადმე შეარბილა რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების კონტროლი და ერთგვარ დათმობაზე წავიდა. როგორც ცნობილია, იმ დროს, როცა ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი უშუალოდ განიცდის 1801 წლის აქტის შედეგებს, როცა საქართველოში მიმდინარეობს აჯანყებები და ანტიცარისტული გამოსვლები, როცა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი საპყრობილეში წერს თავის ნაწარმოებებს, რუსეთში რამდენადმე განსხვავებული სურათია. თავისი მეფობის პირველ წლებში ალექსანდრე პირველმა ჩაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთაც ხელი შეუწყო ქვეყანაში უკმაყოფილების ატმოსფეროს შერბილებას. ამ დროს ციმბირიდან დააბრუნეს ა. ნ. რადიშჩევი, 1804 წლიდან შერბილდა ცენზურა ბეკდვითი სიტყვის დარგში, 1806 წელს ალექსანდრე პირველმა დაიხლოვა ნიკიერი რაზნოჩინელი მ. მ. სპერანსკი, რომელმაც ბურჟუაზიულ-ლიბერალურ რეფორმათა მომზადება დაიწყო. ამ დროს ითარგმნა მონტესკიეს, ადამ სმიტის და ევროპის სხვა მოიწინავე მოაზროვნეთა ის ნაშრომები,

რომლებიც ეკატერინე მეორეს მეფობის ბოლო წლებსა და პავლე პირველის მეფობის დროს აკრძალული იყო. ამიტომაც იყო, რომ დერჟავინი, კარამზინი, თვით რადიშჩევიც და ზოგი სხვა მწერალთაგანი თავდაპირველად მიესალმებოდნენ ალექსანდრე პირველის პოლიტიკას და მას განმანათლებელ მონარქს უწოდებდნენ. ხოლო 800-იანი წლების დამლევს, ნაპოლეონის შემოსევის საშიშროებამ რუსული საზოგადოების ძალთა ახალი მობილიზება გამოიწვია. ყოველივე ამისგან განსხვავდება ის საზოგადოებრივი კლიმატი, რაც იმ დროს 'საქართველოში' შეიქმნა. ალ. ჭავჭავაძე თავის სამშობლოს მეფის რუსეთის პატიმრად ჰვრეტს. პოეტის სიტყვებში „მას ვჰვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული, მისთვის გლახ განწირული“ („ვისაც გსურთ“), უკვე ჩანს ის სახეობრივი სისტემა, ეროვნული ტყვეობის ის მოტივი, რომელიც შემდგომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაშიც განვითარდება. გავიხსენოთ „სუმბული და მწირი“ და „ბედი ქართლისა“: „რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული გალია-შია დატყვევებული“.

ეროვნული პესიმიზმისაგან თავის დასაღწევად იმ დროის ქართულ პოეზიაში ხშირად არის გამოყენებული ყოვლის წარმავალობა-ცვალებაობის ფილოსოფიური იდეა. თუ დღეს სამშობლო დატყვევებულია, ხვალ იგი თავისუფალი იქნება, რადგან არაფერი არაა ამ ქვეყნად მარადიული. ამ აზრს ალ. ჭავჭავაძე ლექსში — „ვისაც გსურთ“ — ასე აყალიბებს:

კაცთ უბედობა, თუმცა სატირე,
გარნა რად გასაკვირე.
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცელილებისა შხირე.

მოგვიანებით კიდევ უფრო ღრმად, ამჯერად წმინდა რომანტიკულ ტონალობაში, იგივე იდეა შესანიშნავად არის ხორცშესხმული ალ. ჭავჭავაძის ფილოსოფიური ლირიკის შედეგში „გოგჩა“.

ყოველი პოეტი იმდენად არის შემოქმედით-მოქალაქე, იმდენად არის აქტუალური მისი სამოქალაქო იდეალები, რამდენადაც შეძლებს იგი თანადროულობის მწვეავე პრობლემების ასახვასა და ღრმა გააზრებას. ამ მხრივ ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი დროის ნამდვილი პოეტი-მოქალაქეა.

როგორც ცნობილია, პოეტმა მთელი სიმკაცრით დაახასიათა ის ბოროტება, რაც ცარისტულმა დამპყრობლებმა ჩაიდინეს მისი სამშობლოს მიმართ და, ამ გაგებით, გარკვეული ისტორიული დო-

კუმენტი შექმნა მომავალი თაობებისათვის ლექსით „ისმინეთ, მსმენნო“ (1804):

ისმინეთ მსმენნო, კირთა მთმენნო, მომაპყართ ყურნი,
რაგვარნი კირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალმურნი,
ენახენით როსა, ამა დროსა, ზედა-ზედ რთულნი.
წყუელ არს ის დრო, როს სამკვიდრო დაკვარგეთ კრულნი.

თუ შინაარსს დაუეკვირდებით, ლექსი „ოპ, ვით გვემტყუნვა“ (1804) წარმოადგენს მწარე სინანულს 1804 წლის აჯანყების მარცხის გამო:

ოპ, ვით გვემტყუნვა,
სოფლისა ბრუნვა!
წაგვიხდა ზრუნვა!
ეკმუნავთ ბედ-მწირნი,
გვეხვევიან კირნი,
ფოთოლთ უხშირნი.

ლექსში „ოპ, წარმავალნო“ ალ. ჭავჭავაძე გვევლინება ბრძოლის, სამშობლოსათვის თავდადების მეხოტბე პოეტად ახალ ქართულ ლირიკაში. ახალ პათოსს, ახალ შინაარსს თან მოაქვს გამოთქმის ახალი ფორმა, ახალი პოეტური ინტონაცია:

წარმოიდგინეთ იგი ჟამნი,
ყოვლად ძვირფასნი იგი წამნი,
როს ვიქალოდით ყოველნი გვამნი
პატრონის ყოლით, მის წინ ბრძოლით.

XIX საუკუნის პირველი ნახევარის შრავალ ქართველ პოეტსა და მოღვაწეს სამშობლოსათვის ზრუნვის უკიდურესმა მონდომეზამ, პოლიტიკურმა რადიკალიზმმა ამაოდ არ ჩაუარა და ზოგი მათგანი დიდი ხნით ან სამუდამოდ გაეყარა თავის სამშობლოს. ამის შედეგად შეიქმნა მთელი წყება ლექსებისა, თავისებური სამშობლოსაგან გაყრის გამომხატველი პოეტური ჟანრი, რომელშიც მძაფრად გაისმის არა მხოლოდ სამშობლოს ნოსტალგია, არამედ მოქალაქეობრივი ზრუნვა და ერთგულება ეროვნული იდეალები-სადმი. ამ მხრივ განსაკუთრებულია ალ. ჭავჭავაძის ლირიკა:

‘სიკედლის რათ მექადით? იგი მჩანს არად...
...მას ვსტირ, რომ ვშორდები თვალთ დამტირებთა,
თვარა ვით შემაკართონ ტანჯვა-ჭირებთა:

(„მსურდა ოხერა“, 1805)

იგივე განცდება ლექსებში „უწყალო სენმან“, „ვაჰ, სუსტსა სენით“.

სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სევდა და პატრიოტული გრძნობის სიმტკიცე განსაკუთრებული პოეტური სიმახვილით გამოხატა ა. ჭავჭავაძემ ცნობილი ლექსით „ვაჰ, დრონი, დრონი“.

ეს ლექსი ერსთა და იმავე დროს ტრადიციულიც არის და ნოვატორულიც. მისი ინტონაცია და ფრაზეოლოგია რამდენადმე ევროპული კლასიციტური სამოქალაქო პოეზიის სამყაროსთან ამულავნებს ნათესაობას. შესაძლოა, კლასიციზმთან ჰქონდეს საერთო ამ ლექსის აზრობრივ სინათლეს, სიცხადეს, ლოგიკურ სიმწყობრეს. ამასთანავე კლასიციტური ლირიკისაგან, კერძოდ, ოდისაგან ეს ლექსი განსხვავდება თავისი რომანტიკული მგზნებარებით, მღელვარებით. აქ შინაარსი, პირადი წარსული პოეტს თავისი სულის პრიზმში აქვს გარდატეხილი. ეს თითქოს ერთი მღელვარე სუნთქვით წარმოთქმული მონოლოგია, რომელშიც, შესაძლოა, არც ისე ცხადად, მაგრამ მაინც იგრძნობა პოეტის ერთგულება თავისი მრწამსისადმი, თავის იდეალებისადმი:

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარიტვენენ, განჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!

სამშობლოს ბედით უკმაყოფილება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა ალ. ჭავჭავაძისათვის, რომ მან თავისებურად თავი იჩინა სატრფიალო ლექსებშიც კი: „პყრობილის“ მწარე ბედი დამოწმებული აქვს პოეტს თავისი პყრობილობის ხანის არაერთ სატრფიალო ლექსშიც, მაგ. „სახე შენი მემახევა“, „სძგერს გლახ გული“, „შენთან არს გული“, „ჟამნი რბიან“, „გლახ თვალთა შენი“, „სიყვარულსა შეუჰყრივარ“.

სოციალური თემატიკა თავისი დროის ჰემმარიტად რევოლუციურ-დემოკრატიული სიმახვილით XIX საუკ. I მეოთხედის ქართულ პოეზიაში წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის ლირიკაში. ქართული სამოქალაქო ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია „ვაჰ, სოფელსა“ (1804).

საგულისხმოა თვით ლექსიკაც ამ პოეტურა ნაწარმოებისა, რომელიც აღსავსეა სოციალურ მდგომარეობათა ამსახველი და იდეური შინაარსით აღსავსე სიტყვებით: „თანასწორობა“, „მონობა“, „ჩაგვრა“, „სიმართლე“ და სხვ.

აღ. ჭავჭავაძის განსაკუთრებული დამსახურებაა, რომ პირველმა მან აღიარა ქართული პუბლიცისტური ლირიკის ტრიბუნადან, ჭერ კიდევ საუკუნის დამდეგს, რომ ყოველგვარ სოციალურ ბოროტებას ბოლო მოეღებო:

გარნა მძლეცა შემდგომ სხვისგან იძლევის,
თვისგან ქმნილი თვისადვე მიექცევის,
ყველაკი წარუვალს. განელევის.
რაცა ჰქონდა პოვნილ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!

„მდაბალთ ჩაგვრის“ საკითხის ასეთ ასპექტში დასმა, ასეთ სოციალური დემოკრატიზმი თავისთავად ბევრს მეტყველებს იმაზე, რაოდენ სწრაფად ვითარდებოდა ქართული ლირიკის ევოლუციური პროცესი XIX საუკუნის დასაწყისში. ბევრს მეტყველებს იმ დროის ქართული პოეზიის ტენდენციებზე ის ფაქტი, რომ აღ. ჭავჭავაძის ლექსში მთელი პირდაპირობით არის დასმული ის პრობლემა და გამოთქმულია ის რწმენა, რაც ეპოქის ყველაზე უფრო მოწინავე სოციალურ თეორიებსა და ყველაზე უფრო რევოლუციურად განწყობილ მწერალთა ნაწარმოებებში იჩენდა თავს:

რომელნიც ამწარებთ ღარით ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას
არ მარადის იშვით
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!

არ იქნება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ არა თუ ქართულ, არამედ იმ დროის ევროპულ პოეზიაში იშვიათად მოგვეპოვება რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების უფრო რადიკალურად გამოხატველი ლექსი, ვიდრე „ვაპ, სოფელსა“. პოეტი თვალთ ხედავდა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში ყმა გლეხების სასტიკ „ჩაგვრას, მტაცებლობასა და ხვეპას“. უთუოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა მისი სამოქალაქო მრწამსის ჩამოყალიბებაში მონაწილეობამ 1804 წლის აჯანყებაში, ბატონიშვილებთან ურთიერთობამ, სწავლამ პაეტა კორპუსში, სადაც საფრანგეთის რევოლუციისა და რადიშჩევის იდეათა სული ტრიალებდა.

ლექსში „ვაპ, სოფელსა“ პრინციპული სიახლეა არა იმდენად ჩაგვრის, დესპოტიზმის დაგმობა, რამდენადაც სოციალური თანასწორობის იდეის გარდუვალობის ქადაგება. ამ ლექსში გაცნობიერებულა სოციალური კონფლიქტის შეუპოვებელი ხასიათი.

ძალი დავალს ღიზით ნაქცევთა ზედა,
სად სიმართლე მისგან შენარაზედა,
მისთ ყვაილთა ფერხით ლახავს გზაზედა,
რომელნი ჰსკვნებთან...

რადენ პროგრესულია ალ. ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური იდეალი, წამოყენებული ამ ლექსში, ეს ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ დადებითი იდეალების ხასიათს იმ დროის მხატვრულ ლიტერატურაში და საერთოდ კლასიციტურ განმანათლებელთა წრეებში. მაგალითად, მე-18 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში 60-იან წლებამდე განმანათლებლები სვამდნენ საკითხს ადამიანთა მორალური თანასწორობის შესახებ, მაგრამ ეს არ უკავშირდებოდა სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტს. რუსულ ლიტერატურაში მხოლოდ 60-იანი წლებიდან გაჩნდა თარგმნილი და ორიგინალური ნაწარმოებები, ხშირად უტოპიური რომანები, რომლებშიც ლაპარაკია სოციალურად და მორალურად თანაბარუფლებიან საზოგადოებაზე. მოგვიანებით ქართულადაც ითარგმნა ფენელონის „ტელემაქეს მიმოსვლანი“, რომელშიც მოცემულია აბსოლუტიზმის კრიტიკა და კანონები ხელმწიფის ნება-სურვილზე მაღლა დაყენებული. როგორც ალ. ჭავჭავაძეზე, ასევე საერთოდ ქართულ საზოგადოებრიობაზე უთუოდ დიდი გავლენა იქონია მე-18 საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დასაწყისში რუსოს იდეებმა, რომლებშიც დიდი ადგილი უკავია თანასწორობის საკითხს. ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ ალ. ჭავჭავაძის ლექსში სიტყვა „თანასწორობა“ ეპოქის მოწინავე ფილოსოფიურ-პოლიტიკური ლიტერატურიდან მომდინარეობს.

მე-18 საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დასაწყისში, განმანათლებლური იდეოლოგიის კრიზისის გამო სოციალურ ურთიერთობათა თანასწორობის საკითხის სერიოზული ანალიზი შეცვალა ამ საკითხის „იდილიურმა“ გადაწყვეტამ¹. იმ დროს, როცა ალ. ჭავჭავაძე წერს თავის ლექსს „ვაჰ, სოფელსა“, რუსულ პოეზიაში გამეფებულია იდილის ქანრი, რომელიც იძლევა სოციალურ ურთიერთობათა შელამაზებულ, იდილიურ წარმოსახვას. კარამზინის, დერჟავეინის, მერზლიაკოვის და სხვათა იდილიებს აერთიანებს სოფლის ცხოვრების, ბატონყმური ურთიერთობების უმფოთველი, წყნარი და იდილიური გააზრება; 800-იან წლებში რუსული საზოგადოების გარკვეულ წრეებში, კერძოდ, მასონთა

¹ Идея социализма в русской классической литературе, Л., 1969, стр. 77.

შორის თავი იჩინა თანასწორობის განმანათლებელთა იდეების გადაფასებამ და სანაცვლოდ რეაქციული იდეების ქადაგებამ. საზოგადოების მხოლოდ ყველაზე მოწინავე ნაწილმა შეძლო შეენარჩუნებინა რწმენა განმანათლებელთა მიერ წამოყენებული თანასწორობის იდეებისადმი, არ მისცემოდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მეფობის პირველი წლების ერთგვარი ლიბერალიზმის ილუზიებს და შეენარჩუნებინა სოციალური პროგრესისადმი რწმენა. ალ. ჭავჭავაძემ დაგმო დესპოტიზმი და თავისი სოციალური იდეალი არა წარსულში, არამედ გარდუვალ მერმისში დაინახა.

შემთხვევითი არ ყოფილა დემოკრატიული სულისკვეთება ალ. ჭავჭავაძის ლექსში „ვაჰ, სოფელსა“. ამას ადასტურებს მის მიერ ამავე 1804 წელს ნათარგნნი, თუ გადმოკეთებული ცნობილი პროზული თხზულება „ახლოით განჩხრეკილი კაცი“, რომლის უშუალო გამოძახილს და პოეტურ ხორცშესხმას წარმოადგენს ლექსი „ვაჰ, სოფელსა“. ნ. შანდობლივია „ახლოით განჩხრეკილ კაცზე“ დართული ლექსებიც „პყრობილის შრომა“ და „ყოველსა კეთილმგრძნობელსა“, რომლებიც კარგად გვიჩვენებს „ახლოით განჩხრეკილ კაცში“ ჩაქსოვილი დემოკრატიული შეხედულებანი რაოდენ ორგანული იყო ალ. ჭავჭავაძისათვის. პატიმარი პოეტი შვებას პოულობს განმანათლებელთა იდეების მქადაგებელი ავტორის წიგნში.

რათა ვაჩვენოთ, თუ რაოდენ დამახასიათებელი იყო ალ. ჭავჭავაძისათვის თანასწორობისა და სამართლიანობის ჰუმანისტურ-დემოკრატიული მიდრეკილებანი, შეიძლება დავიმოწმოთ ათიან წლებში მის მიერ თარგმნილი პროზაული მინიატურები ბერძნულიდან (S 2380), კერძოდ, „ლიკურლო“, რომელშიც მთელი სიმკაცრით არის დაგმობილი დემოკრატიისადმი ბატონკაცური ზიზღი და მტრობა.

ასევე დემოკრატიულ-ჰუმანისტური სულით არის გაყენებული ალ. ჭავჭავაძის მიერ 1808 წელს თარგმნილი რომანი „ეედუქსია“.

800-იანი წლები რუსული საზოგადოების წრეებში, ვიდრე ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლები 1805—1807 წლებიდან გამოიწვევდა ეროვნული თვითშეგნების ახალ აღმავლობას, არ ყოფილა მაინცდამაინც აღბეჭდილი დემოკრატიზმითა და იდეური აღმავლობით. და მით უფრო საგულისხმოა ეპოქის ამ ფონზე ალ. ჭავჭავაძის ეგზომ აშკარა დემოკრატიული რადიკალიზმით აღბეჭდილი ნაწარმოებები. თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ,

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ალ. ჭავჭავაძეს შეიძლება ეკუთვნოდეს სოციალური ჟღერადობით განმსჭვალული ლექსი — „უსამართლოდ შემკრებელი“, რომელსაც ავტორი არ აწერია, მაგრამ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს ლექსი მოთავსებულია იმავე ფურცლებზე, სადაც წარმოდგენილია ალ. ჭავჭავაძის 30-იანი წლების ლექსი — „შენის გონების“ (S 1575). მისი კონცეფცია საკმაოდ ახლოსაა ლექსთან „ვაჰ, სოფელსა“.

უსამართლოდ შემკრებელი
არს ფეხქვეშ გასასრესელად,
სიბის ქვის ნატრულ დარჩება,
დანისა გასალესელად,
მსწრაფლ გაუქრება სანთელი,
გულისა დასაკვენსელად,
ველარ იბოვის წუმწუმას
აბედსა დასაკვენსელად.

საყურადღებოა ალ. ჭავჭავაძის მიერ კორნელის „სინას“ თარგმნის ფაქტიც. ამ ტრაგედიის თარგმნა ალ. ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ 1812 წელს დაუწყია. „სინა“ თავისი რესპუბლიკურ-დემოკრატიული კონცეფციით მკიდრო კავშირშია თვით ა. ჭავჭავაძის ასეთივე კონცეფციასთან, რაც ჯერ კიდევ მისი პოეტური მოღვაწეობის გარიჟრაჟზე იჩენს თავს. საინტერესოა, რომ „სინაში“ და — „ბედი ქართლისაში“ მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებია დასმული...

ალ. ჭავჭავაძემ ლექსით „კავკასია“ საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი პროგრესულად განჰკრიტა. მაგრამ ა. ჭავჭავაძის ღირსება ის არის, რომ „ღვთისაგან შერისხულ“ პრომეთეს ტრაგედიის ასპექტში დანიანა კავკასიისა და საქართველოს ისტორიული ბედ-იღბალი, ევროპული ცივილიზაციის გზაზე დადგომა:

შეეკრნენ ჩრდილოს ვაშტნი შიალსა გრანიტთასა.,...
ჰსცემდენ, ჰკლეჯდენ, ჰქუხოდენ, — და კავკასი მკენესარედ
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხადჰყოფდა მწარედ.

მაგრამ:

განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,
რომე მნით შევიდეს მათ შორის განათლება.

ა. ჭავჭავაძის, როგორც პოეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 1832 წლის შეთქმულების წინა ხანებში, როცა შეთქმულებისათვის მზადება რეალურ ფაქტად იქცა, კვლავ ახალგაზრდობის დროისათ-

ვის დამახასიათებელმა ეროვნული თავისუფლებისათვის შემართებისა და ქედუხრელობის სულისკვეთების მოძალებამ იჩინა თავი პოეტში. ამის მაუწყებელია ლექსი „კვლავ მარად“, პოეტი ვერ შერიგებია იმას, რომ:

გაპქრა დავითის ხმლის ელვა, ჩაპქრა თამარის ლამპარი.

პოეტი არა მოთმინებისაქენ, არამედ ეროვნული თავისუფლების მიმტაცებლის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაქენ მოუწოდებს:

არც ვაწ ზარაყნი, თვით რჯულნი, არცა ჩვეულნი ზრზუნასა,
სიკვდილი გვიჯობს ვიხშიოთ კანჯარზე ჯდომა-თვლემასა,
მზაკვარს ხმლით გაუსწორდებით, ვჭფუცავე ჩვენ ხმალთა კვეთასა,
მნათი აღმოხდეს კავკასსა, ქართლი მიეცეს ლხენასა.

ალ. ჭავჭავაძის პოეტური მრწამსის განვითარებაზე, მის პოლიტიკურ ინტერესებსა და სამოქალაქო იდეალებზე ბევრს მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი არის მთარგმნელი პუშკინის ისეთი პოლიტიკური ლექსისა, როგორცაა „იმპერატრიცა ელისაბედის მიმართ“. პუშკინის ეს ლექსი დაიბეჭდა ყოველთვიურ ჟურნალში „სორევენოვატელ პროსვეშჩენია ი ბლაგოტეორენია“, 1818 წლის დამლევს. ეს იყო დეკაბრისტული ჟურნალი, რომელშიც იბეჭდებოდა პუშკინის, კიუხელბეკერის, ბესტუჟევის, ფ. გლინკას და იმ დროის სხვა მოწინავე მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ნაწარმოებები. პუშკინის აღნიშნული ლექსი 1881 წლამდე აღარ დაბეჭდილა; ასე რომ აშკარაა, ა. ჭავჭავაძე დაინტერესებული ყოფილა იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ჟურნალით, რომელიც ხასიათდებოდა თავისუფლებისმოყვარე იდეებისა და ტირანიისადმი სიძულვილის ქადაგებით, სამოქალაქო იდეალების პროპაგანდით. უთუოდ საგულისხმოა, რომ ალ. ჭავჭავაძემ თარგმნა პუშკინის ეს ლექსი. როგორც კნობილია, დეკაბრისტთა პეტერბურგის ფარულ წრეებში არსებობდა აზრი, რომ ტახტი ელისაბედისათვის გადაეცათ, ხოლო რეალური ძალაუფლება თვითონ აეღოთ ხელში. ელისაბედისადმი ამ ლექსის მიძღვნა, ისევე, როგორც ამ ლექსის დაბეჭდვა „სორევენოვატელში“, რომელსაც სცემდა ელისაბედის მომხრე ფედორ გლინკა, წარმოადგენდა პოლიტიკური პროპაგანდის აქტს რუსულ ტახტზე ლიბერალური კანდიდატურის სასარგებლოდ. ამდენად, ალ. ჭავჭავაძის მიერ ამ ლექსის თარგმნა უთუოდ მოწმობს დეკაბრისტთა წრეებისადმი ქართველი პოეტის, სულ ცოტა, თანაგრძნობის აქტს. სხვათა შორის, ჟურნალ-

ში ლექსს ავტორის გვარი შემოკლებით ჰქონდა ხელმოწერილი: „А. П... Н.“, მაგრამ ალ. ჭავჭავაძე, საფიქრებელია, საქმის კურსში იყო და კარგად იცოდა, თუ ვინ იმალებოდა ამ გვარის უკან.

ამგვარად, XIX საუკუნის პირველი ათეული წლების ქართულ პოეზიაში დასმულია მთელი რიგი იმ საკითხებისა, რომლებმაც შემდგომი გაღრმავება და განვითარება ჰპოვეს მომდევნო ხანის ქართულ ლიტერატურაში.

ვაჟა-ფშაველას ლირიკული კომპოზიციების შესახებ

ვაჟას ლექსის მოქცევა ერთ გარკვეულ თემატურ რკალში ხშირად ძალიან ჭირს, რადგან ბევრ შემთხვევაში მისი ლექსი არა ერთ, არამედ რამდენიმე მოტივს მოიცავს. ეს მოტივები ხან ერთმანეთში გადადის და ერთმანეთს ნაკადებივით ერწყმის — ასე რომ, ძნელი ხდება მათი ერთმანეთისაგან გამოყოფა, — ზოგჯერ კი ერთი მეორეს შეუმჩნევლად შორდება და თავის საკუთარ, დამოუკიდებელ კალაპოტს პოულობს.

მრავალმოტივიანობა, ე. წ. პოლითემატურობა, როგორც ვაჟას ლექსის სპეციფიკური ნიშანი, კარგა ხანია, შემჩნეულია ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში¹. ეს, თავისთავად საინტერესო, თვისება ვაჟას ლექსისა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება მის კომპოზიციაზეც არ მოქმედებდეს და, გარკვეული აზრით, არ განსაზღვრავდეს კიდევ მას. გავიხსენოთ, მაგალითად, ლექსი „ისევ შენ, ისევ, ქალაო“. ეს ლექსი თითქოს სატრფიალო ხასიათისაა, მაგრამ აქ მეორე სტროფიდანვე შეუმჩნევლად შემოიჭრება პატრიოტული მოტივი და ძირითად, სატრფიალო მოტივთან გადახლართული, ბოლომდე მიჰყვება ლექსს.

ლექსში „უფროც დაბნელდი, ღამეო“ ლირიკული გმირის სასოწარკვეთილებაა გამოხატული. კონკრეტული მიზეზი სასოწარკვეთისა არ ჩანს, მაგრამ თვით განცდა პირველივე სტრიქონებიდან გვეძლევა:

უფროც დაბნელდი, ღამეო,
ვგებ დავკარგო ბილიკი, —
კლდიდამ გადვარდე წყალშია,
მორევს რომ გაქვს ლიკლიკი.

სიცოცხლე ტვირთად ჰქცევია გმირს; ის სიკვდილს ეძებს... მაგრამ როგორ სიკვდილს!.. და აი, სწორედ აქ სასოწარკვეთის გან-

¹ იხ. გრ. კ ი კ ნ ა ძ ე. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, 1957, გვ. 35—40.

ცდას სამშობლოს სიყვარულის განცდა უერთდება, ვინაიდან ჩვენ-
თვის ცხადი ხდება, რომ გმირისათვის მშობლიურ მდინარეში სი-
კვდილია ტკბილი და სასურველი:

ვევბ დაძიოს მორევმა,
ქვიშაში დამეძინოსა,
წყალნი იმ არაგვისანი
უბეში ჩაჰედინოსა;
მესმოდეს დაუღვეელი
ზვი: თების ჩქეფა, ზრიალი...
ფშათი, იმ წმინდა წყლიანთი,
წვეთთა წკაპ-წკაპი, წკრიალი...
ნუ ეძებ გზასა, ლურჯაო,
ნურცა ჰლონდები ძმისადა,
მე თავი ჩამიბარებავ
ჩემის არაგვის წყლისადა.

სამშობლოს სიყვარულის მოტივს, ლექსში ძალზე ფაქიზად,
თითქოსდა, ლირიკული გმირისთვისაც ანაზღვეულად გამჟღავნე-
ბულს, ერთვის კიდევ ერთი ახალი მოტივი — მოტივი დედის სიბ-
რალულის და მასზე ზრუნვისა.

როგორც ვხედავთ, ხასიათი და აგებულება იმ მთავარი გან-
ცდისა, რომლის გამოსათქმელადაც არის ლექსი დაწერილი, რთუ-
ლია. შესაბამისად, რთულია ლექსის კომპოზიციაც: სასოწარკვე-
თის, სიკვდილის წყურვილის განცდა, რომელიც პირველ სტროფ-
ში წმინდა სახით გვეძლევა, შემდგომ სტროფებში სრულიად სხვა
რიგის განცდებს ერწყმის და ამნაირად მოიცავს მთელ ლექსს.

დაახლოებით ასეთივე ვითარებაა ლექსში „მწყემსის სიმღე-
რა“, რომლის კომპოზიციაც რამდენიმე მოტივის ურთიერთმონა-
ცვლეობაზეა დაყრდნობილი: მშობლიური კუთხის გახსენებას
(„ისევ ფშავის ხევს ვენაცვლე, გულკეთილს, თავაზიანსა“...) აქ
მოსდევს სატრფიალო სტრიქონები („შენ-კი გენაცვლე, ქალაო,
წითელ-პერანგავ, თმინაო!...“), სატრფიალო მოტივს — „კაი ყმის“
მოტივი („ხუთნი დამეცნენ მარტუას, ხუთნივე თათრის რჯული-
სა“...), ამ უკანასკნელს კი ისევ სამშობლოს მოტივი ენაცვლება
(„კარგია ფშაველთ ხატობა, გაიმართება შილინდი“...). ერთი და
იგივე მოტივი თავსა და ბოლოში ლექსს კომპოზიციურად შეუვალს
ხდის.

ავიღოთ მაგალითისათვის კიდევ ერთი ლექსი, სათაურით —
„წადილი“, რომლის პირველივე სტრიქონები:

ნეტარ რატუ არ ვიმღერი,
სტვირთან რა მაქვის საწყრომი,
რატომ არა ვსწმენდ გულს ჟანგსა,
არ ვიტყვი რაც მაქვ სათქომი?!
მე ხომ მოკლე მაქვ სიცოცხლე,
ცივი მიმელის სადგომი...

პოეტის მოქალაქეობრივ სულისკვეთებაზე მეტყველებს და ლექსის ხასიათს, მის ძირითად მოტივს თითქოს თავიდანვე განსაზღვრავს. ამიტომ სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, როცა ზემოთ მოტანილი სტრიქონების შემდეგ ვკითხულობთ:

რაც ვისა ჰსურდეს, იყბედოს,
მე მოვიხადო ვალა,
ცოტად დაეტყოს მიწასა
მთაში გაზდილის კვალა,
ერთს მაინც ჩემსა მოძმესა
მოუწყლიანდეს თვალა.
სამღერლად გული ბოეირობს,
რამდენი ცოდვა-ბრალა!
კიდევ იღვიძებს გულშია
მიძინებული ძალა

და აი, ასე მკაფიოდ გამოკვეთილი სამოქალაქო მოტივის გვერდით უეცრად თავს იჩენს სრულიად განსხვავებული ხასიათის მოტივი ბუნებისადმი ტრფიალისა. ლექსი ივსება ისეთი მშვენიერი ხატებით, როგორცაა: „კლდენი შავგვრემანანი, მთების მამშვენი ძმანია“, იანი, „მტირალნი, ძველ-კაბიანნი დანია“, რომელთაც,

მორცხვთა, უმზაკვროთ, უგესლოთ
მხრებს უმშვენებენ თმანია,
გულს ნალახვრს, ჩამოდაგულსა
დაპყრიათ ცრემლთა ცვარნია...

„ველად ველურად გაზდილი“, მკვახე იერის მქონე ობოლი ბულულა; არწივნი, ღრუბლების მქრელნი, თანაც მზიდველნი ქარისა... ბუნების ამ სუსტი და კეკლუცი თუ ძლიერი და ლალი შვილების მიმართ ლექსში უნაზესი გრძნობებია გამოხატული. ბუნების სილამაზე პოეტს თითქოს ავიწყებს მოქალაქეობრივ ვალს — იმღეროს ქვეყნის ცოდვა-ბრალზე... მაგრამ, არა! ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ წამიერი შთაბეჭდილება. ლექსის ბოლო სტრიქონები, რომლებითაც პოეტი ცაში მონავარდე არწივებს იწვევს — მწარე ფიქრების მღერას დაესწრონ („თქვენის დასწრებით ამშვენეთ მღერა ფიქრების მწარისა“), უშუალოდ ეხმაურება ლექსის

პირველ მონაკვეთს, — განსაკუთრებით იმ ადგილს, სადაც ნათქვა-
მია:

სამღერლად გული ბოჟირობს,
რამდენი ცოდვა-ბრაღია!

მყარდება ლოგიკური კავშირი. ლექსის ორ ნაწილს და, მაშა-
სადამე, მის ორ, სრულიად სხვადასხვა ხასიათის, მოტივის შორის.
კომპოზიცია იკვრება.

ყველა ზემოთ მოტანილ ლექსში მოტივები, როგორც დავინა-
ხეთ, ერთ სიბრტყეზე ენაცვლებიან ერთმანეთს; ერთმანეთის გვერ-
დით და ერთიმეორის მიყოლებით იჩენენ თავს. მაგრამ ვაჟას პოე-
ზიაში სხვაგვარი შემთხვევებიც გვხვდება და გვხვდება საკმაოდ
ხშირად. — შემთხვევები, როცა ძირითადი ნოტივი ლექსისა შე-
ფარვით, მეორე პლანით გვეძლევა, წინა პლანზე კი თითქოს სრუ-
ლიად სხვა მოტივის გამომხატველი ვითარებაა მოცემული. ასეთია,
მაგალითად. 1886 წელს დაწერილი ლექსი „ხევზედ მოდიან ნის-
ლები“. გაბატონებული ემოცია აქ, ერთი შეხედვით, ბუნების ბნე-
ლი, ნისლიანი სურათით ჩანს აღძრული და მხოლოდ ზოგიერთი
დეტალი ცხადყოფს ამ სურათის ფარულ აზრს, — იმას, რომ ბუ-
ნების ეს სურათი ქვეყნის ბედს, ქვეყნის დღევანდელ მდგომარეო-
ბას უნდა გულისხმობდეს.

ამგვარად, ბუნების თემა სინამდვილეში სამშობლოს თემად
შეიცვლება: მთის ნისლიანი დღის მოტივი პატრიოტულ მოტივად
წარმოგვიდგება... თუმცა საგნობრივი სინამდვილე იმდენად ცხოვ-
ლად და თვალსაჩინოდ არის აქ მოცემული, რომ უფრო სწორი
იქნებოდა. თუ ვიტყვით: ნისლიანი დღის მოტივი ლექსში პატრი-
ოტული მოტივის შემცველი აღმოჩნდება. ასე რომ, აქ ლაპარაკი
შეიძლება სიღრმით კომპოზიციაზე, — თუკი მართებულაა ამგვარი
გამოთქმის ხმარება, — ე. ი. არა მხოლოდ იმაზე, რის შემდეგ რა-
მოდის ლექსში, არამედ იმაზეც, თუ რის უკან რა დგას.

ზემოხსენებული ლექსის გარდა; ამგვარი ორი პლანით იკითხე-
ბა ვაჟას ისეთი ლექსები, როგორიცაა: „მთა და ბარი“, „გაზაფხუ-
ლი“, „როგორ საშინლად ბნელოდა“, „დაე, აყროლდეს სოფელი“
და ბევრი სხვა. ჩვენ აქ განგებ ვასახელებთ იმ ლექსებს, რომლებ-
შიც ბუნების სურათებია გამოსახული ვაჟასათვის ჩვეული პლას-
ტიკური სიცხადით. ეს სურათები ბუნების მოტივის ილუზიას
ქმნიან ლექსში იქამდე, ვიდრე არ გამჟღავნდება მათი ალეგორიუ-
ლი ხასიათი და წინ არ წამოიწევს, არ გაშიშვლდება ლექსის ნამ-
დვილი და ძირითადი მოტივი. ამ შემთხვევაში ორმოტივიანობაზე

საუბარი სწორედ იმის გამოა შესაძლებელი, რომ ლექსის ალეგორიულობა აქ ძალზე შენიღბულია, თავიდანვე არ იგრძნობა და წინა პლანი თითქმის ბოლომდე ინარჩუნებს ერთგვარ დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

ვაყას იმ ლექსებში, რომლებშიც ბუნების სურათებია მოცემული, ამ სურათებით გამოწვეული უდიდესი ალტაცება ჩანს პოეტისა. „თქვენი ჰირიმე, ჰოი, მთებო, ქედ-აწვილებო ზეცადა“... „რა ლამაზია, წყეულო, შენთ ზვირთთა ლალნი ჩქერანი“... „შამოგეზიზნეთ, ქედებო, თქვენც შამიხიზნეთ ძმურადა... იმიტომ მკერდში მისხედხართ, ვაჟნო, მეორე გულადა“... „საცა გავხედნებ, ყველგანა ზღვა მოვარდნილა მწვანისა, გულისა გამგულელებელი, დამათრობელი თვალისა... იამაც მომცა სალამი, დამ კვლავ ძმა იცნო. თავისა... მონა ვარ, მონა ბუნების, ღონე არა მაქვს დავისა“... „ადგილო, კურუმ-კურუმო, ველიან-ქალიანაო, სამოთხესავით ლამაზო, მიყვარხარ ძალიანაო“... — ასეთი უშუალო, სრულიად დაუფარავი აღფრთოვანების გამომხატველი სტრიქონები არა ერთი და ორია ვაყას პოეზიაში. კიდევ უფრო ხშირია შემთხვევები, როცა ემოცია, ბუნების სურათებით თავდავიწყებული ტკბობა გამოსჰყვივის თვით პოეტური ხატებიდან, უჩვეულო მეტაფორებიდან, იმ ეპითეტებიდან, რომელთაც მიმართავს ვაყა ბუნების საგნებისა და მოვლენების დასახასიათებლად.

მაგრამ ვაყასთვის ბუნება მხოლოდ და მხოლოდ ესთეტიკური სიამოვნების წყარო როდია. — ხშირად იგი ფილოსოფიური განსჯის საგანიცაა. ბუნების მოვლენებს, ბუნებაში მიმდინარე პროცესებს ვაყა მხოლოდ პოეტის თვალით კი არა, ხშირად ფილოსოფოსის თვალთაც უყურებს. მხატვრული გამოსახვის საგანთან ასეთი ორნაირი — პოეტურ-ფილოსოფიური — მიმართების შედეგად, ვაყას ლირიკაში ორი სხვადასხვა ტიპის კომპოზიცია იჩენს თავს. ერთის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „ნეტავი შენა, შავ-ნისლო“, მეორისად — საყოველთაოდ ცნობილი „ღამე მთაში“.

პირველ ლექსში თავიდანვე ჩანს, რომ პოეტს მოვლენის კანონზომიერებაზე, მის არსზე უფიქრია. ამ ფიქრის კვალი გასდევს, — უკეთ, მის პოეტურ გამოთქმას წარმოადგენს ლექსი თავიდან ბოლომდე, პირველი ფრაზიდან უკანასკნელ ფრაზამდე.

ნეტავი შენა, შავ-ნისლო,
შეუპოვარად მდინარო,
ხან ჭვეყნის დამბნელებლო,
ხან ზღვის უბეში მძინარო!

შენთვის ერთია ყოველი:
 ვაჟე, მთა-გორი, კლდენია;
 შენ არ დაიშლი შენს წესსა,
 თუმც ცრემლი ბევრი გდენია.
 ვერ შეაფერხებს შენს სვლასა
 მთელის სმელეთის, ძალა,
 ვერც გვირგვინოსანთ ბრძანება,
 ვერც ამოწვდილი ხმალია.
 ზღვა ქმენით გამოგისტუმრებს,
 ივლი, დასწეები მთაზედა,
 მალლით დაჰხედნებ ქვეყანას,
 თარს გადაიგდებ მკლავზედა.
 ის ლალნი ძენი კლდეთანი
 ვაჟკაცს გეტყვიან ნანასა;
 ლაშარის-ჯვარი ჩამოვა,
 ყელზედ ჩაგიდებს შანასა;
 აიწეე მხარ-ბეჭიანი—
 ცრემლით მოგვირწყვე ყანასა,
 გააძღებ კაცის შავს გუდას,
 ხარებს მიუყრი ჩალასა.
 თუ არ შენ, ერთუროს დავსკამდით,
 გულში დავსცემდით დანასა;
 მამა ვაჟს მწვადად შესწოვდა,
 დედა—ბატარას ქალასა,
 ბატარას—აქინტურება,
 უძუძურობით მთვრალასა.

აქ ყველა ხატი (გარდა, შესაძლოა, ორი, ყველაზე უფრო სუ-
 ბიექტური ხატისა: „ფარს გადაიგდებ მკლავზედა“ და „ლაშარის-
 ჯვარი ჩამოვა, ყელზედ ჩაგიდებს შანასა“) მხატვრულად სწვდება
 სწორედ არსს მოვლენისას: ნისლის მოძრაობის, დედამიწაზე მისი
 ცრემლად დენის კანონზომიერებასა და გარდუვალობას განაზავს.
 არც ერთი ხატი არა ჩანს მოვლენის მხოლოდ ესთეტიკური ჰერე-
 ტის ნაყოფი, არც ერთი მათგანი არ არის მიღებული მოვლენის
 ღრმა გააზრების გარეშე.

განსხვავებულადაა აგებული „ღამე მთაში“ და სხვა, მისი ტი-
 პის, ლექსები. აქ ჩვენს წინაშეა წმინდა პლასტიკური ხატები. სუ-
 რათის ხატვისას არსად განსჯის ნასახიცი კი არ ჩანს. მხოლოდ საგ-
 ნები და დინამიკა; დინამიკა საგნებისა და სურათების... აგრეთვე,
 ხმები: ბუს ძახილი, წყლის ჩქეფა ღამის მყუდროებაში, შემდეგ კი,
 როცა ამინდი შეიცვლება, ატეხილი ქარისა და მოვარდნილი ნიაღ-
 ვრის შემზარავი ხმებიც. ღამის ორ სხვადასხვა სურათს — შშვიდსა

და ქარიშხლიანს — ლექსში ერთმანეთისგან თიშავს (თუ ერთმანეთთან აკავშირებს, — ეს სულერთია) სტრიქონები, მეტყველი იმაზე, რომ გამოსახვის საგანში ვაჟა მხოლოდ სილამაზეს კი არა, ამ სილამაზის აზრსაც ეძებს და ხედავს. უფრო ზუსტად, ვაჟას განსაკუთრებულ ესთეტიკურ სინარულს ანიჭებს ბუნების მოვლენათა შორის უშუალოდ მის მიერ აღმოჩენილი შინაგანი კავშირი, ამ მოვლენათა ურთიერთმონაცვლეობისა და ერთმანეთის გვერდით მათო არსებობის კანონზომიერება.

მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!...
ხევი მთას ჰმონებს, მთა-ხეესა,
წყალნი — ტყეს, ტყენი — მდინარეთ,
ყვავილნი — მიწას და მიწა —
თავის აღზრდილთა მცინარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გადამდინარედ

ეს არის ნიმუში პლასტიკურად გამოსახულ სურათში ფილოსოფიური განსჯის შექრისა, — მართალია, ემოციურად შეფერილი განსჯის. მოტანილი ადგილის ანალოგიურია ლექსის ფინალი, რომელიც უშუალოდ მოჰყვება მთაში გაავდრების უპარესად დინამიკურ სურათს.

ვაჟა პლასტიკური ხედვის პოეტია. მისი ლირიკა საესეა სწორედ ამგვარი ხედვის დამადასტურებელი ხატებით. თვით იმ ლექსებშიც კი, სადაც მთავარია არა სურათი და მით გამოწვეული ემოცია, არამედ საკითხი და ამ საკითხით აღძრული ფიქრები, — თვით ფილოსოფიური განსჯის, აზრების, რეფლექსიის შემცველ ლექსებშიც კი საგნობრივ, მხედველობით ხატებს ხშირად არაუმენიშენელო ადგილი უჭირავთ.

ვაჟას მხატვრული ხედვის პლასტიკურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ლირიკული სუბიექტი მის პოეზიაში თითქმის ყოველთვის გარკვეული საგნობრივი გარემოთი არის წარმოდგენილი. საგნობრივი სინამდვილე, სურათი, რომელიც გვეძლევა ლექსში, ლირიკული გმირისათვის მხოლოდ ჰერეტის ობიექტი კი არ არის, არამედ ხშირად ის გარემოცაა, სადაც იგი მოძრაობს, მოქმედებს და განიცდის კიდევ.

ვაჟას ხედვისთვის სპეციფიკურია ისიც, რომ მის ლექსში აღწერა სრულებითაც არ არის მხატვრული სინამდვილის შექმნის

ერთადერთი ან ყველაზე უფრო მისაღები გზა. მხოლოდ აღწერა ვა-
ჟას ლექსში ძალზე იშვიათად გვხვდება. უფრო ხშირად ერთსა და
ერთზე ლექსში აღწერა სურათის შექმნის სხვა საშუალებებთან მო-
ნაცვლებს, რაც უკვე საგნობრივი სინამდვილის არა მხოლოდ
პლასტიკურ, არამედ დინამიკურ ხასიათსაც განსაზღვრავს. გავიხსე-
ნოთ სანიმუშოდ ვაჟას მშვენიერი „მწყემსი ქალი“, რომლის და-
ყოფა, კომპოზიციის თვალსაზრისით, სამ ნაწილად შეიძლება I.
მიმართვა; II. აღწერა; III. ისევ მიმართვა ახლა უკვე რამდენიმე
ობიექტისადმი.

დაგძინებია, ქალო,
ლამაზო, ხუჭუქთმიანო,
ნეტავი გამაგებინა,
რა გესიზმრება, ლეთიანო?!

მოფრენა უდაბურს ტყეში
ლამით რისაგან გრგენია?
ვაჰმე, რო საით შემოგხედეს
ვეფხვი, დათვი, ან მგელია!

ამ სტრიქონების კითხვისას ჩვენს თვალწინ წარმოდგება ლამით
უდაბურ ტყეში მძინარე ლამაზი, ხუჭუქთმიანი ქალი, — ხატი, რო-
შელიც არ არის მიღებული საგანგებო აღწერის შედეგად. ლირი-
კული გმირი შინაგანად მთლიანად მწყემსი ქალისკენაა შებრუნე-
ბული, მისკენაა მიმართული. ის კი არ აღწერს, — მიმართავს, ამ-
კობს ქალს ეპითეტებით; კი არ გვაცნობს მის მდგომარეობას —
თავად მას ეკითხება, როგორ მოხვდა შუალამისას ტყეში...

ლექსის მეორე მონაკვეთში მეორე პირით მეტყველება უეც-
რად მესამე პირით იცვლება, მიმართვას აღწერა ენაცვლება და,
ამგვარად, ლექსის პირველ ნაწილში წარმოდგენილი სურათი ახალ-
ახალი დეტალებით ივსება. ლირიკული გმირი თითქოს ოდნავ გან-
ზე დგება, ამ მანძილიდან თითქოს დაკვირვებით შეაგლებს თვალს
მძინარე ქალს და თავისთვის თუ ვიღაც მესამე პირისთვის აღ-
ნიშნავს:

ფეხთ ქალამნები აცვია,
ტანთ კაბა გაცეეთილიო;
თავი უღვია მკლაფზედა,
უჩანს თითები თლილიო.
თუმც დაღლილს დასძინებია,
მიძუ სუნთქვა მესმის ბოთილიო.

ზურგზედა გულა ჰკილია,
თავით კომბალი უძევსო.
ამ ტყის ანგელოზს გოგონას
ტყბილს ძილს არა-რა ურღვევსო.

ამ სტრიქონებს უშუალოდ მოსდევს ახალი შინაგანი მოძრაობის შედეგი — მიმართვა-ვედრება. ლირიკული გმირი მზერას ახლა უკვე ზეცას, ხეებს, მდინარეს მიაპყრობს, მორიგეობით. იგი ევედრება მათ, არიდონ ამ გოგოს ავი, მფარველობა გაუწიონ, ცუდი არაფერი შეამთხვიონ მას. ლექსის ამ მონაკვეთში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მოულოდნელი მიმართვა მდინარისადმი, რომელიც ამ გზით შემოიჭრება ლექსის საგნობრივ ფენაში და უდაბურ ტყესთან ერთად, იმ ხეებთან ერთად, რომელთაც ლირიკული პერსონაჟი მუდარით მიმართავს, მძინარე მწყემსი ქალისა და ამ პერსონაჟის გარემოს ქმნის.

ასეთი დინამიკა დამახასიათებელია ვაჟას ლექსის კომპოზიციონისათვის, საერთოდ. აღწერისა და მიმართვის ურთიერთმონაცვლეობა აქ თითქოს ლირიკული გმირის ფიზიკური მდგომარეობის, მისი პოზის ცვალებადობაზეც მიგვანიშნებს; ემოციის, განცდის გარეგამოვლენილ ნიშნებსაც დაგვანახვებს. ამგვარი კომპოზიციის წყალობით, ლექსში წარმოსახული საგნობრივი სინამდვილე დინამიკაში გვეძლევა, იგი — ეს სინამდვილე — თითქოს პირდაპირ ჩვენს თვალწინ იქმნება.

ხეზედ მოდიან ნისლები,
გაჩქარებულნი, მღერითო.
როგორ ხარობენ, ტივლები,
რომ მიწას ჰფარვენ ბნელითა!
ველარას ვხედავ ბეჩაეი,
გამიჭრენ წვერნი მთისანი;
ვაჰმე, ველარა მწვედებიან
სათბობლად სხიენი მზისანი.

ასე იწყება ვაჟას, ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები, ლექსი „ხეზედ მოდიან ნისლები“. როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია ვითარების, სურათის ემოციური აღწერა (ემოციური, რამდენადაც, აქ მკაფიოდ ვლინდება აღწერილი ვითარებისადმი სუბიექტური მიმართება. ეპითეტები — ტ ი ვ ლ ე ბ ი, ბ ე ჩ ა ე ი; შორისდებულნი — ვ ა ჰ მ ე სწორედ ასეთი მიმართების გამომხატველია). ყოველი მოვლენა მოძრაობაშია წარმოდგენილი და ეს მიღწეულია არა მარტო შესაბამისი, მოძრაობის გამომხატველი ლექსიკის მეშ-

ვეობით („ხევზედ მოდიან ნისლები, გაჩქარებულნი“, „გამიქრენ წვერნი მთისანი...“), არამედ წმინდა კომპოზიციური ხერხითაც: სტროფიდან სტროფზე გადასვლა შეძახილით — „ველარას ვხედავ ბეჩავი“ (და მთლიანად მეორე სტროფი), როცა მანამდე არ ყოფილა დასახელებული — არა თუ დაწვრილებით, არამედ საერთოდაც კი — ის ობიექტები, რომელთაც თანდათანობით ფარავს ნისლი, გაცილებით უფრო თვალსაჩინოდ გვიხატავს ნისლის მოძრაობას და, საერთოდ, მთელ სურათს; ლირიკული პერსონაჟის გარემოს დინამიკურ ხასიათსა და პლასტიკურ სიციხადეს ანიჭებს.

ლექსის დასაწყისში მოცემული აღწერა მესამე სტროფში მიმართვის ფორმით არის შეცვლილი:

ბარემ მეც ჩამთქით, ნისლებო,
დამნაცრეთ, დამაფერფლეთო,
თვალნი დამთხარეთ, გულისაც
სადილი გაიკეთეთო.

აქ აღწერის ობიექტი („ხევზედ მოდიან ნისლები“...) მიმართვის ობიექტად იცვლება („ბარემ მეც ჩამთქით, ნისლებო...“), რითაც აშკარად მცირდება დისტანცია ამ უკანასკნელსა და ლირიკულ სუბიექტს შორის. ამავე დროს, ცხადი ხდება ლექსში გამოხატული განცდის სიმძაფრე.

ლექსის მესამე მონაკვეთი ყურადღებას იქცევს იმით, რომ აქ მიმართვის საშუალებით სრულიად ახალი ობიექტია შემოყვანილი. წინა სტროფში თუ ჯერ აღწერილია ნისლის დინება და მხოლოდ შემდეგ გვეძლევა მისდამი მიმართვა, აქ ასე აღარ ხდება; აქ საგანო უშუალოდ შემოდის ჩვენი ხედვის არეში:

სად მიხვალ, სადა, ყორანო,
შენ მაინც შამიბრალია,
შიამხანაგე, გენაცვლე,
ყრანტალით გამახარია!...

...ირგვლივ გამეფებული სიბნელითა და სიცივით შეძრწუნებულ ლირიკულ პერსონაჟს ყრანტალით გადაუვლის თავს ყორანი. ჩვენ ამას ვხედავთ — ვხედავთ ლირიკულ გმირსაც, ზეცისაკენ თვალეზაპყრობილს და მასთან ერთად ვადევნებთ თვალს ყორანის მოძრაობას ცაში. ლექსში კი არაფერია ნათქვამი არც ყორანის გამოჩენაზე, არც ლირიკული გმირის რაიმეგვარ მოძრაობაზე. ლექსში, როგორც ვნახეთ, არის მხოლოდ უეცარი, მკითხველისათვის სრულიად მო-

ულოდნელი მიმართვა. ეფექტი კი ამისგან უფრო დიდია, ვიდრე იქნებოდა ყველა სხვა შემთხვევაში.

მსგავსი მაგალითის მოტანა ვაჟას პოეზიიდან მრავლად არის შესაძლებელი.

მიმართვის ფორმას ძალიან ხშირად იყენებს ვაჟა. შეიძლება ითქვას, რომ პოეტური მეტყველების ეს გზა ძალზე ჩვეულებრივი, პირდაპირ ტიპიურია ვაჟას პოეზიისათვის. ოღონდ ეს ხერხი ვაჟას ლექსში ყოველთვის კონკრეტული, მკაფიოდ ხელშესახები საგნების შემოტანას კი არ ემსახურება მხოლოდ, არამედ ხშირად აბსტრაქტული მოვლენების პლასტიკურად აღქმის ტენდენციასაც გამოხატავს.

გათბი, გულ-ცივო ქვეყანავ,
მზის პირს მიუპყარ გვერდები;
მიწის დუშმანო ყინვაო,
არც ახლა აიხვეტები?!
სიმღერავ, ველად გამოდი,
გულში ნუ დაიკეტები!

ვკითხულობთ ლექსში „გაზაფხული“. რასაკვირველია, აქ მარტო მიმართვის ფორმა არ იწვევს მკითხველის წარმოდგენაში ქვეყნის, ყინვის, სიმღერის პლასტიკურ ხატებს. ცხადია, ამ თვალსაზრისით, ძირითადი დატვირთვა მოდის აქტიური ზმნების შემცველ ისეთ გამოთქმებზე, როგორიცაა: „მზის პირს მიუპყარ გვერდები“, „არც ახლა აიხვეტები?!“ „ველად გამოდი, გულში ნუ დაიკეტები“, მაგრამ არც მიმართვების როლი უნდა იყოს აქ საეჭვო.

ასეთი აბსტრაქტული საგნებისადმი მიმართვათა და ამ საგნების პლასტიკურად ხედვის ტიპიურ მაგალითს იძლევა ლექსი „ელეგია“, — განსაკუთრებით კი მისი უკანასკნელი სტრიქონები:

სადა ხარ, მამაბაპურო
ანდერძო ჟავშნიანაო,
გამოდევ სამარის კარსა,
აჩრდილო მკლავიანაო,
ჩამბერე სული მაგარი,
სამშობლოვ მწვანიაანაო!
ვერ მომკლავ, უამობედკრულო,—
ხელში მიპყრია დანაო,
თუ გავსტყდე, შხამად შამერგოს
დედის ძუძუ და ნანაო.
იცოცხლე, გულო შენ ჩემო,
ტანჯულო, ქალმნიანაო.

კალეიდოსკოპივით იცვლება ხატები ჩვენს წარმოდგენაში, როცა ვკითხულობთ თავიდან ბოლომდე მიმართვებზე აგებულ ლექსს, — ისეთს მაგალითად, როგორცაა „მთიელის სიმღერა“;

მ ზ ე ო, რ ა ც ო ტ ა ხ ა ნ ს გ ხ ე დ ა ვ თ,
რ ა მ ა ლ ე დ ა გ ე მ ა ლ ე ბ ი
უ ც დ ი მ ზ ი ს ჩ ა ს ვ ლ ა ს, ს ი ბ ნ ე ლ ე ვ,
მ ო ხ ვ ა ლ, თ ა ვ ს დ ა გ ე ვ ფ ა რ ე ბ ი.
გ ე ი ა ნ მ ო გ ე ი ხ ვ ა ლ, ზ ა ფ ხ უ ლ ო,
მ ა ლ ე დ ე ვ დ ა გ ე ვ თ ხ ო ვ ე ბ ი.
მ ა ლ ა ლ ო ს ა ს ო ვ ე თ - თ ა ე ო,
გ ა გ ე ი ნ ა ე ს, დ ა გ ე ვ თ ო ვ ნ ე ბ ი
მ ა ლ ე დ ა ვ დ ა ს დ ე ბ ს თ ვ ი რ თ ვ ი ლ ს ა,
ფ ო თ ო ლ ნ ი ჩ ა მ ო ც ვ ი ვ ი ა ნ;
მ ო დ ი ა ნ გ უ ლ ხ ე ლ - დ ა კ რ ე ფ ი თ,
ჩ ა მ ო ს ე ლ ი თ ჩ ა მ ო ტ ი რ ი ა ნ.
დ ა ს კ ე ნ ე ბ ი, ქ ა ლ ო, ლ ა მ ა ზ ო,
კ ა ე ვ ი ჩ ა მ ო გ ე ვ ი ვ ი ა ნ.
მ ა შ ი ნ მ ი თ ხ რ ო დ ე ნ, შ ე ნ თ ვ ი ს ა
ვ ი ნ ნ ა ხ ე ს ა ტ ი რ ე ბ უ ლ ი? !
მ ი წ ა დ ი ქ ე ვ ე ი, ვ ა ქ ა ო ო,
წ ა დ ი ლ ი თ ა ხ ი რ ე ბ უ ლ ი.
მ ა მ გ ო ნ ე დ ს ა ფ ლ ა ვ ს გ ი ჩ რ დ ი ლ ა ვ ს
შ ა მ ბ ნ ა რ ი ა ყ ვ ი რ ე ბ უ ლ ი.
კ ე თ ი ლ ს თ ა ნ დ ა ს დ ე ვ ს მ ო ს ი ს ხ ლ ე დ
ბ ო რ ო ტ ი ა ბ ი რ ე ბ უ ლ ი!

ასეთი აგებულების ლექსში ერთი მთლიანი სურათი კი არ იქმნება, მიმართვა სხვადასხვა საგნისადმი ამ საგნებს ერთმანეთის გვერდით კი არ აყენებს, ერთ მხატვრულ სინამდვილედ კი არ აერთიანებს, არამედ მათ ერთმანეთის პარალელურად წარმოგვიდგენს. ლექსში ჩამოთვლილ მოვლენათა მხატვრული მთლიანობა შეპირობებულია მათში გამოხატული საერთო აზრით და არა იმით, რომ ისინი ერთდროულად და ერთმანეთის მეზობლად არიან განლაგებულნი. ეს საერთო აზრი კი გამოთქმულია ლექსის ბოლო სტრიქონებით:

კეთილს თან დასდევს მოსისხლედ
ბოროტი აბირებული.

უ. ი. მიმართვის მხატვრული ფუნქცია ყოველთვის ერთგვარი არ ჩანს ვაჟას ლირიკაში.

ზოგჯერ მიმართვა კომპოზიციური ჩარჩოს როლს ასრულებს ლექსში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ „გულო, რას

დაპლონებულხარ“, რომლის ცენტრალური ნაწილი — დაწყებული სიტყვებით: „ჩქარა ზაფხული მოალის, აყოვდებიან იანი“ და დამთავრებული სტრიქონებით: „ზედ დაეხვევა ელვატა შავის ღრუბლების ხუილსა“ — გაცოცხლებული ბუნების სურათს წარმოადგენს, იმედისა და ძალის მომცემს, ლექსის თავი („გულო, რას დაპლონებულხარ, რას იბურები ნისლითა? განა სულ ესრე ვიქნებით დაკრუნჩხვილები ყინვითა!“) და ბოლო კი („გულო, ჩვენც სიცოცხლეს ვიგრძნობთ, ლალს მოვისურვებთ მღერასა, ჩვენც შევუფერებთ კიჟინით ყოვლგნივ ბუნების ღხენასა. იმედი ბევრად სჯობია უაზრო ბედისწერასა!“), სასომიხდილი გულის, ე. ი. საკუთარი თავის, უშუალო სიტყვიერი გამხნეებაა.

ანტონ ფურცელაძის პროზა

ანტონ ფურცელაძე, როგორც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დაუღალავად მონაწილეობდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მწერლის ხმა ეპოქის თითქმის ყველა აქტუალურ საკითხს სწვდებოდა. მან ქართული ყოფის ბევრი დამახასიათებელი სურათი დახატა. წერდა მოთხრობებს, ლექსებს, ისტორიულ პოემებს, ფელეტონებს, დრამებს, თარგმნიდა რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწერებს. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ქართული მწერლობისა თუ კრიტიკული აზროვნების ისტორიაში, როგორც ახალი იდეალების და ხალხთა მეგობრობის მქადაგებელმა.

იგი გატაცებული იყო განმათავისუფლებელი იდეებით, უდიდეს შეფასებას აძლევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხალხთა ბრძოლის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. ა. ფურცელაძის პუბლიცისტური წერილები გარიბალდის, ვაშინგტონის, კოსტიუშკოს, კოშუტის და სხვათა შესახებ ბრწყინვალე ფურცლებია მწერლის შემოქმედებაში.

ანტ. ფურცელაძე ქართული კლასიკური მწერლობისა და მოწინავე რუსული საზოგადოებრივი აზროვნების შეცნობის მეშვეობით ამაღლდა ეპოქის მოწინავე იდეალების სიმალლეზე. ღრმა იდეურობა ნიშანდობლივია ა. ფურცელაძის როგორც პუბლიცისტის, ასევე მისი მხატვრული შემოქმედებისა და, კერძოდ, მოთხრობებისათვის, რომელთაც წამყვანი ადგილი უჭირავს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

60-იან წლებში ანტონ ფურცელაძე ქმნის ბატონყმური წყობილების განმაქიქებელ მხატვრულ ნაწარმოებს: „სამის თავგადასავალი“, „მართა“, „ჩვენებური საქმის ბოლო“, „ვაი, მართალთა“, „ქიტესა“, „თოთა“ და სხვ.

ანტონ ფურცელაძის შემოქმედების ძირითადი ობიექტია სოციალური და ეროვნული პრობლემატიკა. ამ მთავარ თემებს შეერ-

წყმის ა. ფურცელაძის შემოქმედებაში დასმული კონკრეტული საკითხები: საზოგადოების სოციალური და იურიდიული ყოფა, დაბალი და მაღალი ფენების მდგომარეობა, ახალი ადამიანები, ქალთა ემანსიპაცია, პატრიოტიზმი და სხვა.

განმანათლებლური იდეალები ასაზრდოებს ანტ. ფურცელაძის პირველ პროზაულ ნაწარმოებს — „სამის თავგადასავალი“. მოთხრობაში გივი ბადალაძის სახით დახატულია დესპოტი მემამულის ტიპი. გივი სამხედრო სამსახურშია, სანატრელ მაიორობასაც მიაღწია, მოიარა რუსეთი და თავის ქვეყანას „განათლებული“ მებატონის სახით მოევიდნა, თუმც რუსეთში, გარდა ყმების გაროზგვისა, სხვა ვერაფერი დაუსწავლია. იგი კიდევაც იკვებხნის, რომ როზგი და დაშინება დამორჩილებისა და ბატონობის ერთადერთი საშუალებააო.

თავისი გაიძვერული ხასიათით გივიმ დიდი მამული შეიძინა, ისე გამდიდრდა, რომ თავგასულობით ღარიბ მემამულეებს შიშის ზარს სცემდა.

მწერალს კარგად აქვს დაჭერილი საზოგადოებრივი მოძრაობის აქტუალური პრობლემა — გლეხთა აზრი ბატონყმობის მოსალოდნელ გაუქმებაზე. მათ სიზმრის მსგავსად აქვთ გაგებული, რომ ბატონყმობისაგან უნდა გათავისუფლდეს გლეხობა და რომ ასეთი პროცესი რუსეთში უკვე დაწყებულია. ცნობილია, რომ მთავრობა ყოველი საშუალებით კრძალავდა ბატონყმობის რეფორმის ამბის გავრცელებას, ხოლო ქართველ მებატონეებს, რომელთაც ვერ წარმოედგინათ უყმოდ ცხოვრება — მთავრობა აიძულებდა, რომ ეს რეფორმა საქართველოში არ განხორციელდებოდა.

„სამის თავგადასავალში“ მწვავედაა გაკრიტიკებული სწავლა-აღზრდის მანკიერი სისტემა. გივი ბადალაძემ აღზრდის დესპოტური მეთოდი (გაროზგვა) თავის ოჯახშიც შემოიტანა და ერთადერთ შვილს — სვიმონს ყოველდღიურად აწკეპლინებდა. „მაგათი წამალი როზგია, ამბობდა დარწმუნებით გივი. თუ ბავშვი როზგს ქვეშ არ გაიზარდა, თავის დღეში იმის განკეთილება არ იქნებაო“¹.

დესპოტური აღზრდის პირობები საწინააღმდეგო შედეგებს იღებდა. როზგით დამყარებული რეჟიმი მალე ირღვეოდა, ახალგაზრდები ცხოვრების კალაპოტიდან ვარდებოდნენ, გონებრივად ჩლუნგდებოდნენ და ცხოვრებაში გამოუსადეგარნი გამოდიოდნენ.

პანსიონში პატარა სვიმონს კვლავ როზგი დაუხვდა აღსაზრდელად. იგი სულ გაბოროტდა და აღმზრდელებს აღარ ემორჩილე-

¹ ანტ. ფურცელაძე, „სამის თავგადასავალი“, 1889, გვ. 20.

ბოდა. ამიტომ პანსიონიდან გარიცხეს. მაშინ გვიმ შვილი რუსეთში გაგზავნა და ლიცეიში მიაღებინა. სვიმონი ბევრს მეცადინეობდა, მაგრამ ბავშვობაში დამახინჯებული ხასიათი არ იქნა და არ გამოუხსწორდა. მას აღმზრდელების არაფერი სწამდა. ბევრს ეცადა, რომ მათი მორჩილი გამხდარიყო, შეგუებოდა მათ უფროსობას, მაგრამ ვერ მოახერხა თავისთავის „გატეხა“. ამის გამო იგი სასწავლებლიდან გარიცხეს. რუსეთიდან დაბრუნებული სვიმონ ბადალაძე, რუსი ხალხოსნების მსგავსად, სოფელს მიაშურებს, — მთელ დროს გლეხკაცობაში ატარებს. ბოლოს, როგორც იქნა, დედ-მამის თხოვნით, ქალაქში ჩამოდის ვითომც სამსახურისთვის, მაგრამ ფაქტიურად დღედაღამ სწავლობს: ფრანგულ-ინგლისურ ენებს, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებს. სწორედ ამ ხანებში შეხვდება სვიმონი თავის თანამოაზრეს — დავით დესპანიძეს, რომელსაც გაანდობს თავის ფიქრებს და მეგობრად გაიხდის.

სვიმონი და დავითი ერთად მსჯელობდნენ ცხოვრების ავკარგზე. დავითსაც რუსეთში მიუღია განათლება, მაგრამ სამსახური ქალაქში ვერ უშოვნია. რამდენიმე ხანი დაჰყო მზრიაში, მაგრამ „სიმართლისათვის“ იქაც არ გააჩერეს და ისევ ქალაქში ჩამოვიდა კერძო გაკვეთილებით თავის სარჩენად; ახლა კი მას შეეშველა მდიდარი მემამულის შვილი-სვიმონი, რომელიც პრინციპულად არ შედის სახელმწიფო სამსახურში და დიდი მიზნებისათვის ემზადება. ეს ორი მეგობარი სამეძაო სახლში შეხვდებიან ახალგაზრდა მაშას, რომელსაც სვიმონი გამოიხსნის და ცოლად შეირთავს.

ამის შემდეგ ნაწარმოებში ცალკე თავად შემოდის მაშას თავგადასავალი.

მაშას დედა ჯან-ლონით სავსე, პატიოსანი ახალგაზრდა ქალი იყო, რომელიც სრულიად უმიზეზოდ აითვალწუნა ქმარმა. საბრალო ქალმა ვერ აიტანა დღენიდაც ცემა და შეურაცხყოფა, ჭლები შეეყარა და გარდაიცვალა. შამამ, პატარა მაშას, სამეძაო სახლში გაცნობილი ნაღვა დაუსვა დედინაცვლად. ამ უკანასკნელის დაქინებით, ჯერ კიდევ არასრულწლოვანი მაშა მამამ ვალში სამეძაო სახლს მიჰყიდა, თვითონ კი რუსეთში გაყვა ამ გარყვნილ ქალს.

ნაწარმოებში შემდეგ მოთხრობილია მაშას შერთვის გამო სვიმონის ირგვლივ შექმნილი მძიმე მდგომარეობა, მისგან საზოგადოების განდგომა. სვიმონის მშობლებმა ყოველმხრივ შეუქრეს გზა თავის შვილს, რომ მაშა მიეტოვებინა.

სვიმონი და მაშა ერთად შეუდგებიან ცხოვრების მძიმე უღელის ზიდვას. მაშა ალლოიანი და პატროსანი ადამიანია. იგი მზად არის მოკვდეს თავისი ქმრისა და ოჯახისათვის. ამავე დროს საოცარ ბეჯითობას იჩენს, სწავლობს უცხო ენებს, კითხულობს სხვადასხვა სამეცნიერო წიგნებს. მაშას ხასიათით ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორი ადამიანები იღუპებიან ცხოვრების სიმანჩინჯის გამო, მაგრამ თუ მათ კეთილი ხელი მოხვდება, სანიმუშო ადამიანებად იქცევიან.

მაშას შერთვა უსპობს სვიმონს სამსახურის შოვნის ყოველგვარ საშუალებას. თუ ადრე მას მისი ნათესავები და სხვა დიდუბები ეხვეწებოდნენ სამუშაოზე მიღებას, ახლა ყველანი უარით ისტუმრებენ.

ცხოვრების სინამდვილემ დაამარცხა სვიმონი. ახლა უკვე თვითონაც ხედავს, რომ სინამდვილე სხვა ყოფილა, რომ კაცური ცხოვრებისათვის ბრძოლა გაძნელებულია, ადამიანის უფლება შეგინებულია, კანონი დამახინჯებულია, რომ სამართლიანობის აღდგენის პერსპექტივები არა ჩანს.

სვიმონი გაიცნობს რუსეთიდან ჩამოსულ პროგრესულად მოაზროვნე გავლენიან პიროვნებას — ვინმე ვლადიმერ ვლადისლავიჩ კუსტნიცკის. მისი საშუალებით სვიმონი სამსახურშიც ეწყობა. დიდი თანამდებობის პირის წყალობამ სვიმონის მიმართ ზურგმუქცეული საზოგადოება ერთბაშად მოაბრუნა მისკენ. მითქმა-მოთქმა შეწყდა და საზოგადოებას თითქოს დაავიწყდა სვიმონის წარსული. პირიქით, ახლა მასთან დაახლოებასაც კი ცდილობენ. მაგრამ კუსტნიცკიმ მოკლე ხანში შეიძინა მრავალი მტერი, ვინაიდან მან „სუნით დაუწყო ძებნა მუქთახორა და უწყსო მოსამსახურეებს და ყველას მალე დააცლევინა ადგილები“². სამსახურიდან დათხოვნილმა გავლენიანმა პირებმა დაუწყეს ბეზღება ახალ მოსულ კუსტნიცკის და ისიც იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო.

კუსტნიცკის წასვლის შემდეგ სვიმონის ოჯახს კვლავ დაუწყეს ათვალწუნება. ერთ ღამეს სვიმონის ოჯახს უცნობი პირები დაესხნენ თავს და სვიმონი და მაშა გაიტაცეს. სვიმონი მკვდარი იპოვეს მდინარის პირას, ხოლო მაშა მესამე დღეს ცოცხალ-მკვდარი მოიყვანეს და თავის სახლის წინ დააგდეს. თანაც ხმა გაავრცელეს, თითქოს, სვიმონი მაშას საყვარელმა მოკლაო. საზოგადოებამ დევ-

² იქვე, გვ. 84.

ნა დაუწყო მაშასა და მის პატარა გიორგისაც. მალე, დასნეულებული და ჯანგატეხილი მაშა საავადმყოფოში გარდაიცვლება. დაიღუპა უპატრონოდ დარჩენილი პატარა გიორგიც. ცხოვრებისაგან გარიყული, მშვიერმწყურვალნი დავით დესპანიძე თვითმკვლევლობით ამთავრებს თავის სიცოცხლეს.

მოთხრობაში ვხვდებით ცხოვრების ცოცხალი სურათების ამსახველ ადგილებს, საიდანაც ჩანს საზოგადოების ერთი ნაწილის მეტად დამცირობული მდგომარეობა. საზოგადოების ჯანსაღი ნაწილი არ მუშაობს, ანდა, სამუშაოს შოვნის შემდეგ, ვერ ეგუება რა მლიქვნელურ ბიუროკრატიული მმართველობის წესებს, სამსახურიდან მიდის ან ითხოვენ. ხოლო საზოგადოების პარაზიტები — „ბუზიყლაპია“ ფრანტები, კარიერისტები და მლიქვნელები დაუსჯელად პარაზიზებენ, მთავრობისა და საზოგადოების მხარდაჭერითაც სარგებლობენ.

ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთაგან სვიმონ ბადალაძე გამოირჩევა. სვიმონი წარმოშობით მებატონეა, იგი არისტოკრატიულ წრეში აღიზარდა. შემდეგში თანდათან ცილდება თავის კლასს, ახალ მსოფლმხედველობას ეზიარება და დაჩაგრული კლასის მხარეზე დგება. ცნობილია, რომ გარდამავალ წლებში არა ერთი და ორი არისტოკრატი გადემოკრატდა, ჰუმანიზმის იდეებით აღიჭურვა და საზოგადოებისათვის სასიკეთო საქმეებს შესწირა თავი. პერსონაჟთა ასეთი ქცევა ხალხოსნური იდეოლოგიის არსენალიდან არის აღებულნი.

„სამის თავგადასავლის“ მთავარი პერსონაჟები — სვიმონ ბადალაძე, დავით დესპანიძე, მაშა სტურგოვსკოვა დადებითი გმირის ხასიათის გამომხატველი ახალი ადამიანების ტიპებია. ანტ. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ მწერალი, დადებითი გმირის დახატვით, აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც მას თვითვე სურს, დადებითი გმირის მაგალითი მისაბამი ზღვება საზოგადოებისათვის და ამით მოწინავე იდეები ინერგება ხალხში.

ანტ. ფურცელაძის „სამის თავგადასავალი“, როგორც ეს ჩვენამდე აღნიშნული, განიცდის ნ. ჩერნიშევსკის რომანის — „რა ვაკეთოთ?“ იდეურ გავლენას. ამის შესახებ პირველმა, 1867 წელს, თვითონ ანტ. ფურცელაძემ მიუთითა თავის ავტორეცენზიაში, რომელიც ზ. მოენიძის ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“³.

³ ზ. მოენიძე [ანტ. ფურცელაძე], შეუსრულებელი სურათი, „დროება“, 1867, №.35—39.

დასახელებულ ავტორეცენზიაში ა. ფურცელაძემ სცადა აღენიშნა ის ნაკლი, რაც ნაწარმოებს გააჩნდა და რისი მხატვრულად ასახვა მან ვერ მოახერხა. ამის შესახებ თავის დროზე სამართლიანად შენიშნავდა გ. წერეთელი: „თუმცა „სამის თავგადასავალი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები სუსტია, მაგრამ მასზე დაწერილ კრიტიკულ სტატიაში („შეუსრულებელი სურათი“) ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და კარგი მიმართულებისაც არის“. („დროება“, 1868, № 105).

„სამის თავგადასავალი“ თავისი იდეური ჩანაფიქრით მნიშვნელოვანი მოვლენაა 60-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში. იგი აქტუალურად ეხმარება თავისი დროის ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს და ამით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარკვეული ეტაპის ნაყოფია.

სოციალური უკუღმართობის გარდა, პარიზის კომუნის განმათავისუფლებელ იდეებს ეხმაურებიან ანტონ ფურცელაძის მოთხრობები „ვაი მართალთა“ (1865 წ.) და „ჩვენებური საქმის ბოლო“ (1873 წ.).

„ვაი მართალთა“ გმირები მიშო და ლიზა არიან „სამის თავგადასავალის პერსონაჟების სიმონ ბადალაძის და მამა სტრუგოვსკოვას ორეულები. მათი ბრძოლის ხასიათი თითქმის ერთნაირია. დაახლოებით ასეთი ბრძოლის ამოცანა დაუსახა მწერალმა აგრეთვე ვასილსა და კატოს („ჩვენებური საქმის ბოლო“).

მიშოს — „მიხეილ ზახარიჩს“, არ მოსწონს არსებული საზოგადოებრივი ყოფა. მისი განმარტებით, ამ ცხოვრებაში გარდა უგუნურებისა, არავინ ბედნიერი არ არის, — „დაიწყეთ პირველიდან და გადადით უკანასკნელ კაცამდე, და ნახავთ, რომ ყველას რაღაცის ეშინიან. ყველა ცდილობს, რომ სხვა მოაუძღუროს, რომ იმ სხვამ, ძალა მოცემულმა, არ დასცეს ესა. ყველა თრთის ხვალის წინაშე და არ იცის დღეს, რა მოაქვს იმისათვის ხვალესა“⁴.

მიშო და ლიზა საერთო იდეებით არიან გატაცებული. ლიზა, რომელიც თავადაზნაურთა წრიდანაა გამოსული, ტოვებს თავის წრეს და ახალ იდეებს ეზიარება. მას ეჩავრება თავისი სახლი, თავადების მუქთახორული ერთფეროვანი ფუქსავატური ცხოვრება.

მიშოს აღგზნებულმა საუბრებმა თითქოს თვალი აუხილეს და ახალ აღამიანად აქციეს ლიზა. მან მიატოვა უზრუნველი ცხოვრება, დაიწყო შრომა, გარჯა. მიშო და ლიზა ერთად იბრძვიან სი-

⁴ ა ნ ტ. ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე, ვაი მართალთა, 1891, გვ. 78.

მართლისათვის, ისინი თავისი მორალით ცამდე მართლები არიან. მაგრამ მათი აზრები და მოქმედება არ ეფარდება საზოგადოებაში გაბატონებულ წესებს. ამიტომ ისე, როგორც „სამის თავგადასავალში“ სვიმონ ბადალაძე და მამა სტროგოვსკოვა, მათი შეხედულებებიც საზოგადოების ნებას ეჯახება. მიშო და ლიზა განწირულნი აღმოჩნდნენ. ბედნიერი ცხოვრების მოტრფიალე მართალი ადამიანები ვერ პოულობენ თანაგრძნობას უსამართლო კონსერვატორულ საზოგადოებაში. „ვאי სიმართლეს და მართალ ადამიანებს“ — ასეთია მინიშნებაც, როცა ნაწარმოებს სათაურად „ვאי მართალთა“ დაარქვა.

მაგრამ მწერალს სჯერა, რომ პროგრესის შემომტანი ახალი ადამიანები საჭირონი არიან საზოგადოების ისტორიული განვითარებისათვის და მომავალი დრო უსათუოდ ამ ნათელი გზით წარიმართება.

„აბა განშირდნენ საზოგადო აზრისა და ერთხელ დადებულნი ჩვეულების გადამდგომნი, შეხედონ ამ აზრისა და ჩვეულების ავსა და კარგს მხარეს, გონიერულათ ჩაუდგნენ ამათ შინჯვაში, და ნახეთ. როგორ წაიწვეს და წაეა წინ კაცთა კაცური ცხოვრება“⁶.

მიშო ბევრს ლაპარაკობს საზოგადოების წესების არარაობაზე, რომ შრომა და გარჯა არის ახალი ცხოვრების საძირკველიო და სხვა. მაგრამ თვითონ თავისი მოქმედებით არ იძლევა მისი ქადაგების პრაქტიკულ მაგალითს. სუსტმა ლიზამ ერთგვარად დააღწია თავადაზნაურობის ბინძურ ბუდეს და შრომას მიჰყო ხელი, მიშო კი თუმცა აძაგებს ამ საზოგადოებას, მისი არაფერი არ მოსწონს, მაგრამ მას საკუთარი ფეხზე დგომა არ შეუძლია და თავისი შშობლები ინახავენ. ყველა ამის შემდეგ მისი ქადაგება ყალბად გაისმის. როცა მიშოს მოქმედების ასპარეზი ადგილობრივ სინამდვილეში ვერ იპოვა ავტორმა, იგი საფრანგეთში წაიყვანა საბრძოლველად. იქ მიშო ჯერ ჯუზეპე გარიბალდის მოხალისეთა ჯარში ჩაეწერა, რომელიც საფრანგეთის რესპუბლიკას იცავდა ვერსალელებისაგან, ამის შემდეგ მწერალმა კომუნართა ბარიკადებზე გამოაჩინა, სადაც იგი ცნობილი კომუნარის დელეკლუზის გვერდით იბრძვის კომუნის გამარჯვებისათვის. როდესაც ბრძოლის მოწინავე მედროშე ქალი ტყვისაგან განგმირული ძირს დაეცემა, მიშო ერთი წამით წაქცეულ გმირ ქალს შეხედავს, რომელიც ლიზას სახეს მოაგონებს. „აქ უნდა მომკვდარიყო, ლიზაც“ — გაიფიქრებს მიშო. აი-

⁶ ანტ. ფურცელაძე, ვაი მართალთა, 1891, გვ. 72.

ტაცებს დროშას, გახელებული გადაეშვება ბრძოლის ქარცეცხლში და ვერსაღელთა ოცეულის ტყვიებისაგან დაცხრილული გმირულად იღუპება კომუნის საქმისათვის.

ანტონ ფურცელაძის აღნიშნული ნაწარმოები, მისივე მოთხრობის „სამის თავგადასავლის“ განვითარებად გამოიყურება. მიშო უფრო თანმიმდევრული და ძლიერია, ვიდრე სვიმონ ბადალაძე, იქაც სვიმონ ბადალაძესა და მამა სტრუგოვსკოვას ოცნება საფრანგეთში წასვლა იყო.

„ვაი მართალთას“ საერთო ფონი და, განსაკუთრებით, ნაწარმოების ფინალი საოცრად ჰგავს ტურგენევის ცნობილი რომანის „რუდინის“ შინაარსს. საფიქრებელია, რომ ამ ნაწარმოების შექმნისას ანტ. ფურცელაძე პარიზის კომუნის გარდა ტურგენევის ამ მოთხრობის გმირის რუდინის მოქმედებითაც იყო შთაგონებული:

1865 წელს ანტ. ფურცელაძე ქმნის ბატონყმური წყობილების, ბატონისა და ყმის ურთიერთობის ამსახველ რეალისტურ მოთხრობას „მართა“. მოთხრობის პირველ თავში რამდენიმე ფრაზით დახასიათებულია მებატონე როსტომ ტაბლაძის სახე. იგი თავისი სიმდიდრით, მაღალი საზოგადოების ხალხთან დამოკიდებულებით, მთელ მხარეში იყო განთქმული. მისი კრძალვა ჰქონდათ არა მარტო გლეხებსა და აზნაურებს, არამედ მის მეზობელ თავადებსაც. როგორც „სამის თავგადასავალში“ დავით ბადალაძე, როსტომიც საკმაო განათლების პიროვნებაა, სახელმწიფო სამსახურში დიდი თანამდებობა უჭირავს, მანაც მლიქვნელობითა და გაიძვერობით საოცნებო კარიერას მიაღწია და გამდიდრების შემდეგ უბრუნდება მამაპაპეულ მამულს, როგორც ღესპოტი მებატონე.

ბატონისა და ყმის დამოკიდებულების საკითხი ანტ. ფურცელაძემ მოთხრობა „მართაში“ გადაწყვიტა მებატონე როსტომისა და შინამოსამსახურე ყმა-გლეხის სოსიკას ურთიერთობის კონკრეტულ მაგალითზე. სოსიკა თავის სახლ-კარს მოცილებული ბატონის ერთგული მოსამსახურეა. იგი როსტომს ემსახურებოდა. ჯერ ქალაქში, შემდეგ კი სოფელში. სოსიკას შეუყვარდა ქალბატონი შუშანას მოსამსახურე მართა. სოსიკას არაერთგზის თხოვნა, გამოისყიდოს მართა და ცოლად შეერთოს, აწყდება ბატონისა და ქალბატონის სასტიკ წინააღმდეგობას.

მართა ობოლი ოსის გოგო იყო. 11 წლამდე თავის დედასთან მაღალმთიან ოსეთის სოფელში ლალად იზრდებოდა. თავადმა ილიკომ იგი გზაში შემთხვევით ნახულ მეძებარ ძაღლში გაუტყვალა.

ვაჰარ ხეჩატურ ჩაიფხანოვს, ხოლო შემდეგ, მართას როსტომი იყიდის.

როსტომი სასტიკი სიმკაცრით შეუდგება ყმა გლეხების დარ-
ბევას, მეზობელი თავად-აზნაურობის შევიწროებას. მწერალმა
საინტერესო ფერებში დახატა ეს ახალი ტიპის მებატონე, რომელ-
საც უფლებებს გარდა გააჩნია ფული, აქვს გამოცდილება ხალხის
მოტყუებისა, მთავრობის მომხრობისა. ამის გამო როსტომმა „ყვე-
ლა სოროში შეაძვრინა, ყველა შეაშინა, ყველას ხმა ჩააკმენდინა“⁶.
როცა ქალიშვილი — შუშანა გაათხოვა, მართაც თან გაატანა. ტაბ-
ლაძიანთ სახლში მართამ ცოტა ხნით იგრძნო ადამიანური ცხოვ-
რება, როცა იგი სოსიკას შეუყვარდა, მაგრამ სწორედ სიყვარული
ხდება მათი ტრაგიზმის მიზეზად. როდესაც სოსიკასა და მართას
სიყვარულის შესახებ გაიგეს ბატონებმა — „როსტომმა არც აცი-
ვა, არც აცხელა, სოსიკა, — დააწვინა როზგქვეშ... წამებამდე აცე-
შინა. ბატონი ელოდა სოსიკას თხოვნას, მაგრამ სოსიკას აღარ
უნდოდა ამ სირცხვილიდან ცოცხლივ ადგომა“⁷. ამ უდიდესი ფი-
ზიკური ტანჯვისა და სულიერი შეურაცხყოფის შემდეგ სოსიკამ
რამდენჯერმე სთხოვა ბატონს მართას თავი, მაგრამ ამოაღ.

მომთინებიდან გამოსული სოსიკა გადაწყვეტს მოკლას შემარ-
ცხვენელი ბატონი. ჩაუსაფრდება კიდევ მოსაკლავად, მაგრამ გა-
დამწყვეტ ზომენტში მერყეობას იჩენს, ვერ ბედავს სროლას. გა-
დის დრო. სოსიკას თითქოს ავიწყდება ყველაფერი, გარდა მართა-
სი. მისი ხატი ისევ მართაა. ახლა იმან გადაწყვიტა სხვა გზით მოი-
გოს ბატონის გული, ფულით გამოისყიდოს მართა. რვა წელიწადი
ლაგოდებში დაბანაკებულ ჯარში მსახურობდა, მაგრამ ფული გა-
დასახადში წაართვა ბატონმა. გამწარებული სოსიკა რამდენჯერმე
ცდის ბატონის მოკვლას, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნის ესროლოს
ბატონს: ხან ხელი უკანკალებს, ან ჩაბმახი არ ეცემა, ან ლიბერა-
ლი, ლოიალურად მოაზროვნე პირი გადააფიქრებინებს როს-
ტომის მოკვლას.

მოსაკლავად განწირული მებატონის მიმართ მკვლევლობის გა-
ნუხორციელებლობის სურათის ასეთნაირი ჩვენება ნაწარმოებში
თვით მწერლის ტენდენციითაა განპირობებული. მწერალს წინასწარ
აქვს მოფიქრებული, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ ინდივიდუა-
ლური ბრძოლის ფორმა შედეგს ვერ გამოიღებს და საჭიროა ბრძო-
ლის სხვა ფორმების ძიება.

⁶ ანტ. ფურცელაძე, რჩული ნაწარმოებები, 1941, გვ. 210.

⁷ იქვე, გვ. 241.

სანამ ჩვენი ბატონი „ცოცხალია, ჩვენი სიცოცხლე შეუძლებელია“, ამბობენ ანტ. ფურცელაძის გლეხები და გადაწყვიტენ მოჰკლან ბატონი, მაგრამ არა უბრალო აფექტის შედეგად, არა შემთხვევით, არამედ ბატონისაგან რამდენჯერმე გამწარებულები, შეგნებულად მივლენ ამ ლოდიკურ დასკვნამდე. აღსანიშნავია ისიც, რომ ანტ. ფურცელაძის გლეხები ბატონყმობას ბრძოლას უცხადებენ არა ინდივიდუალური გზით, არამედ ერთად შეთანხმებით — ჯგუფური გამოსვლით. ბატონყმობის წინააღმდეგ ჯრპოლის ასეთი გზის ჩვენებით მწერალმა ახალი ნაბიჯი გადადგა წინ მის თანამედროვე ქართველ მოღვაწეებთან შედარებით.

სეხნისა და ნინიკას თაოსნობით სოფელი შეთანხმდა, რომ როსტომი მოკლან, მაგრამ მათში მაინც შეინიშნება მერყეობა. რაც დამახასიათებელი მოვლენა იყო გლეხთა შეუკავშირებელი მოძრაობისათვის. სურათი მეტად რეალისტურია და შეუცდომლად გამოხატავს ეპოქის ხასიათს.

ავტორმა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლი დააქისრა ქალს. მართა აქტიურ როლს ასრულებს როსტომის ბოროტების გამომჟღავნებაში და ფაროდ ავრცელებს გლეხებში მის უსამართლობას. მართას პირადი ცხოვრება და მისი ქადაგება ბატონების წინააღმდეგ აღაგზნებდა გლეხებს უსამართლობის წინააღმდეგ. მისი დახმარებით გლეხები ღამით თავს დაესხნენ როსტომის ოჯახს და დედა-შვილიანად ამოწყვიტეს.

„მართაში“ ანტ. ფურცელაძემ გარდა მებრძოლი გლეხობისა, დაგვიხატა მოწუწუნე გაუბედავი ნაწილი საზოგადოებისა. ესენია როსტომის ძმისშვილის — დავითის ტიპის მსგავსი ლიბერალ-შეთანხმებლები. ისინი ხედავენ ბატონყმობის უარყოფით შედეგებს, მაგრამ ბრძოლისაკენ კი არ მოუწოდებენ ხალხს, არამედ მოთმინებისაკენ. როსტომის ძმისშვილი დავითი აღშფოთებულიც კია თავისი ბიძის განუსაზღვრელი დესპოტიზმით, რამდენჯერმე გადაწყვიტა შებმოდა როსტომს და შეეკვეცა ფრთები მისი ბატონობისათვის, იგი სიმპათიურადაა განწყობილი გლეხების მიმართ. ეცოდება ისინი, მაგრამ თავისი უხერხემლობითა და პასიურობით პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია მათთვის. ბოლოს ბრძოლის ასპარეზიც დატოვა, ჩაიქნია ხელი და სოფლიდან ქალაქად გადასახლდა.

ამ მოთხრობაში ანტ. ფურცელაძემ ხალხოსანი მწერლებისათვის დამახასიათებელი სტილური ნიშნებით ახლოს მიდის გლეხის ცხოვრებასთან და მისი გაპირვების ყოველი მხარე უნდა აჩვენოს

მკითხველს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ანტონ ფურცელაძემ დასაბამი მისცა ხალხოსნურ ლიტერატურულ სტილს და იგი ხალხოსან მწერალთა წინამორბედად გვევლინება.

ვანმათავისუფლებელი იდეებით სუნთქავს ანტონ ფურცელაძის 1873 წელს დაწერილი მოთხრობა „ჩვენებური საქმის ბოლო“. მოთხრობის მთავარი მოქმედი გმირებია კატო და ვასილი. ნაწარმოების შინაარსი მწერლის სხვა მოთხრობების, სახელდობრ, „სამის თავგადასავლის“ და „ვაი მართალთა“ მსგავსად ვითარდება. აქაც საზოგადოებას გამოეყოფა ახალი იდეებით აღჭურვილი ვასილი. იგი თავის იდეალებს თავს მოახვევს სწავლამოწყურებულ კატოს. გაიყოლებს მას, მაგრამ ვასილს ნებისყოფა არ ჰყოფნის ბოლომდე ერთგული დარჩეს კატოს მიმართ.

ვასილი მდიდარი მებატონის — ბაადურ ნაწრეტაშვილის შვილია. იგი უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსიდანაა გამოსული და უქმად ოცნებაში ატარებს დროს. ვასილი დაინახავს რა კატოს მისწრაფებას განათლებისადმი, დახმარების ხელს გაუწვდის, „თვალს აუხელს“ და მისი გავებით სანატრელი ცხოვრებისაკენ ეწევა. კატოსაც უკვე აღარ მოსდის ეს ცხოვრება თვალში. ვასილის წყალობით გათვითცნობიერებული კატო ახლებურად მსჯელობს ცხოვრებაზე.

ვასილ ნაწრეტაშვილი მოწინავე აზნაურის ტიპად გამოიყურება. მას ხალხის კეთილდღეობა სურს, თითქოს მზად არის თავი გასწიროს ხალხისათვის, რათა საყოველთაო თანასწორობა და ბედნიერება დაამყაროს. ყველაფერი ამის განხორციელება მას შესაძლებლად მიაჩნია, თუ ხალხი სწავლა-განათლებას დაეწაფება, თუ სოფელში დაარსდება სკოლები, დეპოები, საბანკო დაწესებულებები. ცნობილია, რომ თავის პუბლიცისტურ წერილებშიც ანტ. ფურცელაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ბანკების ჩამოყალიბების გზით ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

ვასილი და კატო ოცნებობდნენ — სწავლა-განათლების შედეგად როგორ გარდაიქმნებოდა ცხოვრება, როგორ გალამაზდებოდა მათი მხარე: ახლანდელი წუმბეების მაგივრად მათ კარმიდამოზე სუფთა მოედნები გაიმართებოდა, ქვარტლიანი სადგომების მაგივრად დიდფანჯრებიანი, სუფთა, ნათელი სახლები აშენდებოდა.

ვასილის სასწავლებელში წასვლის შემდეგ, მისივე წერილების საშუალებით, გამკლავდებოდა ვასილისა და კატოს სიყვარული. როგორც „სამის თავგადასავალში“ და „ვაი მართალთა“-ში, ისე აქაც, მისი ნაწარმოების გმირების ვასილისა და კატოს გადაწყვეტილება

სასტიკ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ნამდვილ ცხოვრებასთან. ნაწარმოებში ამაღლებულადაა აღწერილი კატოს ტრაგიკული თავგადასავალი, ნათესავეებისა და საზოგადოების სიძულვილი კატოსადმი. ყველასაგან მოძულებული კატო ძალით გაათხოვეს გარყვნილ თავადიშვილ ილიკო კუდირიკაძეზე, რომელმაც საშინელი სენი შეჰყარა ქალს. სახე შეცვლილი და დამახინჯებული კატო მშობლებმა უკან — თავის სახლში წამოიყვანეს. რუსეთიდან ჩამოსული ვასილი პირისპირ შეხვდება კატოს და ვერ იცნობს. — აბა სად არის კატო, რომლის სანახავადაც მომიყვანეთო. ასეთი სურათის შემდეგ კატო ჭკუაზე შეიშლება.

ვასილი, რომელმაც ასე გატაცებით შეიყვარა კატო, გადამწყვეტ მომენტში პასიურობს. ვასილი ლალატობს თავის თავსაც და კატოსაც. მისი მიზეზით იღუპება კატო. ამ შემთხვევაში ვასილიც გვაგონებს ტურგენევის „რუდინს“. რუდინმაც ასეთ ზეშთაგონებული აზრებით თავბრუ დაახვია ახალგაზრდა ქალს. მას ეგონა, რომ რუდინი ყველაზე ძლიერი ადამიანი იყო ქვეყანაზე, მზად იყო მასთან ერთად წასულიყო, მასთან ერთად ებრძოლა, მაგრამ აქაც, რუდინმა ვერ დააკმაყოფილა მის მიერვე ქალში აღძრული მისწრაფება, ბედის ანაბარა მიატოვა იგი. მაგრამ ვასილისა და რუდინის ხასიათების მსგავსებისას, მართო ნაწარმოების გავლენაზე კი არ უნდა ვილაპარკოთ, არამედ ობიექტურ გარემოზე. რომელიც საერთო იყო როგორც ტურგენევისათვის, ასევე ანტონ ფურცელაძისათვის და რომელიც ერთნაირად აძლევდა მასალას მათ — ობიექტურად აესახათ ცხოვრება.

ვასილი ჩაიძირა ცხოვრების მორევში. თვითონ მწერალი სინანულით აღწერს მის გადაგვარებას, მას გული სტკივა ვასილისა და მისი მსგავსი ადამიანების ასეთ ბედზე და ნაწარმოებს ასე ამთავრებს.

„ვასილი, ეს ქართველი ვასილი, რომელიც თავის შეწირვას უპირებდა სამშობლოს, ეხლა ქართველებსაც ძვირადა ხედებოდა, და ამ თავდადებულ ქართველს შვილებიც ისე ეზრდებოდნენ, რომ ქართული ენაც აღარ იცოდნენ... თუმცა კვლავ, თავგამოდებით ქადაგებდა მამულის სიყვარულს“⁸.

ანტონ ფურცელაძის „ჩვენებური საქმის ბოლო“ კრიტიკის საგანი გახდა.

ანტონ ფურცელაძემ „ივერიის“ ფურცლებზე დამაჯერებელი პასუხი გასცა სტეფანე ჭრელაშვილს (იხ. „ივერია“ 1893, № 1278,

⁸ ანტ. ფურცელაძე, ჩრეული ნაწერები. 1941, გვ. 365.

„ბ-ნი სტ. ჰრელაშვილი კრიტიკა“). წერილში აღნიშნულია, რომ „ჩვენებურ საქმეს“ ანტონი ეძახის „სიტყვისა და საქმის დაცილებას, სწორედ იმას, რომ საქმით მას არ ვაკეთებთ (ან ვერ ვაკეთებთ), რასაც სიტყვით გავიძახით: „ლოცვა-კურთხევით ვიწყებთ და წყევლა კრულვით ვათავებთ. დღეს ვიწყებთ საქმესა, ხვალ ჩვენი ხელითვე უთხრით ამ საქმეს სამარეს“.

ანტონ ფურცელაძის „ჩვენებური საქმის ბოლოს“ პერსონაჟების მებრძოლი სულისკვეთება მოდუნებულია.

სვიმონ ბადალაძისა და მიშოს მებრძოლი ხასიათი აღარ ჩანს ვასილში. სამაგიეროდ, ვასილი უფრო მოქნილი და შეგუებულია არსებულ ყოფას. ანტონ ფურცელაძის ამ სამმა გმირმა ერთნაირი იდეებით დაიწყეს ცხოვრებაში გამოსვლა. სიმონი არსებულმა საზოგადოებრივმა ფორმამ ფიზიკურად მოსპო, მიშო თავისუფლებით გატაცებამ — პარიზის კომუნის ბარიკადებზე აბრძოლა, ხოლო ვასილი ცხოვრებამ ჩაითრია თავის მორევში. მართალია, იგი ცოცხალია, მაგრამ არა ის ვასილი, რომელსაც ნაწარმოების დასაწყისში ვხვდებით, არამედ სულ სხვა ადამიანი, რომელსაც ხელი აუღია ცხოვრებასთან ბრძოლაზე.

„სამის თავგადასავლის“, „ვაი მართალთას“ და „ჩვენებური საქმის ბოლოს“ პერსონაჟები თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ადამიანები არიან, რომლებიც შეუპოვრად იბრძვიან გაბატონებული საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ. ისინი წინ აღუდგებიან ძველ წესებს, კანონებს, სამართალს, რომელიც ხელს უშლიდა ახალი ცხოვრების შემოქრას — საზოგადოების პროგრესს.

ანტ. ფურცელაძე დიდი სიმპათიით გვიხატავს ოსი მოძმე მშრომელი ხალხის ცხოვრებას. ოსი გლეხობის ცხოვრება დახატა მან არა მარტო „მართაში“, არამედ 1866 წელს დაწერილ მოთხრობა „თოთაში“.

„თოთა“ დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1867 წელს (№ 2—3). ნაწარმოებში წინა პლანზეა წამოწეული სოციალური საკითხი. ავტორი აგვიწერს ოსი ხალხის ყოფას 50—60-იან წლებში, მათ ცხოვრებას, ადათწესებს, საქორწინო და რელიგიურ რიტუალებს და სხვ.

ნაწარმოებში მწერალმა პირველად დააყენა ყაჩაღების პრობლემა, რომელმაც განვითარება ჰპოვა ნაწარმოებებში („მაცი ხეიტია“, „ავაზაყნი“ და სხვ.).

უკულმართმა სოციალურმა ცხოვრებამ, საზოგადოების უდანაშაულო შვილები აიძულა სახლი დაეტოვებინათ და ყაჩაღებად გა-

სულიყენენ. ნაწარმოებში აღწერილია, როგორ ავიწროვებდნენ ქართლის სოფლებს ოსი ყაჩაღები — კანი, ბისტი და სადლი. ოსი უდანაშაულო ხალხიც მუდამ მათი თავდასხმის მოლოდინში იყო. მათგან შეწუხებული მოსახლეობა იძულებულია თავისი რაზმები შექმნას და ბოლო მოუღოს ძალადობას.

„თოთას“ სახე ავტორს დიდი სიმპათიით აქვს დახატული, იგი არა ჰგავს სხვა მაწანწალა მძარცველებს. გმირი არსენა ოძელაშვილის მსგავსად „თოთა“ „მდიდრებს ართმევს და ღარიბებს აძლევს“, მაგრამ მისი სახელით დაძრწიან მაწანწალა კაცუნება და სახელს უტეხენ თოთას მოქმედებას. სოციალური ჟღერადობით და იდეებით „თოთა“ თავისი ეპოქის ამსახველი რეალისტური ნაწარმოებია.

გლეხთა მძიმე ყოფის სურათი დაგვიხატა მწერალმა 1871 წელს დაწერილ მოთხრობაში „ქიტესა“. ბატონყმობის გაუქმებამ ვერ იხსნა ქიტესა ნაცარკვერაძე და მისი მსგავსი სხვა გლეხები შიმშილისაგან. არც მათი ოჯახის მორალურ უფლებებს იცავს ვინმე. გლეხი კვლავ სულიან-ხორციანად მებატონეს ეკუთვნის, ქიტესას 14 წლის გოგო მარო, ბატონმა გააუპატიურა, მაგრამ უმწევო მდგომარეობაში ჩაყვანილ მის მშობლებს არაფრით არ შეუძლიათ სამაგიერო მიუზღონ ოჯახის შემარცხვენელს.

ნაწარმოების მოქმედების ფონი იშლება სოფელ ბრიყვიანეთის მცხოვრებთა ფონზე. მოხდა სოფლის მცხოვრებთა დაყოფა. უკვე გუშინდელი ყმებიც კი ორ ნაწილად გაიყვნენ — მამულიანი და უმამულონი. ყველაფერს ერთი მუქა შეძლებულები განაგებენ, ყოველგვარი პრივილეგიებით სარგებლობენ, მაგრამ სახელმწიფო გადასახადის გაწერა ხდება უმიწო (ღარიბ) გლეხებზე. ღარიბებს ესმით, რომ მათ ჩაგრავენ და ბრძოლას იწყებენ ახალი ექსპლოატატორების — კულაკების წინააღმდეგ: „თავებს დავიხოცამთ და ჩვენი ცოცხალი თავით კი თქვენთან ხარჯს არ გავიღებთ“ — გადაწყვიტეს უმამულო ღარიბებმა: ქიტესა ნაცარკვერაძემ, ბერო ბურტყლაძემ, მოსე მწყერაძემ და სხვებმა. ღარიბების ასეთ გადაწყვეტილებას წინ ეღობება მდიდართა მუქარა: „რჯულსაც გაგადებინებთ და ისე გაიღებთო“, — ეუბნება მათ კულაკი თევდორე პეტიაშვილი. ქალაქში საჩივრელად ჩასული გლეხები კომიკურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მათი არავის ესმით. „გამოვიძიებთო“ ასეთი დაპირებით გამოისტუმრებენ უკან.

კაპიტალიზმის შემოჭრით ცხოვრების არენაზე გამოსული ახალი ექსპლოატატორული კლასის გამომხატველად — ფურცელაძემ მოთხრობაში დაგვიხატა მევანშე მოშეშა ურია, რომელიც

მეორე მხრიდან უთხრის ძირს ნაცარკვერაძეებისა და ბურტყლაძეების ცხოვრებას.

ცხოვრების ღრმა ცოდნის შედეგია ანტონ ფურცელაძის შენანიშნავი მოთხრობა „მაცი ხვითა“. ეს მოთხრობა მხატვრული განზოგადობით, ნაწარმოების მიზანდასახულობით მეთვრამეტე საუკუნის ქართული ცხოვრების აღწერას ემსახურება. მოთხრობა ანტონ ფურცელაძის დადინჯებული გონების ნაყოფია. აქ აღარ არის ნაჩქარევი ადგილები, დაუმთავრებელი პასაჟები. ნაწარმოები თავისი სიუჟეტით და კომპოზიციით ერთ-ერთი სრულყოფილი მხატვრული ტილოა, არა მარტო ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში, არამედ საერთოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პროზაში. რეალისტური და მიმზიდველი ფერებითაა შესრულებული „მაცი ხვითა“. ამ რომანში კვლავ ქართველ ფეოდალთა გაუთავებელი ქიშპობა და ერთმანეთისადმი მტრობაა განქიქებული. ოდიშის და აფხაზეთის თავადები — მანუჩარი, ვამეყი თავიანთი მეუღლეებითა და ახლობლებით უდანაშაულო ადამიანების სისხლის ღვარს აყენებენ. ეს მაღალი წოდება ერთმანეთის ქიშპობასა და გაუთავებელ მტრობაშია გართული. გაუთავებელ ღრეობებში ინთქებოდა და ნადგურდებოდა მშრომელთა ოფლით მოწეული ღოვლათი. გლეხთა შიმშილობას და უუფლებობას ერთვოდა მათი მასობრივი აწიოკებები, ყიდვა-გაყიდვა, ფიზიკური დასჯის ველური მეთოდები და სხვ. მეორეს მხრივ, მშრომელ ხალხს ავიწროებდა ქურდობა, ტყეში გასული ავაზაკობა, ყაჩაღობა. ასეთმა პირობებმა, როგორც სამართლიანად შენიშნავს მწერალი, მოთმინებიდან გამოიყვანა ხალხი და აჯანყებისათვის მოამზადა ისინი.

მაცი ხვითას სახე ტიპური მოვლენა იყო იმ დროის სამეგრელოში. უფლებააყრილ უმიწაწყლო მშვიერი ხალხის ერთ ნაწილს არსებობისათვის ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად ქურდობა დარჩენოდა, შეუმჩნეველი ქურდობა ვაჟაკობის დამადასტურებელთვისებად იქნა მიჩნეული. მწერლის სიმპათიები მაცის მხარეზეა. ამიტომ იგი ბოლომდე მიჰყვება თავისი საყვარელი გმირის ბედს და ცდილობს მაცის მოქმედებას ობიექტური გამართლება მოუპოვოს (გავიხსენოთ საფრანგეთიდან ჩამოყვანილი მაცის დამცველი ვეჟილის სიტყვები).

საინტერესოა მაცი ხვითას მიჯნურის ეკას პიროვნება. უამრავ თავგადასავალთა შემდეგ იგი შემთხვევით მოხვდა საფრანგეთში, გაეცნო საფრანგეთის წყობილებას და სულ იმაზე ოცნებობს ცხოვრების ასეთი წესები გადმოიტანოს საქართველოში. ანტონ

ფურცელადის ეს ტენდენცია ობიექტურად სწორია და თერგდა-
ლელთა განმანათლებლური პროგრამიდან გამომდინარეობს, მაგ-
რამ ასეთი შეხედულება არაფრით არ თავსდება ხალხოსნური იდე-
ოლოგიის ფარგლებში, რომლის წარმომადგენლადაც, ტრადიციის
მიხედვით, მიჩნეულია ანტონ ფურცელაძე. ეს გარემოება ერ-
თხელ კიდევ ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოში არ ყოფი-
ლან ორთოდოქსული ხალხოსნები თავისი გარკვეული პროგრამ-
ით. ამიტომ ქართველი ხალხოსნები ყოველთვის მერყეობენ თერგ-
დალელთა იდეებსა და ხალხოსნობას შორის, განმანათლებლობა-
დემოკრატიზმისა და ლიბერალიზმს შორის.

რეალისტური სახეებია ანტონ ფურცელაძის კალმით შეს-
რულებული ყაჩაღთა ტიპები: კურცხალია, კაკო, ჯორჯუა, ფარსა,
ტოტოლა, დარჩო და სხვ. მწერლის აზრით, არსებული სოციალუ-
რი წყობა ბადებდა მაცი ზვიტიას მსგავს ადამიანებს. აიძულებდა
პატიოსან მშრომელ ხალხს მიეტოვებინა ცოლი, შვილი, ოჯახი და
ყაჩაღობით ერჩინა თავი. ეს ტიპიური მოვლენა იყო გარდამავალი
პერიოდის ეპოქებში. ტიპიური იყო ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმ-
ში გადასვლის პერიოდში, კლასთა შორის ბრძოლის გამწვავების
ეპოქაში. მწერალი ამართლებს ყაჩაღთა მოქმედებას და სიმპატიუ-
რადაა განწყობილი მათ მიმართ. ასევე იქცეოდა დიდი ილია, როცა
კაკოს საშუალებით მიგვანიშნებს თავის მისწრაფებებს.

„მაცი ზვიტია“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის
ამსახველი ერთ-ერთი საინტერესო ნაწარობებია ქართულ ლიტე-
რატურაში.

საქართველოს ისტორიული წარსულის თემაზე ანტ. ფურცე-
ლაძე ქმნის შესანიშნავ ნაწარმოებებს. ამ მხრივ მან დიდი ადგი-
ლი დაუთმო გიორგი სააკაძის თემას. გიორგი სააკაძე მას მიაჩნდა
იდეალურ გმირად. მისი აზრით, მხოლოდ ასეთ პატრიოტულ თავ-
დადებას, გმირობას და გამჭირახობას, როგორც გ. სააკაძეს გააჩნ-
და, შეეძლო მოეპოვებინა საქართველოს დაკარგული ბედნიერება,
ეროვნული დამოუკიდებულება. გიორგი სააკაძე მწერალს გარი-
ბალდის პიროვნებასთან ჰყავს გაიგივებული, ანტონ ფურცელა-
ძე გიორგი სააკაძის პიროვნებით ჰაბუკობიდანვე ყოფილა გატა-
ცებული. მას დაწვრილებით შეუსწავლია ყველა მასალა და სააკა-
ძის ეპოქის ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული ისტო-
რიული ფაქტები დარღვეულია, „დიდი მოურავი“, რეალისტური
ხასიათის ეპოპეაა, მამულისათვის თავდადების გრძნობით აღავსებს
მკითხველს. მწერალს მიაჩნდა, რომ გლეხობა და აზნაურობა ძი-

რითადი ფენა ხალხის და მათი საშუალებით შეიძლებოდა ქართველ მეფეებს დაემყარებინათ წესრიგი სახელმწიფოში. თავადები ანტ. ფურცელაძეს მიაჩნდა ქვეყნის დამლუპველ ძალად; რომ ისინი არა, აღნიშნავდა მწერალი, გ. სააკაძე მოახერხებდა საქართველოს გაერთიანებას და გაძლიერებას. მწერალის ასეთი შეხედულება ფანტაზიად გამოიყურება. XVI საუკუნის საქართველოში არ არსებობდა ისეთი სოციალურ-პოლიტიკური გარემო, რომ აზნაურთა წოდება და გლეხობა ჩადგომოდა ერის ძალებს სათავეში. მაგრამ ანტონ ფურცელაძე, ამჩნევდა რა მეფის უღელში შებენული ქართველი ხალხის უუფლებობას, სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად ხმას იმაღლებდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. ანტონ ფურცელაძის ტენდენცია ქართველ გმირთა სახეების გაცოცხლებისა, თანადროულობას ეხმაურებოდა. მისი ასეთი ხასიათის ნაწარმოებები პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღანთებდა ხალხებს და მომავალი რევოლუციისათვის ამზადებდა მათ.

ანტონ ფურცელაძის მართებული აზრით, მწერალმა ერის წარსულზე წერას იმიტომ კი არ უნდა მიმართოს, რომ თანამედროვეობა წარსულისკენ მიაბრუნოს, არამედ იმისათვის, რომ წინ წამოსწიოს ყოფის ისეთი თვისებები; რომელიც ცხოვრების გარდაქმნაში მოეხმარება საზოგადოებას.

ანტ. ფურცელაძეს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სამშობლო. მისი პატრიოტიზმი დაკავშირებულია ხალხთა მეგობრობის კეთილშობილურ იდეალებთან. მხოლოდ ამ ასპექტით შეიძლება ანტონ ფურცელაძის შემოქმედებითი ნიმუშების გაგება და დაფასება. იგი სიმპათიით ეკიდება სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მათ ხალხსა და ეროვნულ ბელადებს. ასეთებია მის მიერ არაერთგზის დამოწმებული თავისუფლებისათვის მებრძოლი პირები გარიბალდი, კოშუტი, ვაშინგტონი, კოსტიუშკო და სხვ.

ჩვენთვის უკვე ცნობილია, თუ როგორი სიყვარულით დახატა ანტონ ფურცელაძემ თავის ნაწარმოებებში რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი და ოსი ხალხების წარმომადგენლები. ანტონ ფურცელაძე სასტიკად ილაშქრებდა ცრუ პატრიოტებისა და შოენინისტების წინააღმდეგ. მათ საყურადღებოდ 1909 წელს „ტიფლისსკი ლისტოკში“ (№ 165) იგი წერდა: „დაყარეთ თქვენი მუყაოს მახვილები, ეძიეთ მეგობრები, ეძიეთ მოკავშირენი, საკუთარზე უფრო დააფასეთ მეგობრულად გამოწვდილი ხელი მოკავშირის: ივანოვისა, ხაჩატუროვისა, კურბან-ოღლისა, ფონ-შტრეკოვისა. ჩასჭიდეთ

ზელი იმათ მაგრად, სხვაგვარად თქვენ მეგობარი კი არა მტერი იქნებით თქვენივე ხალხის, თქვენ შას დალუპვას განუშხადებთ“.

ეროვნული პრობლემის თეორიული გადაწყვეტის კარგი ცდაა 70-იან წლებში დაწერილი ანტონის შრომა „კაცობრიობა და ხალხოსნობა“ რომელიც 1895 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა. ამ შრომაში ანტონ ფურცელაძე ერთა შორის ძმობისა და მეგობრობის იდეალებს ქადაგებს. მისი აზრით, სხვა გზით შეუძლებელია არა მარტო კაცობრიობის კანონზომიერი და შეუფერხებელი წინსვლა, არამედ უსამართლო ომების შეჩერება. ჩვენ, აღნიშნავდა ანტონ ფურცელაძე, ისტორია უნდა გავასწოროთ: თუ დღემდე არ მოხერხდა ხალხთა „ძმობის, ერთობისა, თანასწორობის“ განხორციელება, ამის შემდეგ მაინც უნდა მოვახერხოთ მისი ხორცშესხმაო.

ანტონ ფურცელაძის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა 60-იან წლებში. მისი შემოქმედებითი ფორმირება ხდებოდა ქართული პროგრესული მიმართულების ინტელიგენციისა და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეური გავლენით. ამავე დროს ანტონ ფურცელაძის შემოქმედება ნასაზრდოებია ქართული კლასიკური მწერლობის მდიდარი ტრადიციებით.

ამ ფაქტორებმა განსაზღვრა ანტონ ფურცელაძის და თერგ-დალეულთა შემოქმედებითი მეთოდის იგივეობა. იგი ილია ჭავჭავაძის თაობასთან ერთად ქმნიდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ლიტერატურას, დაულალავად იბრძოდა მატერიალისტური მსოფლმხედველობისა და კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის.

ანტონ ფურცელაძე პუბლიცისტიკაში ვერ ასცდა პისარევაზარევის მემარცხენე უკიდურეს ნიჰილიზმს, მაგრამ მისი მხატვრული შემოქმედება და განსაკუთრებით პროზა დაზღვეულია ასეთი ნაკლისაგან. ანტონ ფურცელაძის პროზა, მწერლის მხატვრული აზროვნების განმსაზღვრელი ჟანრია. აქ გამოჩნდა მისი პოზიცია სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ადამიანის გათავისუფლებისა. ამიტომ მისი მოთხრობების, მწერლის ისტორიული პოემების და პუბლიცისტური წერილების ანალიზით, ნათლად გამოჩნდება ანტონ ფურცელაძის მთლიანი სახე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეალების გამარჯვებისათვის უშიშრად მებრძოლი მოღვაწისა. მაგრამ ირ იქნება სწორი, თუ ვიტყვი, რომ ანტონ ფურცელაძე მარტო პისარევის გავლენას განიცდიდა. ამავე დროს იგი განიცდიდა ილიას კეთილისმყოფელ ზეგავლენას, რამაც

განსაზღვრა ანტონ ფურცელაძის შემოქმედების რეალისტური ხასიათი.

მწერლის მსოფლმხედველობის იდეური სიხალე ნათლად ჩანს ანტ. ფურცელაძის მოთხრობებში — „სამის თავგადასავალი“, „მართა“, „თოთა“, „ავაზაკები“, „ჩვენებური საქმის ბოლო“, „ქიტესა“, „ვაი მართალთა“, „მაცი ხვითა“, „დავით ასლანიშვილი ჯანდიერი“ და სხვ. მაგრამ პროზის თავისებურება მისი მხატვრული ოსტატობით კი არ არის გაპირობებული, არამედ ეპოქის მოწინავე იდეების წინ წამოწევით, ახალი ადამიანების ჩვენებით.

ანტონ ფურცელაძემ პირველმა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში რაზნოჩინელ-დემოკრატი ადამიანების სახე: სვიმონ ბადალაძე, დავით დესპანიძე, მაშა სტრუგოვსკოვა („სამის თავგადასავალი“), დავითი („მართა“), მიშო, ლიზა („ვაი მართალთა“), ვასილი, კატო („ჩვენებური საქმის ბოლო“), რითაც აქტუალურად გამოეხმაურა განმათავისუფლებელ იდეებს.

ანტონ ფურცელაძე თერგდალეულებთან ერთად იბრძოდა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. სამოციანი წლების მოღვაწეებისაგან განსხვავებით ანტონ ფურცელაძემ პირველმა გვიჩვენა ბატონყმობის წინააღმდეგ გლეხთა მასობრივი გამოსვლების სურათი და მისი უპირატესობა ინდივიდუალურ ტერორთან (მართა, სოსიკა, სეხნია, ნინიკა („მართა“)).

ახალი იდეების, სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანების წინა პლანზე წამოწევა სამართლიან ცხოვრებისათვის თავგანწირული მებრძოლი გმირების დახატვა — რევოლუციურ ხასიათს აძლევდა ანტონ ფურცელაძის შემოქმედებას.

ანტონ ფურცელაძე გვევლინება ხალხოსნური იდეალების შემოტან და პირველ მქადაგებლად საქართველოში. მაგრამ შემდეგ, როგორც სხვა ხალხოსნები, ისიც შეერწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარ ნაკადს, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ისტორიულ თემატიკაზე დაწერილი ანტონ ფურცელაძის ნაწარმოებები ფართოდ ეხმაურება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან პირველმა სცადა ჩამოერეცხა სამშობლოს მოღალატის ლაქა გიორგი სააკაძისათვის და მის პიროვნებაზე შექმნა ისტორიული ხასიათის პოემა. დახატა ეპოქა, რომელიც საქართველოს ერთიანობისა და გათავისუფლების იდეალებს ემსახურებოდა. ასეთია მისი მოთხრობა „დავით ასლანიშვილი ჯანდიერი“, პოემები „თამარ დაზნელი“, „მარაბდა“, „წყალობა“, „ასული ისრა-

ელისა“, „ბაგრატიონების დიდება“ და სხვა. ამავე დროს ანტონ ფურცელაძე ხალხთა მეგობრობისა და ჰუმანიზმის დაულალავი პროპაგანდისტია.

ანტონ ფურცელაძის შემოქმედებამ წარუშლელი კვალი დატოვა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. იგი კალმითა და საზოგადო მოღვაწეობით შეტრფოდა ხალხების საუკეთესო მომავალს. იგი მომსწრეა ბატონყმობის გადავარდნისა, 1905 წლის რევოლუციისა და ყოველთვის განახლებისა და პროგრესის მქადაგებლად გამოდიოდა. თავისი მხატვრული შემოქმედებითა და მგზნებარე პუბლიცისტური წერილებით ამზადებდა ხალხის საუკეთესო მომავალს. მისი შემოქმედება, სახელოვან ქართველ სამოციანელთა კულტურული მემკვიდრეობის მსგავსად წინამორბედი იმ დიდი გამარჯვებებისა, რომლებიც მეოცე საუკუნეში ჩვენმა ხალხმა მოიპოვა.

„პატარა ადამიანის“ პრობლემა XIX საუკუნის მიწურულის
ქართულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის მიწურული კრიზისული ეტაპია საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ესაა პერიოდი აშკარა შეუსაბამობისა პიროვნების მოთხოვნილებებსა და გარემომცველ სამყაროს შორის, და არა მარტო დაბალი, ე. წ. უუფლებო კლასებში, არამედ მაღალ, პრივილეგირებულ კლასებშიც. რაღაც გაურკვეველი საშიშროების განცდა, არამყარობის, კატასტროფულობის შეგრძნება, ცხოვრების ლოგიკის ჩაწვდომის უუნარობა — და ამის შედეგად ადამიანის გონების ძალისადმი რწმენის დაკარგვა, — ასეთია „საუკუნის დასასრულის“ განწყობილებანი. შემთხვევითი არ იყო, რომ ეპოქის სიმბტომებად იქცა მისტიციზმი და იდეალიზმი, სწრაფვა არსებული სინამდვილიდან იმპევეციურ სამყაროში, ანდა ფსიქოლოგიის სიღრმეებში გადახვეწისა. გამოცოცხლდა ძველი იდეალისტური თეორიები: შოპენჰაუერის მოძღვრება თავისი პესიმიზმითა და ცხოვრებისადმი ზიზლით და მაქს შტირნერის აშკარად ინდივიდუალისტური ფილოსოფია. მათ მემკვიდრედ იქცა ფრიდრიხ ნიცშე, ეპოქის ნორმათა კანონმდებელი, თავისი არანაკლებ მძაფრი პესიმიზმითა და ლიერი „ზეადამიანის“ კულტით.

„ვინც რამდენადმე მაინც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ლიტერატურას, ის აშკარად შეამჩნევდა, რომ თანამედროვე სიტყვაკაზმული მწერლობა მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ იმყოფება. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ფილოსოფიურ მიმართულებათა შორის კი უფრო ძლიერი გავლენა სიტყვაკაზმულ მწერლობაში ზოგის საუბედუროდ და ზოგის საბედნიეროდ, აქვს ეგრეთ წოდებულ მოდერნისტულ მიმართულებას, რომლის მამამთავრადაც შეიძლება ჩავთვალოთ ჯერ შტირნერი თავისი თხზულებით: „ერთად ერთი და მისი საკუთრება“ და მერე ფრიდრიხ ნიცშე, რომლის ნაწარმოებთა შორის ყველაზე მეტი გავ-

ლენა აქვს ორ თხზულებას: „ბოროტისა და კეთილის იქით“ და „ასე სთქვა ზარატუსტრამ“. ამგვარი მიმართულების გაშვებას, რასაკვირველია, საზოგადოების წყობილებასთან და სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობასთან აქვს მჭიდრო დამოკიდებულება“.— წერს 1913 წელს სტატიის „ადამიანის უძლეულება“ გრ. ნათაძე. იგი ლაპარაკობს რაციონალისტური, განმანათლებლური მსოფლმხედველობის კრიზისზე და დასძენს: „გაცრუვდა იმედი ძველი მოაზრებებისა, საფრანგეთმა აშკარად დაანახვა ყველას, რომ ცარიელი სურვილი არ კმარა, რომ ჩვენი ცხოვრება სურვილისამებრ გარდაეჭმნათ, რომ არიან რაღაც ჩვენს გარეშე მყოფი პირობები, რომელნიც გვზღუდავენ ჩვენ, იმორჩილებენ ჩვენს ნებას, ჩვენს სურვილსაც კი და ამიტომ ყოველი ჩვენი ნაბიჯი რაღაც საიდუმლო კანონზეა დამყარებული. ამ მიმართულებამ შექმნა ნიცშეს სწავლა დიდ გონებაზედ და პატარა გონებაზედ“¹. გრ. ნათაძე ძირითადში სწორად აფასებს ეპოქისათვის ნიშანდობლივ ვითარებას — რაციონალიზმის კრიზისს და ინტუიტივიზმის გამოცოცხლებას. პატარა გონებას — ადამიანს არ ძალუძს ჩასწვდეს დიდ გონებას — ბუნებას; როგორც ბერგსონი ამბობს, ადამიანის აზრს შეუძლია მოგვეცეს მხოლოდ „გაუზრალეობული წარმოდგენა სინამდვილის შესახებ“, რადგან ბუნებასა და ადამიანებს შორის არის „დანშული ფარდა“ და „მხოლოდ ხელოვნებას ძალუძს აქციოს ბუნება მისაწვდომად ადამიანური აღქმისადმი“².

1898 წლის „მოამბის“ III და IV ნომრებში ფხას ფსევდონი-მით დაბეჭდილ წერილში ვკითხულობთ: „ბუნება, მისი სინამდვილე, სისრულით და ყოველი მხრივ ჩვენთვის მიუწვდომელია. შეგვიძლიან ფაქტი დავინახოთ, მოვლენა შევამჩნიოთ, ამ ფაქტთა და მოვლენათა მსგავსება და განსხვავება გამოვარკვიოთ და ამ მსგავსებასა და განსხვავებაზე დავემყაროთ ზოგი ზოგადი და განყენებული დასკვნა, ეს განყენებული ფაქტი კანონად ვალიაოთ. ჩვენ ვამჩნევთ მოვლენათა თანდათან მიმდინარეობას, ამ თანდათანობაში კი ერთ რომელსამე მოვლენას მეორის ან მოვლენათა მთელი რიგის მიზეზად გამოვსახავთ. აი, ასეთ ვიწრო ფარგალშია მომწყვდეული ადამიანის ცოდნა. ეს ის ფარგალია, რომელსაც სპენსერი გამოსაცნობელს უწოდებს. მაგრამ ყოველ მოვლენას, ყოველ საგანს აგრეთვე მიუწვდომელი, გამოუც-

¹ „განათლება“, 1913, № 6 (ივნისი).

² Б е р г с о н, Сопр. т. 5, СПб, 1914, стр. 178.

ნობელი მხარეც აქვს. მარადის სასო უნდა წარვიკვეთოთ ამ მიუ-
წვდომელს მიწვედეთ, ეს გამოუცნობელი გამოვიცნოთ. ჩვენი
ცოდნა არასოდეს ისე ვრცელი, ისე სრული არ იქნება, რომ ხელთ
ჩავიგდოთ, უტყუარად გამოვიცნოთ საგნის, მოვლენის თვით
სული, თვით არსი. ჩვენი ცოდნა შედარებითია და ფარგალშემოვ-
ლებული. მაგრამ ადამიანის გრძნობა, ადამიანის სულისკვეთება აქ
არ ჩერდება, ამით არ კმაყოფილება და თუმცა კარგად იცის, რომ
ვერა სცნობს „განგებას ციურს“, მაინც აღიარებს სიმართლეს ბა-
რათაშვილის აზრისას: „გულისთქმა ჩემი უნს იქით... ეძიებს სად-
გურს“, მაგრამ ეს გულისთქმა სრულიად სამართლიანი, მუდამ და
მარადის განუხორციელებელი უნდა დარჩეს“³.

„ეპოქის დასასრულის“ სულისკვეთებას, რომელიც თითქმის
მთელი მსოფლიოსათვის არის ნიშანდობლივი, როგორც ვხედავთ,
ქართულ სინამდვილეშიც შემოუღდამს ფეხი. სტატიაში „ჩვენი ახალ-
გაზრდობა“ კიტა აბაშიძე წერდა: „რასაკვირველია, ამგვარ მიმარ-
ულებას ახალგაზრდობისას აქვს თავისი მიზეზები, იგი გამოწვე-
ულია იმ ისტორიული ხანით, რომელშიც ვცხოვრობთ, აგრეთვე
ჩვენი ერის განსაკუთრებული მდგომარეობით. ჩვენმა ერმა თვალ-
საჩინოდ იცვალა ფერი პოლიტიკურად, ჩვენი ერი ჩადგა ახალ
ეკონომიურ ვითარებაში, ყოველივე ამან შექმნა თვით პირობე-
ბი, რომლის შეთვისებაც ასე ადრე როდი მოხდება ხოლმე. ჩვენი
ერის ახალგაზრდობა სრულიად მოწყვეტილია თავის ძველ კულ-
ტურას, ძველ ტრადიციას და ახალ ნიადაგზე გადარგული, თქმა
არ უნდა, მრავალი ამთვანი გახმება, ვინემ ნაყოფს გამოიღებ-
დეს, გარდა ამისა მთელი ეპოქის ახალგაზრდობა სევდიანი კილოთი
გალობს და ამისი მიზეზია, რასაკვირველია, საზოგადოებრივი და-
ცემა, პოლიტიკური პირობები და, გარდა ამისა, ის ცრუ მეცნიერუ-
ლი მიმართულებაც, რომელმაც ფესვი გაიდგა ევროპის მოაზრე სა-
ზოგადოებაში: დარვინისა და სპენსერის თეორიები სალახანათა
თავგასამართლებელ იარაღად შეიქნა, შოპენჰაუერისა და ჰარტმან-
ნის ფილოსოფია გარყვნილთა თავშესაფრად გახდა, რენანის სკეპ-
ტიციზმი უაზრო, უიდეალო დილეტანტთა მცნებად შეიქმნა. ჩვენი
ახალგაზრდობა შეიძლება თვით არ იყოს ისე გართული იმ მწერალ-
თა ნაწერებში, მაგრამ მათგან შექმნილი ატმოსფერო შორსაც მოქ-
მედებს“⁴. იმავე კიტა აბაშიძეს მოაქვს ამონაწერები რამდენიმე

³ ფხა [ი. ფანცხავა]. ცხოვრება და მწერლობა. უსრ. „მოამბე“, 1897, № 4.
გვ. 34.

⁴ კ. აბაშიძე, ცხოვრება და ხელოვნება, თბილისი, 1971, გვ. 124.

ახალგაზრდის პირადი ბარათებიდან, როგორც ნიმუში ახალგაზრდობის სულიერი დაცემისა, საოცარი სექტიციზმისა და უიჰედობისა. ამ წერილებში გამოხატულია „უკიდურესი გაცრუება იმედებისა“, „რწმენის დაღუპვა“, „ზნეობრივი კოტრობა“, საკუთარი უმაქნისობის, უფუნქციობის, უნიათობის შეგნება.

ადამიანების „დაპატარავებას“, დაჩიავებას საზოგადოდ იწვევს ადამიანის შესაძლებლობებში, მის ძალებში დაქვეება, რწმენის დაკარგვა, უიმედობა და სექსისი. ეს ყველაფერი დამახასიათებელი იყო ამ პერიოდის ქართული სინამდვილისათვის და თვით ისეთი მწერლის შემოქმედებაშიც იჩინა თავი, როგორც ვაჟა-ფშაველა იყო: „ჩემ გულში კი მყუდროებდა. არაფერზე აღარ ფიქრობს ჩემი გონება. თითქოს გაჩლუნგებულა, გულის მძლავრი, ოდესმე, ბგერა შემდგარა. რაც მწამდა, აღარ მწამს, რაც მიყვარდა, აღარ მიყვარს, აღარც ღონე მაქვს, მკლავი დადუნებულა, სისხლი გაცივებულა ძარღვებში. მე ჩემს თავს აღარ ვიცნობ, მძულს ჩემი თავი: თავისთავზე ბრაზი მომდის: ასე რად გამოვიცვალე? რატომ აღარ ვარ ის, რაც ერთ დროს ვიყავი? რა მემართება? ნუთუ ასე ცოცხალ-მკვდრად უნდა დავრჩე?... არა ცოცხალს თუ სრული სიცოცხლე არ ექნება, მირჩევნია სრული სიკვდილი!“ ამგვარი „არასრულობის“ განცდა ნიშანდობლივია ეპოქისათვის. „როგორც გინდა იყავ, ოღონდ იყავ სრული“, ამბობდა იბსენის ბრანდი; „სცან შენი თავი და შენი არსებიდან შექმენი ის, რაცა ხარ, უაღრესობამდე განავითარე, რაც კი შენში ძვირფასია, ცხოვრე შენი სიმართლის განხორციელებისათვის, არ უმტყუნო შენს თავს, ყველგან და ყოველთვის იყავ ის, რაცა ხარ“, — ამბობს ნიცშე. „არასრული“, ფუჭი, უსარგებლოდ გავლილი ცხოვრების გამო სინდისი ქეჯნის არაგვისპირელის მოთხრობის გმირს („ჰარამხანის სურათი“.) თუმცა კი თავის თავს არ სურს გამოუტყდეს ამაში. ცხოვრება მას თვალსა და ხელს შუა გაეპარა, ისე, რომ მასში მას არავითარი მონაწილეობა არ მიუღია. „აქ განისვენებს არარა“ — წააწერა თავის საფლავის ქვას იბსენის პერ გიუნტმა. ამგვარი ადამიანი — არარა იქცევა ეპოქის სიმპტომად. ყველა ადამიანს არ შეუძლია შეიცნოს საკუთარი თავი, იყოს ის, რაც არის, აღიაროს თავისი არარაობა. ამგვარი ადამიანის ცხოვრება გაორებულია, ერთია რეალური, რომელიც არის არარა და მეორე — წარმოსახული, მოჩვენებითი, ასე ვსთქვათ, ნილაბი, რომლითაც შენიღბულია ეს არარაობა და ხშირად საკმაოდ ოსტატურადაც.

„მოკვდა, გამოესალმა ამ უპირო სოფელს ცხონებული ბაგრატ ზახარაიჩი. ეჰ, მადლობა შენთვის, უფალო! გააჩენ შე დალოცვილო, კაცსა. გაბედნიერებ და ბოლოს, ისევ ამოაშხამებ. რას მოიფიქრებდა, ან კი სად ეცალა ეფიქრა საწყალს დამსახურებულს მოხელეს ბაგრატ ზახარაიჩს, რომ ერთხელაც იქნებოდა, უნდა მომეკვდარიყო“... ეს „ღირსეული“, ნიჭიერი“, „ამაყი“ ადამიანი, რომელიც უფროსებმა და თანამშრომლებმა დიდებული სიტყვებით შეამკეს სიკვდილის შემდეგ“, სიცოცხლეში „ბედნიერად სთვლიდა თავის თავსა, მაგრამ ერთი ფიქრი სტანჯავდა მთელს სიცოცხლეში და ლოდინით გულზე აწვა. ეს ის ფიქრი იყო, რომ მის და კანცელარიის მეუფროსეს, ალექსანდრე ნიკიტჩის, მიზეზი არაფერი მოეტანა და სამსახურიდან არ დაეთხოვა. ამიტომ ბაგრატ ზახარაიჩი, როგორც ქართველი კაცი, დარბაისელი იყო და კიდევ მომეტებულად იღარბაისლებდა თავსა“⁵. აქაა წინააღმდეგობა ადამიანის რეალურ, ნამდვილ არსსა და მის წარმოსახულ არსებობას შორის. ბაგრატ ზახარაიჩის ტრაგედია სწორედ ამ წინააღმდეგობაშია... მის გარეგნულად ბედნიერ წარმოსახულ არსებობას მუდმივად თან სდევს შიში რეალური არსის გამომჟღავნებისა... მაგრამ ამგვარი ტრაგედია ნიშანდობლივი და დამახასიათებელია სწორედ „პატარა ადამიანისათვის“, რადგან ის რეალური არსი, რომლის გამომჟღავნებისაც მას ეშინია, არის სწორედ მისი „სიპატარავე“. გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ეს წინააღმდეგობა ქმნის დავით კლდიაშვილის გმირთა ცხოვრების კომიზმს, რომელთაც ვერ შეუთავსებიათ წარმოსახული ცხოვრება რეალურთან. თუმცა კომიზმი აქ სწორედ იმ ტრაგედიის გამოხატულებაა, მისი მეორე მხარეა, რომელიც „პატარა ადამიანების“ ცხოვრებას გამსჭვალავს. კომიზმი ერთგვარი საშუალებაა იმ პესიმიზმისა და უიმედობის წინააღმდეგ, რასაც უსათუოდ ბადებს ადამიანის ძალებში დაექვევება, მისი დეჰეროიზაცია. „ჭეშმარიტება სიცილშია“, ამბობდა ადამიანის შესაძლებლობებში, მისი გონების ძალის უსაზღვროობაში დაექვევებული ლორენს სტერნი. „დღეს სულ ვიციანი, რაც უნდა შემემთხვეს, გინდ ავი, გინდ კარგი: მაინც ვიციანი და თქვენც გირჩევთ იცინოთ, ვინაიდან ბუნებაში ისეთი არაფერი ხდება, თუ სატირელი იქნება, იმავე დროს საცინელიც არ იყოს... ეს მხოლოდ ჩემი პირადი აზრებია, ჩემი გემოვნება, ჩემი ჩვეულება

⁵ ე. ა. ჯ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. V, გვ. 88.

აზროვნებისა, რომელიც მინდა სხვასაც მოეახვიო თავზე. მოდო და ნუ გაიცინებ, ვიხედები უკან, გავცქერი ჩემ გამოვლილ გზას, ეს ხომ თავით ბოლომდე ახირება იყო, ჯახირობა; კბილით კლდის მტვრევა, შიშველი ხელებით ნარის გლეჯა, მშიერთა მუცლით მღერა-თამაში. დღეს თუმც შეცინება, მაგრამ ამ ახირებას ვერ ვიშლი, ისევ ისე ვჯახირობ და ვეუბნები თავის თავს: ჰა, არ შესდრკე-გასწი წინ, გასწიე, ჩემო თავო! რა არიან ეს დავრდომილნი ადამიანთა ცხოვრებაში, მშიერ-ტიტველნი, უძღურნი, ცხოვრებისაგან გარიყულნი, გლახაკნი, ბედისაგან შეურაცხყოფილნი?! საცინელნი არიან და სხვა არაფერი. მე გიყს დაუძახებ იმას, ვინც იმათ იტირებს, მე იმათ შემწეობას აღმოვეუჩინე თუ შემემძლება, ხოლო იცოდეთ ჩემს ბაგეს სიცილის სხივები არ მოჰპოვრდება. ეს და ამგვარი მოვლენა ბუნებაში მხოლოდ საცინელია და სხვა არაფერი. ბუნება რომ მუდამ თავის თავს დასცინის, ჩვენ რაღა ვართ, რომ არ გავიცინოთ მის წინა — უკუმოქმედებაზე?...

რამდენს ვიციანი იმაზე, ვინც დადის და დაკარგულს სატრფოს დაეძებს და თან მოსთქვამს: „ახ, სადა ხარ ჩემო სიცოცხლე, ჩემო ნუგეშო, ჩემო წუთისოფელო, რად დამტოვე? სად დამეკარგე? ვისზე გამცვალეო?! ხოლო მე მიკვირს, ტარიელს რად ატირებს შოთა ნესტან დარეჯანისათვის?!... მე, ნუ გაგიკვირდებათ, ასე ვფიქრობ, რომ ტარიელს შეეძლო სულ ღიღინით ევლო და ეძებნა თავისი სატრფო. ამიტომ მე დღეს დავციანი იმის ცრემლებს. სასაცილოდ მიმაჩნია მისი ხეტიალი, ათასნაირი საშიშროების განცდა ისე, როგორც ლამანჩელი აზნაურისა (დონ-კიხოტი)“⁶.

ტარიელის გამირული პიროვნება თავისი ცრემლებით ვაყას შეუსაბამოდ ეჩვენება თავის ეპოქასთან, რადგან ცრემლი დღეს ადამიანის სენტიმენტალობის, უძღურების, სასოწარკვეთილების გამოხატულებაა და კომიკურ შეუსაბამობაშია გამოზობა-ვაყაცობასთან. ამიტომ თანამედროვე ეპოქაში ტარიელი სიკოდ იქცევა („ერთი სიყვარულის ამბავი“)⁷ ანუ ადამიანი იქცევა არარად. გაჰქრა რენესანსული ძლიერი მთლიანი პიროვნება, ადამიანის ცნება შეიცვალა, მისი შინაარსი დაკნინდა, დაპატარავდა. „ოხ, რა შესაბრაალისია იგივე მედიდური გონება ადამიანისა ბუნების სიდიადესთან შედარებით!... — ამბობს შიო არაგვისპირელის ერთი მოთხრობის გმირი, — რა სიმცირეს, არარაობას და მასხარაობას

⁶ ვ ა უ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა , ტ . X , გვ .

⁷ ეს ნაწარმოები ვეფხისტყაოსნის თავისებურ პაროდას წარმოადგენს.

წარმოდგენს ეს მედიდურობა; ამაყობა ადამიანისა... ხომ საკმარისია სულ ერთი წამი, რომ მიფშენიტოს, მიღეწოს ეს ამაყად მომცურავი და ზღვის ტალღების მიმარღვეველი გემი და... განქრა ადამიანის ოცნება. ამაყობა და მედიდურობა!...“ „რალაც მლილი, რალაც საცოდავი მატლი, რომელსაც ადამიანი ეწოდება“⁸. „რა მხეციც გინდა აიღოთ, რა ცხოველიც უნდა იყოს, რა სულდგმულიც უნდა დაასახელოთ, ყველა თავის თავს ემსგავსება ყოველთვის, მგელი კრავობას ვერ გასწევს, დათვი ძაღლობას და ღორი კიდევ მტრელობას. ადამიანი კი წარმომადგენელია ყოველგვარის ცხოველისა. მასში ყოველგვარი მხეცია მოთავსებული და შეუძლიან ყოველგვარი მხეცობა, სისაბავლე ჩაიღინოს“⁹.

ადამიანის მხეცებთან, ფრინველებთან, მწერებთან, მცენარეებთან შედარება, მისი დეჰეროიზაციის, დეჰუმანიზაციის გამოსახატავად ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული ხერხია. ასეთ შედარებას ვხვდებით დოსტოევსკისთან, თომას მანთან, კამიუსთან, კაფკასთან და სხვებთან. ამ მწერალთა შემოქმედებაში ადამიანი ედრება ტილს, ჰიას, ლამურას, ბუს და სხვ. და ყველა შემთხვევაში ეს შედარება გამომხატველია ადამიანის დამცირებისა, დაკნინებისა, ადამიანური სახის დაკარგვისა, განსხვისებისა. ვაჟა-ფშაველას მოთხრობის „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“? საოცარი და შემაზრზენი მეტამორფოზები ამ განსხვისების, კონტაქტების დაკარგვის განწირულებისა და ამაოების მხატვრულად ბრწყინვალე გამოსატულებაა. ბუ ვაჟასთან საოცარი სიმბოლოა „უთვისტომოსი“ ტანჯულისა და დამცირებულისა: „როცა ერთს ვისმე აწვალუბენ, დასცინიან, სტანჯავენ მრავალნი, ვამბობთ „აბუეს საწყალი კაციო“¹⁰. უთვისტომოს ეს ტანჯვა და დამცირება, ადამიანის უთვისტომობა, ადამიანის ტანჯვა და დამცირებაა, მის სახეში გამოსატული ამაოება (მისი „ვერა ვერა“) ადამიანის ამაოებაა: „შენც რა ხარ სხვა — ეუბნება ბუ ადამიანს — შენ გგონია მე არ მახსოვს, არ ვიცი, იმ დღეს რომ გამოვსულიყავ ველზედ, ჰკიოდი, იძახდი ჩემზე უარესად, შორიდამ ვილაცამ დაგიძახა — „ვერ იპოვეო?“ შენ უპასუხე „ვერაო!“ და წამოხვედი შინ ტირილით?... მე ის ყველიფერი მახსოვს კარგად... შენ გონიერი არსება ხარ, რამდენი საშუალება გაქვს, რომ შენი სურვილი, წადილი აისრულო, მაგრამ

⁸ შიო აჩაგვისპირელი, მოთხრობები, გვ. 344.

⁹ იქვე.

¹⁰ ვაჟა-ფშაველა, ტ. VI, გვ. 254.

ვერ კი აგისრულებია, მაშ რატომ არ გცხვენია, რომ მე „ბუობას“
შეიყვინებ. ფუ, შენს კაცობასო, — მომადურთხა პირდაპირ თვა-
ლებში... მე პირიდან დავიწყე ნაფურთხის წმენდა, სისხლი ყელ-
ში მომივიდა და მინდოდა მეტაცა ხელი და სულ ლუქმა-ლუქმა და-
მეგლიჯა ეს უმსგავსო ფრინველი, მაგრამ სიმართლის ხმას და გამ-
ბედაობას დიდი ზარი აქვს“¹¹.

ცოცხალი უკუქმედება ადამიანსა და ბუნებას შორის საშუალებას
აძლევს ვაჟას უკეთ გამოავლინოს ადამიანი, მისი შინაგანი ბუნება.
ვაჟას პერსონაჟები ამ პერიოდში ხშირად არიან ცხოველები, ფრინვე-
ლები ან მცენარეები, მაგრამ ყველა ამ მოთხრობისათვის განმსაზღვრე-
ლია სწორედ ადამიანის ვაჟასეული კონცეფცია. ძალზე ნიშანდობლი-
ვია, რომ ვაჟა ამ დროს სწორედ ქუჩზე წერს, იაზე, მწყერზე და მტრე-
დებზე; ესეც თავისებური დეჰეროიზაციის პროცესია, თუმცა ადამიანის
ცხოველად ქცევა ან მისი შედარება ამ ცხოველთან ვაჟასთან სრულია-
დაც არ მოასწაიგებს ტოტალურ დეჰუმანიზაციას; როდესაც დოსტოვე-
სკი ადამიანს ტილს ადარებს: «Я такая же точно вошь, как и все». —
აქ ტილი ტილია თავისი პირდაპირი მნიშვნელობით და ამიტომ მას
თან ადამიანის შედარება მის საბოლოო დაცემას, გაუადამიანურებას
მოასწავებს. ვაჟა ცხოველებშიც და მწყერებშიც განაგრძობს ადამიანის
ძიებას (იგი ერთგვარ გაუხცოვების ეფექტს მიმართავს, რათა ცხო-
ველში სწორედ ადამიანური დაგვიანახოს). ამდენად ვაჟას მეტამორფო-
ზებსა და შედარებებს მხოლოდ ცალმხრივი, ადამიანის დამამცირებელი,
დამაკნინებელი მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ მასში ადამიანურის
გამოვლენის საშუალებასაც წარმოადგენენ. მეორე მხრივ, იგივე ცხო-
ველებთან შედარება საშუალებას აძლევს ვაჟას ადამიანშივე გამოავ-
ლინოს ცხოველური, ბესტიალური (რომლის აღმოფხვრაც ვაჟა-ფშავე-
ლას უპირველესი ჰუმანისტური იდეალია). ძნელია ვაჟას მიერ ასე ოს-
ტატურად აღწერილი მტრედის თავგადასავალი აღიქვა, როგორც მხო-
ლოდ მტრედის თავგადასავალი და არ დაფიქრდე სუსტ, „პატარა არ-
სებათა“ მძიმე ხვედრზე, ერთის მხრივ, და უგუნურ, ყოვლად უმი-
ზნო ძალმომრეობაზე, მეორეს მხრივ.

მოთხრობაში „მწყერი“, რომელშიც ვაჟა მოგვითხრობს დაკო-
დილი მწყერის უბედურებას, რომელიც თავის გუნდს ჩამორჩა და
სივრცეში შიმშილით სიკვდილი ემუქრება, ავტორი თვითონვე ავ-
ლებს პარალელს ამ პატარა ჩიტსა და „მეორე მწყერს“ — ადამიანს
შორის. სიბრაალუკლი, თანაგრძნობა, ძალმომრეობა, ბოროტება — ეს

¹¹ იქვე, ტ. VII, გვ. 338.

საკითხები ხშირად დგას ამ პერიოდის ლიტერატურაში და ვაჟაც ხშირად უბრუნდება მათ. არა მგონია, ვაჟს ამ პატარა მოთხრობაში იმის თქმა უნდოდეს, რომ ადამიანი გულმოწყალეა და კეთილი. განა ცოტაა ვაჟასავე შემოქმედებაში საწინააღმდეგოს მამტიციებელი მაგალითები (თუნდაც „შვლის ნუკრის ნაამბობი“, ან კიდევ იგივე „ტრედი“). აქ გიგოლა მწერს კი არ იბრალებს, საკუთარი თავი ებრალება, იმ მწერში საკუთარ თავს ხედავს და მისდამი თანაგრძნობა საკუთარი უმწეო მდგომარეობითაა განპირობებული. ძლიერ, ცხოვრებით კმაყოფილ ადამიანში არ არის გრძნობა შებრალებისა, თანაგრძნობისა, დაჩაგრულ ტანჯულ ადამიანში კი ილვიძებს მოთხოვნილება თანაგრძნობისა სხვა ტანჯულის მიმართ. ეს საინტერესო ფსიქოლოგიური ნიუანსია და ამასთან დაკავშირებით მინდა შევხერდე ამავე პერიოდის (XIX საუკუნის 90-იანი წლების) ახალგაზრდა მწერალზე ან. დეკანოზიშვილზე. ან. დეკანოზიშვილი სულ რამდენიმე ფსიქოლოგიური ეტიუდის ავტორია და ფაქტურად მივიწყებულ მწერლად ითვლება, მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც მისი ეტიუდები იბეჭდებოდა, იგი უექველად ტონის მიმცემი იყო 90-იანი წლების ახალგაზრდა ქართველ მწერალთა შორის. მის ეტიუდს — „სულ ერთია ხომ ველარ გამობრუნდება“ ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს აკაკი წერეთლის სიტყვები:

„ვით სნეულსა თანაუგრძნობს
მისივე მსგავსი სნეული“

ნაწარმოების გმირი (ეტიუდი პირველ პირში თხრობას წარმოადგენს) მძიმედ ავადაა, იგი სასიკვდილოდაა განწირული და თვითონვე გრძნობს ამას. მწერალი მიმართავს კონტრასტს, დაპირისპირებას მომაკვდავი ადამიანისა და ვალვიძებული, გაცოცხლებული ბუნებისას. საკუთარი განწირულებით თუ უმწეობით სასოწარკვეთილ ადამიანს გულს უკლავს ეს სიცოცხლით სავსე სანახაობა: „სიცოცხლე, სიცოცხლე; ყველგან სიცოცხლე! მხოლოდ აქ, ჩემ ოთახში მისი კვალი, ნატამალიც კი არ იყო, მხოლოდ ერთი კუთხე იყო მისგან დაიწყებული... ისე თვალი არ დამღალვია, როგორც გული მატკინა ამ სიცოცხლით სავსე სანახაობამ. ბოლოს ერთგან შევამჩნიე უფოთლო ხე, იგი სულ განაპირას, ღობესთან იდგა, თითქოს განგებ გაშორებია თავის ყვავილოვან მოძმეთაო. ანც ერთი ფოთოლი არ ამშვენებდა მის შიშველს და ქერქ-ყრილს გაშავებულს ტოტებს, რომელნიც საბრალოთ აემართა ზეცისაკენ. „გამხმარა“, გავიფიქრე მე და — არ დაიჭრებთ, — მიამა, რომ ეს მართალი იყო. მე ვადარებდი ჩემს თავს ამ მწირსა და ობოლ ხესა და რ ა ლ დ ა ც

ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა ს ვ გ რ ძ ნ ო ბ დ ი¹². სჩანს, მარტოობა მეტად ძნელი ყოფილა, გამხმარა, „სწორედ გამხმარა“, ვიმეორებდი მე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემსავით იგიც გრძნობდა თავის მარტოობას, თავის სიკვდილსა“. „შენც ჩემსავით ყავლი გაგსვლია“, ვუთხარი... ჩუმათ, და თვალს არ ვაშორებდი. ჭანმრთელი ადამიანი ვერ მიხვდება ჩემს სულის მდგომარეობას, და, სწორედ ამ დროს თითქო განგებ გაილო კარები, შემოვიდა ჩემი მეზალე და მთხოვა, ნება დამერთო მისი მოჭრისა. ეს იყო რალაც მხეცი, ს ა შ ი ნ ე ლ ი მ დ ე ვ ი კ ა ც ი, ნ ა მ დ ვ ი ლ ი გ ა ხ ო რ ც ი ე ლ ე ბ უ ლ ი ძ ა ლ ა და ს ი ც ო ც ხ ლ ე. „არ შეიძლება“! მკვახელ ვუთხარი მე... „გამხმარია, სულ გამხმარია“, — მითხრა მან კრძალვით, მაგრამ დაბეჯითებით: — „სულ ერთია, ხომ ველარ გამობრუნდება“, „რაო ველარ გამობრუნდებაო“, გავიმეორე მე და ცახცახი დამაწყებინა. — „როგორ თუ ველარ გამობრუნდებაო. ვინ გითხრა, რომ ველარ გამობრუნდება! — მაშ მეც მომკალი! რალას უყურებ?“ — დავეყვირე გაბრაზებულმა და ხმა ჩამიწყდა. საწყალი მეზალე! იგი გაშრა, სრულიად დაიბნა და ისე იყურებოდა, რომ ალბათ ჭკუაზე შემცდარი ვეგონე. ის ვერ მიმხვდარიყო რას ვესარჩლებოდი იმ გამხმარ ხესა, რამ გამაცოფა ისე უეცრივ. მან არ იცოდა, რომ მე მთელი ბალის გაკაფვას უფრო დავეთახებოდი, ვიდრე იმ ერთი გამხმარი ხის მოჭრას. ოხ, კმაყოფილო ადამიანო, რა უგრძნობელი მტარვალი ხარ!“¹³...

როგორც ვხედავთ, ის, რაც ვაყასთან პატარა ნიუანსის სახითაა მოცემული, დეკანოზიშვილთან უკვე მთელ ეტიუდს წარმოადგენს. ისეთი თითქოს უალრესად ადამიანური, ჰუმანური გრძნობა, როგორიცაა თანაგრძნობა, აქ უალრესად ეგოისტურ გრძნობად იქცევა (ვაყასთან ეს ნაკლებ თვალსაჩინოა, ხოლო დეკანოზიშვილთან უკვე პირდაპირ აქცენტირებული). დააკვირდით, რა საინტერესო ფსიქოლოგიურ გადასვლას აკეთებს დეკანოზიშვილი: „მე მთელი ბალის გაკაფვას უფრო ადვილად დავთანმდებოდი, ვიდრე იმ ერთი გამხმარი ხის მოჭრასო“; ეს უკვე აშკარა ანტიჰუმანიზმია და სიტყვები: „ოჰ, კმაყოფილო ადამიანო, რა უგრძნობელი მტარვალი ხარ“, მართალია, მეზალისადმი მიმართული, მაგრამ უფრო საკუთარ თავს ეხება. კიდევ უფრო გამოკვეთილია ეს მომენტი ან. დეკანოზიშვილის მეორე ეტიუდში — „პეპელა“, სადაც „გმირი“,

¹² აქ და შემდეგშიც ხაზი ჩვენია (6. ა.)

¹³ „ალიონის“ კრებული, — თბილისი, 1911, გვ. 351—354.

პირადი უბედურებით სასოწარკვეთილი (მას სატრფო მოუყვდა), გარეთ ხეტიალის დროს წააწყდა პეპელას, რომელსაც აინუნშიაც არ მოსდის მისი უბედურება, მისი სულიერი მდგომარეობა და მხიარულად დაფარფატებს ყვავილიდან ყვავილზე. „ერთ წუთს მთელი ჩემი ყურადღება მასზე შეჩერდა; მან კი თითქო ვერც კი შემამჩნია, საშინლად გამაბრაზა მისმა უღარდელმა ბედნიერებამ! ეს ჭია, ეს მწერი, ეს უგუნური არსება ათასჯერ და ათი ათასჯერ ბედნიერი იყო, ვიდრე მე, იგი ნაზად დაეშვა ჩემს ახლოს ყვავილზე და ფრთები ისე შეკეცა, გეგონებოდათ მხოლოდ ერთი ფრთა აბია შუა ზურგზედაო. მაშინ მე ნელა მიუახლოვდი, ის იყო გაშალა ფრთები გასაფრენად, მაგრამ ამ დროს დავუქნიე წვეპლა და იგი დაეცა მკვლარი იმავ ადგილზე, რომელსაც ერთი თვალის დახამხამების წინ ცოცხალი დაჰხაროდა“¹⁴... დეკანოზიშვილის ამ ნოველებში, როგორც სამართლად წერს კიტა აბაშიძე, არის დაპირისპირება ბუნებასა და ადამიანს შორის: „მოგახსენებთ, რომ ყოველ მწერალს, ყოველ დროს თავისებური შეხედულება ჰქონია ამ დამოკიდებულების შესახებ. ზოგს ოპტიმისტური შეხედულება აქვს მასზე, ჰგონია, რომ ბუნება ჩვენი კეთილი მზრუნველია, ჩვენი დედაა და ჩვენი პატრონი. ის თანაუგრძნობს ჩვენს ავსა და სიხარულით ეგებება ჩვენს კარგსა. როცა ჩვენ ვიცინით, ბუნებაც იცინის, როცა ჩვენ ცრემლებს ვაფრქვევთ, ბუნებაც სტირის. ზოგი პესიმისტური შეხედულებისა არის და სულ საწინააღმდეგოს ფიქრობს, რომ ბუნება სრულიად გულგრილად ეკიდება ჩვენს ცხოვრებას, მისთვის სულ ერთია, მხიარულნი ვართ ჩვენ, თუ მტირალნი, იგი ერთნაირად იცინის ჩვენი სიცილისა და ტირილის დროს და ერთნაირად მოლუშულია ჩვენი ქორწილისა და სიკვდილის დროს. ყოველივე გრძნობა, რომელიც ჩვენ ბუნების კუთვნილება გვგონია, ის ჩვენი გრძნობაა, რომელიც ჩვენ ბუნებაზე გადაგვაქვს, იმისდა მიხედვით, თუ რა განწყობილებაზე ვართ (ცოტა არ იყოს ეს მეორე შეხედულება პესიმისტურს უახლოვდება). ამ მეცნიერულ და თანამედროვე შეხედულებას ადგია ან. დეკანოზიშვილი, მასთან ერთად მისი წინამორბედი ვაჟა-ფშაველა და შ. არაგვისპირელიცა“¹⁵.

ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობას მრავალი ასპექტი აქვს, მაგრამ ანდრია დეკანოზიშვილთან, ჩვენი აზრით, სწორედ ის ას-

¹⁴ „მოამბე“, 1893.

¹⁵ კ. აბაშიძე, ეტიუდები, თბილისი, 1970, გვ. 88.

პექტია წარმოდგენილი, რომელიც თომას მანთან სულისა და ცხოვრების ანტითეზას შეადგენს. დეკანოზიშვილის ნოველები, ჩვენის აზრით, საოცრად ეხმაურება სწორედ თომას მანის ადრეულ ნოველებს, სახელდობრ, „ტობიას მინდერნიკელსა“ და „სასაფლაოს გზას“. ამ უკანასკნელი მოთხრობის გმირს, ლობგოტ პიპზამს, ცხოვრებაში ხელმოცარულ, დაჩაგრულ, სნეულ და ფაქტიურად განწირულ პიროვნებას ალაშფოთებს სასაფლაოს გზაზე, ახალგაზრდა ჯან-ლონით საესე, უდარდელი ველოსიპედისტის გამოჩენა. „იგი დაუდევრად მიჰქროდა ისე, როგორც თავთ ცხოვრება, და ზარს აწკარუნებდა, მაგრამ პიპზამი არ დაძრულა ადგილიდან, განუძრევლად იდგა და გარინდებული მიშტერებოდა ხორცშესხმულ ცხოვრებას“¹⁶. გავიხსენოთ დეკანოზიშვილის გმირი როგორ ხედება მებაღეს: „ეს იყო რალაც მხეცი, საშინელი მღევი კაცი, ნამდვილი განხორციელებული ძალა და სიცოცხლე“. დეკანოზიშვილის გმირი გააცოფა და განარისხა იმან, რომ ამ „განხორციელებულ ძალას, სიცოცხლეს“ სურდა გამხმარი ხის, „მისი ხის“ მოჭრა. ლობგოტ პიპზამი ალაშფოთა ველოსიპედისტის, რომელიც აგრეთვე ძალის, სიცოცხლის, ცხოვრების სიმბოლოა, გამოჩენამ სასაფლაოს გზაზე, რადგან „უდარდელი ცხოვრების“ (ველოსიპედისტის) სასაფლაოს გზაზე ნეპარდი, პიპზამის აზრით, ხელყოფაა მისი სამყაროსი, მის ჰრილობებში ხელის ფათურია; სასაფლაოს გზა „მისი გზაა“ და იგი ვერ იტანს აქ ველოსიპედისტის გამოჩენას.

დეკანოზიშვილის მოთხრობის გმირი საოცარ სიბრაღულს იჩენს გამხმარი ხისადმი, ალაშფოთებს მისი მოჭრის სურვილი, მაგრამ მზადაა გააჩეხინოს მთელი აყვავებული ბაღი, რომელიც მისთვის ცხოვრების სიმბოლოა, მისი სასოწარკვეთილი სულისადმი დაპირისპირებული და შესაძლოა მტრულიც. დეკანოზიშვილის მეორე მოთხრობის („პეპელა“) გმირი აღშფოთებულია პეპელას საქციელით და ჰკლავს მას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ თანაუგრძნობს მის მწუხარებას, არ არის მასავით სევდიანი და მზიარულად დაფარფატებს ყვავილიდან ყვავილზე, მაგრამ საკმარისია პეპელა უსულოდ დაეცეს მიწაზე, რომ მკვლელში იმ წამსვე სიბრაღულის გრძნობა იღვიძებს. თომას მანის ნოველაშიც „ტობიას მინდერნიკელი“ მსგავს სიტუაციასთან, მსგავს ფსიქოლოგიურ მომენტთან გვაქვს საქმე. ტობიასი მარტოხელა, ცხოვრებისაგან გარიყული კაცი ყიდულობს ძაღლს, ესაუხს, რომლისადმი მეურვეობაც

¹⁶ თ. მ ა ნ ი, მოთხრობები, გვ. 90.

გარკვეულ სიამოვნებას გვრის მას. ტობიასი მასში თავისი გაუ-
ხაერლი ცხოვრების მოზიარეს ეძებს და აბრაზებს მასში მხიარუ-
ლების, სილაღის ყოველგვარი გამოვლინება. ერთხელ, როდესაც
ძალი შემთხვევით დაშავდება, იგი საოცარ თანაგრძნობას და
მზრუნველობას იჩენს მისდამი. მაგრამ, როგორც კი ძალი გა-
მოკეთდება, მისდამი ტობიასის დამოკიდებულება იცვლება: „რაც
უფრო ხალისიანი ხდებოდა ძალი, მით უფრო იბოლმებოდა ტო-
ბიასი და ერთხელ, როდესაც ძალი განსაკუთრებით მხიარულ
ხასიათზე იყო, ტობიასმა ველარ მოითმინა და დანა ჩაარტყდა მას.
ძალი მოკვდა. ტობიასმა კი თავი ესაუს სხეულში ჩარგო და მწა-
რედ აქვითინდა“¹⁷. თომას მანის დასახელებული ნოველების სიახ-
ლოვე ან. დეკანოზიშვილის ეტიუდებთან, ვფიქრობთ, უეჭველია,
თუმცა ურთიერთგავლენაზე აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია. დეკანო-
ზიშვილის ეტიუდები ცოტა ადრეა შექმნილი: „პეპელა“ — 1893 წ.,
„ხომ ველარ გამობრუნდება“, — 1895 წ. თომას მანის „ტობიასი“
დაიწერა 1897 წ.: ხოლო „სასაფლაოს გზა“ 1901 წ. ეს ნაწარმოე-
ბები ყველა, ფაქტიურად, ერთსა და იმავე დროს იქმნებოდა და
მთში, პირველ ყოვლისა, ტიპოლოგიური კავშირი უნდა ვეძებოთ.
ისინი ერთი ეპოქის ერთი სულისკვეთებით არიან გაჟღენთილი.
ხოლო თუ გავლენებზე ვილაპარაკებთ, მაშინ შეიძლება გვეფიქ-
რა, რომ ორივე მწერალი განიცდიდა ვიღაც მესამეს გავლენას. თო-
მას მანისათვის ეს მესამე ფრიდრიხ ნიცშეა, რომლის გავლენაც
მის შემოქმედებაზე უდავოა, დასაბუთებული და თვით მწერლის
მიერ აღიარებულიც, ხოლო რაც შეეხება დეკანოზიშვილს, აქ გა-
დაჭრით რაიმეს თქმა ძნელია და ხელალებით მტკიცებაც ისევე არ
შეიძლება, როგორც გადაჭრით უარყოფა. ნოდარ კაკაბაძე „ტობიას-
მინდერნიკელთან“ დაკავშირებით შენიშნავს: „ნაწარმოებს ფილო-
სოფიურ-სიმბოლიურ სიბრტყეზე აქვს მეორე ქვესიბრტყე: ანუ
ქვეპლანი: ესაუ ლალი ცხოვრების სიმბოლოა. ტობიასი „ხელოვა-
ნია“, „ანაქორეტი“, მარტოხელა და ცხოვრებიდან გარიყული.
„ცხოვრება“ შეიჭრება „ხელოვანის“ სამყაროში, მაგრამ მათი
თანაარსებობა შეუძლებელი აღმოჩნდება. „ხელოვანი“ შურის-
თვალთ უცქერის ლალ, მხიარულ „ცხოვრებას“. ხელოვანს არა-
აქვს უნარი ამ ლალი „ცხოვრების“ სულით თავისი სამყაროს გამს-
ქვალვისა, ამიტომ „ცხოვრებას“ აძევებს, დევნის თავისი სამყარო-
დან, მაგრამ ნაწარმოებს რეალისტური, ყოფითი პლანიცა აქვს. ამ:

¹⁷ თ ო მ ა ს მ ა ნ ი, მოთხრობები, გვ. 62.

ასპექტში ნაჩვენებია, რომ გლახაკ ადამიანს სიმპატია აქვს გლახაკისადმი, სუსტს — სუსტისადმი, სნეულს „სნეულისადმი“, მათ კასტური სოლიდარობის გრძნობა უვითარდებათ, მაგრამ საკმარისია, რომელიმე მათგანი განუდგეს მათ „კასტას“, საკუთარი ღირსების გრძნობა შეიძინოს, გამოჯანმრთელდეს და ა. შ., მაშინვე „კასტური“ შური და ბოროტება იფეთქებს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდება რენეგატს“¹⁸. ეს ყოველივე გარკვეულად შეიძლება ითქვას დეკანოზიშვილის ეტიუდებთან დაკავშირებითაც. მაგრამ მანის ეს ნოველები, კერძოდ, ტობიასი, გარკვეული აზრით, ნიცშეს დებულების მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენს. ნიცშე წერს: „თანალმობა... ნუგეშია სუსტთა და ტანჯულთათვის, რამდენადაც ისინი ამით რწმუნდებიან, რომ რაღაც ძალაუფლება მაინც აქვთ, თავიანთი სისუსტის მიუხედავად: ძალაუფლება ტანჯვის მიყენებისა. უბედური თავისი უპირატესობის ამ გრძნობაში ერთგვარ სიამოვნებას პოულობს (გავიხსენოთ დეკანოზიშვილის: „გამხმარა, გამხმარა“, გავიფიქრე მე და — და არ დაიჯერებთ, — მიამა, რომ ეს მართალი იყო. მე ვადარებდი ჩემ თავს ამ მწირს და ობოლ ხესა და რაღაც სიამოვნებასა ვგრძნობდი — ნ. ა.).— თანალმობის გამომჟღავნებისას მას ებადება ამის შეგნება: მისი წარმოსახვა მალღდება, ის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ შეუძლია ქვეყანას ტანჯვა მიაყენოს“. ნიცშეს მიხედვით, ამ ქვეყნად არსებობენ ფიზიოლოგიურად გაუბედურებულნი და ჭიანჭები. ესენი შურით, შურისძიების გრძნობით არიან აღვსილნი ბედნიერთა მიმართ, მათ სურთ თავიანთი „საკუთარი უბედურება, მთელი უბედურება საერთო ბედნიერთა სინდისზე შეაგდონ“¹⁹.

თავის მხრივ, ეს ბედნიერნი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი ზიზლით, ზემოდან დასცქერიან სუსტებსა და უძლურებს. ნიცშე მსჯელობს დისტანციის პათოსზე:

«Без пафоса дистанции, порождаемого воплощенным различием сословий, постоянной привычкой господствующей касты смотреть испытующе и свысока на подданных служащих ей орудием, и столь же постоянным упражнением ее в повиновении и повелении, в порабощении и умении держать себя далеко, совершенно не мог бы иметь места другой, более таинственный пафос, это стремление к увеличению расстояния в самой душе, дос-

¹⁸ ნოდარ კაკაბაძე, თომას მანი, გვ. 227.

¹⁹ ციტ. წიგნიდან: ნ. კაკაბაძე, თომას მანი, გვ. 229.

ტიჯენიე ვსე ბოლეს ვოზვყშენენი, ბოლეს რედკიხ, ბოლეს ოფდალენენი, ბოლეს ნაპრყენენი ხი შიროკიხ სოსოენი, სლოვო, ნე მოგლო ბყ იმესი მესი ნენი ვოზვყშენი ტიპი «ჩელოვეკი», პროდოგყაოესე «სეოოპრედელენი ჩელოვეკი», — უპოტრებლყა მორალნოე ფორმულა ვ სვერხ მორალნო მსმელეს. შური ერტი კასტის წარმომადგენლისა მეორისადმი ფიგურირებს ვეყს მოთხრობაში „მგელი“, თუმცა აქ საპირისპირო ტენდენციასთან გვაქვს საქმე: ყველასაგან მოძულებული მგელი ღმერთს ემუდარებოდა: „ღმერთო, რად გამაჩინე მგლად? რადა ვძულვარ ყველას? რად მომეცი ბუნება მგლისა? რად ვარ სისხლით გაუმადლარი? რატომ არა ვარ შველი, ან ირემი, თუნდ ბეჩავი კურდღელი?... მე მგლობამ უბედურების მეტი სხვა არაფერი მომიტანა... იქ რა ესაქმის ბედნიერებას, საცა ქეჭნა და მხილებაა სინდისისა?“²⁰. ვეყს მგელს დაუკარგავს კავშირი თავის კასტასთან და შურითაა შეპყრობილი მეორე სუსტი ბანაკის წარმომადგენელთადმი. ეს სწორედ საპირისპირო შურია იმისა, რაზედაც ნიცშე ლაპარაკობდა (შური სუსტებისა ძლიერთა მიმართ). ვეყს მგელი ფაქტიურად მგელი აღარ არის, რადგან მან დაპყარგა თავისი სულიერი ძალა (დაეჭვდა თავისი მგლური მორალის სისწორეში). ნიცშე წერს: «Как начиналась до сих пор всякая высшая культура на земле! Люди еще естественные по натуре, варвары в самом ужасном смысле слова. Хищные люди, обладающие еще не подломленной силой воли и жадной власти, бросались на более слабые, более цивилизованные, более миролюбивые расы, быть может, занимавшиеся торговлей или скотоводством, или на старые одряхлевшие культуры, в которых сгорали последние жизненные силы блестящим фейерверком духовного развития и порчи. Каста знатаных была вначале всегда кастой варваров: превосходство их заключалось прежде всего не в физической силе, а в духовной, — они являлись более цельными людьми (что на всякой ступени развития означает также и «более цельными зверьями»). ნიცშესათვის ამ სიმართელის დაკარგვა, ზნეობის „ცივილიზაციის“ გზაზე შედგომა (როგორც ეს ვეყს მგელს დემართა) მოასწავებს დაღუპვას: «Взаимно воздерживаться от оскорблений, от насилия и эксплуатации, соразмерять свою волю с волей другого: это можно считать в известном грубом смысле добронравием среди индивидумов, если даны нужные для этого условия (именно их фактическое сходство по

1. 20 ვეყა - ფეაველი, ტ. VI, გვ. 52.

силам и достоинствам и принадлежность к одной корпорации). Но раз мы попробуем взять этот принцип в более широком смысле и по возможности даже сделать его основным принципом общества, то он тот час же окажется тем, что он есть: волей к отрицанию жизни, принципом распада и гибели. Тут нужно хорошенько вдуматься в самую суть дела и воздержаться от всякой сентиментальной слабости: сама жизнь по существу своему есть присваивание, нанесение вреда, преодоление чуждого и более слабого, угнетение, суровость, насильственное навязывание собственных форм, присоединение и, по крайней мере, выражаясь мягко, эксплуатация»²¹.

„თავისუფლება, მტარვალთაგან (უმცირესობა) ხალხისათვის (უმრავლესობა) წართმეული ბედნიერებაა. თუ ერთს ადამიანს სტანჯავს, სჩაგრავს ტუსალობა, თავისუფლების წართმევა ფრინველს და ცხოველს ჰკლავს, რა თქმა უნდა, ხეირს არ დააყრის არც საზოგადოებას, რომელიც ადამიანთა კრებულია... თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია. ბრიყუელი და გონივრული. ბრიყუელი, როცა ადამიანი მარტოდმარტო თავის თავზე ზრუნავს. მხოლოდ ფიქრობს მას: „მე ვირგო და სხვა წყალმა ზიდოს. მე მქონდეს უფლება სხვა შეურაცხვეყო, და სხვას კი არა ჰქონდეს პასუხი მომთხოვოს. მარტო მე მქონდეს ნება ვცარცვო და მეორეს კი მოესპოს საშუალება თავის დაცვისა“. სხვის უფლება, ადამიანობა შელახოს დაუსჯელად, ხელშეუხებლად. ამისთანა ადამიანი მსგავსია მხეცისა, იგივე მხეცია და მისი თავმოყვარეობა არის მხეცური. მგელიც ასე ფიქრობს, ოღონდ თვითონ გაძღეს და მისი ჭირის ნაცვალი იყოს ათასი სული ცხვარი და ათიათასი. არაფერია მგლის ფიქრით ეს ცოდვა, ეს დანაშაული.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ დღეს არც მჩაგვრელები არიან თავისუფალნი; იმათაც ძვირად უჯდებათ თავისუფლების შენარჩუნება. მგელი კი თავისუფალია ვითომ? არა. ის მუდამ შიშს ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ უნდა ამომშხამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი. უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არის: უნდა მოკვდეს თოფით, საწამლავით ან ხაფანგში გაებას, სიკვდილი თან სდევს ყოველ ნაბიჯზე. მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდ არაფერს აშავებდეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი.

²¹ Ф. Н и т ч е, По ту сторону добра и зла, СПб, 1905, стр. 305.

ხოლო მგლად ქცეულს ადამიანს ასე არ უნდა მოეპყროთ! იმის გაწვრთნა ჩვენ — ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოუსპოთ მას საშუალება, დაუქეტოთ ბილიკები მგლური ინსტინქტების, სურვილების სანაწარდო და მორჩა მისი მგლობა²².

ვაჟას ეს სიტყვები, შეიძლება ითქვას, პასუხია ნიცშეს ზემოთ მოყვანილი აზრისა. ვაჟა სასტიკი წინააღმდეგია ყოველგვარი ძალმომრეობისა. მგელს მგლობა უნდა დავაქარგინოთ, — წერს ვაჟა, მაგრამ არც სუსტი და უძლურია მისი იდეალი. „სიბერე ერთ ბისტად არ ღირს. უშნო, ულაზათო, სრულებით არ უხდება სიცოცხლეს... რაში ვარგა ბებერი ხარი? ბებერი ცხენი? ბებერი ცხოველი თუ მცენარე, რაც უნდა იყოს არაფერში: ჰქარ ბებერს თოფი და გადააბრუნე, როცა აღარ ვარგა ურემში, გუთანში თუ ეტლში შესაბმელად, ცხენი — ზედსაჯდომელად, — როცა ცხოველი აღარ ვარგა იმ მიზნისათვის, რისთვისაც ღმერთს გაუჩენია, უნდა მოისპოს; ბებერი ხე, დაჰქარ ცული და მოსჭერი, დაურთე ცეცხლ და დასწვი. ასეა წესი ბუნებისა და სხეანაირად მოქცევა რომ მოვიწადინოთ ძალიან გულით, ვერ მოვიქცევით: სიცოცხლის, ცხოვრების ლოლიკა არ გვაძლევს ამის ნებას. ბუნება დაუძლეურებულს ყველაფერსა ჰკლავს და ხელში გვაჩეჩებს: ჩვენც როგორც გამოგვადგება, ისე გამოვიყენებთ, თუ არა და ვფლავთ მიწაში, ან გავვაქვს ნავაგზე. სიბერე განა მარტო ფიზიკური უძლეურებაა? არა, იგი ამავე დროს ზნეობრივი დაბეჩავებაც არის“²³. აქ იგი თითქოს ეთანხმება ნიცშეს აზრს: «Что называется жизнью? Жизнь — это значит беспрестанно отбрасывать от себя то, что желает умереть, жить — это значит быть суровым и неумолимым ко всему, что становится слабым и старым в нас»²⁴.

მაგრამ ნიცშესაგან განსხვავებით ვაჟა თანაუგრძნობს, ებრალება სისუსტე და სიბეჩავე, თუმცა ეს სიბრალოლი სიყვარულს არ ნიშნავს: „დაჩაგრულობა, ბეჩაობა რომ არ იყოს ქვეყანაზე, გრძნობას კაცთმოყვარულს, გრძნობას შებრალებისას რაშილა ევარჯიშნა? მაშინ ჩემი ნახევარი ბუნება მკვდარი უნდა ყოფილიყო, რითილა უნდა დამეყენებინა მალლა ჩემი თავი იმ უგულო უგრძნობელს ხარკამეჩებზედა, რომელნიც მაინც კაცის სახელს ატარებენ? ერთის სიტყვით, რათ უნდა ვყოფილიყავი კაცი?

²² ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. IX, გვ. 416.

²³ ვ ა ჟ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ტ. IX, გვ. 379.

²⁴ Ф. Н и ц ш е. Веселая наука, стр. 105.

წარმოვიდგინოთ ერთი დრო, როცა შესაბრალებელი ცხოვრებაში აღარავინ იყოს, შეწყალებას ბინა აღარსად არ ჰქონდეს წუთისოფელში, რა იქნებოდა მაშინ თვით ადამიანთა კრებული და თვით კაცი? იქნება თუ მოსახერხებელია ეს, კარგი რამ იქნებოდა, მაგრამ ჩემთვის კი მრავალი სურათი, რომელიც ჩემს თავზე მეტად მიყვარს, მკვდარი იქნებოდა. გამეორებით გეუბნებით, ეს ფიქრი, ეს აზრი იმიტომ მომწონს, რადგან შეუძლებელია ცხოვრების ისე მოწყობა, რომ შესაბრალისი აღარავინ და აღარაფერი იპოვებოდეს მასში. შეიძლება ესეც იყოს. ალბათ ბუნებას ესეთი კანონი აქვს, რასაც აკეთებს, გონივრად აკეთებს, მოსაზრებით აწყობს და შლის...

გულით გეტყვი, მე რომ არ მიყვარდეს და არ მებრალებოდეს ვინმე, თავს არ ვიცოცხლებდი და ვგონებ, შენც დამეთანხმები, რომ არც სასიცოცხლო ვიქნებოდი. ერთი რომ მიყვარს და მებრალება, ეს გრძნობა სიბრაალულისა მტანჯავს კიდევ; მაგრამ დიდათაც მასიამოვნებს — მასიამოვნებს ისე, რომ ამ საბრალო არსების ცხოვრება ოღონდ კი გავაუკეთესო და სიცოცხლე არაფერია ჩემთვის. იმის გულისათვის სიკვდილი მასიამოვნო, საამაყო, თავმოსაწონებელი ჩემთვის...

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ახალი კიდევ სხვა ვიფიქრე. ვფიქრობ, რომ სიბრაალულს სიყვარული სჯობია ბევრათ. სიბრაალული, ცოტა არ იყოს ბატონყმური გრძნობაა. მე რა უფლება მაქვს მებრალებოდეს ვინმე. მე, რომელიც იქნება თვითონ ვიყო შესაბრალისი? ნუთუ ეს იმას არა ჰნიშნავს: მე ბატონი ვარ და შენ კი ბეჩავი, ჩემი ყმაო. ვის ებრალება სხვა? იმას ვისაც თავის თავი იმაზე ბედნიერად მიაჩნია, რომელიც იბრალებს და იწყალებს. ღმერთმა ჰქნას, მომავალმა დრომ სიბრაალულის ნაცვლად სიყვარული გაამეტოს, მომავალმა მოჩანგემ სიყვარულს უმღეროს, ხოლო დღევანდელს დღეს კი ისევ სიბრაალული გვასულდგმულებს, რადგან შებრალებასა და შეწყალებას ბევრსა ვხედავთ, — გვებრალება, და რამდენადაც გვებრალება, იმდენად აღარ გვიყვარს“²⁵. და ისევ ამონაწერი ნიცშედან: «И гедонизм, и пессимизм, утилитаризм, и эвдемонизм — все эти образы мыслей, определяющие ценность вещей по возбуждаемому ими наслаждению и страданию, т. е. сопутствующим им состояниям и побочным явлениям, отличаются поверхностностью и наивностью, на которую каждый, кто чувствует в себе творческие силы и совесть

²⁵ ვ ა ე ა - ფ შ ა ე ლ ა, ტ. IX, გვ. 137.

художника, не может смотреть без насмешки, а также без сострадания. Сострадание к вам! Это конечно, не сострадание в том смысле, как вы понимаете его: это не сострадание к социальным «бедствиям», к «обществу» и его больным и обездоленным, порочным и изломанным от рождения, распростертым вокруг нас на земле; еще того мене являясь оно состраданием к ропщущим, придавленным, мятежным рабам, которые стремятся к господству, называя его «свободой». Наше сострадание более возвышенное и дальновидное страдание: — мы видим, как человек умяется, как вы умяете его! — и бывают минуты, когда мызираем именно на ваше сострадание и с неопикуемой тревогой, когда мы защищаемся от этого сострадания, — когда мы считаем вашу серьезность опаснее всякого легкомыслия. Вы хотите, если можно, и нет более безумного, «если можно» — устранить страдание; а мы? — по-видимому, мы лучше хотим, чтоб оно стало еще сильнее и тяжелее, чем когда-либо! Благодействие, как вы его понимает, — ведь это не цель, это, не наш взгляд, конец! Это состояние, делающее человека сейчас же смешным и презренным, — заставляющее желать его гибели! Дисциплина страдания, великого страдания — разве вы не знаете, что только эта дисциплина создавала до сих пор всякое возвышение человека? Это напряжение души в несчастии, которое прививает ей крепость, ее ужас при виде великой гибели, ее изобретательность и мужество в перенесении, претерпении, истолковании, использовании несчастья, и все, что даровано ей в виде глубины, тайны, личности ума, хитрости, величия: — разве не даровано ей это под оболочкой страдания, под дисциплиной великого страдания? В человеке соединены творение и творец: в человеке есть материал, обломки, излишек материала, глина, грязь, безумие, хаос; но в человеке есть также и творец, скульптор, твердость молота, божественность созерцающего и седьмой день: — понимаете ли вы этот контраст? И понимаете ли вы, что ваше сострадание относится к «творению в человеке, к тому, что должно быть подвергнуто формовке, разлому, ковке, разрыву, ожигу, накаливанию, очищению — к тому, что страдает по необходимости и должно страдать»²⁰.

²⁰ Ф. Н и т ч е, По ту сторону добра и зла, СПб, 1905, стр 306.

ვაჟას მშვენივრად ესმის ეს კონტრასტი, მაგრამ იგი მაინც თანაგრძნობის მომხრეა, რადგან თანაგრძნობა მისთვის უაღრესად ადამიანური, ჰუმანური გრძნობაა, ურომლისოდაც „ნახევარი ბუნება მკვლარი იქნებოდა“, — ადამიანი მოკლებული იქნებოდა ადამიანურობას. ვაჟას თანაგრძნობა მიმართულია არა მხოლოდ ადამიანი — „ქმნილების“ მიმართ, არამედ საერთოდ ადამიანის მიმართ, რომლის მთლიანობა დარღვეულია, სადაც ეს „ქმნილება“ მოწყვეტილია „შემოქმედს“, რაც ნიცემესათვის აუცილებელი პირობაა შემოქმედის განწყენდისა და მისი ზეკაცად ქცევისა, ჩამოყალიბებისა. ეს არის ფაქტიურად ადამიანსა და ზეკაცს შორის წინააღმდეგობით გამოწვეული ტრაგიკული გაორება, რომელიც, ჩვენი აზრით, „გველის მკამელის“ ძირითად იდეას შეადგენს. ქაჯური სიბრძნით შეიარაღებული, ადამიანებზე ამაღლებული მინდია მაინც არ იქცევა ნიცემეანურ ზეკაცად, რადგან „ბოროტმამის გულში ვერ მოიკიდა ფეხია, სხვა დანარჩენი ქაჯური ყველა ისწავლა ხერხია“. ქაჯური, არაადამიანური ძალით აღჭურვილი მინდია შინაგანად მაინც ადამიანად დარჩა. სწორედ ეს ქაჯური და ადამიანური აღმოჩნდა საბოლოო ჯამში შეუთავსებელი ერთმანეთთან. თუკი ნიცმე გათიშვას. ადამიანის ხარჯზე, ადამიანის ხიდად გამოყენებით ზეკაცის ამაღლებას მოითხოვს, ვაჟა ჰარმონიის მომხრეა; ვაჟას ფილოსოფია ნიცმესაგან განსხვავებით უაღრესად ზნეობრივია, აზღენად ნიცმესეული ზეკაცი ვაჟასთან მტარველად წარმოგვიდგება, ხოლო ყოველგვარი დაპირისპირება ზეკაცსა და ადამიანს შორის (რაც ნიცმეს გაგებით სავსებით აუცილებელია): ვაჟასთან უკიდურესი ტრაგედიის გამოხატულებაა.

ვაჟა-ფშაველა ისეთი ძალის შემოქმედია, რომელსაც შეეძლო ეპოქის განწყობილებების საკუთარ პრიზმაში გატარება. შეეძლო საკუთარი პასუხი გაეცა ეპოქის საჭირობოროტო კითხვებზე. აქ მოტანილი პრობლემა მხოლოდ მცირე ასპექტია მისი მრავალმხრივი და ღრმა ჰუმანიზმისა.

სამაგიეროდ, ამ პერიოდის მწერალთა დიდი უმრავლესობის შემოქმედების უმთავრეს საკითხს სწორედ „პატარა ადამიანის“ პრობლემა წარმოადგენს. ამ პერიოდის ლიტერატურაში პატარა ადამიანის ჩვენების ორი ძირითადი ტენდენცია შეიმჩნევა. პირველში ასახულია პატარა ადამიანის ყოფა, მისი დუხჭირი და მძიმე ცხოვრება, ხოლო მეორეში უფრო ამ ადამიანის შინაგანი სამყაროს წარმოჩინების ცდაა წარმოდგენილი, ამიტომ ამ მიმართულების მწერლებს ამ პერიოდის ქართულ კრიტიკაშიც ხშირად ფსიქოლო-

გიური შიშართულების წარმომადგენლებს უწოდებდნენ. პირველი შიშართულების მეთაურად 90-იანი წლების ქართულ პროზაში ეგნატე ნინოშვილი უნდა ჩაითვალოს, ხოლო მეორე შიშართულების მთავარი წარმომადგენელია შიო არაგვისპირელი. პირველი ჯგუფის მწერლებს შეიძლება მივაკუთვნოთ რ. ფავლენიშვილი, ი. კორტელი, სიკო, თ-ლი, პარტენაშვილი, დ. თომაშვილი, არბოელი, თლუღელი, პელაგიაშვილი, ბებრიძე და რამდენიმე სხვა. მეორეს (არაგვისპირელის ჯგუფის მწერლებს) მიაკუთვნებენ ილია ელფეთერიძეს, ანდრია დეკანოზიშვილს, იასონ ნიკოლაიშვილს, ივანე ზუბაშვილს, დიმიტრი ერისთავს, ელენე წერეთელსა და ნატოს.

პირველი ჯგუფის მწერალთა შემოქმედებაში საკმაოდ დოზით ვრცლად არის წარმოდგენილი ნატურალისტური ელემენტები, თუმცა საგრძნობლად განსხვავდება ტრადიციული ე. წ. ფრანგული ნატურალიზმისაგან. ეს შიშართულება (ეს შტო) 90-იანი წლების ქართული მწერლობისა უფრო ნატურალიზმის იტალიურ ნაირსახეობას უახლოვდება, რომელიც ვერიზმის სახელით არის ცნობილი (ამ შიშართულების საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ ვერგა და კაპუანა, აქვე იღებს სათავეს ლუიჯი პირანდელის შემოქმედება). ვერიზმი გამოხატულება იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მარცხით გამოწვეული განწყობილებისა. ილუზიების მსხვერველამ უბიძგა მწერლებს დაეხატათ ნამდვილი, რეალური იტალია თავისი სილატაკითა და ჩამორჩენილობით. აღსანიშნავია, რომ იტალიაში კრიტიკული რეალიზმი, როგორც მიმდინარეობა, არ არსებობდა და ვერიზმი პირდაპირ რომანტიზმს შეენაცვლა. მიუხედავად საერთოდ ნატურალიზმისათვის დამახასიათებელი ბევრი ნაკლოვანებებისა, ვერისტებმა ბევრი გააკეთეს იტალიური ლიტერატურის განვითარებისათვის. მათ აჩვენეს იტალიური სოფლის ცხოვრება და გლეხობის უკიდურესი სილატაკე ყოველგვარი შელამაზებისა და ზედმეტი მელოდრამატულობის გარეშე. სწორედ ეს ანათესავებს უმთავრესად იტალიურ ვერიზმს ნინოშვილის ჯგუფის მწერლებთან. აქაც და იქაც გამოკრთის გულწრფელი სიმპატია დაჩაგრულთა და შეურაცხყოფილთა მიმართ და ხშირად გაისმის მწარე ირონია, მიმართული ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგ, ყველა მათ წინააღმდეგ ვინც ჩაგრავს პატარა, საბრალო ადამიანებს. უბრალო ხალხის (უმთავრესად სოფლის) ცხოვრებით დაინტერესება აძლევს ამ მწერალთა შემოქმედებას ეროვნულ კოლორიტს.

მეორე ჯგუფის მწერლებს, როგორც აღვნიშნეთ, უფრო ადამიანის შინაგანი სამაყროს ჩვენებისა და ფილოსოფიური განზოგადების პრეტენზია აქვთ. ბევრ ნაწარმოებს ერთგვარი აღსარების ფორმა ეძლევა. სოფლის სურათების ნაცვლად აქ უმთავრესად ქალაქური ცხოვრებაა წარმოდგენილი. მოქმედ პირებად „ინტელიგენტთა“ სახეები სჭარბობს. პირველი ჯგუფის მწერლებისათვის დამახასიათებელი ეროვნული კოლორიტი აქ თითქოს ქრება, ისინი, თუ შეიძლება ითქვას, საკაცობრიო პრობლემებს აყენებენ. ადამიანის დეპროიზაციის პროცესი, მისი სრული უძღურება და უსუსურობა საზოგადოებისა და ბუნების ძალების წინაშე, აი, საკითხთა ძირითადი, არცთუ ფართო რკალი, რომელიც გამსჭვალავს ამ მწერალთა შემოქმედებას. ადამიანის უძღურების, მისი სიმცირის და უმნიშვნელობის ტრაგიკული განცდა არის ძირითადი მოტივი, თემა მათი შემოქმედებისა. ადამიანი მლილია, რომლის ტანჯვა და უბედურება ჩაკარგულია და გათქვეფილი მილიონობით მის მსგავსთა ტანჯვასა და უბედურებაში. ბუნება გულგრილია ადამიანის ბედის მიმართ, მაგრამ განა ადამიანებიც ასე გულგრილნი უნდა იყვნენ ერთმანეთის ხვედრის მიმართ? განა მათთვის უცხო უნდა იყოს თანაგრძნობა და შებრალება? აი, ბავშვებმა მწყერებზე ნადირობისას მოკლეს საბრალო დედამწყერი, რომლის საცოდავმა სიკვდილისწინა გამოხედვამ მათში სინანული და სიბრალული გამოიწვია. შ. არაგვისპირელის ეს მოთხრობა გარკვეულად ვაჟას მსგავს მოთხრობებს ეხმაურება. აქაც როგორც ვაჟასთან, თანაგრძნობის, შებრალების პრობლემა დგას. სიბრალული, თანაგრძნობა, როგორც ვაჟასთვის, ისე არაგვისპირელისათვის, უაღრესად ადამიანური, ჰუმანური გრძნობებია. მაგრამ ამ მოთხრობის სათაურია „მოგონება“ (ყმაწვილების ცხოვრები-ბიდან), რაც, ჩვენი აზრით, იწას უნდა მიანიშნებდეს, რომ ეს გრძნობა წარსულიშივე დარჩა სიყმაწვილესთან ერთად და მისგან მხოლოდ მოგონებალა შემოგვრჩა. ახლა კი ადამიანს ადამიანის სახე დაუქარგავს, იგი პირუტყვად ქცეულა.

ადამიანის ცხოველად ქცევის, ცხოველთან მისი შედარების შესახებ მხატვრულ ლიტერატურაში ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ ლაპარაკი. შიო არაგვისპირელიც მიმართავს ამ ხერხს. იგი საოცარი მხატვრული ოსტატობით ავლებს პარალელს ადამიანსა და სასიკვდილოდ განწირულ პირუტყვს შორის („ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი“). სწორედ ძროხად გარდაქცეული ალექსა სალახი შეიცნობს საკუთარი არსებობის ნამდვილ არსს. სწორედ იმ დასაკლ-

ვად განწირულ ძროხად ქცეული შეიცნობს საკუთარ უსუსურობასა და განწირულობას. ალექსას არ გააჩნდა არავითარი კაცთმოყვარული გრძნობა, რომლითაც, როგორც ვაჟა ამბობს, უნდა დაეყენებინა საკუთარი თავი მალლა „იმ უგულო უგრძნობელს ხარკამეჩებზე, რომელნიც მაინც კაცის სახელს ატარებენ“. და, აი, ეს გრძნობა გაუღვიძა მას მისმა საოცარმა მეტამორფოზამ. ალექსა სალახის პირუტყვად გადაქცევამ მასში ადამიანი გააღვიძა. თითქოს მწერლის მიზანი მიღწეულია, სათქმელი ითქვა. მაგრამ სწორედ აქ გვთავაზობს არაგვისპირელი ერთგვარად მოულოდნელ, თავის მხატვრული სიძლიერით განხორციელებულ ფინალს. ესაა ალექსა სალახის კიდევ ერთი (ამჯერად არა წარმოსახული, არამედ რეალური) მეტამორფოზა: მის მიერ საკუთარ თავში ახლად გავლიძებული ადამიანობის ჩაკვლა და კვლავ უგრძნობელ მხეცად გადაქცევა. ალექსა სალახმა მეკავშირედ და თანამდგომად, თავის ახლადგავლიძებული ადამიანურობის განსამტკიცებლად ვერც ღმერთი და ვერც კაცი ვერ იპოვნა. მან ხსნა ისევ ბახუსში ჰპოვა და მასთან კავშირში შეძლო თავისი „ადამიანური სისუსტის“ დაძლევა. ადამიანი საბოლოოდ ჩაკვდა მასში. ამ მოთხრობაში, ჩვენი აზრით, შეიძლება ნიციშეს ერთგვარი გამოძახილი დაკინახოთ (ცხოვრების ინსტინქტზე აქცია ალექსა ადამიანური სისუსტისაგან, ყოველგვარი ზნეობრივი კანონისაგან თავისუფალ. „ძლიერ აიროვნებად“), მაგრამ აქ კვალიც კი აღარ არის ნიციშეს მოჩვენებითი ოპტიმიზმისა, რომელიც მისი ე. წ. „დიონისური პესიმიზმისათვის“ არის დამახასიათებელი. ალექსა სალახი მხოლოდ ტრაგიკული პაროდიაა ნიციშესური ზეკაცისა. ეს ანტიპუმანიზმი, ეს მიზანთროპია არაგვისპირელისათვის სავსებით ბუნებრივი რეაქციაა საზოგადოების მიერ დაჩაგრული, გარიყული ადამიანებისა უღმობელი და მათი ბედისადმი გულგრილი ცხოვრების მიმართ, ესაა მათი თავდაცვის ინსტინქტი — გახდნენ ისეთივე გულგრილნი და უღმობელნი, როგორც ცხოვრებაა, შექმნან ილუზიური, ადამიანობის დაკარგვის ფასად მოპოვებული „ეკეთილდღეობა“. ამიტომ მიიღო ალექსა სალახმა ცხოვრება მთელი თავისი სისასტიკით და უბედურებით. ცხოვრებამ უღმობლად ჩაკვლა მასში ადამიანური ყოველგვარი გამოვლინება და იგი თავის მორევში ჩაითრია, „ცხოვრების“ კაცად აქცია. ცხოვრება უპირისპირდება ადამიანს — ფიზიკურად სპობს მას, ანადგურებს, ანდა ართმევს ადამიანობას და ადამიანურ „სისუსტეთაგან“ განაარცულ გულრძო არსებად, „ცხოვრების კაცად“ გადააქცევს. უქმნის მას ილუზიურ „პირუტყვეულ ბედნიერებას“.

თუმცა ხშირად ამგვარი ბედნიერება ადამიანში არასრულობის, სინდ-ლის ქენჯის განცდას იწვევს. ასეთ „ცხოვრების კაცად“ იქცა ბე-
ჟან მანასიძე „ახალი რახმეტოვი“, „ყმაწვილი კაცის ქვეყნად გან-
ხორციელებული იდეალი“ (ელ. წერეთლის „იდეალი და ცხოვრე-
ბა“), რომელმაც უღალატა თავის მრწამსს და თავის დანიშნულებას,
თავის იდეალს — რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოეტანა, თავ-
განწირულად ებრძოლა სხვებისათვის და მხოლოდ თავის თავზე
მზრუნველ ეგოისტად გადაიქცა. ამგვარი მეტამორფოზა, როგორც
ჩანს, დამახასიათებელია ეპოქისათვის და ამიტომაც ხშირად ვხვდე-
ბით ამ პერიოდის ლიტერატურაში (შიო არაგვისპირელის „პარამხა-
ნის სურათი“, „ადამიანი“, ია ეკალაძის „მთავრეს“ და სხვა). ყველა ამ
მოთხრობის გმირი იქმნის ილუზიურ ბედნიერებას, მაგრამ ყოველი
მათგანისათვის ნიშანდობლივია შინაგანი უკმაყოფილება, ერთ-
ვევარი სინდისის ქენჯნა თუ სინანული იმ არასრული ილუზიური
ცხოვრების გამო, რომელიც ოდნავადაც არ შეესაბამება მათივე
იდეალს. ცხოვრების მოწყობა არ არის ბედნიერების გარანტია.
ამაში რწმუნდება ელ. წერეთლის მოთხრობის გმირმატა („ბედ-
ნიერება“). მას საერთოდ ბედნიერების არსებობაში ეპარება ექვი,
საპაგიეროდ, ბედნიერად თვლის თავს მატას მეგობარი რუსო,
რომელიც მატას მსგავსად გონებით კი არ სწონის ცხოვრების ავ-
კარგს, არამედ მთელი არსებით ეძლევა მას. ცხოვრების სწორედ
ამ თავდავიწყებულ სენსუალურ წვდომაში ხედავს იგი ბედნიერე-
ბას. რუსო შინაგანად ბედნიერია, თუმცა გარეგნულად, ობიექტუ-
რად მისი ცხოვრება მოუწყობელია, უბედურია. იგი ბედნიერია
იმით, რომ იცხოვრა თავისი, სრული ცხოვრებით. ბედნიერება
ყოველი კაცის ხვედრია, მაგრამ იგი რჩეულთა წილ მოდის, რად-
გან ძნელია იმ წვრილ-წვრილად დაგლეჯილი და ცხოვრების სხვა-
დასხვა კუთხეებში მიმობნეული ნაწილების პოვნა და შეკავშირება,
ზოგს (მაგ. მატას) ამ ნაწილის მთელად წარმოდგენა და იმით დაკმა-
ყოფილება სურს, რის გამოც სრული ბედნიერების განცდა მის-
თვის მიუღწეველია. ამ ნაწილის იქით, რომელიც მათ აბსოლუტის
რანგში აპყავთ, ისინი ხშირად ვერ ხედავენ მთელს, მთავარს. ეს
მთავარი თვითონ მათშია მიმაღული და ჩაკარგული. ამ აზრით შე-
იძლება ითქვას, რომ რუსო მატას ორეულია მისი მეორე, ნამდვი-
ლი, სრული ცხოვრებაა, რომელთაც მას არ უცხოვრია.

მხოლოდ სიკვდილის წინ ხვდება ივ. ზურაბაშვილის მოთხრო-
ბის გმირი ფილიპე („ფილიპე“), რომ მის ცხოვრებას არც აზრი

არც მიზანი არ ჰქონია, რომ ბედნიერება თურმე იქ არ ყოფილა, სადაც მას ეგონა.

ცხოვრების აზრს, ბედნიერების უნაყოფო ძიებას პატარა ადამიანი მიჰყავს სასოწარკვეთილებამდე და ცხოვრების ამაოების შეგნებამდე. „ჩვენში ახლა ყველა პატარა ფაუსტია — ნეტა რა მიზეზი უნდა იყოს?... ჩვენი ახალგაზრდები ბევრნი გულგატეხილნი და სიცოცხლეს მოკლებულნი არიან“ ვკითხულობთ დეკანოზიშვილის „დალუპულში“. სწორედ ამგვარი პატარა ფაუსტია ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი, რუსეთში მყოფი უსახელო ქართველი სტუდენტი, რომლის ფაუსტური ძიების შედეგს წარმოადგენს ქვეყნის ამაოებისა და საკუთარი უძლურობის შეგნება.

ადამიანის უსუსურობა, უძლურება, მის ლტოვილთა და მისწრაფებათა ამაოება კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს იმ მარადიული და ტოტალური ძალების გვერდით, როგორცაა დრო და სიკვდილი (დეკანოზიშვილის „ის კი მიდიოდა“, „სხვისია სხვისი“, ივ. ზურაბაშვილის — „სასაფლაო“, „საათი“ და სხვ.). სიკვდილისა და თვითღროის გარდა, ამ ქვეყანაზე ყველაფერი დროებითია. დროებითია და წარმავალი თვით სიყვარულიც, რომლის მარადიულობასაც ეფიციბიან ადამიანები ერთმანეთს და რომელიც თითქოს საწინდარია ადამიანის სრული ბედნიერებისა (ელ. წერეთელი „ბედნიერება“) უღმობელ დროს ყოველივე მიაქვს ყოველივეს ახუნებს.

ან. დეკანოზიშვილის მოთხრობაში „სხვისია სხვისი“ იგივე შინაარსია, რაც გალაკტიონის „მესაფლავეში“. ერთიცა და მეორეც ფაქტიურად ერთსა და იმავე განწყობილებას გადმოგვცემენ. აღვილი შესაძლებელია დეკანოზიშვილის ამ მოთხრობამ. გარკვეული როლი შეასრულა „მესაფლავის“ შექმნაში. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ორივე ეს ნაწარმოები გარკვეულად უკავშირდება ვაჟას ლექსს „მოგონებას“, სადაც მოთხრობილია. თუ როგორ დასტირის ახლად დაქვრივებული ახალგაზრდა ქალი თავის მეუღლეს და მზადაა „საფლავში დაეტანოს“ მას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ იგი სხვახასიათზე დგება, სიცოცხლე მოწყურებული კვლავ გათხოვებაზე ფიქრობს და „სწადია იპოვოს პირველის მსგავსი ვაჟი“. ვაჟა-ფშაველა სავსებით ბუნებრივად მიიჩნევს ამ ამბავს, ამაში ხედავს იგი ადამიანის სასიცოცხლო ძარღვს, ესაა მისი ოპტიმიზმი. მაშინ, როდესაც ა. დეკანოზიშვილიც და შემდეგ გ. ტაბიძეც ცოცხალთა „გულმავიწყობაში“ ხედავენ არა სიცოცხლის გამარჯვებას, არამედ ცხოვრების ამაოებას, ყველაფრის წარმავლობასა და უკვალოდ დასამარებას.

დაიკარგა ადამიანთა შორის სიყვარული... სიყვარული, რომელიც აკეთილშობილებდა ადამიანს, ჩრდილავდა მის მხეცურ თვისებებს და ბუნების გვირგვინად ზდიდა (ილია ელფთეერიძე „სიყვარულის ყვავილი“). ადამიანებს შორის დაისადგურა ეჭვმა, უნდობლობამ, იმან, რასაც დღეს არაკომუნიკაბელობას უწოდებენ, ყოველივე ეს სიყვარულს სიძულვილად აქცევს (შ. არაგვისპირელის „მძულხარ“). ადამიანებს შორის არის დახშული ფარდა, რომელიც მათ ერთმანეთთან მისვლის, ერთმანეთის გაგების საშუალებას არ აძლევს. ცხოვრება, მთელი ქვეყანა კედლებით არის დაყოფილი, ორ კაცს ვერ ნახავ მათ შუა კედელი არ იყოს ამართული (დუქანოზიშვილი „დალუპული“). გაუვალი კედელი, სრული დისპარმონიაა ადამიანის მისწრაფებებსა და რეალურ სინამდვილეს შორის, ადამიანსა და ცხოვრებას შორის, ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანსა და ადამიანს შორის და ბოლოს სრული დისპარმონიაა თვით ადამიანში, მის არსებაში, პიროვნებაში, რომლის შედეგია სწორედ ეს „გულგატეხილობა“ და „უსიცოცხლობა“. კაცს სმა, ჰამა, სიცოცხლე უნდა, — სული კი ტკბილია ...და ადამიანიც ეფლობა ამ ყოველდღიურ ყოფაში ლუკმაპურისათვის ბრძოლაში და აღარ რჩება დრო იფიქროს თუ „რა ვიყავ, რა ვარ და ან რა უნდა ვიყო... (ია ეკალაძე „მთვარიანი ღამე“). ეს ადამიანის დეჰეროიზაციის, მისი დაპატარავების სოციალ-ეკონომიური საფუძველია.

რ. ფალავანდიშვილის მოთხრობის მთავარი გმირი გიორგი ქელეხისაშვილი არ არის ტიპიური „პატარა კაცი“, პირიქით, პოტენციაში იგი ძლიერი პიროვნებაა, ტოლ სწორებში გამორჩეული, მაგრამ ცხოვრების პირობებმა იგი „პატარა ადამიანად“ აქცია. განუხორციელებელი ბედნიერება, რომლისთვის ის იღწვოდა იქცა მიზეზად მისი დაპატარავებისა, დაჩიავებისა. თუ კი აღრე სიყვარული იყო ამამალელები, ადამიანისათვის სტიმულის მიმცემი, ვაჟკაცობის, გმირობის შთამნერგავი, გიორგი ქელეხისაშვილი სწორედ სიყვარულმა დააჩაჩანაკა, დააბეჩავა (ყურადსაღებია ერთი დეტალიც, აქ ქელეხისაშვილის სიყვარულის გამოხატულებას სატრფოსადმი მიცემული ფული შეადგენს, ფულზეა დამყარებული მისი და მისი სატრფოს ურთიერთობა).

შიო არაგვისპირელის შემოქმედებაშიც ჩანს ადამიანის დეჰეროიზაციის ეს სოციალური ძირები. „განა შეიძლება კაცი დაიბადოს დედის მუცლიდან გარყვნილის აგებულებით?... იქნებ ამის მიზეზი თვით ის წრე და ის საზოგადოებრივი წყობილება იყოს.

რომელშიც იბადებიან და იზრდებიან ეს საბრალო არსებანი? თუმცა ბოროტებს წყარო არ არის მხოლოდ საზოგადოება, აქ არც თუ ცოტა წვლილი მიუძღვის თვითონ ადამიანს თავისი ეგოისტური არსით. მანკიერი საზოგადოების პირშო მანკიერი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებებისაგან შემდგარი საზოგადოება ბუნებრივად მანკიერი იქნება. ეს მომაჯადოებელი წრეა, რომლის გარღვევასაც ვერც არაგვისპირელი და ვერც მისი მიმდევარი სხვა მწერლები ახერხებენ. ეს დაუძლეველი წინააღმდეგობა, ეს სკეპსისი, დაეჭვება ადამიანურ საწყისში და ამით გამოწვეული პესიმისტური განწყობილებები უბიძგებენ ამ მწერლებს ანტირეალიზმისაკენ. უქმნიან დეკადანსის საფრთხეს, რომლის გამოვლინებები უეჭველად შეინიშნება მათ შემოქმედებაში.

მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. ცისკარიძე, ჩვენი ნოველა იმთავითვე მკვიდრ რეალისტურ ნიადაგზე აღმოცენდა. არაგვისპირელმა და მისმა მიმდევრებმა შეძლეს ქართული პროზის მაგისტრალური ხაზის განაგრძობა, ჰუმანისტური ტრადიციების შენარჩუნება... მათი სკეპტიციზმი უმთავრესად მათი ღრმა ჰუმანიზმიდან გამომდინარეობს და, მიუხედავად ადამიანის შესაძლებლობებში დაეჭვებისა, მისი უპერსპექტივობით გამოწვეული ეს სკეპსისი, დაეჭვება და გულგატეხილობა არასოდეს არ იქცევა მიზანთროპიად. ადამიანის დეჰეროიზაცია ამ მწერალთათვის უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ მათ არასოდეს არ ლაღობთ „პატარა ადამიანებისადმი“ ჰუმანური დამოკიდებულების, თანაღმობის გრძნობა.

შალვა გოზალიშვილი

აპაკი წერეთელი და სერგეი მესხი

(საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამეგობრობა)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამშობლოსათვის თავდადებულ ქართველ მოღვაწეთა შორის, თვალსაჩინო ადგილი, აკაკი წერეთელთან ერთად, სერგეი სიმონის ძე მესხს უკავია. იგი ეკუთვნის იმ სახელოვან თაობას, რომელმაც მეფის რუსეთის იმპერიის ხანაში თავისი უანგარო მოღვაწეობით ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა.

სერგეი მესხის გულშემატკივარი მეგობარი აკაკი წერეთელი „დროების“ რედაქციის უახლოესი წევრი და მოკირნახულე თანამშრომელი იყო. იგი წლების მანძილზე მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა. ბეჭდავდა მოხდენილ ფელეტონებს, „ცხელ-ცხელ ამბებს“, პოემებს, ლექსებს და მით გაზეთს აცხოველებდა და ხალისს მატებდა. აკაკის ხშირად უსიამოვნებაც კი ჰქონდა ხოლმე გაზეთის რედაქციასთან, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ბოლომდის ახლო მეგობრობა ჰქონოდა სერგეი მესხთან.

თავის მხრივ, სერგეი მესხიც, სიკვდილამდის აკაკის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი იყო. სერგეის მასთან ყოველთვის მჭიდრო საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

სერგეი მესხისა და აკაკი წერეთლის ახლო, მჭიდრო ურთიერთობას, მათ დიდ მეგობრობასა და ძლიერ ადამიანურ სიყვარულს გამოხატავენ ს. მესხისა¹ და აკაკი წერეთლის ურთიერთისადმი მიწერილი წერილები², მთელი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ეს

¹ სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი ჩვენი პუბლიკაციით. იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 165—188.

² შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთლის წერილები სერგეი მესხისადმი, იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1960, № 9, გვ. 107—114; აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი 15, 1963, გვ. 98—111.

მათი პირადი წერილებიც საზოგადოებრივი საქმიანობისა და უანგარო მოღვაწეობის, თავდადებისა და უზომო ერთგულების ლამაზ მხარეებს გვიშლიან. უკლებლივ ყველა ეს წერილი თავს დასტრიალებს მეტად საჭირბოროტო საკითხებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ იმ დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი აქტუალური საკითხის შესასწავლად და გასაშუქებლად.

აქაკის მხოლოდ ცხრა წერილია სერგეი მესხისადმი, ხოლო სერგეისა აქაკისადმი — ათი წერილია ჩვენამდე არასრულად მოღწეული და დაცული. თავისთავად ცხადია, რომ წერილების რაოდენობა გაცილებით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო.

დიდი პოეტისადმი მიწერილ ყოველ წერილში სერგეი მესხის ფიქრი თავს დასტრიალებს გაზეთ „დროების“ მუშაობის გაუმჯობესებას, ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხების მოგვარება-გადაჭრას, სამშობლოს კეთილდღეობისათვის ყოველდღიურ ზრუნვასა და თავდადებას.

სერგეი მესხი თავისი წერილებით არ აძლევს საშუალებას აქაკი წერეთელს, რომ მან ერთი წუთითაც კი შეანელოს ყურადღება და შზრუნველობა გაზეთისა, ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი საკითხების მიმართ. აქაკიც, ამის საპასუხოდ, თავისი მხრით, ჩვეული ნიჭიერი კალმით, არ აკლებს სერგეის და მის გაზეთ „დროებას“ ყურადღებას, სისტემატურად აწვდის ფელეტონებს, „ცხელ-ცხელ ამბებს“, ლექსებს, პოემებს და ამით ხელს უწყობს საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების განვითარებისა და ყოველდღიური ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლას.

აქაკისა და სერგეის ამ პირად წერილებს, მათს მდიდარ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობასთან ერთად, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. არც ერთი წერილი არ ატარებს კერძო ხასიათს, — ყოველ მათგანში საუბარია საზოგადოებრივსა და ლიტერატურული ხასიათის საჭირბოროტო საკითხებზე და ამდენადაც, ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის წარმოადგენს მეტად საჭირო და აუცილებელ მასალას.

კერძოდ, ამ წერილებიდანაც მოჩანს ის დიდი დამსახურება; რომელიც მიუძღოდა აქაკი წერეთელს იმ დროისათვის ერთადერთი ქართული გაზეთის მუშაობაში. აშკარაა ის ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა, რომლითაც მაშინდელ მიძინებულს, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მოღუწებულ მაჯის ცემას აცხოვე-

ლებდა, ინტერესს აღვიძებდა და ხალისს აღუძრავდა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ეს ორი თვალსაჩინო წევრი თავიანთ პირად წერილებშიც ყოველდღიურად ცხოვრების აქტუალურ საკითხებს ეხმაურებიან, თაობათა შორის გამართულ ბრძოლას და სხვა.

სერგეი და აკაკი, როგორც „ახალი თაობის“ წარმომადგენლები, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ „მამების“ წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში. ისინი თანმიმდევრულად მიჰყვებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯის ცემას. ყველაფერი ის, რაზედაც კი შეუძლებელი იყო თავისუფლად, აშკარად მსჯელობა და წერა პრესის საშუალებით, მოსახერხებელი იყო მხოლოდ კერძო ბარათებისა და წერილების მეოხებით. სწორედ ამ წერილებმა შეიძვეინახეს ბევრი რამ, უტყუარი და ჭეშმარიტი იმ სულიერი და საზოგადოებრივი სამყაროდან, რაც ძირითადი და დამახასიათებელი იყო თავიანთი მოღვაწეობის მთელ პერიოდში ქართული კულტურის ამ ორი დიდი მოამაგე ადამიანისათვის.

სერგეი მესხისა და აკაკი წერეთლის მთელ ლიტერატურულ შემკვიდრობასთან ერთად, მათი პირადი წერილებიც საკმაოდ უხვ მასალას იძლევიან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივ-ლიტერატურული ცხოვრებისა და აზროვნების ისტორიის შესწავლისა და კვლევის საქმეში.

სერგეი მესხის საზოგადოებრივი და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ამსახველ მასალებთან ერთად, მის პირად წერილებსაც აკაკისთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან და მწერლებთან, მახლობელ ნაცნობ-მეგობრებთან, ნათესავებთან და სხვებთან, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობისაა, გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

წერილებში მოცემულია საზოგადოებრივი ხასიათის მეტად საყურადღებო ცნობები და ფაქტები, რომლებიც ეხებიან ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებს: ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, ალ. ცაგარელს, ივ. მაჩაბელს, ი. გოგებაშვილს, ბ. ჯაფარიძეს პ. მელიქიშვილს, ივ. მესხს, პ. იზმაილოვს, მიხ. ბეთანიშვილს და სხვებს.

სერგეი მესხის ყველა წერილი აკაკი წერეთელთან, კირილე ლორთქიფანიძესთან, სტეფანე ზარაფიშვილთან, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვ., მეუღლესთან მიწერილ წერილებთან ერთად, საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. მათში მოცემულია საერთოდ გა-

სული საუკუნის 70—80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, ისტორიის, ლიტერატურის მთელი რიგი საკითხები, იმავე დროს ს. მესხი, ისევე როგორც აკაკი წერეთელი, თავის წერილებში ეხება ყველა იმ პირებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ საზოგადო და ლიტერატურულ ასპარეზზე და გარკვეული მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. თითქმის არ დარჩენილა იმ დროს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომ სერგეი მესხს, აკაკისთან ერთად, თავის წერილებში არ აღენიშნა: გაზეთ „დროების“ მუშაობის პროცესი, მისი მდგომარეობა და წარმატება, მეფის ცენზურის მიერ ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მძივე პირობებში ჩაყენება და სხვა. წერილები მოგვითხრობს იმ უკიდურეს მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფება გაზ. „დროება“, როგორც ეკონომიურად ისე ცენზურის მხრივ შევიწროებისაგან, ს. მესხის უმწიკვლო სამსახურზე „დროების“ გამოცემისა და საზოგადო საქმეში; მის მდგომარეობას ზედმიწევნით ახასიათებს მისივე წერილები. „ჩვენი საქმეები, — სწერდა იგი ეკატერინეს, — როგორც ხედავ, ისევე ძველებურად მიდის. იგივე ცენზურა, იგივე განმარტოებული შრომა, იგივე უფულობა და თითქმის მოუსვენარი შრომა“.

წერილებში კარგად მოჩანს ს. მესხის აზრი თავისი ქვეყნის სასარგებლო სამსახურზე, რომელიც მიაჩნია მას ყოველი კაცის იდეალად და ცხოვრების დანიშნულებად.

წერილები გარკვეულ დახმარებას გვიწვევს, გავერკვეთ ქართველ სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ ქართული ბიბლიოთეკისა და საზოგადოება „უღელის“ დაარსების საქმეში და მათ საზოგადოებრივ მნიშვნელობაში.

ს. მესხი წერილებში ეხება 1875 წელს თბილისში ქართული წიგნების გამომცემელი საზოგადოების დაარსებას, მის შემადგენლობას, მიზანსა და დანიშნულებას, მის განზრახვას ქართული ენციკლოპედიისა და, საერთოდ, ქართული წიგნების გამომცემისა; საუბარია ქართული ლიტერატურის საპირბოროტო საკითხებზე: ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“, აკაკი წერეთლის „პირუტყვების რჩევასა“ და სხვა ნაწერების მნიშვნელობაზე და სხვა მრავალ საკითხზე.

სერგეი მესხი, თავის პირველ წერილში, 1870 წლის 24 მაისს აკაკის სწერდა: „ამას წინეთ „ცხელ-ცხელი ამბები“ მომივიდა „დროებაში“ დასაბეჭდად და, თუმცა ხელმოწერილი არ იყო, მაინც ვიცანი, რომ შენ კალამს უნდა ეკუთვნოდეს. საუბედუროდ

ჩვენმა ლიტერატურის ხოლერამ თითქმის ნახევარი სტატია შესკა-
მა და ვერაფერი გზით ვერ გავაშვებინეთ. პირმოუთნებლად გეტ-
ყვი, რომ ეს შენი პატარა-პატარა შენიშვნები ქუთაისის ცხოვრება-
ზე, მეტი არ შეიძლება, ისე მომეწონა, ცოცხალი და აზრიანი იუ-
მორი გამოსკვირს იმათგან. სხვებსაც, ვინც კი წაიკითხა, ძალიან
მოიწონა. რა კარგი იქნებოდა, აკაკი, რომ შემდეგშიაც დრო გა-
შოშვებით გამოგეგზავნა „დროებისათვის“ ამისთანა შენიშვნები
ქუთაისის ცხოვრებაზე. ხომ იცი რა გავლენა ექნებოდა იმათ ჩვენს
ქუთაისის მკითხველებზე და საზოგადოთ საზოგადოებაზედ და გა-
ზეთის გაცხოველებებაზედ“³.

აკაკის „ცხელ-ცხელი ამბების“ სერიიდან ქუთაისიდან პირვე-
ლი წერილია, რომელიც აკაკის ხელმოუწერლად დაიბეჭდა „დრო-
ებაში“ 1870 წლის 25 მაისს (№ 20). გულნატკენი გაზეთის რედაქ-
ტორი ს. მესხი ლიტერატურის ხოლერას უწოდებს ცენზორს, რო-
მელიც ხშირად მთელ წერილებს წითელი ხაზებით შლიდა, ამა-
ხინჯებდა და შინაარსს აცლიდა. ასე სანახევროდ შემცირებული და-
ბეჭდილა აკაკის აღნიშნული წერილი.

ცენზურისაგან „დროების“ შევიწროება მისი გამოცემის მთელ
პერიოდში გრძელდებოდა. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა
1875 წლის 26 მარტს დაწერილი წერილი სერგეი მესხისა, რომელ-
შიც ეკატერინე მელიქიშვილს სწერდა: „...ჩვენი დიდ-ბატონი ყო-
ველ „დროების“ ნომერს ათარგმნინებს და ჰკითხულობს. ამით აიხ-
სნება ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ დროს ცენზურამ ისევ ძა-
ლიან მოგვიჭირა ხელი. ისეთს სტატიებს აფუჭებს, ისეთს რამეებს
შლის, რომ ნახო, ღმერთმანი, გული მოგიკვდება, ვერ გაიგებ თუ
რა უნდა იყოს ამაში ან სახელმწიფოსა ან სარწმუნოებისა და ან სხვა
რისამე წინააღმდეგო, მუხრანსკისაგან შენიშვნა მივიღეთო, ასე
ამბობენ, რომ ერთობ ბევრ თავისუფლებას აძლევთ „დროებასაო“.
ჩვენ იმის იმედი გვქონდა, ბაქრაძეს დაამტკიცებენ ცენზორად და
მერე უფრო მეტს შელავათს მოგვეცემსო. დაამტკიცეს და უარესი
შეიქნა!“⁴.

მრავალ ხელშემშლელ პირობებთან, რომ ცენზურა წარმოად-
გენდა მთავარ დაბრკოლებას ს. მესხისათვის „დროების“ უკეთე-
სად გამოცემაში, ნათლად ჩანს გაზეთის მთელი არსებობის პერი-
ოდში.

³ შ ა ლ ვ ა გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი, სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლი-
სადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 165.

⁴ ს. მესხის წერილები, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1951, გვ. 131.

სერგეის ყოველდღიური საზრუნავი, უპირველეს ყოვლისა, „დროების“ გარშემო თანამშრომლების შემოკრება იყო საქართველოს ყველა კუთხიდან. ქუთაისიდან მასალების მიწოდებას, როგორც „დროების“, ისე „კრებულისათვის“, სერგეი თხოვდა აკაკის, პედაგოგს და ისტორიკოსს სიმონ ლოლობერიძეს, პოეტს გიორგი ჭალაღიდეღს (ქოჩაქიძეს), პეტრე ჩარეშოვს და სხვებს. მისთვის მაინც აკაკის თანამშრომლობაა მნიშვნელოვანი. „მაშ იმედი მექნება აკაკი, რომ ეს შენი თანამშრომლობა „დროებაში“ უკანასკნელი არ იქნება“, — სწერდა სერგეი აკაკის.

„დროება“ 1870 წლის ერთ-ერთ ნომერში (№ 16) „რედაქციის შენიშვნაში“ წერდა: „აგერ ერთი წელიწადია, რაც ჩვენ ამ აზრზე ვდგავართ, ისე კვირა არ გასულა, რომ რამდენიმე ლექსი არ მოგვსვლოდეს დასაბეჭდათ, ისე ნომერი არ გამოსულა თითქმის, რომ შიგ ორიოდ ლექსი არ ყოფილიყო დაბეჭდილი, და რაც უფრო მეტ ლექსს ვბეჭდავდით, მით უფრო და უფრო მეტი მოგვდიოდა. — რა ნაყოფი მოიტანა ამ ლექსების ბეჭდვამ?... ჩვენ გვგონია, რომ დიდი არაფერი: ლექსები ჩვენ ბევრი შეგვქენია, მაგრამ ჩვენ პოეზიას და ლიტერატურას ამით არა მომატებია რა“.

ცხადია, რედაქციის ასეთი შენიშვნის გამოქვეყნება სრულიადაც არ ეხებოდა აკაკის და არც გიორგი ჭალაღიდეღს. სერგეი თავის წერილში აკაკის განსაკუთრებით სთხოვს: „გ. ქოჩაქიძე, თუ მანდ არის, მომიკითხე და იმასაც სთხოვე ჩემ მაგიერ, კარგი ლექსი თუ აქვს გამოგზავნოს. „დროების“ მე-16 №-ში შენიშვნა ლექსების თაობაზე ისე არააინ მიიღოს, ვითომც ჩვენ აღარ გვინდოდეს შემდეგში ლექსების ბეჭდვა გაზეთში, ხეირიან ლექსებს დიდის სიამოვნებით დავბეჭდთ ყოველთვის და ყველგან“.

ახლა „კრებულისათვის“ გვაკლია ლექსები და იმედი შენზედ მაქვს. იქნება გქონდეს რამ კარგი მზათ, ან დაამზადო, ძალიან კარგი საქმე იქნება და შენც დაგიმადლებთო“⁵, — სწერდა სერგეი აკაკის.

„დროებაში“ დაბეჭდილი აკაკის ფელეტონებით დიდად კმაყოფილი სერგეი თავის მეორე წერილში აკაკის სწერდა: „მე ვგრძნობ, აკაკი, რა გავლენა უნდა ჰქონდეს მანდ შენ „ცხელ-ცხელ ამბებს“. ნიკო იწერება, რომ რომფორის „ლატერნი“ ისეთს ამბავს აწევდა პარიჟში, როგორც აკაკის „ამბებს“ აქ ამბავი აქვსო.

⁵ სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ 171.

აქაც ძალიან მოსწონთ, მაგრამ ზოგიერთ ფელეტონში ერთ ნაკლულოვანებას ხედავენ აქ: ისეთ გადაკვრას (ИИAMEK), რომელიც აქ არ ესმისთ, მანდ კი, რასაკვირველია, გაიგებენ. მაგრამ საზოგადოთ ყველა ფელეტონი (მანერა წერისა) ყველას მოსწონს. განსაკუთრებით მოეწონა ყველას შენი ახალწლის ფელეტონი და ის ქელი-ხოვსკის თაობაზედ რომ იყო, ესენი იმ წამსვე გაიგეს“⁶.

აღნიშნულ წერილში სერგეის მხედველობაში აქვს 1872 წლის იანვარ-თებერვლის „დროებაში“ დაბეჭდილი აკაკის შემდეგი სტატიები: „ცხელ-ცხელი ამბები (ახალი წლის შუალამე)“, „ცხელ-ცხელი ამბები — დიდი შეცდომა“ და „სასიამოვნო ამბავი“⁷.

ნიკო ნიკოლაძის აზრითაც, აკაკის ეს ფელეტონები ისეთივე საზოგადოებრივი ცხოველმყოფელი ინტერესების აღმძვრელი იყვნენ, როგორსაც იმდროის ცნობილი ფრანგი პუბლიცისტის ჰანრი რომფორის სტატიები იწვევდნენ საფრანგეთში⁸.

„დროებაში“ აკაკის ნაწერებს თუ როგორ ემტერებოდა ცენზურა, ამის შესახებ სერგეი აღნიშნულ წერილშიც აღნიშნავდა: „შენც ჰხედავ აკაკი რომ შენ ფელეტონებს საზოგადოთ ძალიან ამახინჯებს ცენზორი. მაგრამ რა გაეწყობა. ისეთნაირად არასოდეს არ დავამახინჯებინებ, რომ ჰაზრი გამოიცვალოს და ფელეტონმა თავის მარილი დაკარგოს. შენი ჭირიმე, ამ გარემოებამ წერაზე გული არ ავიცრუოს“.

სერგეი ამასთან ერთად, აკაკის, როგორც სასიამოვნო ამბავს, აცნობებდა, რომ იმ წლის მაისიდან ოთხი თვით ცენზორი საზღვარგარეთ მიდის, სამაგიეროდ, ნ. ბერძენოვი იქნება, რომელიც ისეთი ხოლერა არ არის სტატიებისა. ეს იყო იმ დროისათვის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურულ-ეთნოგრაფიული წერილების ავტორი, ისტორიკოსი. მისი იმედით სერგეი აკაკის წერდა: „შენ იცი აკაკი! იმ დროისათვის რამდენ რამეებს დაამზადებ დასაბეჭდათ, რასაც შეჰქმნი და დასწერ ყველფერს დაგიბეჭდავთ „დროებაში“ და „კრებულში“.

იმავე დროს სერგეი თავის აღტაცებას უზიარებდა აკაკის: „რა მშვენიერი, რა ჭკვიანური და რა ხელოვნური რამ არის შენი

⁶ ი ქ ვ ე, გვ. 180.

⁷ გაზ. დროება, 1872, № 1, № 3, № 6.

⁸ იხ. ნ. ს კ ა ნ დ ე ლ ი ს (ნიკოლაძის) „თანამედროვე მწერლობა, ანრი რომფორი“, „კრებული“, 1873, წიგნი 8, გვ. 191-267; „განთავისუფლებული რომფორი“, „დროება“, 1874, № 429.

„სცენები საპატიმროში“. კრებულის მეშვიდე ნომერში დაიბეჭდა, რომელიც მალე გამოვა“⁹.

ამას გარდა, წერილში სერგეი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე თაობათა — მამათა და შვილთა შორის გამართული კამათის შესახებ.

„რომ იცოდე, რა პამფლეტები გამოდის აქ. — სწერდა სერგეი აკაკის. — შენც გაგონილი და წაკითხული გექნება ის „გამოცანა“, რომელიც ამას წინათ გამოვიდა. ახლა მოვიდა მოხუცებულების „პასუხი“ ამ გამოცანებზე, სადაც შენც და სხვებიც, საზოგადოთ მწერლები და იმერლები, ვართ საშინლათ კინტურათ გალანძღული. თითქმის იმავე დროს გამოვიდა ამ „პასუხის პასუხი“, მშვენიერი რამ არის, მაგრამ კაცმა არ იცის — ვისია.

თუ არ არის მანდ, მომწერე, გადაგიწერ და გამოგიგზავნი. ამას ქუთაისშიაც ექნება ინტერესი“¹⁰.

ცხადად ჩანს, რომ სერგეის აკაკისთან წერილში საუბარი აქვს ილია ჭავჭავაძის პამფლეტებზე — „გამოცანები“¹¹, „კიდევ გამოცანები“¹² და „პასუხის-პასუხი“¹³, რომლებიც დაიწერა 1871 წლის დეკემბერს და 1872 წლის 28 იანვარს და მიმართული იყო ღველი თაობის წარმომადგენლების წინააღმდეგ.

საგულისხმოა ის გარმობა, რომ იმ დროისათვის თავდაპირველად პამფლეტების ავტორობის ვინაობა საზოგადოებისათვის ჭერაც უცნობი იყო. როგორც ჩანს, თვით სერგეი მესხისთვისაც იმეამად გაურკვეველია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ავტორი. აშკარაა, რომ სერგეი ამ პამფლეტებს გაუგზავნიდა აკაკის ქუთაისში და მისი საშუალებით იქაც ცნობილნი გახდებოდნენ.

აკაკი წერეთელმა, პეტერბურგში ყოფნის დროს, 1860 წელს ლექსად დაწერა დრამატული ჟანრის მცირე ფორმის ნაწარმოები „პირუტყვების არჩევანი“, რომელიც (1860 წელს) ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშლის არჩევას ეხება. პოეტმა ეს ნაწარმოები სათაურით „პირუტყვების არჩევა“, ფელეტონის სახით,

⁹ კრებული, 1872, № 7, გვ. 97; თხზულებათა სრული კრებული, ტომი 9, 1959, გვ. 5-19, 393.

¹⁰ სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, გვ. 171-172.

¹¹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტომი I, 1951, გვ. 85-88;

¹² იქვე, გვ. 89-93.

¹³ იქვე, გვ. 94-99.

პირველად 1873 წლის 11 მაისს გაზეთ „დროებაში“¹⁴ გამოაქვეყნა. ამ ნაწარმოების დაბეჭდვამ და საზოგადოებაში გავრცელებამ საერთო აღტაცება და მოწონება დაიმსახურა, ხოლო მართველ ზედა წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა და აღშფოთება გამოიწვია. პოეტს დენა დაუწყეს და ერთხანს იგი თავს აფარებდა კიდეც. ამის შემდეგ აკაკი თითქოს „დროების“ რედაქციასაც შემოსწყრომია. „პირუტყვების რჩევას“ გამოქვეყნებით მოხდენილ დიდ საზოგადოებრივ შთაბეჭდილებების გამო სერგეი აკაკის შესახებ ეკ. მელიქიშვილს სწერდა: „მართლა რომ ძვირფასი ფელეტონისტია და იმისი დაკარგვა ძალიან მეწყინება. უნდა გენახა, რა ამბავი დააწია აქ იმის უკანასკნელმა ფელეტონმა, „პირუტყვების საჩივარმა“ (უნდა იყოს — „პირუტყვების რჩევამ“ — შ. გ.)... ამბობენ ლუბერნატორს (ორლოვსკის) რამდენიმე დღე სულ ჯიბით დაჰქონდა ეს ნომერი და ხან ერთ თავადიშვილთან მიდიოდა აქ, ხან მეორესთან და ყველას აჯავრებდა, რომ ეს ვირი შენა ხარო, კამბეჩი შენაო, მოზვერი შენა და სხვ. ვერავინ ვერ დავარწმუნეთ აქ, რომ ეს ქუთაისის 1861 წლის არჩევნებზეა დაწერილი. არა, თქვენ ეშმაკობთ, ყველა ეხლანდელი აქაური პირები არიან გამოყვანილიო. მართლაც, რომ ისეთნაირად დაასახელეს მოქმედი პირები, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოქმედი პირუტყვები, რომ აქაურებზედაც, თითქო ზედ გამოკრილიაო, რომ იტყვიან, ისე იყო“¹⁵.

სინამდვილე რომ უფრო ნათლად წარმოგიდგინოთ. საჭიროა ამ ნაწარმოების შექმნის შესახებ თვით ავტორის მიერ გაკეთებული შენიშვნა მოვიტანოთ. ამ შენიშვნაში აკაკი წერდა: „ჯერ ახლაც რა არის ჩვენში მარშლის არჩევა, თორემ რა იქნებოდა მესამოცე წლებში?! ერთ მაშინდელ არჩევას მეც დავესწარი. დიდი ალიაქოთი იყო ატეხილი. ეს სცენა პირია ნამდვილისა, აქ მომატებული არ არის რა, დასახელებული პირებიც.“

...ამ ხუმრობამ ისეთი უსიამოვნება და მრისხანება გამოიწვია ჩემზე, რომ მე იძულებული გავხდი ქალაქს გავქცეულიყავი, მაგრამ აქ უარესი დამხვდა: თურმე იმ ხანებში იქაც არჩევნები ყოფილიყო და თავის თავზე მიეღოთ. აღარ ვიცოდი, რა მექნა? სხვაგან წასასვლელი შეძლება რომ აღარა მქონდა — მაშინ ხომ რკინისგზა არ ყოფილა ჩვენში — ძველ სენაკში ჩავედი ბესარიონ ქავთარეძესთან და იქ ვიმალებოდი დიდხანს, სანამ მითქმა-მოთქმა არ მიწყნარდა. საკვირველია... დაბალი ხალხი ჩუმად ყველა ჩემი თა-

¹⁴ „დროება“, 11 მაისი 1873, № 18, თხზულებანი, ტომი 6, 1956, გვ. 311-317, 401-402.

¹⁵ ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი, წერილები, 1950, გვ. 18.

ნამგრძნობი იყო, მაგრამ ცხადად გამოსარჩლების ეშინოდათ. მე კი, ვინც შესაყეფი იყო, უშიშრად ვუყეფდი, აღარავის და აღარაფერს ვერიდებოდი“¹⁶.

აი, რა მძიმე პირობებში უხდებოდა, ქართული მწერლობის შვეენებას — აკაკი წერეთელს შემოქმედებითი ცხოვრება და მოღვაწეობა.

დღესაც კითხულობთ აკაკის „პირუტყვების არჩევანს“ და მხოლოდ ამითაც, რეალურად თვალწინ წარმოგესახებათ გასული საუკუნის 60—70-იანი წლების თბილისისა და ქუთაისის მმართველი წრეების გარემო სინამდვილის სიმძიმელი, ბევრი რამ, რაც იმდროის სოციალური ვითარებისა და ყოფისათვის დამანასიათებელი იყო.

გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი ევროპის ქვეყნების გასაცნობად, ერთი წლით საზღვარგარეთ იყო წასული. იგი გაემგზავრა 1873 წლის ივლისის პირველ რიცხვებში. სანამ „დროების“ დროებით რედაქტორად ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტს კირილე ლორთქიფანიძეს დაამტკიცებდნენ, გაზეთის რედაქტორის ხელმოწერის ადგილზე ისევ სერგეი მესხის სახელი იყო აღნიშნული, ხოლო რედაქტორის მოვალეობას ფაქტიურად, კ. ლორთქიფანიძესთან ერთად, ნიკო ნიკოლაძე ასრულებდა.

საზღვარგარეთ ყოფნის დროს სერგეი მესხი, მთელი თავისი გულისყურით, კრიტიკული თვალთახედვით აფასებდა „დროების“ გამოცემის საქმეს, ყოველ მის ნომერს შინაარსის მიხედვით არჩევდა და იხილავდა. მომავლის იმედით აღსავსე სერგეი ფიქრობდა რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეეძინა, რომ უფრო მომზადებული დაბრუნებოდა თავის საყვარელ პირმშოს, ერთადერთ ქართულ გაზეთ „დროებას“.

1874 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში სერგეი პარიზიდან სამშობლოსაკენ გამოემგზავრა; გერმანიაზე გამოვლით მას ქალაქ ლინდაუში რამდენიმე დღით მოუხნდა გაჩერება, ხოლო იქიდან გამოემგზავრების შემდეგ 16 სექტემბერს იგი უკვე პეტერბურგში იმყოფებოდა. აქ სერგეი ხვდება ქართველი ხალხის სახელოვან შვილებს: პროფ. დავით ჩუბინაშვილს, პროფ. ალექსანდრე ცაგარელს, ვასილ მაჩაბელს და სხვა ქართველ ახალგაზრდებს; თადარიგს იჭერს მომავალში „დროებაში“ მათს თანამშრომლობაზე და საერთოდ საზოგადო საქმეებზე დახმარების აღმოჩენაზე და სხვ.

¹⁶ აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი 6. 1956, გვ. 401-402.

პეტერბურგში ყოფნის რამდენიმე დღის შემდეგ სერგეი ქუთაისში ბრუნდება დედ-მამის ოჯახისა და თავისიანების სანახავად. აქ იგი იგებს „დროების“ გაჭირვებულ მდგომარეობას და წუხს მისი საქმიანობის გამოსწორებისათვის. ქუთაისიდან გაზეთის მუდმივ თანამშრომლობაზე მან შეიპირა ანტონ ლორთქიფანიძე, ინგილო დიმიტრი ჭანაშვილი, ასათიანი. მას დიდი იმედი აქვს აკაკი წერეთელისა, რომელმაც, მასთან შეხვედრისას, აღუთქვა დახმარება სტატიებისა და ფელეტონების მიწოდებით. სერგეი ძლიერ გახარებულია იმითაც, რომ აკაკი თბილისში აპირებს ცხოვრებას, რაც პოეტს „დროებასთან“ და მასთან ახლო ურთიერთობის უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს.

ყოველმხრივ დაიმედებული სერგეი იჩქარის დაბრუნდეს თბილისში, განახლებული ენერგიით შეუდგეს მუშაობას, რომ გამოსწოროს მდგომარეობა და წლის დამლევამდის კარგად წაიყვანოს გაზეთის გამოცემის საქმე. „ხვალ, ორშაბათს ქალაქში მივდივარ და გაზეთი უნდა ჩავიბარო. — სწერდა ქუთაისიდან სერგეი ეკატერინეს. — ვნახოთ როგორ მდგომარეობაში დამხვდება იქ საქმეები“¹⁷.

ქუთაისში სერგეი დიდხანს არ გაჩერებულა. სექტემბრის ბოლო რიცხვებში იგი უკვე თბილისშია, თავის საყვარელ „დროებას“ დაუბრუნდა და მუშაობას შეუდგა.

თბილისში დაბრუნებისა და „დროებაში“ მუშაობის განახლებისათანავე, 3 ოქტომბერს სერგეი აკაკის სწერდა: „ძმაო აკაკი! როგროც უკანასკნელ №-ში ნახავდი, შენი პირობისაგან დაიმედებულმა — მე გამოვაცხადე „დროებაში“, რომ შენ ისევ დაგვპირდი თანამშრომლობას. ეხლა შენზეა დამოკიდებული — თუ არ გამაწილებ მკითხველების წინ და შენს სიტყვას აასრულებ“.

მართლაც, 1874 წლის ოქტომბერში „დროება“ წერდა: „სიამოვნებით ვაცნობებთ „დროების“ მკითხველებს, რომ უფ. აკ. წერეთელი, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო უკანასკნელი წლის განმავლობაში მონაწილეობას არ იღებდა ჩვენს გაზეთში, ეხლა ისევ დაგვპირდა თავის თანამშრომლობას“.

1873 წლის 14 დეკემბერს „დროებაში“ (№ 402) უკანასკნელად დაიბეჭდა აკაკის „ცხელ-ცხელი ამბები“, „გამოსალმება“ და „დღიურიდამ“. ამის შემდეგ მან შეწყვიტა გაზეთში თანამშრომლობა. (1874 წლის 18 ოქტომბრამდე „დროებაში“ აკაკის აღარაფერა გამოუქვეყნებია).

¹⁷ იქვე. გვ. 155.

მართალია, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ხანდახან იყო შემთხვევები, როცა აკაკი შემოსწყრებოდა ხოლმე „დროებას“ და თვით სერგეი მესხსაც, მაგრამ იგი მაინც მათ გარეშე დიდხანს ვერ სძლებდა. ახლაც აკაკის დაპირება მალე შეუსრულებია და იმავე წლის ოქტომბრიდან „დროებაში“ დაიბეჭდა პოეტის შემოქმედებითი ნიმუშები: „ცხელ-ცხელი ამბების“ სერიიდან ორი ფელეტონი¹⁸, „ლუკმა გაეარდეს, ჯამში ჩაეარდესო“¹⁹, „მკვდრის სულის მოძებნა“²⁰, „ენების გასამართლება“, ლექსი — „მუხრანიდამ ჯარი მოღის“²¹ და სხვ.

მომდევნო წელს აკაკი „დროებაში“ უფრო ნაყოფიერად განაგრძნობდა შემოქმედებით თანამშრომლობას.

იმავე დროს ს. მესხი დიდ მოსაზრებელ მუშაობას შეუდგა მომავალი წლიდან „დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემისათვის. ამის შესახებ იგი აკაკის სწერდა, რომ ამ დღეებში თხოვნა უნდა შეეიტანო მუხრანსკისთან და იმეღია იმისი მხრით არავითარი დაბრკოლება არ იქნებო.

ეს ხომ ძველი თაობის ბანაკიდან ის დიდი ფეოდალი, სენატორი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკია, რომლის წინააღმდეგაც ახალმა თაობამ ასე სასტიკად გაილაშქრა!.. და სერგეის მაინც მისი დახმარების იმედი ჰქვს — ნებართვას მიიღებს „დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემაზე. ეს იმედი ს. მესხს მაინც გაუმართლდა. მან შესძლო ნებართვის მიღება 1875 წლიდან გაზეთის კვირაში სამჯერ გამოცემის შესახებ. ამრიგად, „დროება“ 1866-1874 წლებში ყოველკვირეულად გამოდიოდა, ხოლო 1875—1876 წლებში კვირაში სამჯერ და 1878-1885 წლებში ყოველკვირეულად.

აკაკისა და სერგეის ახლო მეგობრული და ლიტერატურულ-ჰუმბლიცისტურ-საზოგადოებრივი ურთიერთობა შემდეგში უფრო მეტი ინტენსიური შემოქმედებითი ნაყოფიერებით წარიმართა. ამის უშუალო შესანიშნავი გამოხატულებაა მათი ამ პერიოდის პირადი წერილები.

1875 წლის 28 ოქტომბერს სერგეი აკაკის სწერდა: „შენგან გამოგზავნილს ოთხს სტატიაში ერთი სცენები თითქმის შეუცვლელ-

¹⁸ გაზ. „დროება“, 1874, №№ 445, 448; თბზულებანი, ტომი II, 1960, გვ. 229-236.

¹⁹ იქვე, 1874, № 450, თბზულებანი, გვ. 237-239.

²⁰ იქვე, 1874, № 453; თბზულებანი, გვ. 240-243.

²¹ იქვე, 1874, № 452; თბზულებანი, გვ. 108-114.

ლად დაიბეჭდა, ცოტა მხოლოდ თავი და კუდი მოაკვნიტეს. მეორე — საწყალს ეპიფანეს გარდაცვალებასზეც დაიბეჭდა. მაგრამ ვაი იმისთანა დაბეჭდვას! შუა გული ამოაცალა იმ უგულო, უტვინო ქმნილებამ, შენგან არ მიკვირს, რომ ამათგან ან გრძნობას, ან შოსაზრებას თხოულობ! მესამე სტატია — ყმაწვილის გალახვის თაობაზე ეკლესიასთან — მოწინავე სტატიათ იყო გაშობილი, მაგრამ თავიდან ბოლომდე წაშალა ტვინისქამიამ. მე თვითონ წავედი, ბევრი ვეზვეწე, ვეჩხუბე, მაგრამ არა გამოვიდა რა. შემდეგ რუსულად გადამათარგმნინეს, კამიტეტში წარადგინეს, მაინც არა გამოდნა რა... მეოთხე სტატია კი „ვირკაცები“ მე ვერ დავბეჭდე“²².

აკაკის შესანიშნავი „სცენები“ „დროებაში“, სერგეის ცნობით, დაიბეჭდა ცენზურის მიერ თავ-ბოლო მოკვნიტილი²³. ვერც ეპიფანე კალანდაძის გარდაცვალების გამო დაწერილი ნეკროლოგის სრულად დაბეჭდვა გახდა შესაძლებელი²⁴.

წერილში დასახელებული სტატიებიდან ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, „ეკლესიასთან ყმაწვილის გალახვის თაობაზე“, რომელიც „დროების“ მოწინავედ ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ ეს სტატია, სერგეის გადმოცემით, „ტვინის ქამია“ ცენზორს მთლიანად წაუშლია და, როგორც ჩანს, ვერ შემოინახა და დღემდე დაკარგულად ითვლება.

მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს აკაკის სტატია-ფელეტონი „ვირკაცები“, რომლის შესახებაც მეგობართა შორის აზრთა შეხლა-შემოხლა და ცხარე კამათი გაიმართა. „ვირკაცები“ მიმართული ყოფილა 1875 წელს ქუთაისში ახალგაზრდობისაგან ჩამოყალიბებული თეატრის წრის წინააღმდეგ. ამ წრეში გაერთიანებული იყვნენ: ან. ლორთქიფანიძე, თემ. ლეჟავა, ალ. ჭიჭინაძე, ილ. მიქელაძე, ბ. ლოსაბერიძე, ლ. აბაშიძე, ეფ. კლდიაშვილისა, ან. მრეველიშვილი. ხელთუფლიშვილისა და ნიკოლაძის ქალები, ივ. აბაშიძე, ივ. მესხი, კ. მესხი და სხვები.

ამ წრეს ბეჯითად უმუშავნია და ბევრი წარმოდგენაც გაუმართავს. ქართული პიესების სიმცირის გამო მრავალი დრამატული ნაწარმოები, უმეტესად რუსულიდან და ფრანგულიდანაც, უთარგმნიათ. პირველ ხანებში ამ ახალგაზრდათა წრის მუშაობაში აკაკიც ღებულობდა მონაწილეობას. შემდეგში, როგორც ჩანს, მას

²² შ. გოზალიშვილი, სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, კვ. 174.

²³ ვახ. დროება, 1875, № 120; თხზულებანი, ტომი 9, 1954, გვ. 115—123.

²⁴ იქვე, 1875, № 120, თხზულებანი, ტომი 11, 1960, გვ. 344-345.

ამ წრესთან უთანხმოება მოსვლია. სერგეის აკაკის აღნიშნული სტატია სამართლიანად არ მიუჩნევიდა და უარი უთქვამს მის დაბეჭდვაზე. აკაკის მისი დაბეჭდვა შემდეგშიც უცდია, მაგრამ ვერ მოუხერხებია.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1879 წლის 28 ოქტომბერს, გაზეთ „დროებაში“ ამის შესახებ, ანტონ ფურცელაძესთან კამათის დროს²⁵, აკაკი თავის წერილში წერდა: „...ის ლექსი... საზოგადოთ არის დაწერილი ბევრზედ და ერთი კი არავინ მყოლია მხედველობაში, ვიმოწმებ უფ. ს. მესხს.

ეგ ლექსი (ე. ი. „ვირკაცები“ — შ. გ.) ამ შვიდი-რვა წლის²⁶ წინეთ მე გამოუგზავნე. „დროების“ რედაქტორს დასაბეჭდათ ერთად ფელეტონთან, მაგრამ რედაქტორმა არ დამიბეჭდა და ასე მომწერა (ის ბარათი ახლაც მაქვს შენახული): რადგანაც ქუთაისის თეატრის წრეში ურევთან ზოგიერთი ყმაწვილები, რომლებთანაც შენ არა გაქვს კარგი განწყობილება, უეჭველია, რომ ისინი თავის-თავზედ მიიღებენ მაგ ლექსს და ამისათვის აღარ დაგებუდნენ. წელს უ. ქავჭავაძის გადავეცი დასაბეჭდად და აქაც ისევ ის ამბავი მოხდა“.

აქ მოტანილი წერილი, რომელსაც იხსენიებს და იმოწმებს აკაკი, არის სერგეის ზემოთ მოტანილ წერილი. „ვირკაცების“ დაბეჭდვაზე უარის მიზეზის გამო სერგეი აღნიშნულ წერილში აკაკის სწერდა: „ჩვენი დამლუბავი, ჩვენი ყოველს საქმეში ბოლოს მომღები და ორმოს გამომთხრელი ის არის, რომ ჩვენ ერთობა არა გვაქვს. ორ სამი კაცი ვერ შევეყრილვართ ერთად და, თუ შევიყარეთ, იმდენი ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის განსხვავებული პაზრების და რწმენებების შეწყნარება და მოთმინება არა გვაქვს, რომ ერთად, ერთს რომელსამე საქმეზე ძმურად დადგომა და მუშაობა შეგვეძლოს... ამისთანა მდგომარეობაში მყოფთ, ჩვენ ერთი წრე გველირსა — ქუთაისის წრე — და შენ ამ წრეს ასე მკაცრად ეპყრობი, ასე უმოწყალოთ, ასე სასიკვდილოთ ლანძღავ!“

სერგეი მთელი თავისი გულანდილობით კატეგორიულად არწმუნებს აკაკის ქუთაისის „წრეში“ გაერთიანებული ახალგაზრდობის „უდანაშაულობაში“ საყვარელი პოეტის მიმართ. — „ჩემი პაზრი ესაა, აკაკი! — სწერდა სერგეი — ყველა, ვინც მაგ წრეს

²⁵ აკაკი, ანტონ ფურცელაძეს (პასუხი), გაზ. დროება, 1879, № 223; თხზულება-ნი, ტომი 11, 1960, გვ. 463-470, 553.

²⁶ აკაკი აქ სიზუსტით არ აღნიშნავს. ზუსტათ მან ეს ლექსი, ფელეტონთან „ვირკაცებთან“ ერთად, სერგეის გაუგზავნა არა „შვიდი-რვა“ წლის წინათ, არამედ ოთხიოდე წლის წინათ 1875 წლის ოქტომბრამდე.

შეადგენს, პატიოსანი და სარგებლის მოტანის მსურველი ახალ-გაზრდები არიან, იქნება გენიოსები არ იყვნენ, არც ნიჭიერნი. მაგრამ რაც უნდა იყოს, მართო ის გარემოება, რომ ისინი ერთად შეყრილან და ერთად უნდათ რამე საქმის გაკეთება, იმდენათ პატივსადებია, რომ ჩემის პაზრით, ფრთხილად უნდა მოვექცეთ და უნდა თანაუგრძნობდეთ... სანამ ბეჯითად, კარგად არ დავრწმუნდებით, რომ მაგათ საზოგადო საქმის ნაცვლად, თავიანთი პიროვნული მიზნები აქვთ და კეთილშობილური განზრახვის ნაცვლად ბოროტი და თავხედური“²⁷.

სერგეი თავის წერილში პირდაპირ ემუდარება აკაკის, ყურს ნუ უგდებს მითქმა-მოთქმას, დამშვიდდეს, რომ მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით, ნიჭითა და შესაძლებლობით უფრო მეტად დაეხმაროს „დროებას“, „კრებულისა“ და „დროების“ კალენდარის გამოცემას, მოწინავე წრეების დაარსებას, მათ ამოქმედებას. სერგეის სჯერა, სწამს, რომ აკაკის შეუძლია მხოლოდ ამ გზითა და საშუალებით წინ წასწიოს, ხელი შეუწყოს ქართული ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასა და გამდიდრებას.

„ლიტერატურული საღამო გვინდა გავმართოთ და უშენოთ, ხომ იცი, ვერ მოხერხდება კარგათ. — სწერდა წერილის დასასრულ სერგეი აკაკის. — ...გამოცემების თაობაზე კრება არის ჩემსას, პაზრია, რომ საზოგადოება შევადგინოთ ახალგაზრდა მოსწავლეებისათვის, ნიკო²⁸ ერთ დიდ ამბავშია თავის „თფილისის მოამბით“²⁹, აქტებით უნდა გამოსცენ ყოველდღეს მომავალი წლიდამ, ერთი სიტყვით მოძრაობაა რაღა, როგორც რიგია და შენი აქ ყოფნა საჭიროა. რაც უფრო მალე ჩამოხვალ, ისა სჯობია“.

ერისა და ხალხის ეს სასიქადულო მოღვაწენი მხოლოდ საქვეყნო საქმისათვის იყვნენ მოწოდებულნი. ისინი — ყოველგვარი პირადობის დავიწყებით, ყოველთვის გულწრფელი სულგრძელობით, დაუფარავი პირდაპირობით, მხოლოდ საერთო, საზოგადო ინტერესით მოქმედებასა და მუშაობას მოითხოვდნენ. ამის გარეშე არ არსებობდა არც სერგეისა და აკაკის თანამეგობრობა და მოღვაწეობა.

²⁷ სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, გვ. 175.

²⁸ იგულისხმება ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1842-1928).

²⁹ გაზ. „ტიფლისკი ვესტნიკი“, თბილისში 1873-80 წლებში გამოდიოდა. (რედაქტორი კონსტანტინე ბებუთოვი). ნ. ნიკოლაძე ამ გაზეთის უახლოესი თანაშრომელი იყო 1873-1877 წლებში.

„გთხოვ, დამდურებული ნუ წამოხვალ, თუ ძმა ხარ, მაგ წერეზე. — სწერდა დასასრულ აკაკის სერგეი. — ღმერთმანი, მაგაში ისეთი ხალხი ურევია, რომელნიც ჩვენთვის მუდამ გამოსაყენებელი და სასარგებლო იქნებიან და ქუთაისში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან“³⁰.

აკაკი და სერგეი, როგორც ყოველთვის, ერთმანეთს სწერდნენ „მარად შეუცვლელად“, „ძველებურადვე“ და სიცოცხლის უკანასკნელ დრომდე შეუბღალველ, გულწრფელ, საყვარელ მეგობრებად დარჩნენ.

აკაკის სერგეისადმი 1876 წელს გაგზავნილი წერილებიდან შემონახულია მხოლოდ ერთადერთი წერილი³¹, რომლის პასუხსაც სერგეის მერვე წერილი³² წარმოადგენს. ამ წერილიდანაც ჩანს, რომ სერგეი ყოველთვის ჩვეულებრივი გულისხმიერებით ეკიდებოდა აკაკის და მის ყოველ დავალებასა თუ თხოვნას ძირდაუშვებლად ასრულებდა.

„ძმაო აკაკი! ღმერთმა ხო იცის, რომ შენი მონდობილობა მე იმავე დღესვე ავასრულე, რა დღესაც შენი წიგნი მივიღე“, — სწერდა სერგეი აკაკის, — ნიკოც ვნახე იმ დღეს და ანდრიაც და ორთავეს შენი წიგნი წავაკითხე; ორთავე დამპირდა, შენს თხოვნას იმ დღეებშივე აასრულებდნენ და ეს შენი მეორე წიგნი, გ. ყაზბეგის ხელით რომ მომივიდა, ის ამანათები მე უკვე ასრულებული მეგონა“.

მკითხველი ალბათ მიხვდება, რომ წერილში ნახსენები ნიკო — ეს მათი ახლო მეგობარი, ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძეა; მის შესახებ თითქოს გულმოსული აკაკი სერგეის სწერდა: „რამდენჯერმე ვსთხოვე ნ. ნიკოლაძეს, რომ ბარათით³³ ეცნობებია ჩემი თხოვნის შესახებ რამე, მაგრამ ისე გაიბერა, როგორც მურვან-ყრუ! ეტყობა, რომ ამხანაგათ აღარ გვკადრობს და არც ჩვენ ვეჭინებით მაინცა და მაინც“.

სხვადასხვა დავალების შესრულებასთან ერთად, აკაკი სერგეის სთხოვდა: კაპანაძეს უთხარი, მაგას რომ ჩემი თბილი პალტო აქვს, გამომიგზავნოს, თორემ სიცივისაგან დასამარხად გავუხდებო“

³⁰ სერგეი მესხის წერილები აკაკი შერეთლისადმი, გვ. 176.

³¹ თხზულებანი, ტომი 15, 1963, გვ. 105-106, იხ. მე-6 წერილი.

³² სერგეი მესხის წერილები აკაკი შერეთლისადმი, გვ. 177-178.

³³ აკაკი შერეთელი, თხზულებანი, ტომი 15, 1963, გვ. 71, იხ. აკაკის წერილი, ნ. ნიკოლაძისადმი.

ამ დღეებშიო. ამ დავალების შესრულება აკაკის წერილით ჯერ ნიკო ნიკოლაძისათვის უთხოვია, მაგრამ, როგორც ჩანს, მას ეს დროზე არ შეუსრულებია. ამის გამო, ცოტა არ იყოს, გულმოსული აკაკი სერგეისაც წერილის დასასრულს სწერდა: „...სხვა რაღა მოგწერო, მანდაურ ანბებს და ამ წერილის პასუხს მალე გთხოვ, თუ შენც არ გადარეულხარ სხვებსავეთ“.

რაც შეეხება კაპანაძეს, — იგი იყო ანდრია ივანეს ძე, სოფელ სხვიტორიდან, თერძი (მკერავი), იმ დროს თბილისში არსებული ხელოსანთა გაერთიანების გამგეობის თავმჯდომარე, აკაკის კეთილისმყოფელი და ახლო მეგობარი. აღსანიშნავია, რომ ა. კაპანაძე აკაკისთან ერთად მონაწილეობას იღებდა იმერეთში საბადოების აღმოჩენა-დამუშავებაში.

პოეტის გულმოსულობის მიუხედავად, სერგეი ღიმმორეული თავაზიანობით აკაკის სწერდა: „მას შემდეგ, ეს შენი მონდობილობა რომ შევესრულე, წიგნის მოწერას მე ისე საჭიროდ აღარა ვთვლიდი. მაგრამ ეს შენ როგორღაც სხვანაირად ავიხსნია და ჩვეულებრივად კუდი გამოაბი.“

საშინელი კუდიანი რამა ხარ! მოიწერე, თუ ძმა ხარ, აკაკი, გაზეთისათვის რამე, ხო იცი, წელიწადი თავდება და ეხლა რაც შეიძლება უკეთ უნდა წავიყვანოთ გაზეთი, რომ მომავალი წლის ხელის მომწერლები წავახალისოთ ხელის-მოწერაზედ... ხო იცი, უველა ეს ყურადღებაში მისაღებია. შენი „ჯერ არ შეუტყვიათ“ აქ ზეპირად დაისწავლეს“, ბეს. ლოლობერიძე ჯერ არ გაულახავთ“³⁴.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს 1876 წლის 3 ოქტომბრის „დროებაში“ დაბეჭდილი აკაკის ფელეტონი „მაქობა“³⁵ — ჩართული ლექსებით: „გაბრწყინდი, ჩემო კანდლო“ და „პირადათ ხმას არვის გავსცემ“. სერგეის სწორედ ეს ფელეტონი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც მის მიერ მოხდენილ შთაბეჭდილებათა შესახებ აკაკის სწერდა: შენი „ჯერ არ შეუტყვიათ“ აქ ზეპირად დაისწავლეს და ბესარიონ ლოლობერიძე ჯერ არ გაულახავთ.

ფელეტონში და მასში ჩართულ მეორე ლექსში ასახულია აკაკის კრიტიკული დამოკიდებულება ქუთაისის სათავადაზნაურო

³⁴ სერგეი-მესხის წერილები აკაკისადმი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, გვ. 178.

³⁵ აკაკი წერეთელი, თხზულებანი, ტომი I, 1950, გვ. 359, 485; ტომი 11, 1960, გვ. 419-421, 549.

ბანკის მესვეურების, მისი თავმჯდომარის ბესარიონ ლოლობერიძისადმი, რაზედაც წერილიდან ზემოთ მოტანილი ადგილი მიგვანიშნებს. იმავე წელს აკაკიმ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ბანკის მიმართ გამოთქვა პუბლიცისტურ სტატიაშიც, „საწყენი სიმართლე“³⁶.

მომდევნო პერიოდში, 1877 წლისა სერგეის მხოლოდ ერთადერთი (მე-9) უთარილო წერილია აკაკისადმი ჩვენამდე მოღწეული, ხოლო აკაკისა სერგეისადმი არც ერთი. წერილი, შინაარსისა და მოტანილი ფაქტების მიხედვით, თარიღდება 1877 წლის იანვრით. ამ წერილში სერგეი აკაკის სწერდა: „კავკაზის“ რედაქციაში ვიყავი, ვორონოვს მოველაპარაკე შენს და ჩემს თანამშრომლობაზე. მითხრა, რომ დიდის სიამოვნებით თანახმა ვარო და სასიამოვნოც იქნება ჩემთვისო, ვინც ქართველთაგანი ჩემს გაზეთში მონაწილეობას მიიღებს და ქართველ საზოგადოებას გააცნობს რუსის მკითხველებსაო... მე ამ ორ-სამ დღეში სტატიისა ან შენიშვნების მიტანას დავპირდი. ძალიან კარგი იქნება, აკაკი, რომ შენც მე გამომიგზავნიდე რომელიმე შენს ნაწერს და პირველად მე მივუტან, მერე, რასაკვირველია, პირდაპირ შენ გაუგზავნი ხოლმე“³⁷.

ამასთან დაკავშირებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნ. ვორონოვი გაზ. „კავკაზის“ რედაქტორ-გამომცემლის მოვალეობას შეუდგა 1877 წლის იანვრიდან. ცხადია, სერგეი მესხს „კავკაზში“ თანამშრომლობის შესახებ ვორონოვთან მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა წლის დასაწყისშივე, როცა იგი გაზეთს ჩასდგომია სათავეში. მაგრამ სერგეისათვის ეს არ იყო მთავარი. იგი პირველ რიგში „დროებაში“ აკაკის თანამშრომლობით არის დაინტერესებული. „თუ ძმა ხარ, აკაკი, შენი დაპირება შეასრულე და რამე გამომიგზავნე „დროებისათვის“, — სწერდა მას სერგეი, — ფელეტონი, ლექსი ან სხვა, რაც გერჩიოს, თორემ აქ სულ სხვანაირად ფიქრობენ და ხსნიან იმას, რომ შენ ამდენი ხანია სრულიად არაფერი არ გამოგიგზავნია და დაგიბეჭდინებია „დროებაში“, ხო იცი, რომ ესე არ ვარგა... მაშ მოველი შენგან 1) „დროებისათვის“ სტატიას, 2) „კავკასიისათვის“ და 3) ამ წიგნის პასუხს“³⁸.

აღსანიშნავია, რომ გაზეთ „დროების“ არსებობიდან ათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, 1876 წლის 4 მარტიდან ახალი რედაქცია შედგა: სერგეი მესხის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის

³⁶ იქვე, ტომი 11, გვ. 369-373, 546.

³⁷ იხ. სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, გვ. 178.

³⁸ იქვე, გვ. 178.

ძისა და ნიკო ნიკოლაძის შემადგენლობით. მათ შორის დაიდვა — „დროების“ რედაქციის პირობა³⁹, რის საფუძველზედაც ურთიერთ შორის უფლება-მოვალეობის ფუნქციები განაწილდა და გაზეთის გამოშვებისათვის გარკვეული წესრიგი შემუშავდა.

გაზეთის რედაქციის ამ ახალი შემადგენლობის შესახებ თვით სერგეი მესხი წერდა: „ეს დღე შესანიშნავი იქნება ჩვენის გაზეთისათვის მითაც, რომ ამ ოთხის მარტიდამ 1876 წ. „დროებაში“ მიიღებენ განსაკუთრებით მონაწილეობას ქვემოხსენებულნი პირნი, რომელნიც კისრულობენ როგორც ლიტერატურულს, აგრეთვე მატერიალურს წარმატებას გაზეთისას: ნიკო ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე, ამათ გარდა ჩვენის გაზეთისათვის იშრომებენ ეხლანდელნი თანამშრომელნიცა“⁴⁰.

ამას გარდა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1876 წლის ბოლოს და 1877 წლის დასაწყისში მკითხველთა საყურადღებოდ „დროებაში“ სისტემატურად ცხადდებოდა: „მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკო ნიკოლაძე“.

სერგეი მესხის მიერ მიღებული ყველა ამ ღონისძიებებისა და თვით აკაკის პირადი დაპირებების მიუხედავად, 1877 წლის „დროებაში“ იშვიათად იბეჭდებოდა პოეტის სტატიები, წერილები თუ ლექსები. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ „დროების“ განახლებული რედაქციის შემადგენლობამ დიდხანს ვერ იარსება. მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ საბანკო საკითხების გამო და რამდენიმე თვის შემდეგ დაიშალა. პირველად ილია ჭავჭავაძემ მიატოვა რედაქცია, ხოლო შემდეგ, 1877 წელს, ნიკო ნიკოლაძეც გავიდა.

სამწუხაროდ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სერგეისა და აკაკის 1877—1878 წლების სხვა პირადი წერილები არ მოგვეპოვება. მხოლოდ შემდგომი პერიოდის — 1879 წლის სამი წერილი გავვაჩნია აკაკისა სერგეისადმი მიწერილი⁴¹, ხოლო სერგეისა აკაკისადმი ერთადერთი წერილი — 1882 წლისა⁴².

³⁹ მისი სრული ტექსტი იხ. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა), შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა შალვა გოზალიშვილმა, 1951, გვ. 22-24.

⁴⁰ გაზ. დროება, 1876, № 23, გვ. 1.

⁴¹ შ. გოზალიშვილი, აკაკი წერეთელის წერილები სერგეი მესხისადმი, იხ. „მნათობი“, № 9, 1960, გვ. 109-110; თხზულებანი, ტომი 15, 1963, გვ. 106-111.

⁴² სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, III, გვ. 179.

აკაკის აღნიშნული სამივე წერილი, 1879 წელს პეტერბურგში ყოფნის დროს სერგეისადმი გამოგზავნილი, მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის. ცნობილი საზოგადო მოღვაწის ბესარიონ ლოლობერიძის გარდაცვალების გამო 1879 წლის 12 მარტს აკაკი პეტერბურგიდან სერგეის სწერდა: „ბესარიონ ლოლობერიძის სიკვდილი ძალიან სამწუხაროდ დამირჩა. ჭერჭერობით არა თუ მისთანა, იმაზედ უმდარესი კაცებიც კი საჭირო არიან ჩვენთვის და მათი დაკარგვაც სამძიმოა... „დროებას“ იმაზედ ბევრი უსიამო რამ უთქვამს, მაგრამ იმასაც დავანახვებთ მკითხველებს თუ რისთვის და რათ გვეთქოს საყვედური მისთანა კაცზედ, რომელიც ყოველთვის სასარგებლო რაზმში გვყოლია ჩათვლილი“.

მიუხედავად ამისა, რომ აკაკის, ნ. ნიკოლაძესთან ერთად, საბანკო საკითხებზე ბ. ლოლობერიძესთან მწვავე პოლემიკა ჰქონდა, იგი ერთ-ერთ თვალსაჩინო მოწინავე საზოგადო მოღვაწედ მიაჩნდა.

აკაკიმ გულისტკივილით აღნიშნა მისი უღროოდ გარდაცვალებით გამოწვეული დიდი დანაკლისი სტატიის — „ბესარიონ ლოლობერიძის სახსოვრად“, რომელიც „დროებაში“ დაიბეჭდა⁴³.

სერგეი მესხმაც მიუძღვნა მას „დროების“ მოწინავე წერილი: „ბესარიონ ლოლობერიძის განსვენება“⁴⁴ და აღნიშნა მისი დამსახურება როგორც საზოგადო მოღვაწისა.

აკაკის პეტერბურგში ყოფნასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ცენტრალურ რუსულ პრესაში მის მიერ დაბეჭდილი სტატიების საკითხი.

„გოლოსში“ როგორ გეჰაშნიკა სტატიები სემინარიაზედ? — სწერდა აღნიშნულ წერილში აკაკი სერგეის. — არ მეგონა კი, თუ დამიბეჭდავდენ. უკანასკნელი სტატია ბახტაძის იყო — განა კარგი იყო?! თუ ვინიცობაა, კუვენისკიმ ხმა გამოიღო, რაცკი რამ დაბეჭდილა სემინარიაზედ. მომაწვდინე, საბრალო ჩემ ვოდევილს ვერა უშველეთ რა, მაინც უნდა ითამაშონ!.. ავტორობა და მასხარობა ჩვენში ჭერ კიდევ ერთია!“..

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთელის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსულ ენაზე დაწერილ თხზულებებს, პუბლი-

⁴³ გაზ. დროება, 1879, № 69; თხზულებანი, ტომი 11, 1960, გვ. 453-457, 552.

⁴⁴ იქვე, 1 მარტი 1879, № 55; ს. მ. ე. ს. ხ. ი., თხზულებანი ტომი 3, 1964, გვ. 142-145.

ცისტურ სტატიებსა და კორესპონდენციებს. მთელი ეს მეგვიდრობა, რაც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა იმ დროის რუსული პრესის ფურცლებზე, თავმოყრილია უკანასკნელად გამოცემულ მწერლის თხზულებათა 15 ტომში. ამის მიუხედავად, ამ ტომებულში მაინც მთლიანად არ არის შესული აკაკი წერეთლის ნაწერები რუსულ ენაზე. აკაკის აღნიშნული პირადი წერილებიდან კი ახალ, საყურადღებო საკითხებს ვეცნობით.

აკაკი წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების საქმეს, თვალყურს ადევნებდა თბილისის სასულიერო სემინარიაში და სხვა სასწავლებლებში ახალგაზრდობის აღზრდას, მათს სწავლებას, მოვლა-პატრონობას, რაც მაშინ ძალიან ცუდად იყო დაყენებული.

კერძოდ, იმ პერიოდში თბილისის სასულიერო სემინარიას განაგებდა მეფის რუსიფიკატორული სწავლა-აღზრდის ურყევად გამტარებელი შავრაზმელი კუვშინსკი. მის დროს უკიდურეს ზომამდე მიაღწია სემინარიაში ქართული ენისა და მოწინავე ქართველ მასწავლებელთა და მოსწავლეთა დევნამ. შემოღებული იყო უანდარმული წესები. აქ გამეფებული აუტანელი პირობების წინააღმდეგ, მშობლიური ენის დასაცავად გაზეთ „დროების“ ფურცლებიდან, მრავალჯერ აუმაღლებიათ ხმა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, სერგეი მესხს, იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ ეს საკმარისი როდი იყო.

აკაკი წერეთელმა საჭიროდ დაინახა რუსეთის მოწინავე საზოგადოებისათვის ცნობილი გამხდარიყო საქართველოში სწავლა-განათლების სავალალო მდგომარეობა. ამ მიზნით, როგორც ზემოთ ხსენებული სერგეი მესხისადმი გავზავნილი წერილიდან ჩანს, აკაკი წერეთლის მეცადინეობით, 1879 წლის მარტის გაზეთ «Голос»-ში ხელმოუწერლად დაიბეჭდა ორი კორესპონდენცია: პირველი №60-ში «Из Тифлиса, 19-го февраля (корреспонденция «Голоса»), რომელიც ეხებოდა თბილისის, ქუთაისის გუბერნიისა და საერთოდ ამიერკავკასიის სკოლებში გამეფებულ ცუდ სასწავლო პირობებს, ხოლო მეორე წერილი №66-ში «Из Тифлиса, 26-го февраля (корреспонденция «Голоса») ეხებოდა თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებულ სწავლა-აღზრდის საშინელ პირობებს, ინსპექტორ კუვშინსკის თავაშვებულ მოქმედებას და სხვ.

როგორც აკაკი წერეთლის წერილიდან დასტურდება, პირველი კორესპონდენცია თვით პოეტის კალამს ეკუთვნის, ხოლო მეორე — პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს — ილია ბახტა-

ქმს⁴⁵. მასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ისიც, რომ გაზეთ „Голос“-ში თანამშრომლობდნენ აგრეთვე ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვა ქართველი მოღვაწეები. ამ გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა საქართველოდან მეტად საყურადღებო წერილები და კორესპონდენციები.

აღნიშნული სტატიის გარდა, აკაკი წერეთელს სხვა წერილები და სტატიებიც უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული გაზეთ „Голос“-ისა და სხვა ცენტრალური რუსული პრესის ფურცლებზე.

ქართული კულტურის ისტორიისა და ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით, რევოლუციამდელი რუსული პრესა ჯერ კიდევ შეუსწავლელია. ამ მიმართულებით რუსულ პრესის შესწავლა კვლევადობა ბევრ საყურადღებო ფურცლებს შესძენს როგორც აკაკი წერეთლის, ისე სხვა ქართველ მოღვაწეთა ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ხელს შეუწყობს ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიის მრავალი საკითხის გარკვევას. ამის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ზემოთ დასახელებული „გოლოსში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია, საიდანაც კარგად ჩანს აკაკი წერეთლის მახვილი პუბლიცისტის თვალთ დანახული მეფისდროინდელი უკუღმართი პირობები, რომელშიაც იმყოფებოდა ქართველი ხალხის თაობების აღზრდა და სწავლა-განათლება.

თავის უკანასკნელ წერილში პეტერბურგში ყოფნით კმაყოფილი აკაკი სერგეის სწერდა: „სხვა რა მოგწერო, აქ ყოფით, ზნეობითადაც ბევრი ვისარგებლე. კითხვის ჭინი მოვიკალი და წერიტაც ვიქცევიდი თავს. რამოდენიმე ლექსი დავჩხაბნე, ორი მოთხრობა — ერთი პატარა და ერთიც კი გვარიანი დიდი და ერთიც დიდი ისტორიული დრამა „ნახირ-ფაშა“ გავათავე, რომელიც, უნდა გამოგიტყდე, მე ძალიან მომწონს, მაგრამ ეს კიდევ არ ამტკიცებს, რომ მართლა ძალიან კარგი იყოს, რადგანაც ჩემისთანა ცალმაგ პოეტებს ხშირად თავისი ვირი ბედაური ჰგონიათ ხოლმე. გიგზავნი ამ ლექსს, თუ ივარგოს, დაბეჭდე და რაც სიტყვა არ გაუშვას ტვინ-მეისტერმა, წერტილებით ამოაკენკინე“.

როგორც ჩანს, აკაკის თავისი სამმოქმედებიანი ისტორიული დრამა „ნახირ-ფაშას“ სახელწოდებით დაუმთავრებია 1879 წლის დეკემბერს, პეტერბურგში ყოფნის დროს. შემდეგში მისთვის სა-

⁴⁵ ამის შესახებ იხ. გულნარა გოზალიშვილის, აკაკი წერეთლისა და ილია ბახტაძის უცნობი წერილები გაზეთ „გოლოსში“, ქურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1969 № 11, გვ. 84-88.

თაური შეუცვლია და „კუდურ-ხანუმის“ სათაურით პირველად დაუბეჭდავს 1880 წელს ილიას „ივერიაში“ (№ 2).

აკაკის „კალმის წვერის ნაწარმოების მომლოდინე“ სერგეი მესხი ხშირად ეხმაურებოდა მას წერილებით, მუდმივად ახსენებდა და ევედრებოდა, რომ გაზეთისათვის მასალები ხშირად ეგზავნა. სერგეი თავის უკანასკნელ წერილში 1882 წლის 3 თებერვალს აკაკის სწერდა: — „მადლობა ღმერთს! ძლივს ველირსეთ ბოლოს, როგორც იქნა, შენს ძველებურ „ცხელ-ცხელ ამბებს“, რომლითაც ერთ დროს აცხოველებდი გაზეთსაც და გვერდებში სადგისს სჩხვლეტდი ნეტარად მიძინებულ ქართველ კაცსა. რადგანაც ეგ არის, მოხსენი თავი შენს ბასრ-მახვილმეტყველების გუდას, ბარემ, თუ ძმა ხარ, დას-დასებით ამოიღე რაც შიგ ჩალაგებული გაქვს და მოგვაწოდე, ღვთის გულისათვის, მალე აღარ მოუკრა თავი!“⁴⁶.

თავის თანამედროვე მოღვაწეთა შორის, იაკობ გოგებაშვილის შემდეგ, აკაკის სერგეი მესხი მეორე ადამიანად მიაჩნდა, რომელთანაც უახლოესი გულთბილი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა. იგი მას ყოველთვის დიდი თანაგრძნობითა და სიყვარულით ეკიდებოდა.

თოთხმეტი წლის განმავლობაში გაზეთის რედაქტორის მძიმე მუშაობამ შეარყია სერგეი მესხის ჯანმრთელობა. იგი იძულებული გახდა საყვარელი გაზეთი მიეტოვებინა, გამოთხოვებოდა საზოგადოებრივ მუშაობას და სამკურნალოდ წასულიყო. 1883 წლის 9 მაისს, თბილისის მოწინავე საზოგადოებამ სერგეი მესხს გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ვერის ბაღში.

— „ღღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, — წერდა თვით სერგეი მესხი, — საუბედუროდ იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს — თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილკაცობის ძალ-ლონე, ჩემი ჰკუა-გონება და, ერთი სიტყვით, მთელი ჩემი არსება შეეწირე“⁴⁷.

„დროებაში“ დიდი გულისტკივილით დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის, ივანე მაჩაბლისა და სხვათა წერილები სერგეის გამოსამშვიდობებლად. ამ წერილების ავტორები იმედს გამოთქვამდნენ,

⁴⁶ სერგეი მესხის წერილები აკაკი წერეთლისადმი, გვ. 179.

⁴⁷ ს. მესხი, ჩემს მკითხველს, „დროება“, 1883, № 85; თხზულებანი, ტომი 3, 1964, გვ. 413.

რომ ს. მესხი მალე განიკურნებოდა და ისევ მალე დაუბრუნდებოდა სამუშაოდ საყვარელ საქმეს.

1883 წლის 25 ივნისს „დროება“ უკანასკნელად გამოვიდა სერგეი მესხის რედაქტორობით და ხელმოწერით. სერგეი აბასთუმანში წაიყვანეს სამკურნალოდ. გამგზავრების წინ სერგეიმ თავის სამშობლო სოფელ რიონში სახლის კარებზე დააწერა — „მშვიდობით ჩემო პატარავ და ლამაზო რიონო, შენის წმინდა ჰაერით უკანასკნელად ვსუნთქავ“.

მართლაც, ამის შემდეგ სერგეიმ თვეც ველარ იცოცხლა. 1883 წლის 21 ივლისს, დღის სამისნახევარზე, აბასთუმანში გარდაიცვალა. დასაფლავებული იქნა 25 ივლისს სოფელ რიონში, ქუთაისის მახლობლად.

სერგეი მესხის სიკვდილი მოულოდნელი, თავზარდამცემი მეხი იყო მაშინდელი მოწინავე ქართული საზოგადოებისათვის. ღრმა გულსტიკივლით იქნა აღნიშნული პრესაში ეს დანაკლისი და დიდი გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს ყველა კუთხეში. სიჭაბუქის ბოლომდე სერგეი მესხის შეუცვლელმა მეგობარმა აკაკიმ თავისი გულსტიკივლი და მწუხარება გამოხატა მისადმი მიძღვნილ ლექსებსა და წერილებში⁴⁸.

მგრძნობიარე მოსიყვარულე პოეტმა ძალუმი გულსტიკივლით განიცადა იმ ადამიანის დაკარგვა „ვინც ჭირში გვერდში დგომა და ვისთანაც, გარდა საერთო საზოგადო ტანჯვისა, გასაზიარებელიც არა ჰქონია რა!“..

აკაკის დახასიათებით, სერგეი მესხი იმ დროის მოღვაწეთაგანი იყო, რომელსაც „მარტოხელობის პერიოდი (ხანა) უნდა დაერქვას ჩვენს ცხოვრებაში!“.

და აი, სწორედ ამ „მარტოხელობის პერიოდში“, — წერდა აკაკი, — სერგეი მესხი „გრძნობითა და სურვილებით აღვსილი

⁴⁸ აკაკი, ლექსი — „ს. მესხის გარდაცვალებაზე“, გაზ. დროება, 1883, № 160, ლექსი — „სახსოვრად“, აკროსტიხი — „სერგეი მესხს აკაკი“, ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1915, № 25 (ლექსი დაწერილია ს. მესხის გარდაცვალების შემდეგ — 1883 წელს), თხზულებანი, ტომი 2, 1950, გვ. 112, 117, 472, 474; აკაკი, სიტყვა (გამოსათხოვარი) სერგეი მესხისადმი, გაზ. დროება, № 86, აკაკი, სახსოვრად, სიტყვა ს. მესხის გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, ჟურნ. ნობათი, 1884, დამატება № 5-6, გვ. 57-59; თხზულებანი, ტომი 12, 1960, გვ. 231-232, 251-253, 422, 424.

ახალგაზრდა, ქაბუკი, გამოდის ცხოვრების სარბიელზე და ჰხედავს, რომ მის წინ ორი გზა იშლება: ერთი საპირადო და მეორე საზოგადო. პირველი ექადის მას კეთილდღეობას, ყოველგვარ ხორციელ წარმატებას, ამალლებასა და დიდებას, მეორე კი ტანჯვას, სიღარიბეს, შიმშილ-წყურვილს, უმეტესობის, და მერე როგორის უმეტესობის, თვალში დამცირებას, უბრალო რამ სურვილებისაც კი უხმოდ გულში ჩაკვლას, სხვებისაგან დევნას, თავისიანებისაგან გაწირვას და სხვადასხვა. მაგრამ ის კი მაინც უკანასკელს ირჩევს და საზოგადო გზას ადგება. ოხვრით იკიდებს წინათვე დანახულ ტვირთს, მიდის, იქანცება, დნება ნელნელა და ბოლოს იმ აუტანელ ტვირთ ქვეშ შუა გზაზე ეცემა და მხოლოდ ასე ესაყვედურება თავის უკუღმართ ბედსა: „ვაი, რა უდროვოთა ვკვდები!.. ჯერ კიდევ შემეძლო ჩემი საქმე გამეგრძო და მემუშავენაო! — ე. ი. მეტანჯაო, რაღა. წმინდა არის ამგვარი გრძნობა და სათაყვანო!..“⁴⁹

გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა ნათელ სახეთა შორის მუდამ წარუშლელი იქნება თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლის მოტრფიალე, სიკვდილამდის დაუღალავად მოღვაწე სერგეი მესხის პიროვნება.

ს. მესხს გვერდს ვერ აუქცევს ვერც ერთი მკვლევარი, რადგან მან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში დამსახურებული თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

ამ ნათელი გონების ჩუმ მოღვაწეს ყოველთვის მხარში ედგა და გზის მაჩვენებლად წინ მიუძღოდა მუდამ ბოზოქარი და დაუდევარი ბუნების ადამიანი, დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე აკაკი წერეთელი.

⁴⁹ აკაკი — „სერგეი მესხის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე“, ჟურნ. ნობათი, 1884 წ. № 5-6-ის დამატება, გვ. 57-59; თხზულებანი, ტომი 12, 1960, გვ. 251-252.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და კომეტის
თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა

ცნობილია: ყოველ ახალ ეპოქაში, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ყოველ შემდგომ ეტაპზე, წარსულის მხატვრული მემკვიდრეობა ახლებურ მნიშვნელობას იძენს, ახალი, მანამდე შეუცნობელი შინაარსით ივსება და ამგვარად „გარდაქმნილი“ წარსდგება ახალ თაობათა სამსჯავროს წინაშე. და, რაც უფრო დიდია ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოებისა და, საერთოდ, ამა თუ იმ ხელოვანის შემოქმედების ღირებულება, მით უფრო გარდუვალა და აშკარად შესამჩნევი ეს საოცარი ფენომენი — ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილებების დროთა მანძილზე შეუჩერებელი „ზრდა“ და „განვითარება“.

საუკუნეთა მიღმიდან მომზირალი ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლების უკვდავებისა და მარადიულობის ფაქტი, პირველ ყოვლისა, ხელოვნების ქმნილებათა ამ მუდმივი განახლების ცხოველმყოფელ უნარში ჰპოვებს თავის ახსნას...

როგორ აღიქვამდნენ ჩვენი წინამორბედი მხატვრული შემოქმედების იმ ნიმუშებს, რომელთა შესახებ ამჟამად სრულიად გარკვეული შეხედულება მოგვეპოვება? რამდენად მსგავსია, ან რამდენად განსხვავებული ჩვენი და ჩვენი წინაპრების დამოკიდებულება ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებისადმი? როგორია ის კრიტერიუმები, რომელთაც იმარჯვებდნენ წინა თაობები ლიტერატურულ ნაწარმოებთა განხილვა-შეფასების დროს? ასეთ და ამავე რიგის სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად ყველაზე უტყუარ და წელშესახებ მასალას სალიტერატურო კრიტიკის ისტორია გვაწვდის, რომელშიც თვალნათლივთა ასახული და გამოვლენილი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მანძილზე წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი სხვადასხვა თაობათა სხვა-

დასხვაგვარი დამოკიდებულების, ნაირგვარ შეხედულებათა არსებობისა და მონაცვლეობის ფაქტი.

ხელოვნებისა და ლიტერატურის ისტორიაში არაერთი მხატვრული ნაწარმოებისა თუ, საერთოდ, ხელოვანის შემოქმედების დასახელება შეიძლება, რომელთა მიმართაც თანამედროვეთა და მომდევნო თაობათა დამოკიდებულება დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართული მწერლობა წარმოადგენს. მაგალითისათვის შეიძლება თუნდაც ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა დავასახელოთ, რომლის შესახებ ამჟამად საყოველთაოდ გავრცელებული და აღიარებული თვალსაზრისი პრინციპულად განსხვავდება პოეტის შემოქმედებისამდინი XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულებისაგან: თუკი, ერთი მხრივ, თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობა მიიჩნევს, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში ღრმად და ნათლად არის ასახული XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს მწვავე სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნულ-პატრიოტული პრობლემები, გამოთქმულია ქართველი ხალხის სწრაფვა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისაკენ, გამოხატულია ეპოქის მოწინავე იდეები; სთვლის, რომ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი მალალი მოქალაქეობრივი იდეალებით განმსჭვალულ ლირიკას უკავია და რომ პატრიოტიზმი მაცოცხლებელი ატმოსფეროა პოეტის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობისა, მეორე მხრივ, XIX საუკუნის ქართული კრიტიკა (თითქმის საუკუნის მიწურულამდე) ვერ ხედავდა, თუ რა ზემოქმედება მოახდინა ალ. ჭავჭავაძის პოეტურ სამყაროზე „საყოველთაო უნუგეშყოფამ მაშინდელი დროისამ“, ვერ ამჩნევდა მის პოეზიაში „საზოგადო ყოფისაგან აღმოკვნესილ სიტყვას“, მცირე ნაკლდაც კი სამშობლოს ძნელბედობით გამოწვეული „მამულიშვილური გულისტივილისა“.

ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ნიშანდობლივ თვისებად (და, ამავდროს, მის უდიდეს ნაკლად) „სამოქალაქო სევდის“, „მამულიშვილური გულისტივილის“ უქონლობა და სატრფიალო-სალაღობო თემატიკით შემოფარგლულობა იყო მიჩნეული. ალ. ჭავჭავაძე ითვლებოდა უდარდელ და მხიარულ მგოსნად, ეპიკურელ თუ ანაკრეონტელ პოეტად, რომელსაც, თითქოს, სრულიადაც არ ეხებოდა და არ აღეღვებდა მშობელი ერის ავი თუ კარგი, ქართველობის საწუხარი თუ სატკივარი, „თავის ქეიფს უნდებოდა“ და

„სავარდებულო“, „სააშკო“ თუ „სალხინო“ ლექსთა თხზვით
ოქცევდა თავს.

XIX საუკუნის ქართული კრიტიკა აღიარებდა ალ. ჭავჭავაძის მაღალ პოეტურ ნიქს, მაგრამ მის შემოქმედებას, ზემოაღნიშნული შეხედულებიდან გამომდინარე, მისი საზოგადოებრივი ღირებულების თვალსაზრისით, უარყოფით შეფასებას აძლევდა¹.

მწერლის მხატვრული მემკვიდრეობის კვლევის ისტორიის შესწავლა, მის შესახებ არსებულ თვალსაზრისთა ცვალებადობისათვის თვალის გადევნება და ამ ცვალებადობის მიზეზების გარკვევა, აღნიშნულ შეხედულებათა ღირებულებით თუ ნაკლოვანი მხარეების დადგენა და როგორც თანამედროვე, ასევე წინამორბედ თვალსაზრისებთან მათი მიმართების ნათელყოფა გარკვეული მნიშვნელობის მქონეა არა მარტო საკუთრივ ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების სრულყოფილი შესწავლისათვის, მისი (ამ შემოქმედების) ისტორიის, მისი „ცხოვრების გზის“ გასათვალისწინებლად, არაშედ, ასევე, საზოგადოდ, სალიტერატურო კრიტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების თავისებურებათა შესახებ შეტ-ნაკლებად სრული და მართებული წარმოდგენის შესაძენად.

ამ წერილში ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ როგორ აღიქვამდა გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებას პოეტის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევის ისტორიაზე გადავიდოდეთ, აუცილებელია გავიხსენოთ ქართული სალიტერატურო კრიტიკის იმჟამად არსებული მდგომარეობა, რომელმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა გრ. ორბელიანის, ისევე, როგორც სხვა ქართველ მწერალთა, და, მათ შორის, საკუთრივ ქართველ რომანტიკოს პოეტთა მხატვრული მემკვიდრეობის შესწავლის ხასიათი. კერძოდ, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს ის გარემოება, რომ, მართალია, კრიტიკულ აზროვნებას მაქართველოში მდიდარი ტრადიციები გააჩნდა, და წარსულ საუკუნეთა ქართულ მწერლობაში გამოვლენილი კრიტიკული ელემენ-

¹ ვრცლად ამ საკითხზე იხ. ჩვენი წერილი: „მამულიშვილური გულისტკივილი ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში და XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა“ (ქრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, VI, 1975, გვ. 133-181).

ტები, უთუოდ, გარკვეული წინამძღვრების როლს ასრულებდნენ XIX საუკუნის ქართული კრიტიკული აზრის განვითარებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, როგორც ცნობილია, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობდა სათანადო პირობები სალიტერატურო კრიტიკის ინტენსიური განვითარებისათვის. კრიტიკის — როგორც ლიტერატურათმცოდნეობის გარკვეული დარგის, ცალკე, დამოუკიდებელ დისციპლინად საბოლოოდ ჩამოყალიბება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ხდება, და ბუნებრივიცაა, თუკი ჩასახვისა და განვითარების პირველ ეტაპებზე სალიტერატურო კრიტიკა ჩვენში ჯერ კიდევ ვერ უსწორებს მხარს მხატვრული ლიტერატურის განვითარებას.

უთუოდ მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ქართველ მწერალთა ნაწარმოებების პუბლიკაციის იმჟამად არსებული სავალალო მდგომარეობა ქართველ კრიტიკოსთათვის პრაქტიკულად თითქმის შეუძლებელს ხდიდა არათუ ქართული მწერლების განვითარების ამა თუ იმ მონაკვეთის რამდენადმე დამაკმაყოფილებელ დახასიათებას, არამედ ცალკეულ ქართველ მწერალთა შემოქმედების ერთ მთლიანობაში აღქმასა და მის ობიექტურ ანალიზსაც: „ჩვენი მწერლობის უბედურება იმაში მდგომარეობს, — წერდა ნ. ნიკოლაძე 1871 წელს, გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვისადმი მიძღვნილ წერილში, — რომ მკითხველი საზოგადოება ვერ იცნობს ჩვენი პოეტების სრულ შრომას. იმას თვალწინ არ უდგია თითოეულის მათგანის სრული სახე და ხასიათი. ჩვენი პოეტების თხზულებები აქა-იქ, სხვადასხვა გამოცემებშია დაფანტული, ზოგჯერ დამახინჯებულიც, და მკითხველს არავითარი საშუალება არა აქვს შეკრიბოს, შეაერთოს და შეაჯოს თავისი საყვარელი მწერლის ლექსები, მათგან ერთბაში და სრული შთაბეჭდილების მისაღებად. არათუ მკითხველი, ჩვენი კრიტიკაც სწორედ ამავე სამწუხარო მდგომარეობაშია; მისი დასაფასებელი მასალა ნამეტანათ გაბნეული და გაცალცალკევებულია და ის ვერ იდგენს ყოველმხროვანს აზრს მწერლის წარსულ ნაწერზე და ამ ნაწერის ნამდვილ ხასიათზე“². დაბოლოს, გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ სალიტერატურო კრიტიკის განვითარება საქართველოში რომანტიზმისაგან თვისობრივად განსხვავებული და მისი უარმყოფელი მხატვრული

² ნ. ს. კ ა ნ დ ე ლ ი, [ნიკო ნიკოლაძე], ჩვენი მწერლობა. გრიგოლ ორბელიანი, ეურ. „ქრებული“, 1873, № 3, გვ. 146.

მეთოდის — რეალისტური მეთოდის დამკვიდრების ხანას დაემთხვა. ქართველ კრიტიკოსთა უპირველეს საზრუნავს, ამ პერიოდში, რეალისტური მწერლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენდა, რეალისტური მეთოდის ღირსებათა ნათელყოფა და მისი უპირატესობის დასაბუთება ყველა სხვა მხატვრულ მეთოდთან მიმართ. და, ამდენად, მოულოდნელი არ უნდა იყოს, თუკი რეალისტური მწერლობის განმტკიცებისათვის ბრძოლის პათოსმა თავისი დალი დაასვა რომანტიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულების შესწავლა-შეფასების საქმეს.

დასახელებული მიზეზები, ცხადია, მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ქართული მხატვრული აზროვნების მდიდარ მონაპოვართა წარმატებით კვლევას და შემადგენებლად მოქმედებდა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებაზე. ცხადია ისიც, რომ — ზემოთქმულის გამო, — აღნიშნული პერიოდის ქართული კრიტიკის ცალკეული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიზეზებს თვით ქართული კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობებში კი არ უნდა დავუწყოთ ძიება, არამედ იმ ობიექტურ პირობებში, რომლის გარემოცვაშიც ხდებოდა ქართული კრიტიკის, ისევე როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნების სხვა დარგების განვითარება. XIX საუკუნეში ცალკეულ ქართველ მწერალთა, და, საკუთრივ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების შესწავლაში არსებული ხარვეზებიც, პირველ რიგში, სწორედ ამ ობიექტური მიზეზებით აიხსნება.

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების კვლევას XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩასახვისა და განვითარების პირველსავე საფეხურზე ეყრება საფუძველი.

გრიგოლ ორბელიანის სახელს, როგორც „წარჩინებული“, „სამაგალითო“, „ჩვენი დროის განმაბრწყინებელი“ და „ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი პოეტისას“, რომლის პოეტური ქმნილებანი „სიამოვნებით იკითხება და ცხადად ესიტყვება გულსა და გონებას“, ჯერ კიდევ 50-იანი წლებში, უფრო. „ცისკარსა“ და „კაკვაზში“ გამოქვეყნებულ ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატიებში ვხვდებით. მართალია, აღნიშნულ წერილთა უმეტესობაში გრ. ორბელიანი ნახსენებია მხოლოდ, და არაფერია კონკრეტულად თქმული მისი პოეტური ნაწარმოებების ღირსებათა თუ თავისებურებათა შესახებ, მაგრამ თავისთავად უთუოდ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უკვე ამ წერილებში სავსებით ნათლად და ექვემოტანლადაა გამოვლენილი კრიტიკოსთა მაღალი აზრი გრ. ორბელიანის პოეზიის შესახებ, აზრი,

რომელიც — იშვიათ გამოჩაყლისთა გარდა, — განუხრელად გას-
დევს XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკას.

ასე, მაგ., გრიგოლ ორბელიანი მოიხსენება შ. რუსთაველის,
ნ. ბარათაშვილის და სხვა სასიქადულო ქართველ მწერალთა გვერ-
დით 1852 წელს გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდილ მიხეილ თუმანიშვი-
ლის სტატიაში — „ქართული თეატრი“³, „კავკაზშივე“ 1854 წელს
გამოქვეყნებულ დიმიტრი ყიფიანის წერილში — „რამდენიმე აზრი
საქართველოს ისტორიის მასალებზე“⁴, ნიკოლოზ ბერძნიშვილის
სტატიაში — „რამდენიმე სიტყვა ქართული ლიტერატურის შესა-
ხებზე“⁵, 1859 წლის სექტემბრის „ცისკარში“ გამოქვეყნებულ ლავ-
რენტი არდაზიანის წერილში — „ქურნალ „ცისკარის“ 1858 წლის
12 წიგნაკის — იანვრიდან დეკემბრამდე, — გაკვრით მიმოხილვა“
ნ. ბერძენოვისა“⁶, და სხვ.

დასახელებული წერილები საყურადღებოა იმითაც, რომ მათში
დადსტურებულია ის დიდი პოპულარობაც, რომელიც გრიგოლ
ორბელიანს, როგორც პოეტს, მის თანამედროვე საზოგადოებაში
ქჰონდა მოპოვებული: ასე, მაგ., მიხეილ თუმანიშვილი, სტატიაში —
„ქართული თეატრი“, აღნიშნავდა რა, რომ „შეიძლება ერთმა რო-
მელიმე დრამამ, მოხერხებულად აღებულმა, ქვეყნის პოეტური კო-
ლორიტით შემოსილმა და ამავე დროს შოთა რუსთაველის ნაზი
ენით, ან ჭავჭავაძის, ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანისა და
გიორგი ერისთავის ენით დაწერილმა“, გამოიხმოსო და „ალადგინოს
მთელი წყება მწერლებისა“, სქოლიოში დასძენდა: „ეს სახელები
(იგულისხმებთან ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი და
გ. ერისთავი—გ. ა.), რასაკვირველია, ახალი და უცნობია მკითხველე-
ბისათვის, მაგრამ ისინი დიდი ხანია ცნობილია ხალხში ხელნაწერი
პოემებითა და სიმღერებით, რომელნიც იმდენად საყვარელნი არიან
აქ, რომ იშვიათად ადგილობრივთაგან ვინმემ არ იცოდეს რამდენიმე
მაინც ზეპირად“⁶; ნ. ბერძნიშვილი კი განახლებული „ცისკარის“
პირველი წიგნაკის გამოცემის გამო“ დაბეჭდილ სტატიაში წერდა:

³ Кн. М. Туманов, Грузинский театр, газ. «Кавказ», 1852, № 11.

⁴ Д. Кипиани, Несколько мыслей..., «Кавказ», 1854, № 35.

⁵ Н. Бердзенов, Несколько слов о грузинской литературе (по по-
воду выхода в свет 1-й книжки грузинского литературного журнала «Заря»),
— «Кавказ», 1857, № 4.

⁶ Кн. М. Туманов, Грузинский театр, «Кавказ», 1954, № 11 — об.
ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, ქრესტომათია, I (ს. ხუცი-
შვილის წინასიტყვაობით, შესავალითა და შენიშვნებით), 1954, გვ. 47.

„სასურველია „ცისკარში“ უფრო ხშირად ვხვდებოდეთ ისეთ პოეტთა სახელებს, როგორიც არიან თავ. აღ. ჭავჭავაძე, ორბელიანი, ერისთავი და რამდენიმე სხვა, რომელთა ლექსები მხოლოდ ხელნაწერებადაა და მნიშვნელოვანი პოპულარობითაც სარგებლობენ“⁷, ხოლო წერილში — „ქართული ლიტერატურა“ ნ. ბერძნიშვილი აღნიშნავს, რომ გრ. ორბელიანი „ისეთივე ცნობილი და საყვარელი პოეტია საქართველოში, როგორიც განსვენებული თავ. აღ. ჭავჭავაძე იყო“⁸. — აღ. ჭავჭავაძის ლექსების უდიდესი პოპულარობა კი XIX საუკუნის საქართველოში საყოველთაოდაა ცნობილი.

ნ. ბერძნიშვილის „ქართული ლიტერატურა (ყურნალ „ცისკრის“ 1868 წლის თორმეტი წიგნაკის — იანვრიდან დეკემბრამდე, — გაკვრით მიმოხილვა)“ პირველი წერილია XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რომელიც არ კმაყოფილდება გრ. ორბელიანის მარტოოდენ მოხსენებითა და ზოგადი შექებით და საგანგებოდ განიხილავს მისი პოეტური ნაწარმოების ღირსებებს. განხილვის ობიექტს წარმოადგენს ცნობილი ლექსი „იარალის“, რომელიც „ცისკრის“ 1858 წლის ოქტომბრის ნომერში იყო გამოქვეყნებული (სათაურით — „იარალისა-დმი“). „ვისაც სურს გაეცნოს ქართული მუზის ფერადოვნების საუკეთესო გამოძახილს, — ვკითხულობთ ნ. ბერძნიშვილის ზემოთ დასახელებულ კრიტიკულ მიმოხილვაში, — მას ვურჩევთ მიაქციოს ყურადღება ამ თხზუ-

⁷ Н. Бердзенов, Несколько слов о грузинской литературе., «Кавказ», 1857, № 4, — იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, 1954, გვ. 67.

⁸ Н. Бердзенов, Грузинская литература..., «Кавказ», 1859, № 43., — იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, 1954, გვ. 123.

გრ. ორბელიანის ლექსების პოპულარობის შესახებ შემდეგშიც არაერთხელ მიუთითებიათ გასული საუკუნის ქართველ მწერლებსა თუ კრიტიკოსებს. მაგ. ივ. კერესელიძე, 1871 წელს, გრ. ორბელიანის „საღლეგრძელოს“ განხილვისას წერდა: „ხშირად... წაგვიკითხავს გრ. ორბელიანის წვრილ-წვრილი, ჩინებული ლექსები, კაფიებად გამოტანილი ხალხის ცხოვრებითა და არა თუ ჩვენ, ამ სტატიის დამწერს, ყოველს ქართველს მოსწონებია და დიდს აღტაცებაში მოსულა. გრ. ორბელიანის ლექსები ზოგიერთი სახალხოდ შეიქნა, ასე რომ ბევრნი ახლაც მღერიან ტფილისში მცხოვრებნი და სხვათა შორის, ამ წლის „ცისკრის“ იანვრის ნომერში დაბეჭდილი ლექსი „ლოპიანას დარდები“ (გრ. ორბელიანის ცნობილი „მუხამბაზი“ — „გინდ მეძინოს“... 1871 წლის „ცისკრის“ № 1-ში გამოქვეყნდა სათაურით — „ლოპიანას დარდები“ — გ. ა.) თითქმის ყველა ქართველმა იცის“. — იხ. ბ ი ძ ი ა დ ო ნ ი კ ე [ი ვ. კ ე რ ე ს ე ლ ი ძ ე], „საღლეგრძელო“, თქმული ლექსად თავად გრიგოლ ორბელიანისაგან, ... „ცისკარი“, 1871, № 2.

ლებას. მაგრამ რას ვამბობ? არა მხოლოდ ყურადღება, არამედ ალტაცებაც გაუჩნდება თავისთავად მას, ვინც ერთხელ მაინც წაიკითხავს ამ შეუღარებელ მელოდიას. რომელი ქართველი იქნება, ვინც ცოტად თუ ბევრად იცნობს თავის ხელნაწერ ლიტერატურას, რომ ზეპირად არ იცოდეს ეს მიძღვნა, დაწერილი ჯერ კიდევ 1834 წელს, ნოვგოროდში (როგორც მინაწერიდან ჩანს)⁹, სადაც ავტორი მაშინ ალბათ სამხედრო სამსახურში იყო. ახლა იგი პირველად ჩნდება ბეჭდვით, მაგრამ ასეთია ქეშმარიტი შთაგონების მომხიბვლელობა, რომ მისი ნაწარმოებნი ბეჭდვის გარეშეც ადვილად პოპულარულნი ხდებიან. „იარალისადმი“-ს, საყვარელ სიმღერად ქცეულს, მიყრუებულ სოფელშიც გიმღერებენ, თავადის რომელიმე ქეიფშიც, ქალაქებშიც, განსაკუთრებით გაზაფხულის დღესასწაულებში, ვაზების მწვანე თალარის ქვეშ, როცა ადგილობრივ მკვიდრთა ქეიფია გახურებული“.

შემდეგ ნ. ბერძნიშვილი გადმოსცემს ლექსის შინაარსს და დასძენს: „აქ თითოეული ფრაზა სურათია მხატვრის ხელით შექმნილი. ევროპული ლიტერატურის მცოდნენი, ალბათ დაგვცინებენ, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ ეს სიმღერა შეედრება ბერანეეს ზოგიერთ სიმღერას. აქ როგორც მათში, ვაკხური გატაცებაა, პატრიოტიზმი და ეცესლოვანი სიყვარული სამშობლოსი პოეტური ნაპერწკლებით ელავენ“¹⁰.

„იარალისადმი“ ეურნალ „ცისკარში“ ცენზურის მიერ შეკვეცილი და დამახინჯებული სახით დაიბეჭდა. ლექსიდან ამოღებულ იქნა ცნობილი პატრიოტული სტრიქონები:

- . „წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოვლი კეთილი თანა
წარიღეს,
- აწ უცხოს ცის ქვეშ, ზოგსა ვკვერეთ ოხვრით, და ცრემლით
ზოგის წმინდა სამარესს...
- ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
- .ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
- .უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?!“

⁹ ეურ. „ცისკარის“, 1858 წ. № 10-ში დაბეჭდილ გრ. ორბელიანის ლექსს „იარალისადმი“ თარიღად, 1832 წლის ნაცვლად, შეცდომით, 1834 წელი აქვს მიწერილი („1834 წელსა. — ქ. ნოვგოროდს“).

¹⁰ Н. Б е р д з е н о в, Грузинская литература. белгий обзор 12 книжек журнала «Ария» с янв. по декабрь 1858 г., «Кавказ», 1859, № 43. — იხ. ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის, I, 1954, გვ. 122—123.

ამ ტაეპების ადგილი „ცისკარში“ წერტილებმა დაიკავა... მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლექსის პატრიოტული პათოსისა და მებრძოლი, პროტესტანტული განწყობილების მიჩქმალვა მაინც ვერ მოხერხდა.

პოეტის სულის ამბოხი არსებული სინამდვილის წინააღმდეგ და მისი „ცეცხლოვანი სიყვარული საშობლოსადმი“, სრულიად აშკარა იყო „იარალის“ მკითხველი საზოგადოებისათვის, რომელიც — როგორც ამას ნ. ბერძინიშვილიც გვაუწყებს, — სტამბური წესით გამოქვეყნებამდეც კარგად იცნობდა ქართული პატრიოტული ლირიკის ამ ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნიმუშს (როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1833 წელს „იარალის“ შეტანილ იქნა თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა მიერ შედგენილ ხელნაწერ ალმანახშიც, რაც, ცხადია, ამ ლექსის პოპულარობაზე მეტყველებს).

ქართულმა საზოგადოებრიობამ კარგად იცოდა ისიც, რომ ამ ლექსმა — რომელსაც საპატიო ადგილი უკავია გრ. ორბელიანის შემოქმედებით ბიოგრაფიაში, — საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პოეტის პირად ცხოვრებაშიც.

მხედველობაში მაქვს 1832 წლის შეთქმულებასთან დაკავშირებით გრ. ორბელიანის დაპატიმრება და, შემდეგ, „კავკასიის ლინიაზე“ მოქმედ ჯარში მისი გამწესება, რაშიც, უთუოდ, „იარალისაც“ მიუძღოდა ბრალი.

მართალია, 1832 წლის შეთქმულების გამოძიებისას საგამომძიებლო კომისიამ ვერ მოიპოვა რამდენადმე ხელშესახები საბუთები, რომლებიც შეთქმულთა წრესთან გრ. ორბელიანის პრაქტიკულ, ორგანიზაციულ კავშირს დაადასტურებდნენ, მაგრამ შეთქმულებასთან პოეტის მჭიდრო ი დ ე უ რ ი კავშირი იმთავითვე იოლად იქნა გამოაშკარავებული. ამ კავშირის უტყუარ საბუთს გრ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობა წარმოადგენდა: — ცნობილი რუსი დეკაბრისტი პოეტის კონდრატი რილევის ლექსის „ნალივიაკოს აღსარების“ გადმოქართულება, ლექსი „იარალის“ და პოეტის დღიური („მგზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურდამდის“), რომელშიც როგორც ცნობილია, „ავტორი აშკარად იცავდა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და ეროვნული რეგულარული ჯარის შექმნის იდეას“¹¹.

¹¹ ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი), — იხ. წიგნში: გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, ა. გაწერელას და ჯ. კუმბურიძის შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1959, გვ. 08.

საგამომძიებლო კომისიამ „იარალის“ — სრულიად საფუძვლიანად, — რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საბრძოლო მოწოდებად აღიქვა, და ბუნებრივია, რომ ამ ლექსის დაწერა გრ. ორბელიანს ისეთივე მძიმე დანაშაულად ჩაეთვალა, როგორც რილეევის აკრძალული „ნალივაიკოს აღსარების“ მიბაძვა-გადმოქართულება, რაც — აშკარა იყო, — წარმოადგენდა არა უწყინარი პოეტური ვარჯიშის ნაყოფს, არამედ პოეტის შინაგანი რწმენის შესატყვის შეგნებულ აქტს, — დაუფარავ პროტესტს „ტყვედქმნილი მამულის“ იმ მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, რომელმაც გასთელა „ივერთა კეთილდღეობა“, დაუფარავ მოწოდებას „ლესული მახვილით“ „მტრისა სისხლის დასათხევად“, მამულისათვის თავისუფლების მოსაპოვებლად.

ამიტომ იყო, რომ გრიგოლ ორბელიანის პირველსავე დაკითხვის დროს ამ ორ ლექსზე განსაკუთრებით იქნა გამახვილებული ყურადღება. თვით გრ. ორბელიანს ასე აქვს მონათხრობი ამის შესახებ: „არლოვმა (გენერალ-ადიუტანტი არლოვი იყო ხელმწიფისგან დანიშნული პეტერბურგში მყოფ ქართველ შეთქმულთა ჩვენების ჩამოსართმელად) მკითხა საქმის გარემოება...“

„რილეევის ნალივაიკოს აღსარება თქვენ სთარგმნეთ ქართულად?“ „დიახ, მე“. „იარალი“ თქვენ დასწერეთ?“ „მე“. „რა გინდოდათ გამოგესატათ ამ ლექსით?“ „ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი“¹².

მაგრამ, ბუნებრივია, ასეთი პასუხი ვერ დააკმაყოფილებდა საგამომძიებლო კომისიას, რომელიც აშკარად ხედავდა, რომ ლექსში „იარალის“ „საქართველოს წარსულის ნეტარი მდგომარეობის აღწერა“ პოეტისათვის თვითმიზანს კი არ წარმოადგენდა, არამედ საშუალებას ამ ნეტარი „წარსულის დასანანებლად ქართველთა აღსაგზნებლად“¹³. „განმარტეთ სრული გულწრფელობით — მოითხოვდა საგამომძიებლო კომისია გრ. ორბელიანისაგან, — ამ თხზულების („იარალისადმი“ — გ. ა.) არსებითი მიზანი; რამ გაიძულათ შეგეთხზათ იგი მიმართვის სახით არა სხვა ვინმეს, არამედ იარალი შანშიევისადმი, რომელიც, როგორც ცნობილია მთავრობისათ-

¹² იხ. იო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, — წიგნში: ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები (სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით), 1, 1954, გვ. 47.

¹³ იხ. გ. გოზალაშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, 1976, გვ. 150.

ვის, აგრეთვე ჩართული იყო ქართველთა შეთქმულებაში. რა განზრახვით მიეცით თქვენს თავს ნება შეგეთხზათ ასეთი ნაწარმოებები, რომლებიც უშუალოდ აღაგზნებდა ქართველებს წარსულის დასანანებლად, და სახელდობრ ვინ არის თქვენს მიერ ამ პიესაში მოხსენებული, „ვისაც ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისაც ვჰსტირით“¹⁴...

„ეს ლექსი — წერდა ამ შეკითხვის პასუხად გრ. ორბელიანი, — მე დავწერე იარაღი შანშიევისადმი, რომელიც ფარნაოზ ბატონიშვილთან გავიცანი. ეს სასაცილო მოხუცი ხშირად მთავაზობდა თავის თავგადასავალს, როგორ დაატყვევეს იგი სპარსელებმა, როგორ გამოიქცა იქიდან და სხვა ამისთანას. ჩვენი ნაცნობობის ნიშნად... მე მივწერე მას ეს მიმართვა, უფრო სახუმარო, ვიდრე რამე ყურადღების ღირსი. მე სრულებით არაფერი ვიცი, თუ წევრი იყო იგი რომელიმე შეთქმულებისა. ეს ლექსი გასაკიცხს არაფერს შეიცავს, გარდა ხუმრობისა და წარსულ დროის ჭირითის აღწერილობისა, რომლის მაყურებლადაც გამოვიყვანე მეფე ერეკლე, როგორც ამ სანახაობის მოყვარული“¹⁵...

საგულისხმოა, რომ „იარაღის“ შინაარსს ამგვარადვე განმარტავდა საგამომძიებლო კომისიისათვის მიცემულ ერთ-ერთ ჩვენებაში დ. ჭორჭაძეც: — ამ ლექსში ავტორი იარაღი შანშიაშვილს მოაგონებდაო „საქართველოს ძველ ჩვეულებებს, გაახსენებდა ღრეობასა და გართობას ბაღებში ზაფხულობით“¹⁶...

მაგრამ ასეთი პასუხი, ცხადია, ვერ შეიყვანდა შეცდომაში ხელისუფალთ: „იარაღის“ დაუფარავი და მძაფრი ანტიცარისტული პათოსი მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც ერთნაირად იოლად იყო მისაწვდომი.

რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, რომ „იარაღის“, „აღსარების“ მსგავსად, უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა შეთქმულთა წრეში და ხშირად იკითხებოდა რუსეთის ცარიზმისადმი ოპოზიციურად განწყობილ ქართულ ოჯახებში¹⁷. მკითხველნი ამ ნა-

¹⁴ იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. III, 1976, გვ. 150.

¹⁵ იქვე, გვ. 153.

¹⁶ იხ. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 480.

¹⁷ იხ. დავით ჭორჭაძის ზემოთ დამოწმებული ჩვენება, — წიგნში: გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. II, 1970, გვ. 480; დიმიტრი ორბუ-

წარმოებში არა მარტო „ქართული შექცევისა და ლხინის“, „ღრეობისა და გართობის“ თუ „საქართველოს ძველ ჩვეულებათა“ მომხიბლავ სურათებს ხედავდნენ, რაც, მართლაც, საკმაოდ კარბად არის მასში წარმოსახული¹⁸, არამედ, უწინარეს ყოვლისა, — „ჩრდილოს წყვილიადისადმი“ აშკარად გამოხატულ უარყოფით დამოკიდებულებას და „ვეშაპის“ „ერთის დაკვრით, უსულოდ მიწად დაცემის“ წადილს.

ამიტომ, გასაგებია, რომ „იარალის“ თანაბრად აქტუალურად უღერდა როგორც მისი შექმნის დროს, 30-იანი წლებში, — „ვეშაპის“ ტყვეობიდან მამულის დახსნისათვის სამზადისის პერიოდში, ასევე უურნალ „ცისკარში“ მისი გამოქვეყნებისას, — ქართველი ხალხის ერთოვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი ეტაპის, 60-იანი წლების ეპოქის მოახლობის ყამს.

ამდენად, რუსეთის ცარიზმისათვის ეგზომ საექვო რეპუტაციის მქონე ლექსის გამოქვეყნება, და, ასევე, პრესის ფურცლებიდან მისი საჯარო ქება, ჩემი აზრით, უთუოდ საგულისხმო ფაქტია ქართული ჟურნალისტიკისა და სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში, და მკაფიოდ მეტყველებს როგორც განახლებული „ცისკარისა“ და მისი რედაქტორის — ივ. კერესელიძის, აგრეთვე, ამ ლექსის პირველ კრიტიკოსის — ნ. ბერძნიშვილის მოქალაქეობრივ გამბედაობასა და პატრიოტულ, ანტიცარისტულ სულისკვეთებაზე.

ნიშანდობლივია, რომ გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობიდან (50-იანი წლების დამლევისათვის გრ. ორბელიანი უკვე

ლიანის ჩვენება, ი ქ ვ ე, გვ. 469; ვახტანგ ორბელიანის ჩვენება, წიგნში: გ. გ. ოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, ტ. I, 1935, გვ. 442; ზაქარია ჩოლოყაშვილის ჩვენება, ი ქ ვ ე, გვ. 440 და სხვ.

¹⁸ აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მიწურულს, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქმება შეხედულება, რომლის თანახმად, „იარალის“ უთუოდ მოიგებდა, „რომ მასში მეტისმეტად ადგილი არა ჰქონდეს დათმობილი „მოთაღს, თევზს, მწვანეილებს“, რომ „ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჟირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი, უზანგთა ცემა, ცხენითგან ხტომა. კეალად ზეხტომა და ხმაღთ კრიალი“ მეტისმეტად არ იტაცებდესო პოეტს“. თუმცა, კრიტიკოსი იქვე იმასაც დასძენს, რომ „ეს ოთხი სტრიქონი საუცხოო და თითქმის საუკეთესოა გრ. ორბელიანის ლექსებში გარეგანის, ტექნიკურის მხრით; საოცარია აქ სტილი პოეტისა, რომელიც სავანს ყოველმხივ ასურათებს და თვით სიტყვათა ხმარება სურათის მუსიკალურს მხარესაც კი გვაგრძნობინებსო“. — იხ. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე. ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან, თ-დი გრიგოლ ორბელიანი, ჟურ. „მოამბე“, 1898, № 5, გვ. 66—67.

ოთხ ათეულზე მეტი ორიგინალური და თარგმნილი ლექსის ავტორია) ერთ-ერთი პირველთაგანი პოეტის ეს პატრიოტული ლექსი დაიბეჭდა¹⁹, და რომ სალიტერატურო კრიტიკამ პირველად სწორედ ამ ლექსზე გაამახვილა საგანგებო ყურადღება, — ნიშანდობლივია, რადგან, — როგორც უკვე გვქონდა საშუალება აღგვენიშნა, — მამულის ბედისადმი მწერლის დამოკიდებულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება სპეციფიკური იყო XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის მისი განვითარების მთელს მანძილზე, რაც სავსებით შეესატყვისებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეალებსა და მიზანდასახულობას, სწრაფვას ეროვნული თვითშეგნების ამალლებისა და განმტკიცებისათვის. ამიტომაც, თუკი, ერთი მხრივ, სამშობლოს სიყვარული და „მამულიშვილური გულისტკივილი“ გასული საუკუნის ქართველ კრიტიკოსთათვის უპირველესი ნიშანი იყო მწერლის შემოქმედების მაღალი ღირებულებისა, მეორე მხრივ, ამა თუ იმ მწერლის მიერ „მამულის ბედზე ყურის მიყრუება“ საკმარის მიზეზს წარმოადგენდა მისი მხატვრული მემკვიდრეობის ღირებულების უარყოფითი შეფასებისათვის.

მხატვრული შემოქმედების შეფასების ეს პრინციპი მკაფიოდ არის გამოვლენილი ალ. ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობისადმი გასული საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის დამოკიდებულებაში: ქართველი კრიტიკოსები უყოყმანოდ აღიარებდნენ ალ. ჭავჭავაძის მაღალ პოეტურ ნიჭსა და შესაძლებლობებს, მაგრამ, ამავე დროს, პოეტის შემოქმედებას, — მისი არასწორი ინტერპრეტაციის გამო, — საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, როგორც წესი, ნეგატიურ შეფასებას აძლევდნენ²⁰.

გრიგოლ ორბელიანის პოეზიას XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არ გაუზიარებია ალ. ჭავჭავაძის პოეტუ-

¹⁹ ვიღრე „იარაღისადმი“ დაიბეჭდებოდა („ცისკარი“, 1858, № 10, გვ. 63-66), გრ. ორბელიანის ორიგინალური ლექსებიდან გამოქვეყნებული იყო „ეკატერინა ჭავჭავაძისას“.. („ცისკარი“, 1852, №2, გვ. 2), „ღამე“.. [„პე, საყვარელო, ვის მიერ“..], („ცისკარი“, 1852, № 2, გვ. 5), „ღამე“ („ცისკარი“, 1852, № 2, გვ. 6) და „გამოსალმება. გზის გუშაგად მდგმოიარეს ხმაზედ“ („ცისკარი“, 1852, № 2, გვ. 8).

²⁰ იხ. წერილი — „მამულიშვილური გულისტკივილი“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში და XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკა, — კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, VI, 1975, გვ. 148.

რი მემკვიდრეობის ხვედრი. და თუმცა — როგორც სამართლიანად მიუთითებენ, — „წინააღმდეგობებით აღსავსე შეფასებას ვერც გრიგოლ ორბელიანი აცდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში“²¹, მაგრამ, მეორე მხრივ, — „იარალისადმი“-ს დახასიათებიდან მოყოლებული, — XIX საუკუნეში გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევის ისტორიას, იშვიათ გამონაკლისთა გარდა, ლეიტმოტივად გასდევს პოეტის ღრმა პატრიოტიზმის შეგნება და, აქედან გამომდინარე, მისი პოეზიის მაღალი ღირებულების რწმენა.

ასეთ იშვიათ გამონაკლისთა რიცხვს განეკუთვნება აკაკი წერეთლის „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ რომელიც კირილე ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში „ჩონგურის“ სახელწოდებით გამოცემულ ლექსთა კრებულის განხილვას ეძღვნება.

აკაკი წერეთელი დასახელებულ წერილში — როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, — „მკაფიოდ აყალიბებს თავის რეალისტურ პოზიციას და გარკვევით მიუთითებს ხელოვნების დანიშნულებასა და მოვალეობაზე... უფრო საყურადღებო ის არის, რომ კრიტიკოსი განსაზღვრავს ზოგიერთი ქართველი მწერლის ადგილს მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში და დაბეჭდვით ცდილობს იდეური მემკვიდრეობითი კავშირი უჩვენოს ნ. ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძეს შორის...

აკაკიმ პირველმა დააასახუთა ამ ორი მწერლის მნიშვნელობა ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში და პირველმა დაბეჭდვით გამოაცხადა ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის ლიტერატურულ მემკვიდრედ“²².

მაგრამ ახალგაზრდა აკაკის ამ კრიტიკულ წერილს, რომელშიც „მეტად საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული ლიტერატურის განვითარების პროცესის შესახებ“²³ და, უთუოდ, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გასული საუკუნის 60-იანი წლების ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებაში, უდავო ღირსებებთან ერთად, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც გააჩნია და ეს, პირველ ყოვლისა, იმ შეფასებას ეხება, რომელსაც აკაკი გრიგოლ ორბე-

²¹ დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 182.

²² ჯ. ჭუბუჩიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 260, 270.

²³ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, 1957, გვ. 393.

ლიანის და, მასთან ერთად, ალექსანდრე. ქავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებას აძლევს.

„...დიდმა ხანმა გაიარა ბარათაშვილის შემდეგ და მის კვალზედ წასული არავინ გვინახავს, — წერს აკაკი ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობის დახასიათებისა და ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში მისი უდიდესი მნიშვნელობის მართებული შეფასების შემდეგ. — თუმცა ნიჰიანი მწერლები კი გამოჩნდნენ საქართველოში და ხელოვნებაც კარგად გაიგეს, მაგალითად: თ. გ. ო. (თავადი გრიგოლ ორბელიანი — გ. ა.), თ. ალ. ქავჭავაძე, თ. რ. ერისთავი, კ. ბ. ჯორჯაძისა და სხვანი, მაგრამ რაო? ამათ ხალხის დარდი არა ჰქონიათ, თავის ქეიფს უნდებოდნენ. ერთი ამბობდა: სულოჯან, მეორე: დავეხსნათ ცოდნის ძეხანსა, ღვინო სჯობს ყოველ ცოდნასაო, მესამე: რათ შემიყვარებ, განა არ ვიცი, შენ ჯერ ნორჩი ხარ, მეკი მოხუციო, მეოთხე: ეგ თვალები ცეცხლის ბურჯლებს ისვრისო! და სხვანი“²⁴...

ის ფაქტი, რომ „აკაკის მხრივ ალ. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და XIX საუკუნის ზოგიერთი სხვა მწერლის შემოქმედების იგნორირება არაა მართებული“, არავითარ ეჭვს არ იწვევს; ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სწორადაა მითითებული იმის შესახებაც, რომ თუკი „აკაკიმ მათ შემოქმედებაში მოქალაქეობრივი გრძნობა სრულებით ვერ დაინახა, კრიტიკოსის მხრივ უტილიტარისტული გატაცების გარდა, ამის მიზეზი უთუოდ ისიცაა, რომ აღნიშნული მწერლების მრავალი ნაწერი უცნობი იყო მკითხველისათვის, ხოლო ქართული მწერლების მეცნიერული შესწავლა ის-ის იყო იწყებოდა“²⁵.

მაგრამ აუცილებელია აქვე აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის მკვლევართა ნაშრომებში, — სადაც აკაკი წერეთლის ზემოთ დასახელებულ კრიტიკულ წერილს, სავსებით სამართლიანად, მაღალი შეფასება ეძლევა, — გრ. ორბელიანისა და ალ. ქავჭავაძის შემოქმედებას ის დახასიათება, რომელიც ამ წერილშია წარმოდგენილი, ან საერთოდ გვერდავლილია, ან არაფერია თქმული მისი ნაკლოვანებების შესახებ.

²⁴ თ. ა. კ. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ, ჟურნალ „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 16.

²⁵ ჯ. ჭუბუბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 268.

ასე, მაგ., პროფ. დ. გამეზარდაშვილი, წიგნში — „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, აღნიშნავს რა, რომ „აკაკი წერეთელი პირველი იყო, რომელმაც სწორად გაიგო ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ნათესაობა“, დასძენს: „აკ. წერეთელმა ნ. ბარათაშვილი და მისი პოეტური გზა მეტად დამაჯერებლად დაუპირისპირა ბესიკისა და მის მიმდევართა იდეურ-მხატვრულ მიმართულებას. მან, ამ შემთხვევაში, არ დაინდო არც ალ. ჭავჭავაძე და არც გრ. ორბელიანი“²⁶. მაგრამ პატივცემული მკვლევარი არაფერს ამბობს იმაზე, რომ აკაკის მიერ გრ. ორბელიანისა თუ ალ. ჭავჭავაძის ეს „არდანობა“, სრულიად გაუმართლებელი იყო და კრიტიკოსის მთავარი შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ გრ. ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძე მან ბესიკის მიმდევართა იდეურ-მხატვრული მიმართულების წარმომადგენლებად გამოაცხადა, მათი ლექსები კი „მოცლილი კაცის სასმენელის დამატკბობელ“, უსაგნო და უშინაარსო ბულბულის ყეფად, შაშვის სტვენად თუ მერცხლის ჭიკჭიკად მიიჩნია. ამდენად, გამორიცხული არ არის შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მკვლევარიც მხარს უჭერს აკაკი წერეთლის ზემოაღნიშნულ შეხედულებას, მაშინ, როცა, უდავოა, აკაკის „ამგვარი აზრი გრ. ორბელიანის, რ. ერისთავისა და ალ. ჭავჭავაძის შესახებ მცდარი, უმართებულო იყო“²⁷.

რა თქმა უნდა, აკაკი წერეთლის ზემოთ დასახელებული კრიტიკული წერილის შეფასებისას, როგორც სამართლიანად მიუთითებენ, არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მასში დაშვებულ ცალკეულ შეცდომებს²⁸, არამედ იმ მრავალრიცხოვან ღირსებებს, რაჟამც აღნიშნულ წერილს საპატიო ადგილი დაუმკვიდრა ქართული კრიტიკის ისტორიაში. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ამ შეცდომებზე თვალის არიდებაა გამართლებელი, მით უფრო, როცა შეცდომა დაშვებულია ქართული მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენლების შემოქმედების შეფასებაში, როგორც გრ. ორბელიანი და ალ. ჭავჭავაძეა.

როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა, შემდგომში, მნიშვნელოვნად შეიცვალა აზრი ალ. ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედ-

²⁶ დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, 1957, გვ. 395.

²⁷ ი. ბოცვაძე, აღუქსანდრე ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, 1956, გვ. 10.

²⁸ ჟ. ჭუშბერიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 269.

რეობის ღირებულებაზე. ალ. ჭავჭავაძისადმი უღრმესი მოწიწებითა და სიყვარულით გამსჭვალული აკაკის ლექსი — „ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“, რომელიც 1882 წელს, „სულით ზეცამდე ამალღებული“ პოეტის განსასვენებელი სავანის ხილვითაა შთაგონებული, ექვმიუტანლად ადასტურებს, რომ აკაკიმ დაგმო „რაოდენიმე სიტყვაში“ ალ. ჭავჭავაძის პოეზიის შესახებ გამოთქმული უარყოფითი შეხედულება.

აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მოიძიება ისეთი მასალები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ აკაკიმ, მომდევნო ხანებში, არა მხოლოდ ალ. ჭავჭავაძის, არამედ გრ. ორბელიანის მიმართაც არსებითად შეიცვალა დამოკიდებულება.

მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნეს აკაკის ლექსი — „მწერლების ფერხული“ (1881 წ.), რომელშიც, განსხვავებით „რაოდენიმე სიტყვაში“ განვითარებული თვალსაზრისისაგან (რომლის მიხედვით, გრ. ორბელიანის პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოეტური შემოქმედების პრობლემათიკისადმი დაპირისპირებული შინაარსის შემცველად გაიაზრება), ყურადღება გამახვილებულია ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედების იდეურ-თემატურ ნათესაობაზე: „ვახტანგ ჰგოდებს, ჰკენესს ნიკოლოზ, ჰკანანახობს მათ ილია, გრიგოლ ოხრავს, ალექსანდრე იმღერის და ხმა ტკბილია“, წერს აკაკი დასახელებულ ლექსში და, ცხადია, რომ გრიგოლ ორბელიანის ოხვრას იგი ისეთსავე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილისა და მისი „მოკანანახის“ — ილია ჭავჭავაძის კვენსას, რომელზეც „რაოდენიმე სიტყვაში“ საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება: ილია ჭავჭავაძე, ვკითხულობთ აღნიშნულ წერილში, „შეუდგა ბარათაშვილის კვალს და... უფრო თამამათ, ტირილით დაუწყო ხალხს შეჩივლა, — „აი, რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო! აი, რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა მისი კვენსაო“. ერთის სიტყვით, ჭავჭავაძე არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი ღიღი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას“²⁹...

გრ. ორბელიანის ღვაწლისადმი აკაკი წერეთლის დამოკიდებულებაში მომხდარი გარდატეხის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვი-

²⁹ თ. აკ. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ, ჟურ. „ცისკარი“, 1865, № 9, გვ. 16.

შველით, აგრეთვე, გრ. ორბელიანის დაკრძალვის დღეს აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვა, და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ განსხვავებით „რაოდენიმე სიტყვისაგან“, — რომელშიც გრ. ორბელიანი იმ მწერალთა რიგშია მოქცეული, რომელთაც, აკაკის აზრით, „ხალხის დარდი არა ჰქონიათ და თავის ქეიფს უნდებოდნენ“, — აკაკი წერეთელმა განსვენებული გრ. ორბელიანი მოიხსენია როგორც „გამოჩენილი მამულიშვილი“, რომელმაც „მოწალმართე ჩვენი ქვეყნის შვილების“ ურყევი სიყვარული დაიმსახურა, რადგან იგი „იყო კავშირი ძველისა და ახალი თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი“; რომ გრ. ორბელიანი, აკაკის დახასიათებით, „იყო მოყვარული და თანამგრძნობი იმისთანა კაცების, რომელთაც დღეს ახალთაობის კაცებად ვუწოდებთ და ამგვარ მოწალმართე პირებს ეძებდა როგორც ახლებში, ისე ძველშიაც... ბევრს მოხუცებულებში ჰხედავდა მოწალმართე ახალთაობის კაცს და აფასებდა, ზოგჯერ ახალგაზრდებშიაც ჰპოულობდა მოუყულმართე ძველი თაობის კაცს და ეზიზღებოდა. ამას ყოველთვის გვიმტკიცებდა სიტყვითა, გრძნობითა და სურვილით. და რადგანაც ყოველივე დრო და ადგილის ვითარება ფასდება, ჩვენ არ შეგვიძლიან არ დავაფასოთ და არ მოვიხსენიოთ კეთილად ეს გრძნობები“³⁰...

აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ცნობილია, აკაკი წერეთლის პოეტურ შემოქმედებაში არაერთგზის გამოვლენილა გრ. ორბელიანის პოეზიის გარკვეული გავლენა: ასე, მაგ., „აკაკის „ქებათა-ქება“ ისეთ პოეტურ კილოს გვიდგენს და ისეთ სტრიქონებს შეიცავს, რომ გრ. ორბელიანის წინაპირობა უეჭველია. არ შეიძლება არ მოგვაგონდეს გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, როდესაც აკაკის „ქებათა-ქების“ შემდეგს სტრიქონებს ვკითხულობთ:

ვიშ, ამ საღამოს,
შვიდსა, საამოს
ტკბილ ნეტარებით შეზავებულსა!...
რა უცნაურად,
მადლით ციურად
სამოთხისაყენ იტაცებს გულსა.

ყვავილთა ენა, —
სუნნელთა ფშვენა,
საგალობელად აღმა კმეული,
წყალთა ჩქიალი,
ფოთოლთ შრიალი,
ბალახთ ბიბინი რალაც გრძნეული.

ეს ლექსი აკაკისათვის არ არის შემთხვევითი. ეს კარგად ჩანს აკაკის ლექსის „ალ. ჭავჭავაძის საფლავზე“ და გრ. ორბელიანის

³⁰ იხ. აკაკის სიტყვა, ვახ. „დროება“, 1883, № 66, გვ. 2—3; ვახ. „შრომა“, 1883, № 14, გვ. 2-3.

ლექსის „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ურთიერთშე-
დარებიდან აკაკის ამ ლექსის სტრიქონები —

შენს წმინდა საფლავს,
გულის მოსაკლავს,
დავეყურებ, გმირო, სულგანაბული,

თვალცრემლიანსა,
გულსევდიანსა
ენა მებმება, ვერარის ვარ მთქმელი.

პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად არის დავალებული რეალისტი აკაკი წერეთელი რომანტიკოს გრ. ორბელიანის პოეტური სტილისაგან³¹. ეს გარემოება კი, თითქოს, გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედებისადმი აკაკი წერეთლის აშკარა სიმპათიას უნდა მოწმობდეს. მაგრამ, ზემოთ მოხმობილი მასალების გვერდით, აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან არაერთი ისეთი მასალის დამოწმებაც შეიძლება, რომელშიც სრულიად აშკარად არის გამოხატული აკაკის უარყოფითი დამოკიდებულება როგორც გრ. ორბელიანის პრაქტიკული თუ სულიერი მოღვაწეობის, ასევე, საერთოდ მისი პიროვნების მიმართაც.

აქ მე არ შევჩერდები გრ. ორბელიანის წინააღმდეგ მიმართულ აკაკის ისეთ ნაწარმოებებზე, როგორიცაა „ხარაბუჯა ლენერალს“, „კოლობუჯების პასუხი“, „პატრიოტის აღსარება“ თუ „ახმედ ფაშა კახაბერი“, რომლებიც გრ. ორბელიანის არა მხოლოდ უარყოფით, სატირულ დახასიათებას შეიცავს, არამედ, ხშირ შემთხვევებში, პიროვნების შეურაცხმყოფელ გამოთქმებსაც, — არ შევჩერდები, რადგან ზემოხსენებული ნაწარმოებები გასული საუკუნის 70-იან წლებში, „მამათა და შვილთა“ მწვავე პოლემიკის პერიოდშია შექმნილი და, ამდენად, შეგვიძლია, რომ გრ. ორბელიანის შესახებ მათში გამოხატულ თვალსაზრისს აკაკის ქეშმარიტი, ობიექტური თვალსაზრისის მნიშვნელობა არ მივანიჭოთ. მაგრამ, ცხადია, იგივეს ვერ ვიტყვით გრ. ორბელიანის იმ დახასიათებაზე, რომელიც აკაკის „ჩემს თავგადასავალში“ არის წარმოდგენილი, რამდენადაც „ჩემი თავგადასავალი“ დროის მანძილით დიდად არის დამორებული „მამათა და შვილთა“ ბრძოლის პერიოდს და შეუძლებელია მასში გრ. ორბელიანთან აკ. წერეთლის პოლემიკის გამოძახილი ვივარაუდოთ. გრიგოლ ორბელიანს, „როგორც საისტორიო გვარისშვილს, — ვკითხულობთ აკაკის „ჩემს თავგადასავალში“, — ისტორიული არა დაუტოვებია რა, როგორც მაღალხარისხოვანს — ქვეყნისათვის არა გაუკეთებია რა და როგორც

³¹ გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, მეტყველების სტილის საკითხები, 1957, გვ. 182—183.

დიდბუნებოვან მგოსანს — მწერლობაში კვალი არ დაუსვამს!“.. და ეს იმიტომ, რომ „იმას ხალხი და ცხოვრებაც ბიუროკრატიულად, ბატონკაცურად ესმოდა, იმდენად სწამდა საქართველო მხოლოდ, რამდენადაც საჭირო და გამოსადეგი იყო მისთვის და მისიანებისათვის, და თუ ეს არ იქნებოდა, ქვა ქვაზედაც ნულა ყოფილიყო“³².

ადვილი შესამჩნევია, რომ აკაკი წერეთლის მიერ 90-იან წლებში წარმოდგენილი ზემოხსენებული დახასიათება გრ. ორბელიანისა, სავსებით შეესატყვისება იმ შეხედულებას, რომელიც ჯერ კიდევ 1865 წელს იყო გამოთქმული აკაკის „რაოდენიმე სიტყვაში“ გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძისა და სხვათა შესახებ. და, რაღა თქმა უნდა, საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებს, რომ „ჩემს თავგადასავალში“ მოცემული გრ. ორბელიანის ეს დახასიათება და შეფასება ისევე მიუღებელია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისათვის, როგორც „რაოდენიმე სიტყვაში“ განვითარებული, ზემოთ მითითებული თვალსაზრისი.

აკაკი წერეთლის სიტყვით, გრ. ორბელიანი „ლექსის წერას ისე უყურებდა, როგორც სახუმარო და სალალობო რამეს, და მიტომაც მის ხანგრძლივ ცხოვრებაში, რამოდენიმე გულის საფხანნი ლექსის მეტი არა დაუწერია რა!.. „ონიკოვის დარდები“, „ლოპიანას ვინაობა“ და „იარალის“ ქვეყნის ჭირ-ვარამი ეგონა, მისი ფიქრი ლხინი იყო!.. მისი უბედურება — ულხინობა“...

ნიშანდობლივია, რომ ისეთ ლექსშიც კი, როგორცაა „იარალის“, აკაკის დახასიათებით, გრ. ორბელიანი „საქართველოს ჭირ-ვარამზე კი არა ჰფიქრობს, ლხინი აგონდება, ქეიფსა ჰნატრობს, შუბლის გამაგრილებელ კოჯრის ნიავს, ჭეირნის შუშხუნა მწვადს და სადღეგრძელოებს... იგონებს მოედანზე ჯირითს!.. შუბის ტრიპალს, ყურთმაჯთ ბრიალს და ამგვარ შექცევებს!.. ყველგან ქეიფს ეძებს და იმასა სტირის!.. ლხინი! ლხინი! და ლხინი!..

ერთი სიტყვით, გრიგოლი იყო ლხინისა და ქეიფის დიდი მომღერალი... ამგვარბუნებოვან კაცს რაღა ეთქმის მის მეტი, რაც მის-

³² ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩემი თავგადასავალი, — იხ. ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული. ტ. VII, 1958, გ. 117. (შდრ.: „თ. გრ. ორბელიანი ბედისაგან მრავალგვარად იყო დაჯილდოებული: სიმღირე ნებას აძლევდა, რომ საიდუმლო ქველ-მოქმედებით ღარიბების, ქვრივ-ობლებისა და საწყლების გული მოეგო, ხარისხი ხელს უმართავდა, რომ პირადობის ჰაძიებლისათვის შემწეობა მიეცა და წინ ბიჯი წაედგმევიანებინა... შთამომავლობითი დიდბუნებულება, ე. ი. მის წინაპართ ისტორიული ღვაწლი ამ დროს შესაფერად ღირსეულად ეკყრა ხელში შეუბღალავად“... — იხ. აკაკის სიტყვა გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე).

მა დისწულმა მგოსანმა ნ. ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოს!“³³.

ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რას შეეძლო განეპირობებინა აკაკის ასეთი დამოკიდებულება გრ. ორბელიანის პოეზიის მიმართ. გამორიცხული არ არის, როს სახელმწიფო-სამსახურებრივ სარბიელზე გრ. ორბელიანის მოღვაწეობითა და „რუსეთისადმი მისი თავდადებული ერთგულებით“³⁴ აღძრული უკმაყოფილება აკაკი წერეთელს, ნებისთ თუ უნებლიეთ, პოეტის მხატვრულ შემოქმედებაზეც გადაეტანა; მაგრამ თუკი ვირწმუნებთ, რომ გრიგოლ ორბელიანის პოეტური მოღვაწეობის ის დახასიათება, რომელიც „რაოდენიმე სიტყვასა“ თუ „ჩემს თავგადასავალშია“ წარმოდგენილი, სავსებით შეესაბამება და სრულიად გამოხატავს აკაკის შინაგან რწმენას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ, სჩანს, გრ. ორბელიანის შემოქმედებაში აკაკიმ ვერ შესძლო ამოეკითხა იმ საჭირობოროტო საკითხებზე დაფიქრება, — „ყოველდღიური ქეშმარიტება, ჩვენი ნაკლულევანება და ჩვენი საჭიროება“³⁵, — რომელთაც ქართველი ერისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; ეერ შენიშნა გრ. ორბელიანის დაინტერესება საზოგადოებრივი საკითხებით, რასაც აკაკი წერეთელი, როგორც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი მესვეური და რეალისტური ხელოვნების პრინციპების დამკვიდრებისათვის მებრძოლი მწერალი, ბუნებრივია, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურულ მოვლენათა ღირებულების შეფასებისას. და თუკი აკაკიმ გრ. ორბელიანის ლექსებში, უპირატესად, მართლაც, „საათნავას ეშხით მთვრალი ლოპიანას მომღერალი“ დაინახა და პოეტის შემოქმედება მხოლოდ „მოცლილი კაცის სასმენლის დამატკობელ“ სიმღერად სცნო, — სავსებით ბუნებრივია, რომ უარყოფითი შეფასება მიეცა ასეთი თავშესაქცევი პოეზიისათვის, რადგან აკაკისათვის, როგორც მწერლისა თუ კრიტიკოსისათვის, მთავარი იყო „კაცობა და არა ბულბულობა“³⁶, — რაგინდ მომზიბლავიც არ უნდა ყოფილიყო ბულბულის ყფვა; მთავარი იყო მხატვრულ

³³ აკაკი წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, — აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VII, 1958, გვ. 118.—120

³⁴ იქვე, გვ. 119.

³⁵ თ. აკ. წერეთელი, რაოდენიმე სიტყვა ჩანგურის შესახებ, ურ.-ციხიკარი, 1865, № 9, გვ. 18.

³⁶ იქვე, გვ. 19.

ნაწარმოებთა არა მხოლოდ „მუსიკა და კეთილშრომანება“, არამედ პირველ ყოვლისა, იდეური მიზანდასახულობა და ის ქმედითი წვლილი, რომელიც მწერალს თავისი შემოქმედებით შეჰქონდა მშობელი ხალხის „დღიურ ავ-კარგიანობის საბრძოლველ-სასამსახუროდ“³⁷.

როგორც ზემოთ უკვე გვქონდა მითითებული, გრ. ორბელიანის შემოქმედებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მხრივ, აკაკი წერეთლის „რაოდენიმე სიტყვა“ — და, საერთოდ აკაკის ზემოაღნიშნული თვალსაზრისი გრ. ორბელიანის შესახებ, — იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში.

გრ. ორბელიანის პოეზიისადმი აკაკი წერეთლისაგან თვისობრივად განსხვავებული დამოკიდებულება ნათლად არის გამოვლენილი გასული საუკუნის არაერთი ქართველი მწერლისა თუ ლიტერატურული მოღვაწის ნაწერებში და, მათ შორის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მთელს ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

ამ მხრივ, საყურადღებო მასალას შეიცავს ჟურნალ „ცისკარის“ 1861 წლის აპრილის ნომერში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის პირველივე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“, რომელსაც, როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის ლიტერატურული მანიფესტის მნიშვნელობა ენიჭება.

მართალია, დასახელებულ წერილში ილია ჭავჭავაძეს არ განუზრახავს გრ. ორბელიანის პოეზიის რამდენადმე სრული დახასიათება და შეფასება მოეცა (ასეთი მიზანი ილიამ უფრო მოგვიანებით დაისახა³⁸ და განახორციელა³⁹), — წერილში დასმულ საკითხთა განხილვისას ილია გრ. ორბელიანს მხოლოდ ორიოდეჟერ გაკვრით-მოიხსენიებს და სულ რამდენიმე სიტყვით ეხება მის ლექსს „დღი-მიტრი ონიკაშვილის დარღები“, — მაგრამ ეს რამდენიმე სიტყვაც ფრიალ მნიშვნელოვანია ჩვენთვის, როგორც ილია ჭავჭავაძის ლი-

³⁷ „აკაკის თეიური კრებული“, 1897, № 3, გვ. 1.

³⁸ იხ. ილია ჭავჭავაძე, „ცისკარი“ 1857 წლიდან—1862 წლამდინა, — შიგნში: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, 1953.

³⁹ იხ. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე, — შიგნში: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, 1953, გვ. 197-231.

ტერატურულ-კრიტიკულ შეხედულებათა დახასიათების, ასევე XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევის ისტორიის თვალსაზრისითაც.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ „ორიოდე სიტყვაში“ ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანის „მშვენიერი ლექსების მშვენიერი ენა“, შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეტური ენის მსგავსად, სამაგალითოდ დაუსახა თანამედროვე მწერლებს: „რომ არა გვეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვეყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“ — წერდა ილია და უფრონაღ „ცისკრის“ უდავო დამსახურებად თვლიდა, რომ „ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს რაო“⁴⁰.

უკვე ეს გარემოება ნათლად მეტყველებს გრ. ორბელიანის პოეზიისადმი ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების ხასიათზე.

გრ. ორბელიანის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, „ორიოდე სიტყვაში“, ი. კოზლოვის „შეშლილის“ ქართული თარგმანის მხატვრული ფორმის ნაკლოვანებათა დახასიათებისას, კერძოდ, „რითმების უთავბოლო რახარუხით“ მთარგმნელის უზომო გატაცებასთან დაკავშირებით მსჯელობის დროს არის დამოწმებული, — როგორც სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის თვალსაჩინო მაგალითი, როგორც ნიმუში ჰემმარიტი პოეზიისა.

„როგორც ვხედავთ, თქვენ სულწასულად გყვარებით რითმების რახარუხი, იმისთვის შეგიწირავთ აზრიც, ფიქრიც, ის ცოტაოდენი გულის სითბოც, რომელიც ალაღ და ალაგ ჩანან ორიგინალში“, — მიმართავს ილია „შეშლილის“ მთარგმნელს და შენიშნავს: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა აიღეთ ურითმო ლექსები თავადი გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“⁴¹; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია. თვალწინ წამოგიდ-

⁴⁰ თ. ილ. ჭავჭავაძე, ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა, უფრ. „ცისკარი“, 1861, № 4, გვ. 574, 576.

⁴¹ გრ. ორბელიანის ლექსი — „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, დაიბეჭდა უფრ. „ცისკრის“ 1860 წლის ოქტომბრის ნომერში, სათაურით — „ო... დარდები. მბაძეა“.

გებათ ის ჩათუქესანი ტფილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჰალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბად წამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს, ვინცკი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდო, ამ ვირს ემზხედ ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობა და ჰემარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტოკურ დარდებში, კენესაში და ნატვრაში!

პოეზია განსახოვნებაა ჰემარიტების, ცხოვრებისა და არა ჯაჰვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა“⁴², — დასძენს ილია და, ცხადია, რომ სწორედ „ჰემარიტების და ცხოვრების განსახოვნებად“ მიაჩნია მას გრ. ორბელიანის დასახელებული ლექსიც (აღსანიშნავია, რომ — როგორც გაზ. „დროება“ გვაუწყებს, — 1875 წელს, თბილისში გამართულ ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე ილია ჰავჭავაძეს წაუკითხავს ნაწყვეტები „კაცია-ადამიანიდან“ და წარმოუთქვამს გრ. ორბელიანის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“⁴³. ეს ფაქტი, უთუოდ, დასახელებული ლექსისადმი ილიას განსაკუთრებული სიმპათიის დამადასტურებელია. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ლექსის სტრიქონები გამოყენებულია ილია ჰავჭავაძის პუბლიცისტიკაშიც⁴⁴).

ჟ. ჰუმბურიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „თავის პირველ წერილებში ილია ბევრ თანამედროვე მწერალსაც შეეხო და ზოგის

⁴² თ. ილ. ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე, ორიოდ სიტყვა..., ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 4, გვ. 585-586.

⁴³ გაზ. „დროება“, 1875, № 42.

⁴⁴ კერძოდ, როდესაც გაზ. „კავკაზმა“ განაცხადა, რომ, მართალია, ი ვ ე რ ი ა ძ ე ლ-თავანვეა ცნობილი, მაგრამ თქვენ, ქართველებს, ასეთი ისტორია არ გაგაჩნიათ. რადგან ი ვ ე რ ი ე ლ ი სხვაა და ქართველი კი სხვააო, — ხოლო შემდეგ თავის ნათქვამზე ბასუხისმგებლობა აღარ იკისრა, — ილია ჰავჭავაძე დაუნდობელი დაცივით გამოეხმაურა ამ სტატისს თავის „ივერიაში“. ფაქტებზე მითითების შემდეგ ილია სარკასტულად წერდა: „მოდო და ამისთანა თავში დაკრულს და დამთხვეულ სულღერს ემზხედ ელაპარაკე“. აშკარაა, რომ ილიას ამ ფრაზაში მოქცეულია იმ სტრიქონების გამოძახილი, რომელიც გვხვდება გრ. ორბელიანის ლექსში — „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“:

„ვინც გაივლის, მკითხავს: აქ რას აკეთებ?
შენ რას ნაღვლობ, მე რას გიშლი, რა გინდა?
მითილი ხარ, თორემ არა მკითხავდი,
მოდო ამ ვირს ემზხედ ელაპარაკე!“

(იხ. გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ილია ჰავჭავაძის სატირა, — შიგნში: გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის, 1953, გვ. 315).

ნაწერები გაკვრივით, ზოგისა კი შედარებით ვრცლად დაახასიათა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ დახასიათების დროს ილია იმის მიხედვით აფასებს მწერალს, თუ რამდენადაა მის შემოქმედებაში გამოხატული ნაციონალური თავისებურებანი, ეროვნული ყოფა და ზნე-ჩვეულებანი. სინამდვილის მხატვრული სიმართლით ასახვა და ტიპიურის განზოგადება, კრიტიკოსის მსჯელობის მიხედვით, ყოველთვის ურთიერთს უკავშირდება“; ილიამ „ორიოდე სიტყვაში“ სწორედ ამ თვალსაზრისით დაახასიათა გრ. ორბელიანის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, რაც ილია ჭავჭავაძის, „როგორც ლიტერატურის ისტორიკოსის დასახასიათებლად მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა“⁴⁵.

ის მაღალი აზრი გრ. ორბელიანის შემოქმედების შესახებ, რომელიც „ორიოდე სიტყვაში“ გამოხატული, მრავალჯერ არის დადასტურებული ილია ჭავჭავაძის შემდგომი პერიოდის ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც. ამ თვალსაზრისით შეიძლება დავიმოწმოთ ილიას როგორც მხატვრული შემოქმედება (მაგ., „მგზავრის წერილები“, რომელიც გრ. ორბელიანის ლექსებითაა დამშვენებული), ასევე ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწერებიც (მაგ., 90-იან წლებში დაწერილი ცნობილი წერილები ქართული ლიტერატურის შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია, თუ „რამოდენად ჩააღრმავა და გააგანეირა ბუნებითად დიდი საწყლე ქართული პოეზიისა თ. გრ. ორბელიანმა“, და რაოდენ „წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც“⁴⁶).

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ 70-იან წლებშიც კი, „მამების“ წინააღმდეგ „შვილების“ კიდევ ერთხელ და კიდევ უფრო მეტის სიმწვავეთ გალაშქრებისას, რომლის ინიციატორი და მედროშე, ისევე, როგორც 60-იან წლებში, კვლავ ილია ჭავჭავაძე იყო, — გრიგოლ ორბელიანის წინააღმდეგ მიმართულ ილიას ეპიგრამაში, რომლის მიზანს, როგორც საერთოდ ყოველი ეპიგრამისა, ცხადია, ადრესატის გაკიცხვა წარმოადგენდა და არა შექება, გამკილავე სიტყვების გვერდით, გრ. ორბელიანის ასეთი დახასიათებაა წარმოდგენილი:

„...პირად ბადი. ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვაპალალი.
ძველთაგანა ეგლა დაგვრჩა

გრძნობით სავსე, გონიერი...
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავე ხიდაა“.
(„გამოცანები“).

⁴⁵ ქ. ჭუჭუაძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 235—236.

⁴⁶ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, 1953,

დაბოლოს, არ შეიძლება აქვე არ მოვიხსენიოთ გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე ილია ჭავჭავაძის მიერ წარმოთქმული, გარდაცვლილი მსცოვანი პოეტისადმი უღრმესი მოწინებითა და სიყვარულით განმსჭვალული გამოსათხოვარი სიტყვა, რომელშიც ილიამ (განსხვავებით აკაკი წერეთლისაგან, რომელსაც თავის სიტყვაში საერთოდ არ უხსენებია გრ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობა) გრ. ორბელიანი დაახასიათა როგორც „ჩვენი სასიკადალო მამულიშვილი, ჩვენი სახელოვანი ქართველი და ჩვენი დიდებული მწერალი“. გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძის სიტყვით, „იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალღონისა და სიმდიდრისა, იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელნი“⁴⁷...

ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებში, გრ. ორბელიანის ღვაწლისადმი მოწინავე ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაც იყო გამოხატული, რომელიც სათანადოს მიუზღავდა დიდი პოეტის „ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა“..

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების კვლევის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენამდე ცალკეული ნაწყვეტების სახით მოღწეული, ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელი წერილი — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, რომელიც ილიას, როგორც ცნობილია, „დაუწყია 1862 წელს და ამზადებდა მას, როგორც მასალას ჟურნალისათვის „საქართველოს მოამბე“, რომელიც 1863 წელს უნდა გამოსულიყო.

ილიას ეს წერილი თავდაპირველად, ჩანს, ფართოდ ჰქონდა განზრახული. იგი ფიქროდა მოეცა მასში საფუძვლიანი კრიტიკული ანალიზი თანამედროვე ქართული ლიტერატურისა, რომელიც ამ დროს წარმოდგენილი იყო ჟურნალ „ცისკარის“ სახით, და მასთან დაკავშირებით დაესახა ქართული მწერლობის განვითარების მომავალი გზები⁴⁸. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძეს ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა, და დასახელებულ წერილს, როგორც ითქვა, არ გააჩნია დასრულებული სახე, ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის იგი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი.

⁴⁷ იხ. ი. ჭავჭავაძის სიტყვა, ვაზ. „დროება“, 1883, № 65, გვ. 3.

⁴⁸ იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, (სარედაქციო შენიშვნები), 1953, გვ. 507.

ამჟამად ჩვენთვის საყურადღებოა დასახელებული წერილის ის ნაწყვეტი, სადაც მოიხსენიებიან დავით გურამიშვილი, რომელმაც, ილია ჭავჭავაძის აზრით, „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა: ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძვენ მაგ ევროპულ გამოთქმასა, მაგრამ თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით ძველებსა ჰგვანან“⁴⁹...

როგორ ვხედავთ, ციტირებულ სტრიქონებში მხოლოდ თეზისების სახითაა წარმოდგენილი ის საკითხები (უფრო სწორად — საკითხთა ერთი რიგი), რომელთა შემდგომ გაშლასა და „ფაქტებით დამტკიცებას“ აპირებდა ილია ზემოთ დასახელებულ წერილში. მაგრამ ამ სტრიქონების მიხედვითაც შესაძლებელი ხდება გარკვეული აზრი შევიმუშაოთ ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისზე იმ დიდმნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომელიც ზემოთ დასახელებულმა მწერლებმა — და, მათ შორის, კერძოდ, გრ. ორბელიანმა, — ქართული მწერლობის განვითარების ისტორიაში შეასრულეს „ევროპეიზმის“ დანერგვის, განმტკიცებისა თუ განვითარების მხრივ.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია შეხედულება, რომ „ევროპეიზმში“ ი. ჭავჭავაძე გულისხმობს ისეთ პოეტურ გამოთქმებსა და სახეებს, რომლებიც აღმოსავლური პოეზიისათვის არაა დამახასიათებელი“⁵⁰, რომ „ევროპეიზმი“ ილიას, პირველ რიგში, ესმის როგორც მხატვრული სიახლე („ევროპიული გამოთქმა“), რომელიც ძველ, „სპარსულ“ (აღმოსავლურ) ფორმას უპირისპირდება; „ევროპეიზმი“, ილიას აზრით, არის პირველ რიგში უარყოფა ძველი ლიტერატურული (პოეტური) ფორმისა. მის მიერ გაუქმებულია ძველი „ფორმა გამოთქმისა“, და დამკვიდრებულია ახალი“⁵¹.

⁴⁹ ილია ჭავჭავაძე, „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა.—იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, 1953, გვ. 457.

⁵⁰ დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 90

⁵¹ გ. ასათიანი, რეალიზმის საკითხები XIX საუკუნის ქართულ კრიტიკაში, — იხ. კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, II, 1972, გვ. 43—44.

მაგრამ არსებობს, აგრეთვე, შეხედულება, რომ ცნება „ევროპეიზმისა“ ილიას ფართოდ ესმის. მწერლის გაგებით, ეს არ გულისხმობს მხოლოდ ფორმალურ-მხატვრულ თავისებურებებს, არამედ ევროპული ლიტერატურის ტენდენციებთან, საერთოდ კი ევროპულ-რუსულ კულტურასთან კავშირს გამოხატავს. ეს იყო ქართულ ნიადაგზე, ეროვნულ ასპექტში წარმოდგენილი ახალი აზროვნება, განწყობილებები, მხატვრული ხედვა, თემატიკა, წერის მანერა, და ამიტომ ილიას... მიხედვით, ეს გარემოება ნიშნავდა „თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით“ ქართული მწერლობის შემობრუნებას ევროპული აზროვნებისაკენ, მაშასადამე, აღმოსავლური კულტურის, კერძოდ კი სპარსული მწერლობის ტრადიციებთან კავშირის გაწყვეტას და მათგან ეროვნული ლიტერატურის საბოლოო განთავისუფლებას“⁵²...

მაგრამ ამჟერად ჩვენთვის საყურადღებოა არა ის განსხვავებანი, რომელიც შეიძლება არსებობდეს მკვლევართა შეხედულებებს შორის „ევროპეიზმის“ ცნების ილიასეული გააზრების შესახებ, არამედ ის გარემოება, რომ მკვლევართა აზრით, ევროპეიზმი და რომანტიზმი, ილიასათვის, განუყრელად არის ურთიერთთან დაკავშირებული:

„...ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული მწერლობის ისტორიას მე-18 ს. დასასრულითა და მე-19 ს. დამდეგით იწყებს, — წერს ჯ. ჭუმბურიძე „ევროპეიზმის“ ცნების ილიასეული გაგების ზემოთ მითითებული ინტერპრეტაციის შემდეგ, — და მის წარმოშობას მაინცდამაინც რეალისტური მიმართულების განვითარებას არ უკავშირებს. აშკარაა, რომ, ილიას გაგებით, რომანტიზმი ახალი ქართული მწერლობის პირველი ლიტერატურული ტენდენციაა, რომელმაც საბოლოოდ განსაზღვრა „ევროპეიზმის“ დამკვიდრება ჩვენს სინამდვილეში“⁵³.

„...საქართველოში რომანტიკული მიმართულების მთავარ წარმომადგენელთა (ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი) შემოქმედებას, — წერს გ. ასათიანი, — მათ მიერ დანერგილ მხატვრულ გეზს ილია ნათლავს სპეციფიკური სახელწოდებით — „ევროპეიზმი“ და ამ თვალსაზრისით მათ უახლოეს წინამორბედად დავით გურამიშვილს აცხადებს.

⁵² ჯ. ჭუმბურიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, 1966, გვ. 233—234.

⁵³ იქვე, გვ. 234.

„ევროპეიზმი“ ილიას ლექსიკონში ნაწილობრივი სინონიმია „რომანტიზმისა“⁵⁴.

თუკი ეს მართლაც ასეა, — თუკი ექვემოთნადად დადგინდება, რომ ცნება „ევროპეიზმი“, ილია ჭავჭავაძის გაგებით, აუცილებლად გულისხმობს რომანტიზმსაც — როგორც ლიტერატურულ მიმართულებას, ან რომ „ევროპეიზმი“ ილიას ლექსიკონში ისეთივე ნაწილობრივი სინონიმია რომანტიზმისა, როგორიც ვთქვათ, „ბაირონიზმია“, — და მაშ, ქართულ სინამდვილეში ევროპეიზმის დამწერგაენი და განმავითარებელი ილია ჭავჭავაძეს, ამავე დროს, რომანტიკოს მწერლებად ესახებიან, — უდავოა, რომ ამ ფაქტის დადგენა მნიშვნელოვნად გააფართოვებს ჩვენს წარმოდგენას როგორც საკუთრივ ილიას ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრების, ასევე, საერთოდ, XIX საუკუნის საქართველოში რომანტიზმის პრობლემის კვლევის მდგომარეობის შესახებ, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე, ამ შემთხვევაში, წარმოგვიდგება პირველ კრიტიკოსად, რომელმაც უკვე 60-იან წლებში ნათლად გააცნობიერა ქართული რომანტიზმის, როგორც ერთიანი ლიტერატურული მიმართულების არსებობის ფაქტი, და მისი ჩასახვისა და განვითარების, ძირითადად, დღევანდელი დღისათვისაც მისაღები სქემა წარმოგვიდგინა (ოლონდ, თანამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებისაგან განსხვავებით, ილიამ ქართულ მწერლობაში რომანტიზმის „შემომტანად“ — მართალია, მხოლოდ „ზოგიერთგან“, მაგრამ მაინც შე მო მ ტ ა ნ ა დ და არა ქართველ რომანტიკოსთა მარტოოდენ უახლოეს წინამორბედად, — როგორც ვნახეთ, დ. გურამიშვილი გამოაცხადა).

ქართული კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიისათვის, ილია ჭავჭავაძის მიერ, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, საქართველოში რომანტიზმის — როგორც ერთიანი ლიტერატურული მიმართულების არსებობის ფაქტის გაცნობიერებისა და, ასევე, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და ნ. ბარათაშვილის რომანტიკოს პოეტებად მიჩნევისა და ქართული რომანტიზმის განვითარებაში მათი ადგილის ძირითადად სწორად განსაზღვრის დიდი მნიშვნელობა უფრო ნათელი გახდება, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ — როგორც ეს სპეციალურმა კვლევა-ძიებამ დაგვიდასტურა, — XIX საუკუნის მიწურულამდე, ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში,

⁵⁴ გ. ა ს ა თ ი ა ნ ი, რეალიზმის საკითხები XIX საუკუნის ქართულ კრიტიკაში... გვ. 43.

ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა, როგორც წესი, ერთმანეთისაგან განცალკევებულად და ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესისაგან მოწყვეტით განიხილებოდა, ხოლო ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის შემოქმედების ნიმუშების დახასიათება რომანტიზმთან მათი მიმართების აღნიშვნის გარეშე ხდებოდა.

ალ. ჭავჭავაძის შემოქმედების ირგვლივ გასულ საუკუნეში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა თუ სტატიებში, ვიდრე საუკუნის დამლევამდე, არასოდეს გამოთქმულა აზრი ალ. ჭავჭავაძის პოეზიის რომანტიკული ხასიათის შესახებ, და არ ყოფილა არავითარი მინიშნება, რომელიც გვაფიქრებინებდა, რომ ამა თუ იმ კრიტიკოსის მიერ ალ. ჭავჭავაძე რომანტიკული სკოლის წარმომადგენლად იყო მიჩნეულ⁵⁵.

როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, პოეტის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში (და შემდგომაც, — თითქმის XIX საუკუნის მიწურულამდე) არც გრიგოლ ორბელიანია აღიარებული რომანტიკის პოეტად, და გრ. ორბელიანის პოეზიის ნიშანდობლივ თავისებურებად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, რიგ შემთხვევებში, ისეთი მხარეებია წინ წამოწეული, რაც, გარკვეული აზრით, გამორიცხავს კიდევ რომანტიკოს პოეტად გრ. ორბელიანის მიჩნევის შესაძლებლობას.

აღნიშნული ვითარების გამო, რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ 60-იან წლებში შემუშავებულ თვალსაზრისს გრ. ორბელიანისა თუ ალ. ჭავჭავაძის — როგორც რომანტიკოსი პოეტებისა, და საქართველოში რომანტიზმის — როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულების არსებობის შესახებ, როგორც ითქვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ქართული რომანტიზმის შესწავლის ისტორიის თვალსაზრისითაც და, საერთოდ, ქართული კრიტიკული აზრის განვითარების ისტორიისათვისაც.

მაგრამ სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ზემოთ მითითებული შეხედულება — ილიას ნააზრევში ევროპეიზმის და რომანტიზმის ცნებათა იდენტურობის, ნაწილობრივი დამთხვევისა თუ განუყოფლობის შესახებ, უთუოდ, შემდგომ დაზუსტებასა და სათანადო დასაბუთებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, თუ როგორ მოხდა, რომ ილიამ, რომელმაც — ზემოაღნიშ-

⁵⁵ იხ. ჩენი წერილი — „რომანტიზმის საკითხისათვის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, II, 1972, გვ. 9—10.

ნული შეხედულების თანახმად, — ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი ჯერ კიდევ 60-იან წლებში აღიარა რომანტიკოს პოეტებად (ალ. ჭავჭავაძე — საქართველოში რომანტიზმის გამავრცელებლად, გრ. ორბელიანი — რომანტიზმის გამაგრებლებლად, ხოლო ნ. ბარათაშვილი — რომანტიზმის ბრწყინვალე წარმომადგენლად) 90-იან წლებში დაწერილ ნაშრომში, რომელიც ამჟამად ცნობილია სათაურით: „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების თავისებურებათა დახასიათებისა და ქართული ლიტერატურის ისტორიაში მათი ადგილსა და როლის განსაზღვრის დროს, სრულიად აუარა რომანტიზმთან მათი მიმართების საკითხს და რომანტიკოსად მხოლოდ ვახტანგ ორბელიანი მოიხსენიან⁵⁶, — მაშინ, როცა ქართულ სინამდვილეში „ევროპეიზმის“ დანერგვისა და განვითარების შესახებ მსჯელობის დროს, როგორც ვნახეთ, ვ. ორბელიანი ილიას არც კი დაუსახელებია (საკითხის დასაზუსტებლად აუცილებელია ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ გულდასმით გადაისინჯოს ილია ჭავჭავაძის მთელი ლიტერატურული კრიტიკული მემკვიდრეობა, რაც, ცხადია, სპეციალური კვლევის საგანია).

უთუოდ, ძალზე დასანანია, რომ ილია ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული წერილი — „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა — დაუმთავრებელი დარჩა და რომ ილია აღარც შემდგომში დაპბრუნებია XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში „ევროპეიზმის“ დანერგვისა და განვითარების საკითხებს; დასანანია ისიც, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი ილიასეული მსჯელობა „ევროპეიზმთან“ დაკავშირებით, აღნიშნული წერილის გამოუქვეყნებლობის გამო, უცნობი დარჩა გასული საუკუნის ქართული საზოგადოებისათვის, — დასანანია, რადგან ადვილად შესაძლებელია, რომ ილიას მიერ აღძრულ პრობლემას დაინტერესება და გამოხმაურება გა-

⁵⁶ მართალია, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — სამოციან წლებში გამოსულ მწერალთა დაიწყეს ვახსენება წარსულისა და ჩაუდგეს ჭეკუთხედი იმ ხილს, რომელიც ჩასტყდა წარსულსა და აწმყოს შუა... მაგრამ ისე სულით და გულით არავეინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახ. ორბელიანი... ვახ. ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფერომდე მივიდა, რომელსაც „რომანტიზმს“ ეძახიან, და რომელსაც ერთ დროს ევროპის პოეზიაში მთელი მოედანი ეპირა...“ — იხ. ილია ჭავჭავაძე, წერილები ქართულ ლიტერატურაზე (1892), — შიგნში: ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ..., ტ. III, 1953, გვ. 231.

მოეწვია ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში და ხელი შეეწყო ალ. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების როგორც შინაგანი ნათესაობის გაცნობიერების, ასევე ახალი თვალთახედვით — „ევროპეიზმთან“ მიმართებაში მისი შესწავლისა და დახასიათებისათვის.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და ქართველ რომანტიკოსთა და, მათ შორის, საკუთრივ გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევა XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არსებითად სხვა გზით წარიმართა.

ილია ქავჭავაძის შემდეგ, რომელმაც „ორიოდე სიტყვაში“, როგორც ვნახეთ, გრ. ორბელიანის მუხამბაზის — „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“ — მოხდენილი დახასიათება და მაღალი შეფასება მოგვცა, გრ. ორბელიანის მეორე პოპულარულ მუხამბაზს — „გინდ მეძინოს“⁵⁷ შეეხო ანტონ ფურცელაძე და აღტაცება გამოთქვა ამ ფართოდ ცნობილი ლექსის მიმართ: „ეს ლექსი — წერდა ა. ფურცელაძე⁵⁸, — სწორეთ სახალხოა; აქ წმინდათ თვალწინ წარმოგვიდგება ქალაქის ლოთიბაში ჩათუქესანი ბიჭი, რომელიც „საყვარელის ეშხია-რალა!“ როგორც თვითონ ამბობენ. ლაპარაკი, ენა, გამოთქმა, ყოველივე სახალხოა⁵⁹. აბა ეს ლექსი სწორეთ არ მოგაგონებთ იმ ჩვენი ქალაქის თავმომწონე დარდიმანდს ბიჭსა?

„ორთაქალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ,
ჰამით ტალღებში მნახე, ვინა ვარ,
აბა მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ. —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: ძვირფასი ხარ.
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ.“

⁵⁷ გრ. ორბელიანის „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს...“) პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „საქართველოს მოამბეში“, 1863, № 2, სათაურით — „ლოთური მუხამბაზი“.

⁵⁸ იხ. ქ ე რ ე ლ ი ბ ე ქ ა [ა ნ ტ ო ნ ფ უ რ ც ე ლ ა ძ ე], ქართული ლიტერატურა, საქართველოს მოამბე. 1863 წლის იანვრისა და თებერვლის წიგნები, ჟურნ. „ცისკარი“, 1863, № 3.

⁵⁹ გრ. ორბელიანის ლექსების „ხალხური კილოს“ შესახებ ვაკვრით მიუთითებდა გ. წერეთელიც „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილში — „ცისკარს“ რა აქაყანებდა? — რომელშიც, მკაცრად აკრიტიკებდა რა ჟურნალ „ცისკარს“ საქმიანობას, სხვათა შორის წერდა: აბა, სად გვიჩვენაო ჟურნალმა „ის პლასტიკური გრძნობა, ურომლიოთაც არ შეიძლება პოეტისაგან რეალურ ცხოვრების მართლად ჰერეტა და რომელიც გამოსკვევს თ. რაფიელ ერისთავის ზოგიერთ ლექსებში და ნამეტურ თ. გრიგოლ ორბელიანის, სწორედ ხალხურის ელემენტით სავსეს პოეტურს გრძნობებში, სადაც ასე აღტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეხარის ქართველის გული“ — იხ. გ. თ ე ლ ი [გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი], „ცისკარს“ რა აქაყანებდა“, ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 5.

ამრიგად, როგორც ვხვდებით, 60-იანი წლების ქართულმა კრიტიკამ საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება გრ. ორბელიანის მუხამბაზებზე და მაღალი შეფასება მისცა მათ. ამ მაღალი შეფასების ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი კი, გარდა ამ ნაწარმოებების თავისთავადი მხატვრული ღირსებებისა, ჩვენი აზრით, უთუოდ ისიც იყო, რომ — როგორც ეს არაერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, — „ყარაჩოხელთა ბუნებრივი დასურათხატებით რომანტიკოს გრ. ორბელიანს თავის შემოქმედებაში უნებლიედ შეაქვს რეალიზმი“ (თუმცა „აქ ცოტა იდეალიზაციასაც აქვს ადგილი“⁶⁰); რომ „ყარაჩოხელთა ხასიათები გრ. ორბელიანის მუხამბაზებში დახატულია რეალისტურად, მიუხედავად მათი რამდენადმე შელამაზებისა. უწინარეს ყოვლისა, რეალისტურია მათი პორტრეტული დახასიათება, მოქმედების გარემო (ორთაქალის ბალები... და ა. შ.), ძალზე მარტივი ფსიქოლოგია, სიყვარული კრივისა და ლხინისადმი“⁶¹ და სხვა. ხოლო საგნებისა თუ მოვლენების მაღალმხატვრულ რეალისტურ ასახვას, — „რეალურ ცხოვრების მართლად ჰერეტას“, „ცხოვრების სურალების“ „სისწოროთ“ ჩვენებას, ბუნებრივია, რომ „60-იანი წლების ქართველ კრიტიკოსთა საერთო მოწონება დაემსახურებინა, რამდენადაც მათ ერთ უპირველეს საზრუნავს სწორედ რეალისტური ხელოვნების პრინციპების დანერგვა და განმტკიცება წარმოადგენდა.

ამ მხრივ, ჩემი აზრით, ნიშანდობლივია, რომ რომანტიკოსი ვახტანგ ორბელიანი 80-იან წლებში დაწერილ ლექსში — „პოეტს“ დაიწუნებს გრ. ორბელიანის მუხამბაზებს, — სწორედ იმ მუხამბაზებს, რომლებმაც XIX საუკუნის ქართული რეალისტური კრიტიკის მოწონება დაიმსახურა, და იტყვის:

„მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
 კინტოთ კილო, კილო შუა-ბაზრისა,
 იმ კილოთი რა იმღერო პოეტო,
 თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო....
 რისთვის მინდა და რაში ვაქნევ კინტოს,
 იმის დუღუქს და იმის დიპლიბიტოს,
 ან ლ[ოპიან]ს, ან დ[იმიტრი] ო[ნი]კოვს?...“

⁶⁰ მის. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, გრიგოლ ორბელიანი, — შიგნში: მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I (მეოთხე გამოცემა), 1956, გვ. 172.

⁶¹ ა. გაწერელია, გრიგოლ ორბელიანი..., გვ. 061—062.

1871 წელს, ახალდაარსებულ ჟურნალ „კრებულის“ პირველ ნომერში ქვეყნდება გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელო“⁶² და ამავე წელს ცალკე წიგნადაც გამოდის⁶³. 1871 წლის „ცისკარის“ თებერვლის ნომერში კი, „ბიძია დონიკეს“ ფსევდონიმით, იბეჭდება ივ. კერესელიძის წერილი ამ პოემის შესახებ — „სადღეგრძელო“, თქმული ლექსად თავადის გრიგოლ ორბელიანისაგან“⁶⁴.

როგორც პროფ. ალ. კალანდაძე შენიშნავს, „ყოველ ეპოქას თავისი ხასიათი, თავისი განწყობილება და მოთხოვნილება გააჩნია. ამის შესაბამისად, ხელოვნების ზოგი ნაწარმოების მნიშვნელობა ხან სუსტდება და თითქმის ქრება კიდევ, ხანაც მკვდრეთით აღდგება, არნახულ ცხოველმყოფელობასა და ზემოქმედებას შეიძენს. „სადღეგრძელო“ იმ დროს დაიბეჭდა, როცა პატრიოტული გრძნობა იღვევებოდა, „თავდადებასა და მსხვერპლად შეწირვას“ ღირსეული ასპარეზი არ უჩანდა; ახალთაობა ამ დევნის, მოდუნებისა და ეროვნული პესიმიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა და გრ. ორბელიანის პოემა, ცხადია, ვაჟკაცური შემართებისა და მამულისათვის თავდადების საგალობლად აღდგინდა. პოემაში აღწერილი ქართველი ხალხის გმირული წარსული მკითხველს აწმყოს კონტრასტად ესახებოდა... „სადღეგრძელოს“ ხალასი ეროვნული გრძნობა, სამშობლოს ღირსებით გამოწვეული სიამაყე, მისი ბედნიერებისათვის თავდადება, ობიექტურად, გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს უპასუხებდა. ამიტომაც აიტაცა და გულთან ახლოს მიიტანა ხალხმა ამ პოემის სტრიქონები...

დაბოლოს, პოემის დემოკრატიული მოტივებიც ხელს უწყობდა ახალთაობის სოციალურ იდეალთა დამკვიდრებას. მართალია, ზოგად პოეტურ ფორმაში, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ მაინც გასაგებად და გულში ჩამწვდომად, მგოსანი თავისუფლებასა და თანასწორობას აღიღებდა. მაშინდელი მკითხველი მეტად კონკრეტულ მნიშვნელობას აძლევდა პოეტის ზოგად სენტენციურ და პუმანისტურ გამონათქვამებს და, როგორც ხშირად ხდება მხატვრულ ლიტერატურაში, ზოგადპოეტური სახეები მამხილებელ ხასიათსა

⁶² იხ. „სადღეგრძელო“ ანუ ომის შემდგომ ლხინი, ერევნის სიახლოვეს თ. გრ. ორბელიანისა, — ჟურ. „კრებული“, 1871, №1, გვ. 1—38.

⁶³ იხ. „სადღეგრძელო“ თხზულება თავ. გრიგოლ ორბელიანისა. გამოცემული ივ. კერესელიძისაგან. 1871 წელს ქ. ტფილისს.

⁶⁴ იხ. ბ ი ძ ი ა დ ო ნ ი კ ე, „სადღეგრძელო“, თქმული ლექსად თავადის გრიგოლ ორბელიანისაგან..., ჟურნ. „ცისკარი“, 1871, № 2, გვ. 113—132. იხ. აგრეთვე, „ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიისათვის“, II, 1956, გვ. 114—120.

და ახალ სოციალურ სიმახვილეს იძენდა. ამიტომაც იყო, რომ ხალხმა თავის გულისხმად მიიღო და ანდაზად აქცია პოემის ბევრი ადგილი“⁶⁵, ხოლო პოეტის თანამედროვე ქართულმა კრიტიკამ იმთავითვე უმაღლესი შეფასება მისცა ამ პატრიოტულ ნაწარმოებს.

კერძოდ, ივ. კერესელიძე, ზემოთ დასახელებულ წერილში, რომელიც გრ. ორბელიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ პირველ სპეციალურ წერილს წარმოადგენს, გრ. ორბელიანს „საქართველოს პოეზიის გვირგვინად“ მიიჩნევს და შოთა რუსთაველის შემდეგ უდიდეს ადგილს აკუთვნებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ხოლო „სადღეგრძელოს“ პოეტის შედევრად სთვლის და წერს, რომ ამ პოემის სახის პოეტმა „ისეთი საუნჯე მოგვცა“, რომელმაც „დაავიღვინაო ჩვენი ლიტერატურა“, — „ჩვენს ლიტერატურას მისცა ნიმუში, რომელსაც იქონიებსო ხელმძღვანელად“.

„შოთა რუსთაველი რომ წამომდგარიყო ახლა და ენახა ჩვენი საყვარელი პოეტი გრ. ორბელიანი, რა გრძნობით გადაჰკოცნიდა ამ დიდებულად გამოხატულ ლექსებისათვის, რომელიცა მიეწერება იმის სიყვარულის საგანსა, იმისი პოემის „ვეფხვის ტყაოსნის“ დაწერის მიზეზსა“, — ვკითხულობთ მითითებულ წერილში და ამ სტრიქონების მიხედვით, ისევე, როგორც საერთოდ მთელი წერილის აღტაცებული ტონითა და ხოტბა-დიდების შემსხმელი ეპითეტებით, ნათელია, თუ რაოდენ მაღალი აზრისაა კრიტიკოსი გრ. ორბელიანის პოეზიაზე საზოგადოდ, და, კერძოდ, მისი პოემის შესახებაც.

ამ მხრივ, ივ. კერესელიძის დასახელებულ წერილში აშკარა გადაჭარბებანიც შეინიშნება. ასე, მაგ., როდესაც გრ. ორბელიანის მაღალი პოეტური შესაძლებლობების საილუსტრაციოდ ივ. კერესელიძე პარალელს ავლებს „სადღეგრძელოსა“ და ბაირონის „დონ-ჟუანის“ ცალკეულ პასაჟებს შორის, კრიტიკოსი „ბევრით უპირატესობას“ ანიჭებს გრ. ორბელიანის პოემას („ლორდ ბაირონი, ბუნების აღწერაში, დიდად ნაქებია, — წერს ივ. კერესელიძე, — იმასა აქვს მშვენიერად აღწერილი თავის „დონ-ჟუანში“ ზღვის პირი, სადაცა სხედან ახლად შეყრილნი მოტრფიალენი და აღწერს იქაურს გარემოებასა. მე ეს ალაგი განგებ წავიკითხე და ბევრით უპირატესობა მივეცი აი, ამ ალაგს: „ცისკარმან აღმოსავლეთით

⁶⁵ ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 273—280.

ვარდისა ფერად შეღებვა“; და ა. შ.); აშკარა გადაჭარბებაა, ცხადია, ისიც, რომ შოთა რუსთაველის შემდეგ ქართულ მწერლობაში კრიტიკოსი უპირველეს ადგილს გრ. ორბელიანს აკუთვნებს («აბა ერთი მითხარით, მკითხველო, — ვკითხულობთ მითითებულ წერილში, — ამდენს წელიწადებში, ფარნაოზ მეფის შემდგომს, რომელი დაიბადა გენიოზი შოთა რუსთაველისაგით? განა რომ არაეინ! რა უყოთ, ახლანდელს დროშიაც იყენენ ალ. ჰავჭავაძე, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი), რომელნიცა კარგათაც სწერდნენ, ნიკ. ბარათაშვილი და სხვა... მაგრამ რა გამოვიდა... ერთი იმ გვარი აღარა გამოსულა რა, რომ გვეთქვა და დაგვეკვებნა, აი, როგორი მწერალი გვყავსო, აი, როგორი გენიოზი ჰყავს საქართველოსო“. გრ. ორბელიანი, კრიტიკოსის აზრით, ერთადერთი გამონაკლისია ამ მხრივ: «გრიგოლ ორბელიანს უყურებთ, როგორც დიდ პოეტს, — წერს ივ. კერესელიძე, — როგორც საქართველოს პოეზიის გვირგვინს, ჩვენს სასიქადულოს, ჰეშმარიტად რომ უნდა, თუ გრძნობა ჯერ კიდევ გაციებული არა გვაქვს, უნდა საკეხურადა გვქონდეს, რომ ქართველებს ამისთანა პოეტი გვყავს»⁶⁶. მაგრამ ასეთი, თუ ამავე რიგის სხვა ნაკლოვანებების მიუხედავად, ივ. კერესელიძის ზემოთ დასახელებულ წერილს საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის როგორც გრ. ორბელიანის შემოქმედებით მკითხველი საზო-

⁶⁶ აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის პოეტური ღვაწლის გადაჭარბებით შეფასებას XIX საუკუნის ქართულ კრიტიკაში შემდგომშიც არაერთხელ ჰქონია ადგილი. ასე, მაგ., «სხვისა არ ვიცი, და ჩვენ კი გვგონია, რომ გრ. ორბელიანს, როგორც პოეტს, წინ ვერაფერს გადაურბენს ჩვენში ამ მეცხრამეტე საუკუნეში», ვითხულობთ 1888 წლის 23 მარტის «ივერიაში». ხოლო იონა მეუნარგია, ცნობილ ნაშრომში — «ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა», პოეტის დაკრძალვის ცერემონიის აღწერისას წერდა: «ასაფლავებდნენ კაცს... რომელმაც ქართველის სახელი და ქართული სიტყვა აიყვანა იმ სიმაღლემდის, რომელსაც არაფერს შესწოდნია არა მარტო ამ საუკუნეში» (იხ. ჟურნ. «მოამბე», 1905, №3). მაგრამ ასეთ შეხედულებას გრ. ობელიანის შესახებ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არ მოუპოვებია საყოველთაო აღიარება. მაგალითად, ეგ. იოსელიანი 1883 წ. ირონიით მოიხსენებდა გაზ. «დროებას», რომელმაც — კრიტიკოსის სიტყვით, — «თავის შორსმხედველის თვლით დაინახა ორბელიანის «უპირატესობა» რუსთაველთან» (იხ. ეგ. იოსელიანი, ქართული ლიტერატურა, წერილი პირველი. გრიგოლ ორბელიანი, — «ივერია», 1883, № 4); კიტა აბაშიძე კი 1898 წ. შენიშნავდა: «შოთა რუსთაველის შემდეგ გრ. ორბელიანისათვის უპირველესად ადგილის მიკუთვნება იმ ჰეშმარიტების დავიწყების შედეგია, რომ «თანამედროვეს ბარათაშვილისას არ შეეძლო რუსთაველის გვერდით პირველი ადგილი დაეჭირაო» (იხ. კიტა აბაშიძე, ეტიუდები ქართულის ლიტერატურიდან, თ-ლი გრიგოლ ორბელიანი, — ჟურნ. «მოამბე», 1898, № 5, გვ. 43).

გადოების დაინტერესებაში, ასევე მისი შესწავლის საქმეშიც. მართალია, ივ. კერესელიძის ძირითად მიზანს „სადლეგრძელოს“ პოპულარიზაცია წარმოადგენდა, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წერილის აღწერილობითი ხასიათი, მაგრამ აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსი არ იფარგლება მხოლოდ და მხოლოდ პოემის შინაარსის თხრობითა თუ მისი რჩეული ადგილების ციტაციით და გრ. ორბელიანის პოეზიის რიგ ნიშანდობლივ თავისებურებებსაც ეხება. კერძოდ, ივ. კერესელიძე — პირველად ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, — მიუთითებს გრ. ორბელიანის, როგორც ბუნების შესანიშნავი მხატვრის მაღალ ოსტატობაზე და აღნიშნავს, რომ „ბუნების აღწერაში ჩვენი პოეტი მიემგზავნება კარგს გამოჩენილს მხატვარსა... ამის ბუნების აღწერით ნათლდება გონება, იშლება გული, სიამოვნებს და მხიარულდება“, და მკითხველს ეჩვენება, თითქოს თვითაც „იმ მშვენივრად აღწერილს ბუნებაში იმყოფება“.

ამრიგად, ივ. კერესელიძე სათავეს უდებს ბუნების გრ. ორბელიანისეული წარმოსახვის შესწავლას, რაც, როგორც ცნობილია, შემდგომში — ქართული სალიტერატურო კრიტიკის განვითარებრს კვალდაკვალ, — მკვლევართათვის გრ. ორბელიანის ნეპოქმედების ცენტრალურ საკითხთა რიგში მოექცა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ივ. კერესელიძე გრ. ორბელიანის პატრიოტულ გრძნობებზე ამახვილებს, რადგან, სავსებით სამართლიანად, სწორედ პატრიოტიზმი მიაჩნია მას „სადლეგრძელოს“ მთავარ ლეიტმოტივად. კრიტიკოსის თქმით, „გრ. ორბელიანი, როგორც ქეშმარიტი და ნამდვილი პოეტი, სხვა და სხვა აზრებზე გადადის და გადმოდის მეტის-მეტად პოეტურ ხელოვნურად, მაგრამ მაინც მისი ჩინებული კალამი მეტის-მეტად მოტრფიალე არის მამულისა. იმისი გული და სული, იმისი მაღალი ღვთაებრივი კეთილი გრძნობა მიქცეულია მამულის სიყვარულზედ“, და „ეს ლექსად წარმოთქმული მაღალ-ღვთაებრივი გრძნობა, სრულებით ეთანხმება იმის შინაგანს გულის თვისებასა...“ პირველ ყოვლისა, სწორედ ეს თვისება გრ. ორბელიანის პოეზიისა — სამშობლოს წრფელი და უანგარო სიყვარული, „ძველის დიდების“ დაკარგვით გამოწვეული მამულიშვილური ჭმუნვა და გულისტკივილი, რაც ასე მკაფიოდ გაისმის საკუთრივ „სადლეგრძელოშიც“, — იყო განმსაზღვრელი მიზეზი პოეტის საყოველთაო აღიარებისა და დაფასებისა გასული საუკუნის ქართული საზოგადოების მიერ, რამაც ადეკვატური ასახ-

ვა ჰპოვა გრ. ორბელიანის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაშიც.

ქართველმა მკითხველმა საზოგადოებამ „სადღეგრძელოს“ გამოქვეყნებისთანავე მიაქცია ყურადღება იმ მსგავსებას, რომელიც არსებობს გრ. ორბელიანის ამ პოემასა და ვ. ჟუკოვსკის ცნობილ ოდას — „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“ შორის. პლატონ იოსელიანი, რომელიც აღტაცებით შეეგება „ქართული მწერლობის დიდების აღმდგენელ ამ ლიტერატურულ მოვლენას“ (რომელმაც, კრიტიკოსის აზრით, თვალნათლივ დაადასტურა მწიგნობრული ენის მაღალი შესაძლებლობანი და უპირატესობა ხალხური ენის მიმართ), პირველი იყო, ვინც პრესის ფურცლებზე გამოთქვა აზრი ვ. ჟუკოვსკის პოემასთან „სადღეგრძელოს“ ნათესაობაზე⁶⁷, და მას შემდეგ საკითხი ამ ორი ნაწარმოების მსგავსება-განსხვავების შესახებ XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში სამუდამოდ იქცა მსჯელობისა და აზრთა სხვაობის საგნად.

„ამ დღეებში, — წერდა პლ. იოსელიანი გაზ. „კავკაზის“ 1871 წლის № 22-ში, — ქართულ ენაზე დაიბეჭდა ბროშურა სათაურით — „სადღეგრძელო. თხზულება თავად გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანისა“. ეს პოემა ლექსად წარმოადგენს მიბაძვას რუსულ ენაზე არსებული ცნობილი პოემისა — „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“, რომელიც ჟუკოვსკის ეკუთვნის“.

როგორც პროფ. ალ. კალანდაძე შენიშნავს, „პლ. იოსელიანის დაბეჭდვითი ტონი გვაფიქრებინებს, რომ აზრი „სადღეგრძელოს“ ჟუკოვსკის პოემასთან ნათესაობის შესახებ, მას თვით გრ. ორბელიანისაგან უნდა ჰქონდეს გაგონილი“⁶⁸. მაგრამ ამ მოსაზრებამ მაინც ცხა-

⁶⁷ იხ. П. Иоселиани, Библиографическая заметка, — «Кавказ», 1871, № 22. (პროფ. ა. გაწერელია სამართლიანად შენიშნავს, რომ პ. იოსელიანის აღფრთოვანება „სადღეგრძელოთი“, პირველ ყოვლისა, სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ, თითქოს, „გრ. ორბელიანის პოემას „დაუმტკიცებია შესაძლებლობა მწერლების ენით წერისა“, — ერთის მხრით და რიტორიული ოდის ყველა წესის გამოყენება — მეორეს მხრით“; პლ. იოსელიანი „ასაბუთებს მწიგნობრული ენის დაკანონების აზრს, იმ ენისა, რომლის „მოქალაქეობრივი უფლების“ ცილობის საგნად გადაქცევა, მას „ავადმყოფურ“ მოვლენად მიაჩნია... აცხადებს, რომ მასების თუ ხალხის ენა — არ არის ენა ლიტერატურისა“... ამრიგად, „პლ. იოსელიანი პოეზიას თავისი ესთეტიკური კოდექსის გამართლებას გრ. ორბელიანის შემოქმედებაში“. — იხ. აკ. გაწერელია, ნარკვევები ქართული პოეტიკიდან, 1938, გვ. 150—151).

⁶⁸ ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 278.

რე კამათი გამოიწვია. კერძოდ, ნ. ყიფიანი 1871 წ. გაზეთ „დროება-ში“ გამოქვეყნებულ რეცენზიაში უურნალ „კრებულის“ პირველი ორი ნომრის შესახებ, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ გრ. ორბელიანის პოემა არ არის ვ. უუკოვსკის პოემის მიბაძვით დაწერილი და რომ იგი საესეებით ორიგინალური ნაწარმოებია: „სადლეგრძელოზედ უნდა ვთქვათ, — წერდა ნ. ყიფიანი დასახელებულ სტატიაში, — რომ იმათ, ვისაც არ შეუძლიათ გარეგანი შეხედულებისა (ფორმისა) და შინაგანი თვისების ერთმანეთში გარჩევა, იმათ ჰგონიათ, რომ ეს თხზულება არის რუსი პოეტის უუკოვსკის პოემის მიბაძვა («Певец во стане русских воинов»). უუკოვსკის პოემა ითვლება რუსულ ლიტერატურაში ძალიან სუსტ თხზულებად და იმას წაკითხვა თავიდან ბოლომდე ძნელია იმ მიზეზით, რომ ამ გაგრძელებულ პოემაში აზრი ნაკლებათ სუფევს. „სადლეგრძელო“ თ. გრიგოლ ორბელიანისა საესეა აზრითა და გრძნობით, ზოგიერთი სურათი ამ თხზულებისა უღვიძებს მკითხველს ერთს უმაღლესთაგანს გრძნობას და მოჰყავს მოძრაობაში ყოველი ჯერ არ გაყინული გულის პატრონი. ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებისა ზეპირად დასასწავლებელია ჩვენთვის. ზოგნი კი იძახიან, რომ ეს პოემა არის მიბაძვა რუსის პოეტის უუკოვსკის პოემისაო! არა, ეს თხზულება მხოლოდ ფორმით ემსგავსება უუკოვსკის პოემას, შინაარსი კი არის განსაკუთრებით ქართული (ამასთან უნდა დავუმატოთ, რომ თ. გრ. ორბელიანის თხზულებაში არის ორიოდ ადგილი, სწორედ უუკოვსკის შესაფერი, სუსტი, მაგრამ и солнце не без пятен)⁶⁶.

მაგრამ კამათი ვ. უუკოვის „მომღერალთან“ „სადლეგრძელოს“ მიმართების შესახებ ამით არ დასრულებულა. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ხანგრძლივი კამათისა, რომელმაც, როგორც ითქვა, მთელი XIX საუკუნე გასტანა და ჩვენ დრომდეც კი მოაღწია.

შეიძლება უცნაურადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, რომ კამათი მიმდინარეობდა არა მხოლოდ „მომღერალთან“ „სადლეგრძელოს“ მსგავსების ხარისხზე, არამედ თვით ამ მსგავსების არსებობა-არარსებობის ირგვლივაც, მაშინ როცა ამ ორი პოემის ზერელე გადათვალთვარებაც კი, თითქოს, იმთავითვე უნდა გამორიცხავდეს საკითხის ამგვარად დასმის შესაძლებლობას.

ამჟამად „სადლეგრძელოსა“ და ვ. უუკოვსკის პოემის მსგავსება-განსხვავების საკითხი სადაო საკითხს აღარ წარმოადგენს. სპეციალურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ ვ. უუკოვსკის პოემის

⁶⁶ ნ. ი. დ. ი. ტ. რ. ი. ძე [ნიკოლოზ ყიფიანი], „კრებული“, პირველი და მეორე წიგნი, — გაზ. „დროება“, 1871, № 8 (27. II).

გაველენა „სადღეგრძელოზე“ სრულიად უდავოა, და რომ მსგავსება ამ ორ პოემას შორის არა მარტო ფორმალურ-კომპოზიციური ხასიათისაა, როგორც ეს ნ. ყიფიანს და რიგ სხვა ავტორებს მიაჩნდათ, — არამედ თემატიკურ-შინაარსობრივიც⁷⁰. თუმცა ეს ფაქტი ოდნავადაც არ ამცირებს „სადღეგრძელოს“ მაღალ ღირებულებას და მის მნიშვნელობას ქართული მხატვრული სიტყვის განვითარების ისტორიაში.

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში, მართალია, „სადღეგრძელო“ კომპოზიციურადაც და ცალკეული მოტივების მხრივაც ხშირად უშუალოდ მისდევს ვ. ჟუკოვსკის პოემას; ამ ნაწარმოებთა შორის საერთოა ბევრი თემატიკური მომენტიც და ხშირად ამა თუ იმ თემის გაშლის მხრივაც სრულს დამთხვევას აქვს ადგილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სადღეგრძელო“ არაა უბრალო ვარიაცია ვ. ჟუკოვსკის აღნიშნული პოემისა, იგი მართლაც მიბაძვავა, როგორც ეს პოემის ხელნაწერ ვარიანტშია აღნიშნული და არა განმეორება⁷¹, ხოლო განსხვავებანი, რომლებიც ამ პოემებს შორის არსებობს, ბევრად უფრო არსებითია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ზემოაღნიშნული მსგავსება. ამ განსხვავებათა შორის კი, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „სადღეგრძელოში“ მოჩანს შემოქმედი საკვებით დამოუკიდებელი პოეტური წარმოსახვით, მწერალი, რომლის ყოველი მისწრაფება და ტკივილი ღრმადაა განცდილი და ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული⁷². — როგორც ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, გრ. ორბელიანის თანამედროვე ქართული კრიტიკის მიერ „სადღეგრძელოსათვის“ მიცემული უმაღლესი შეფასების ძირითად განმსაზღვრელ მიზეზს პოემის სწორედ ეს ეროვნული, პატრიოტული პათოსი წარმოადგენდა.

1873 წელს, პ. უმიკაშვილის ინიციატივითა და რედაქციით, გამოიცა გრ. ორბელიანის ლექსთა პირველი კრებული⁷³, რომელ-

⁷⁰ იხ. ჟ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე, გრ. ორბელიანის, „სადღეგრძელო“ და ვ. ჟუკოვსკის „მომღერალი რუს მეომართა ბანაკში“, — წიგნში: ჟ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე, ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან, 1958, გვ. 317—344.

⁷¹ იხ. ა. ვ ა შ ე რ ე ლ ი ა, გრიგოლ ორბელიანი (კრიტიკულ-ბიოგრაფილი ნარკვევი), — წიგნში: გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული (ა. გაშვრელას და ჟ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე ს შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით), 1959, გვ. 015.

⁷² ჟ. ქუ მ ბ უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.

⁷³ იხ. „თავადის გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა“, ტფილისი, 1873.

შიც, როგორც კრებულისათვის დართულ მოკლე წინასიტყვაობაში იყო აღნიშნული, შევიდა „ავტორისაგან გასწორებული“ მისი ყველა ლექსი, მანამდე „აქა-იქ გაფანტული სხვადასხვა ქართულს ჟურნალებში, „ცისკარში“, „საქართველოს მოამბეში“, გარდა რამდენისამე ლექსებისა“... ხოლო იმავე წლის ჟურნალ „კრებულის“ მესამე ნომერში, გრ. ორბელიანის ლექსების აღნიშნულ გამოცემასთან დაკავშირებით, დაიბეჭდა ნიკო ნიკოლაძის ვრცელი წერილი — „გრიგოლ ორბელიანი“⁷⁴, რომელმაც საპატიო ადგილი დაიმკვიდრა როგორც გრ. ორბელიანის შემოქმედების კვლევის ისტორიაში, ასევე, XIX საუკუნის ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზრის განვითარებაში.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ დასახელებული წერილი, რომელიც „ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშთაგანს წარმოადგენს“, არის „ერთ-ერთი უადრესი და ღრმა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევა გრ. ორბელიანის — ქართული რომანტიზმის ამ უადრესად მნიშვნელოვანი წარმომადგენლის პოეზიის შესახებ“⁷⁵. უთუოდ სწორია ის შეხედულებაც, რომ „ნ. ნიკოლაძის აღნიშნული სტატია გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე სცილდება ერთი მწერლის შემოქმედების განხილვას, მოიცავს ზოგად საკითხებს და არკვევს ხელოვნების, ლიტერატურის, კრიტიკის დანიშნულებისა და მიზნების ცალკეულ რთულ და ძალზე: საინტერესო მხარეებს“⁷⁶.

აღნიშნულ საკითხთა საფუძვლიანი შესწავლა თანაბრად აუცილებელია როგორც საკუთრივ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრევის შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად, ასევე, საერთოდ XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო კრიტიკისა და ესთეტიკური აზროვნების განვითარების თავისებურებათა დასახასიათებლად. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვერდს ავუვლით ზემოთ მითითებული საკითხების ნ. ნიკოლაძისეული გაგების ანა-

⁷⁴ იხ. ნ. ს. კ ა ნ დ ე ლ ი [ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე], გრიგოლ ორბელიანი (თავადის გრ. ორბელიანის ლექსები, გამოცემა პეტრე უმიკაშვილისა), ჟურ. „კრებული“, 1873, № 3, გვ. 145—202.

⁷⁵ ნ. ა ლ ა ნ ი ა, XIX ს. 70-იანი წლების ქართული ლიტერატურული კრიტიკა, — იხ. კრებული: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, V, 1974, გვ. 73.

⁷⁶ ი ქ ვ ე, გვ. 77.

ლიზს⁷⁷ და მხოლოდ აღენუსხავთ ნ. ნიკოლაძის დასახელებულ წერილში წარმოდგენილ იმ ძირითად თეორიულ წანამძღვრებს, რომელთაც ემყარებოდა კრიტიკოსი გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვასა და შეფასებისას.

ნ. ნიკოლაძე, როგორც თვითვე აღნიშნავს, საკმაოდ „გრძლად საუბრობს“ იმის საჩვენებლად, თუ „რა მოეთხოვება პოეტს და პოეტი რა სულიერს ჰქვია“, და ასეთ დასკვნამდე მიდის: „...რაც უფრო ნათლათ და ბეჯითად წერს პოეტი, რაც უფრო ადვილათ გასაგები და დასამახსოვრებელია მისი აზრი და სურათი, რაც უფრო კარგათ იცნობს ის ადამიანის გულს და გრძნობას, რაც უფრო მაღალ გრძნობას ბადავს ის მკითხველის გულში, მით უფრო ღირსეულია მისი შრომა, მით უფრო ძლიერი ნიჭი სჩანს მის ნაშრომში“; ამავე დროს, „პოეტი ნიადაგ დაკვირვებული უნდა იყოს თავისი ხალხისა და საზოგადოების გულის ფეთქაზე, ნიადაგ მის გულის წადილს უნდა იცნობდეს, უპასუხებდეს, ნიადაგ მის თავში უნდა იდგეს“... თუმც „ამ მხრივ პოეტი თავისუფალი როდია. ამ მხრით მისი მოქმედება თვითონ იმ საზოგადოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიც ის ცხოვრობს, იმის ხასიათზე და წადილზე, იმის ბედზე და ზოგიერთ სხვა გარემოებებზე“; ამიტომაც, ამცირებია იმ პოეტების რიცხვი, რომელთაც არათუ პასუხი აძლიეს თავიანთი ხალხის გულის წადილზე, არამედ თვითონ ეს გულის წადილებიც დაბადეს და გააცხოველეს“..

პოეტური ნიჭის თავისებურებებისა და პოეტის დანიშნულებისა და მოვალეობის შესახებ „ამ საზოგადო ბაასილამ“ ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის შემოქმედების განხილვაზე გადადის და მთელი წერილის მანძილზე თანმიმდევრულად ნათელყოფს თუ „რამდენად შეეთანხმება გრ. ორბელიანის შრომა და ნიჭი იმ პოეტის სურათს, რომელიც... ეს-ეს არის აღწერა“.

გრ. ორბელიანი ლექსების კრებულში გაერთიანებული ნაწარმოებები, ნ. ნიკოლაძის აზრით (ნ. ნიკოლაძეს დამოწმებული აქვს

⁷⁷ ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ შეხედულებათა შესახებ იხ. გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ნიკო ნიკოლაძე, — წიგნში: „ქართველი კლასიკოსები“, 1950, გვ. 239 და შემდეგ; მ ი ს ი ვ ე, ნიკო ნიკოლაძე, — წიგნში: „ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, 1959, გვ. 135 და შემდეგ; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან (ქვეთავი: „ლიტერატურული კრიტიკა ჟურნ. „კრებულში“), 1965; შ. ს ა ა კ ა ძ ე, ნიკო ნიკოლაძე და ქართული რომანტიზმი, — კრებულში: „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“, IV, 1973; მ. ს ა ჯ ა ი ა, ნ. ნიკოლაძე—ქართული ლიტერატურის კრიტიკოსი და ისტორიკოსი, 1964, და სხვ.

ლექსები: „ანტონს“⁷⁹, „ნ...დმი“ [მნათობო, თვით შენ აღმიხსენ“...]⁷⁹, „ღამე“, „იარალის“, „მუხამბაზი“ [„არავისთვის მე დღეს არა მცალიან...“]⁸⁰, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „დიმიტრი-ონიკაშვილის დარდები“, „მუხამბაზი“ [„გინდ მეძინოს...“] და „სადღეგრძელო“, თვალნათლივ ადასტურებენ გრ. ორბელიანის როგორც პოეტური ოსტატობის განუხრელ ზრდას, ასევე — და, რაც მთავარია, — მისი პოეტური გრძნობის განვითარებასაც.

კერძოდ, მართალია, გრ. ორბელიანი, კრიტიკოსის. აზრით, უკვე თავის პირველსავე ლექსებში ავლენს „ჩინებული მწერლის“ თვისებებს — ლაკონიურად „გამოჩარხავს თავის სათქმელს“ და მშვენიერად ახერხებს „არე-მარეს და გრძნობის ხელოვნურ აღწერას“, — მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ლექსებს („ანტონს“, „ნ...დმი“, „ღამე“), ნ. ნიკოლაძის სიტყვით, ჯერ კიდევ „ატყვია უწინდელი მწერლობის და ძველებური პოეტების გავლენა“, — განსხვავებით შემდეგი პერიოდის ლექსებისაგან, როცა პოეტი თანდათან თავისუფლდება „უწინდელი დედნების და მაგალითების შემბორკველი ძალისაგან“, „მისი ენა ძველი კილოს იფიწყებს, ლექსი მსუბუქი და ადვილი ხდება, სურათი კეკლუცათ და მარდათ იხატება ორიოდ კალმის გასმა-გამოსმით და შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გამოდის“. ასეთი „ხელოვნური გამოხატულება და ტანსაცმელი“ აქვს ლექსს „იარალის“, სადაც „ძლიერად დახატულია თვითონ სურათიც“ და „თვითონ პოეტის გრძნობა და სურვილიც იმავე ხელოვნებით და სიმარდითაა გამოთქმული“; „ხელოვნურათ უბრალო სიტყვებით და მშვენიერი-სურათებითა და შედარებებით“ არის დამშვენებული „მუხამბაზიც“, „სალომეს...“ და სხვ.

პოეტის აზრისა თუ გრძნობის გამოთქმის საშუალებათა სრულყოფა, ლექსის მხატვრული ფორმის დახვეწა, თავის მხრივ, ნ. ნიკოლაძის აზრით, გრ. ორბელიანის „გრძნობიერების“ განვითარების.

⁷⁸ ლექსის „ანტონს“ დაწერის თარიღად, ნ. ნიკოლაძე — გრ. ორბელიანის ლექსების პ. უმიკაშვილისეულ გამოცემაზე დაყრდნობით, — 1827 წელს ასახელებს (ნაცვლად 1829 წლისა, როგორც ეს ამჟამად არის მიჩნეული).

⁷⁹ ლექსს „ნ...დმი“ („მნათობო, თვით შენ აღმიხსენ“) ნ. ნიკოლაძე მოიხსენიებს სათაურით „მ...დმი“, — ლექსის პ. უმიკაშვილისეული პუბლიკაციის დასათაურების შესაბამისად, ხოლო ლექსის დაწერის თარიღად — 1829 წელს, ასევე პ. უმიკაშვილის მიხედვით (ნაცვლად 1830 წლისა).

⁸⁰ ამ „მუხამბაზს“ ნ. ნიკოლაძე 1832 წელს დაწერილად მოიხსენიებს (გრ. ორბელიანის ლექსების პ. უმიკაშვილისეულ გამოცემაში, ისევე, როგორც ყველა შემდეგ გამოცემაში, ლექსი ასეა დათარიღებული: „ავლაბრის კაზარმაში, 1833“).

შედგება და გამომხატველა, — „გრძნობიერება“ კი, ნ. ნიკოლაძისათვის, ყოველი ჭეშმარიტი პოეტის აუცილებელი თვისება და მისი „ღირსებისა და ძალის“ პირველი და უტყუარი მანიშნებელია.

ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისის თანახმად, „პოეტის ნიჭისა და ძალის დასაფასებლად“ არა მხოლოდ „იმ მხარეს უნდა მიაქცოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრობით, სისწორით და სიმარჯვით გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას“, არამედ განსაკუთრებით იმას, თუ „რა სინამდვილე და სიღრმე აქვს ამ აზრსა და გრძნობას“. მართალია, „გაჰოთქმას, ენის სიმშვენიერეს, სურათის სინამდვილეს და სიცხოველეს“, ნ. ნიკოლაძის აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოეტური ნაწარმოებისათვის, მაგრამ ყოველივე ეს მაინც ნაწარმოების „გარეგან მხარეს ეხება“, ხოლო „პოეტის ღირსება ხომ მართო ამ გარეგან მხარეში არ მდგომარეობს“; პოეტის ღირსებას და ძალას, ნ. ნიკოლაძის აზრით, პირველ ყოვლისა, „გრძნობის სიცხოველე, ტვინისა და გულის სიფხიზლე და გაშლილობა, შთაბეჭდილების ადვილი მიღება და ღრმად გაგება, ერცი სიტყვით, გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ე ბ ა შეადგენს“.

„გრძნობიერების“ მხრივ მწერალი, პოეტი, ნ. ნიკოლაძის აზრით, მნიშვნელოვნად განსხვავდება კაცობრიობის უდიდესი უმეტესობისაგან, და ეს განსხვავება თანაბრად ეხება როგორც შთაბეჭდილებათა მიღების უნარს, ასევე ამ შთაბეჭდილებათა გააზრებისა და გამოხატვის უნარსაც. ხოლო „გრძნობიერება, კაცის გულის ცხოვრება, კაცის ტვინის ძაფების ხასიათი, — ნ. ნიკოლაძის სიტყვით, — ყველაზე უფრო ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე. იმათ გამოკვლევას, დაკვირვებას, გაგებას, გამოხატავს და ახსნას ისეთი ფხიზელი და ნარნარათ გრძნობიერი დაკვირვებების იარაღი სჭირია, როგორც ძლიერ იშვიათათ იპოვება ქვეყანაზე“. ჭეშმარიტი პოეტები სწორედ ასეთი „ფხიზელი და ნარნარი დაკვირვების იარაღით“ არიან დაჯილდოებულნი განგებისაგან, და ამიტომაცაა, რომ მათთვის „გასაგებია ისეთი მოვლენები გრძნობისა, რომელიც არ ესმის და არ ეჩვენება დანარჩენ კაცობრიობას. თავიანთი ნაზი გრძნობიერებით, ფხიზელი ნერვებით, მიმხედომი გონებით და მძლავრი ტვინით ისინი ნიშნენ და ხედვენ თითქმის თითოეულ მათი ან სხვების გულის ფეთქას, ატყობენ თითოეული მათი გრძნობის და შთაბეჭდილების მიზეზს და საგანს, შინაგან თავიანთი გრძნობის მიმდინარეობას და იკვლევენ თავიანთი საქციელის და მოქმედების დაფარულ ჩარხებს... რაკი თვითონ საგანი მათ გაცნობილი და ნაგრძნობი აქვთ, მისი გამოხატვაც იმათ

უადვილდებათ, და აი, ამ გამოხატვას, ამ სურათებს და სიტყვებს ყურს უგდებს კაცობრიობა, როგორც კაცი დამშეულათ ისმენს ყველაფერს, რასაც იმას შორე, უცხო და საკვირველი მხარედამ მოსული მგზავრი უამბობს. ამაშია პოეტების უმთავრესი ძალა და იარაღი, ესაა მათი ნამდვილი ასპარეზი და დანიშნულება“.

რა სურათს იძლევა, ამ მხრივ, — ნ. ნიკოლაძის აზრით, — გრ. ორბელიანის შემოქმედება? რამდენად არის გამოვლენილი გრ. ორბელიანის პოეზიაში ყოველი ჭეშმარიტი პოეტისათვის ნიშანდობლივი ზემოაღნიშნული თვისებები?

გრ. ორბელიანის ლექსების გაცნობა კრიტიკოსს სავსებით არწმუნებს იმაში, რომ „პოეტს აღრითვე სჩვევია თავისი გრძნობის მოვლენების დაკვირვება“. ამავე დროს, ნ. ნიკოლაძის აზრით, გრ. ორბელიანის ლექსები თვალნათლივ ადასტურებენ პოეტის „გრძნობიერების“ განუხრელ ზრდასა და განვითარებასაც. ასე, მაგ., თუკი ლექსში „ნ...დმი“, ნ. ნიკოლაძის სიტყვით, „მარტო გრძნობის მოვლენებია გამოხატული და შენიშნული, და პოეტი ჭერ თითქო ვერ ხედავს ამ მოვლენების ახსნას და დაფასებას, — ის მარტო ნიშნავს, ესა და ეს ემართება ჩემ გულსო, — მეორე ლექსი „ღამე“ გვიჩვენებს, რომ ამ მხრით პოეტის გრძნობიერებას წინ ნაბიჯი წაუდგამს“. ამის დამადასტურებელია, კერძოდ, „ის დასკვნა და წუხილი“, რომელიც ამ ლექსში „ხელოვნებით აღწერილ“ გრძნობას „პოეტის გულში დაუბადნია: „მამინ ვჰსცან ჟამნი სამოთხის“, და ა. შ. (ვიდრე: — „ეს არს საწუხარ, რომ ბოლო თვით სიხარულსაც ჰქონიან“).

გრ. ორბელიანის გრძნობიერების შემდგომი განვითარების დამადასტურებელია, ნ. ნიკოლაძის აზრით, ლექსი „იარაღის“, რომელსაც „უფრო მაღალი გრძნობა“ და „მისი მძლავრად გამოთქმა“ ახასიათებს. ამ ლექსის მკითხველი, — შენიშნავს კრიტიკოსი, — უკვე „საკმაოთ ხედავს პოეტის გრძნობის სიღრმეს და მისი ნიჭის სიძლიერეს; ის იცნობს, რა უგრძნვია პოეტს, და რა სახით სცოდნია იმას ნაგრძნობის გამოხატვა. მაგრამ პოეტი უფრო შორს მიდის. შემდეგი ლექსი — „მუხამბაზი“ [„არავისთვის მე ღღეს არა მცალიან“] გვიჩვენებს, რომ პოეტს არა თუ თავისი გრძნობის გაგება აქვს და ჩინებულათ გამოხატვას ახერხებს, ის სხვის გულშიაც გამჭირახათ იტკირება, იმას სხვის კანშიაც შესვლა სცოდნია და სხვის მაგიერ გრძნობისაც“, ხოლო „ეს თვისება კი — ნ. ნიკოლაძის აზრით, — მეტის მეტად შესანიშნავია მწერლობაში“:

„როცა პოეტი იმოდენათ სწორეთ და ნამდვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ისე ჩაძვრება მის გულში და კანში, რომ არა თუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე, რომ მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და სწერს, და ეგონოს ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმის, მის გრძნობას ვხედავ, მის სხეულს ხელს ვკიდებო, ეს იმის ნიშანია, რომ პოეტს ხელოვნებაში უზენაეს სიმაღლემდე მიულწევია. ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა, იმ მხრითა მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება.

გრ. ორბელიანს ამ მხრით ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მწერლობაში“. — დასძენს ნ. ნიკოლაძე, და „რადგანაც ეს თვისება მეტის მეტად შესანიშნავ და საჭირო თვისებად მიიჩნია“, სათანადო ამონაწერში მოაქვს გრ. ორბელიანს იმ ლექსებიდან („სალომეს“, ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „დიმიტრი ონიკაშვილის დარღები“, „მუხამბაზი“ — „გინდ მეძინოს...“), რომლებშიც, კრიტიკოსის თქმით, „ჩინებულათ მოჩანს პოეტის ამგვარი ძვირფასი ძალა და ხელოვნება“.

საცვებით ბუნებრივია, თუკი ნიკო ნიკოლაძე — XIX საუკუნის ქართული მატერიალისტური ესთეტიკისა და რეალისტური კრიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი, — რეალიზმს ხელოვნების განვითარების უმაღლეს საფეხურად აღიარებდა, ხოლო რეალისტურ მეთოდს, რეალისტურ სტილს — მწერლის შემოქმედების მაღალი ღირებულების საუკეთესო დამადასტურებლად. ამდენად გასაგებია, რომ გრ. ორბელიანის პოეზიის თავისებურებათა შესახებ მსჯელობის დროს, მისი ღირსებების ნათელსაყოფად, ნ. ნიკოლაძე, როგორც დავინახეთ, პოეტის რეალიზმზე ამახვილებდა ყურადღებას და თავისი თვალსაზრისის სამართლიანობის ნათელსაყოფად გრ. ორბელიანის მუხამბაზებს იმოწმებდა, რომლებიც — პოეტის სხვა ლექსების დიდი უმეტესობისაგან განსხვავებით, — მართლაც კარბად შეიცავენ რეალისტურ ელემენტებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრ. ორბელიანის მუხამბაზებს ნ. ნიკოლაძის წინამორბედი კრიტიკოსებიც ეხებოდნენ და მაღალ შეფასებას აძლევდნენ მათ, ამ მაღალი შეფასების ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მიზეზს კი, — დასახელებული ლექსების უდავო მხატვრულ ღირსებებთან ერთად, — როგორც ითქვა, ამ ლექსებში გამოვლენილი რეალისტური ტენდენცია წარმოადგენდა,

რაც რეალისტური პრინციპების დანერგვისათვის მებრძოლ ქართველ მწერალთა თუ კრიტიკოსთათვის, რაღა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ნაწარმოების ღირებულების შეფასებისას⁸¹. მაგრამ განსხვავებით წინამორბედ კრიტიკოსთაგან, ნ. ნიკოლაძემ — რომელმაც დასახელებულ წერილში სინამდვილის მხტვრული ასახვის რეალისტური მეთოდის დახასიათებაც წარმოადგინა, — ზემოაღნიშნულ ლექსებზე დაყრდნობით, რეალისტური სტილი გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის განვითარების კანონზომიერ, უმაღლეს საფეხურად მიიჩნია და პოეტის შემოქმედების წამყვან ტენდენციად ჩათვალა.

ზემოთ, როდესაც მივუთითებდით, რომ გრ. ორბელიანის თანამედროვე ქართული კრიტიკა პოეტს რომანტიკოსად არ სცნობდა, — გვერდს უვლიდა რომანტიზმთან მისი მიმართების საკითხს, — და რომ კრიტიკოსები, რიგ შემთხვევებში, იმგვარადაც კი მსჯელობდნენ მისი შემოქმედების თავისებურებებზე, რომ, ფაქტიურად, თავისთავად გამოირიცხებოდა რომანტიკოს პოეტად გრ. ორბელიანის მიჩნევის შესაძლებლობა, — ჩვენ ნ. ნიკოლაძის ზემოთ დასახელებული კრიტიკული წერილიც გვქონდა მხედველობაში:

თუკი გრ. ორბელიანის შემოქმედების თავისებურებათა ის დახასიათება, რომელიც ნ. ნიკოლაძის წერილშია წარმოდგენილი, მართლაც სავსებით შეესატყვისება და ადეკვატურად გამოხატავს გრ. ორბელიანის პოეზიის ხასიათს, მაშინ, გრ. ორბელიანი, რაღა თქმა უნდა, რეალისტად უნდა მივიჩნიოთ და არა რომანტიკოსად, რამდენადაც „სხვისი გრძნობისა და ხასიათის სწორეთ და ნამდვილათ გაგებისა“ და სხვის „გულში და კანში ჩაძრომის“ უნარი — რაზეც ამახვილებს ყურადღებას ნ. ნიკოლაძე, როგორც გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის არსებით და სპეციფიკურ თავისებებზე. — (თანაც ისე, რომ პოეტმა „არათუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს“, და „მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი მღერის და სწერს, და ეგონოს ნამდვილათ გამოხატული პირის ხმა მესმის, მის გრძნობას ვხედავ, მის სხეულს

⁸¹ აღსანიშნავია, რომ გრ. ორბელიანის ლექსმა — „მუშა ბოქულაძე“ — პოეტის თანამედროვე ქართული კრიტიკის ყურადღება და მოწონება, პირველ ყოვლისა, სწორედ სინამდვილის რეალისტური ასახვის გამო დაიმსახურა. — იხ. გ ი ო რ გ ი თ უ მ ა ნ ო შ ე ლ ი, შარშანდელ მწერლობის გადათვალიერება, ალმანახი, 1878, წ. I.

ხელს ვკიდებო“) — სწორედ რეალისტური სტილის ნიშანდობ-
ლივ თავისებურებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძის მსგავსად, — და ნ. ნიკოლა-
ძისავე ტერმინოლოგიით, — გრ. ორბელიანის რეალიზმზე ამხვი-
ლებდა ყურადღებას ალ. სარაჯიშვილიც, როცა ერთ მიმოხილვითი
ხასიათის კრიტიკულ წერილში გრ. ორბელიანის მუხამბაზებზე მიუ-
თითებდა, როგორც სანიმუშო რეალისტურ ნაწარმოებებზე. აკაკი
წერეთლის მოთხრობაში „დალაქის თავგადასავალი“, წერდა ალ.
სარაჯიშვილი, „გამოჩნდაო მწერლის ხელოვნება, როგორც გრ. ორ-
ბელიანის ზოგიერთს მუხამბაზში — „ლოპიანა“, „მკერვალი ბეჟა-
ნა“, და სხვა. კაცი სხვის გულში უნდა ჩაძვრეს, გამოჩნრიკოს მისი
ფიქრი და გრძნობა, შეითვისოს მისი ენა და კილო. ერთის სიტ-
ყვით, თავის თავი უნდა დაივიწყოს, სულ სხვა კაცად გადაიქცეს
და მის მაგიერ ისე გვიამბობდეს, ვითომც ის სხვა კაცი გვიამბობს
თავის ამბავს და არა მწერალი. ეს თვალთმაქცობა შეუძლია მხო-
ლოდ იმას, ვინც ადამიანის გული ზედმიწევნით იცის“⁸².

ამრიგად, გრ. ორბელიანის მაღალი პოეტური ხელოვნების ნა-
თელსაყოფად, ალ. სარაჯიშვილიც, ისევე როგორც ნ. ნიკოლაძე,
პოეტის მიერ „სხვის გულში ჩაძრომისა“ თუ „თავის თავის დავი-
წყებისა და სხვა კაცად გადაქცევის“ უნარზე მიუთითებდა, რაც
ნაკლებადაა ნიშანდობლივი როგორც საზოგადოდ რომანტიკოსი
პოეტებისათვის, ასევე, ცხადია, საკუთრივ გრ. ორბელიანისათვის-
საც.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში
გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ნ. ნიკოლაძე, ზემოთ დასახე-
ლებულ წერილში, გრ. ორბელიანის შემოქმედების პირველი პე-
რიოდის დახასიათებისას, „ამ პერიოდის გრ. ორბელიანს „გრძნო-
ბების პოეტს“ უწოდებს“, და თუმცა ნ. ნიკოლაძის მიერ „ნახმარი
არაა სიტყვა „რომანტიზმი“ (ისევე, როგორც, საერთოდ, „მე-19
საუკუნის 60—70-იანი წლების მოღვაწეები ამ ტერმინს ჯერ კიდევ
არ ხმარობენ“), მაგრამ „ნ. ნიკოლაძის გაგებით, „გრძნობების
პოეტი“ სხვა არაფერია, თუ არა რომანტიკოსი“⁸³. მაგრამ ასეთი
შეხედულება, ჩვენი აზრით, მოკლებულია რეალურ საფუძველს:
გარდა იმისა, რომ — მითითებული შეხედულების საწინააღმდე-

⁸² [ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ ი], აღმანახი. შედგენილი გ. თუ-
მანიშვილისაგან..., გაზ. „დროება“, 1879; № 29.

⁸³ იხ. შ. ს ი ა კ ა ძ ე, ნ. ნიკოლაძე და ქართული რომანტიზმი, — კრებულში:
„ახალ ქართული ლიტერატურის საკითხები“, IV, 1973, გვ. 136—137.

გოდ, — გასული საუკუნის 60—70-იანი წლების ქართველი მოღვაწეები, როცა ეს მათ საჭიროდ მიაჩნიათ, სათანადოდ იყენებენ ტერმინს „რომანტიზმი“ (იხ. მაგ., ილია ჭავჭავაძის „პასუხი“⁸⁴ და ა. ფურცელაძის „მიმოგზაური ურია“⁸⁵), ნ. ნიკოლაძე, ზემოაღნიშნულ წერილში, გრ. ორბელიანთან დაკავშირებით არსად არ ხმარობს გამოთქმას — „გრძნობების პოეტი“ და, საერთოდ, ამ წერილში განვითარებულ შეხედულებებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანს — მისი პოეტური მოღვაწეობის რომელსაჲმე ეტაპზე, — რომანტიკოსად მიიჩნევდა⁸⁶. ნ. ნიკოლაძის ამ უაღრესად საყურადღებო წერილის ძირითადი ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, — ისევე, როგორც, საზოგადოდ, გრ. ორბელიანის თანამედროვე ქართული სალიტერატურო კრიტიკისა, — რომ გრ. ორბელიანის შემოქმედების თავისებურებათა შესახებ მსჯელობის დროს გვერდავლილია რომანტიზმთან პოეტის მიმართების საკითხი და მხედველობის არედან გამორჩენილია მისი პოეზიის სპეციაფიკა, მისი რომანტიკული ბუნება.

როგორც ზემოთ უკვე მივუთითეთ, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელომ“ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო ქართული საზოგადოებრიობის ყურადღება და კრიტიკოსთა მხრივ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. „სადღეგრძელოს“ ნ. ნიკოლაძეც შეეხო და ზემოთ დასახელებულ წერილში გრ. ორბელიანის შესახებ, ვრცლად განიხილა ეს პოემა — როგორც „პოეტის ნიჰის ძლიერების“ ყველაზე მკაფიო გამომხატველი, როგორც „უმჯობესი ლექსი გრ. ორბელიანისა და ერთი უმჯობესთაგანი მთელ ჩვენ მწერლობაში“.

„სადღეგრძელოს“ განხილვას ნ. ნიკოლაძე იწყებს პოემიდან „იმისთანა ადგილების ამოწერით, რომელშიც გამოიხატებაო პოე-

⁸⁴ თ. ილია ჭავჭავაძე, პასუხი, ურნ. „ცისკარი“, 1861, № 6, გვ. 249.

⁸⁵ ანტონ ფურცელაძე, მიმოგზაური ურია (თარგმნილი უფ. ალექსი-ევ-მესხიევისაგან), ურნ. „ცისკარი“, 1862, № 11, გვ. 284.

⁸⁶ აღსანიშნავია, რომ 1865 წელს დაწერილ ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანს „ქართველ ულტრა სენტიმენტალურ პოეტს და ზომიერად „მომეზიანო“ რუს მეფისნაცვალს“ უწოდებდა. მაგრამ არ იქნება გამართლებული, თუკი ასეთ კონტექსტში გრ. ორბელიანის „სენტიმენტალურ პოეტად“ მოხსენიებას, ნ. ნიკოლაძის მიერ ამა თუ იმ ლიტერატურული მიმდინარეობისადმი პოეტის მიკუთვნების მნიშვნელობას მივაწერთ. (იხ. რ ი ო ნ ე ლ ი [ნ. ნიკოლაძე], ივნისის დღეები თბილისში, ურნ. „კოლოკოლი“, 1865, № 204, — ვიგნში: ნ ი კ ო ნ ი ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით; ტ. I, 1962, გვ. 305).

ტის გრძნობა და თან შეხედულება სიყვარულზე“, და შენიშნავს, რომ ეს გრძნობა პოეტის მიერ, მეცხრამეტე საუკუნის ქართველ პოეტთაგან განსხვავებით, ახლებურად — „მაღალი და ღირსეული მხრით“ არის გამოხატული. გრ. ორბელიანის შემოქმედება, ნ. ნიკოლაძის მართებული თვალსაზრისის თანახმად, თავისუფალია სიყვარულის უხეში, „მატერიალური“ გააზრებისაგან, იგი ქვეშეაღიდად ამამაღლებელი გრძნობის სახითაა წარმოდგენილი, რითაც პოეტი ეხმაურება სიყვარულის გრძნობის რუსთაველისებურ გაგებას. ეს გარემოება, კრიტიკოსს გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის არა მხოლოდ თავისებურებად, არამედ დიდ ღირსებად მიაჩნია და, ამავე დროს, ქართული საზოგადოების გამოცოცხლებისა და განახლების ნიშნადაც, რადგან — ნ. ნიკოლაძის სიტყვით, — „ხალხის ცხოვრებაში ყოველი კერძო მხარე, ყოველი მცირე მოვლენა თითქმის ყოველთვის საზოგადო ხასიათისა და მდგომარეობისაგან წარმოებს და ამ საზოგადო მდგომარეობის ახსნას და გაგებას აადვილებს სიყვარულზე შეხედულება“.

ისევე, როგორც „ხვეწა-კოცნით“ გატაცება პოეტებისა — საზოგადოების მიერ სიყვარულზე მდაბალი, ხორციელი შეხედულების მანიშნებელი იყო, რაც, თავის მხრივ, საზოგადოების დაცემასა და დაძაბუნებაზე მეტყველებდა, — გრ. ორბელიანის მიერ სიყვარულის „მაღალი და ღირსეული მხრით“ წარმოსახვა, ნ. ნიკოლაძის აზრით, ამ გრძნობის შესახებ საზოგადოებრივ შეგნებაში მომხდარი გარდატეხის დამაღსტურებელია, რაც ერის „განკარგებასა“ და სულეერ აღორძინებაზე მიგვიითითებს უთუოდ.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ასევე ამამაღლებლად ზემოქმედებს მკითხველზე „სადღეგრძელოში“ დახატული ბუნებაც ჩვენი „მშვენიერი ქვეყნისა, რომელიც პოეტის ნაწარმ გრძნობიერებას აღმტაც სურათებად წარმოუდგება“. ხოლო „პოეტურის ფერის, შედარებებისა და სურათების ძალა ამ მხატვრობაში — ნ. ნიკოლაძის თქმით, — სწორედ შეუდარებელი რამ არის“.

ნ. ნიკოლაძე სპეციალურად მსჯელობს, აგრეთვე, პატრიოტიზმის გრძნობის გრ. ორბელიანისეულ წარმოსახვაზე და მიუთითებს, რომ „ეს გრძნობაც ისეთი ძვირფასი და იშვიათიაო, როგორც სიყვარულის ნამდვილი და მაღალი მხარის დანახვა“. კრიტიკოსის სიტყვით, „დაცემულ და დავარდნილ საზოგადოებაში სულით დავარდნილი კაცის გული და ხასიათი არათუ მამულისათვის სიკვდილს, მახლობელისათვის რისიმე შეწირვასაც და ღვეწის მიღებასაც ივიწყებს. იმას გონება, შეხედულება და გრძნობა უმ-

ცირდება... სადაა მაშინ ის თავის დადება მამულისა და მახლობლებსათვის, ის მსხვერპლობის სიადვილე, ის თავგამომეტება და დახმარება, რომელიც ცხოველი და იმედით სავსე ხალხის ხასიათს შეადგენს?

ამ მხრივაც პოეტს ჩინებული გრძნობა უღვივის გულში და პოეტი ამაშიც სასიამოვნო მოვლენად მიგვაჩნიაო“, მოწონებით შენიშნავს ნ. ნიკოლაძე.

მაგრამ გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის და მისი შემოქმედების ღირსებებთან ერთად, ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის ნაკლოვანებებზეც მიუთითებს და თვლის, რომ „ამისთანა გრძნობით სავსე, ნიჭიერი, გულკეთილი და გონიერი პოეტი... თითქოს ხმადაკარგული და ენაჩავარდნილი იყო მაშინ, როცა მის ნიჭს და გრძნობას სულ სხვაგვარი სამსახური უნდა გამოეჩინა და უფრო ხვავიანი სარგებლობა უნდა მოეტანა ჩვენი ხალხისათვის“; რომ გრ. ორბელიანის „ნაწერში ძლიერ ცოტათ იშმის ხალხის გულის წადილის ხმა ან მისი პასუხი. ძლიერ იშვიათათ სჩანს პოეტის თანამედროვე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრი აღელვებდა იმის ან გამოსახვა ან პასუხის გაცემა“; რომ „თითქმის უსარგებლოთ დაკარგულა ეს ძლიერი პოეტური და ზნეობითი ძალა ისე, რომ თავისი ერის გონებაზე და მომავალზე იმას საკმაო და შესაფერი გავლენა არ შეუძენია, თავისი ბეჭედი არ დაუსვაშს“. და ეს მაშინ, როცა — ნ. ნიკოლაძის სიტყვით, — „პოეტის დანიშნულების უმაღლესი გვირგვინი იმაში მდგომარეობს, რომ იმავე სიმაღლემდე ასწიოს და აამაღლოს მკითხველის გრძნობა და ხასიათი, და მის გულში ის წმინდა ალი და გრძნობა ჩანერგოს, რომელიც ადამიანის გულის გაცნობამ და გამოკვლევამ პოეტის გულში დაბადა“.

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა, ცხადია, ვერ გაიზიარებს გრ. ორბელიანის ღვაწლის ამ ნეგატიურ დახასიათებას.

ნ. ნიკოლაძე უთუოდ სწორია, როცა შენიშნავს, რომ გრ. ორბელიანი, რომელიც — „როგორც მისი ლექსების კრებიდამ სჩანს, გამოვიდა ცხოვრებაში „გაშლილი სიხარულით“ და რომლის გული „ადრითვე გაათბო მეგობრობამ და სიყვარულმა“, ისევე როგორც „თავის მამულის ბედზე და მდგომარეობაზე ფიქრმა“, — გარკვეულ პერიოდში (კერძოდ კი 1832 წლიდან, მას შემდეგ, რაც „უცებ გრიგალმა უბედობის დაჰქროლა ესრედ, რომ დასცა უფსკრულს ვაებისას, უმწედ, უწუგეშ“) მწვავე სულიერ კრიზისს განიცდის და „ვაების ძალით დაჩაგრული... უიმედობას მიეცემა“. მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია დავეთანხმოთ კრიტიკოსის იმ შეხედულებას,

თითქოს, ამიერიდან პოეტი „ცხოვრების ტალღას მიჰყვება და მისი გრძნობის ძალა, მისი გულის სიმბუროვალე — რომელიც სხვა განწყობილებაში რომ ყოფილიყო, სხვა საზოგადოებაში რომ გამოსულიყო, უფრო მაღალ და პატიოსან საგანს ამოირჩევდა, უფრო სასარგებლო და გონიერს მიზანს გამოადგებოდა, — იღვეა ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად, პაწია საგნების და პაწია სურვილების დაკმაყოფილებაში“. საბრალოა იმ საზოგადოების და იმ ხალხის მდგომარეობა, დასძენს ნ. ნიკოლაძე, „რომლის უნიჭიერესი შვილები — „ზეგარდმო მადლით ცხებულნი, ვის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ და მხარე დამშვენებული“, ასე ფუჭათ ლევენ ცხოვრებას და ნიქს, თითქმის უნაყოფოთ და უსარგებლოთ თავიანთი ქვეყნისა და ხალხისათვის...“

ქართველ კრიტიკოსთა შორის ნ. ნიკოლაძე პირველი არ იყო, ვინც ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისაგან გრ. ორბელიანის განდგომაზე გაამახვილა ყურადღება. პრიორიტეტი ამ მხრივ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აკაკი წერეთელს ეკუთვნის. მაგრამ განსხვავებით აკაკი წერეთლისაგან, — რომელმაც გრ. ორბელიანის მიერ „ყოველდღიური ქვეშარიტების, ჩვენი ნაკლულევეანებისა და ჩვენი საჭიროების“ იგნორირების გამო, პოეტის მთელი შემოქმედების მიმართ მკვეთრად გამოხატული უარყოფითი პოზიცია დაიკავა, — ნ. ნიკოლაძის დასახელებული წერილის ძირითადი ნაწილი, როგორც ვნახეთ, სწორედ გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის ღირსებათა ნათელყოფას ეთმობა, ხოლო პოეტის ნაკლოვანებების მოხსენიებისას კრიტიკოსი ამ ნაკლოვანებათა მიზეზებს იძიებდა და იმ ობიექტურ პირობებზე მიუთითებდა — „საზოგადოების ცხოვრების“ იმ „დახშულ და დახვესიანებულ“ ატმოსფეროზე, რომლის გარემოცვაშიც უხდებოდა პოეტს შემოქმედებითი მოღვაწეობა, და რომელსაც მიუძღოდა ბრალი „წვრილმანი საგნებით“ პოეტის შემოქმედების შემოფარგვლაში. (ჩალა თქმა უნდა, საგანგებო დასაბუთებას არ საჭიროებს, რომ გრ. ორბელიანის მხატვრული მემკვიდრეობა, ობიექტურად, არავითარ შემთხვევაში არ იმსახურებს ნ. ნიკოლაძის მიერ წამოყენებულ ზემოაღნიშნულ შენიშვნებს, რამდენადაც, ცხადია, შეუძლებელია „პაწია საგნებითა და პაწია სურვილებით“ თუ „მცირედი და დამამცირებელი მიზნებით დაკმაყოფილება“ ვუსაყვედუროთ პოეტს, რომელიც — ნ. ნიკოლაძისავე დახასიათებით, — თავისი შესანიშნავი ლექსებით „ამაღლებულად და ამამაღლებლად“ უგალობდა სამშობლოს, მეგობრობას, სიყვარულს; შეუძლებელია ჩვენი ქვეყნისა

და ჩვენი ხალხისათვის „უსარგებლოდ და უნაყოფოდ“ მივიჩნით იმ მგოსნის შემოქმედება, რომლის პოეტური სტრიქონები აფორიზმებად აქცია მკითხველმა და სამუდამოდ ჩაიბეჭდა მეხსიერებაში).

აქვე აღვნიშნავ, რომ გრ. ორბელიანის პოეზიაში საზოგადოებრივი ცხოვრების „პრაქტიკული კითხვების“ უგულუბელყოფის შესახებ შემდგომშიც არაერთხელ მიუთითებიათ ქართველ კრიტიკოსებს. მაგრამ, თუ ერთნი ამ ფაქტს პოეტის მიუტევებელ ცოდვად და მისი შემოქმედების უდიდეს ნაკლად აღიქვამდნენ, მეორენი ამ გარემოებას არ ანიჭებდნენ არსებით მნიშვნელობას გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის ღირებულების შეფასებისას:

„პირადად მე დიდად მიყვარს ის ამპარტავანი მუზა ორბელიანისა, რომელიც უგალობს მხოლოდ საუკუნო იდეალებს და უყურადღებოდ სტოვებს ქვეყნის წარმავალ უსწორ-მასწორობას. — წერდა იონა მეუნარგია გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, — ცხოვრების პრაქტიკული კითხვა, რომელიც დღეს არის და ხვალ არა, იმისთვის არ არსებობს... ადრე თუ გვიან პრაქტიკული კითხვები დასრულდებიან და ერთი, მხოლოდ მშვენიერება — და შენ, ყველაზე უწინ, მშვენიერო მამულო, — დაადგრები უცვლელად და საუკუნოდ.

ორბელიანიც უგალობს ამ საუკუნოს. ის არავის არ ასწავლის, არავის არ ამხილებს, არავითარ ტენდენციას არ ეწევა. ის მხოლოდ გვიმღერის გულის ღირიულ მოძრაობას და გვიამბობს სიმშვენიერისაგან აღძრულ გულის ნეტარებას. ბევრი კიცხავენ იმას ამგვარი, უქმი ხელოვნებისათვის. არც პოეტი ვარგა თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოსო, ამბობენ ესენი ორბელიანზე ბარათაშვილის ლექსით. რა უნდა უთხრას კაცმა ამათ? დიდი რევოლუცია ისე გათავდა, გერმანია ისე აიკლო ნაპოლეონმა და ამ ქვეყნის გათავისუფლება ისე შესრულდა, რომ გიოტეს ქნარს ხმა არ ამოუღია სამშობლო ქვეყნის ბედზე და უგალობდა მხოლოდ მის მარგარიტასა და ფაუსტს, მაგრამ განა ამიტომ გიოტე არ არის ფაუსტის დამწერი, ე. ი. უდიდესი პოეტი მე-19 საუკუნისა? — 37.

საესებით ბუნებრივიცაა, თუკი ნ. ნიკოლაძის ზემოთ მიმოხილულ კრიტიკულ წერილს, რომელიც ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედე-

⁸⁷ ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა, — იხ. წიგნში: ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები..., ტ. 1, გვ. 186—187.

ბის ერთ მთლიანობაში გააზრებისა და შეფასების პირველ ცდას წარმოადგენს, ცალკეული ხარვეზები და ნაკლოვანებები მოეძიება. და თუმც ამ ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამო ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, თითქოს ნ. ნიკოლაძემ „სრული და სწორი შეფასება მისცა გრ. ორბელიანის შემოქმედებას“⁸⁸, მაგრამ, მეორე მხრივ, უდავოა, რომ აღნიშნულ წერილში ნ. ნიკოლაძემ „გრ. ორბელიანის პოეზიის ისეთი ღრმა ანალიზი მოგვცა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას“. ის გარემოება, რომ — როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, — „კრიტიკოსმა სწორად გააშუქა გრ. ორბელიანის შემოქმედების ძირითადი მოტივები: პატრიოტიზმი, სიყვარული, ჰუმანისტური იდეალები; გამოაველინა მასში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კვალი, კერძოდ, 1832 წლის შეთქმულების ზემოქმედება, დაპყო მისი შემოქმედება პერიოდებად და თითოეული მათგანის (1832 წლამდე და შემდეგ) დასახიათებით, მთლიანი სურათიც წარმოგვიდგინა“⁸⁹, — მკაფიოდ მეტყველებს ნ. ნიკოლაძის აღნიშნული კრიტიკული წერილის ღირსებებზე და იმ დიდმნიშვნელოვან წვლილზე, რომელიც მან გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის კვლევის საქმეში შეიტანა.

ნ. ნიკოლაძის დასახელებულმა კრიტიკულმა წერილმა, რომელიც გრ. ორბელიანის სიცოცხლეში პოეტის შემოქმედების განხილვისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ უკანასკნელ სპეციალურ წერილს წარმოადგენდა⁹⁰, ერთი მხრივ, შეაჯამა ქართული სალიტერატურო კრიტიკის მიერ გრ. ორბელიანის პოეზიის შესწავლის მანძილზე მოპოვებული ცოდნა და გამოცდილება, ხოლო მეორე მხრივ, კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ახალ საფეხურზე აიყვანა და გარკვეული სტიმულიც მისცა გრ. ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობის — XIX საუკუნის ქართული მხატვრული აზროვნების ამ ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვრის, — მეცნიერული შესწავლის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას.

⁸⁸ დ. გამეზარდაშვილი, ქართული კრიტიკა და ქართველი კრიტიკოსები, 1965, გვ. 182.

⁸⁹ ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, 1965, გვ. 458.

⁹⁰ გრ. ორბელიანის სიცოცხლეში, ნ. ნიკოლაძის ზემოთ მითითებული კრიტიკული წერილის შემდეგ, სპეციალურად გრ. ორბელიანის შემოქმედების შესახებ მხოლოდ ერთი წერილი გამოქვეყნდა, — სილოვან ხუნდაძის „ისტორიული კილოთ. გრ. ორბელიანის ლექსებში“ („ივერია“, 1882, № 12)

ქართველი სამოციანელები და ბაირონის შემოქმედება

(ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი)

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ქართული ლიტერატურული საზოგადოებრიობა, მართალია, გარკვეულ ინტერესს ამჟღავნებს ინგლისური მწერლობისა და, კერძოდ, დიდი ინგლისელი რომანტიკოსის ბაირონის შემოქმედებისადმი, მაგრამ ყურადღების ცენტრში მაინც ფრანგული და რუსული ლიტერატურის კორიფეები იმყოფებიან. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მდგომარეობა საგულისხმოდ იცვლება: ფართოვდება და უფრო მრავალფეროვანი ხდება ურთიერთობათა სფერო ევროპულ ლიტერატურასთან, კერძოდ, უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს ქართველ მწერალთა დაინტერესება ინგლისური ლიტერატურით. 50-იანი და განსაკუთრებით 60-იანი წლებიდან ქართულ-საზღვარგარეთულ ლიტერატურულ ურთიერთობებში საგულისხმო ადგილს იკავებს უალრესად ღრმა და თანამიმდევრული ყურადღება ბაირონის შემოქმედებისადმი. ქართული ლიტერატურული საზოგადოება „უკვე გრძნობს შექსპირისა და ბაირონის მშვენიერებას, ესმის ჰიუგო და ჟორჟ სანდი“¹.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართველ სამოციანელთა დამოკიდებულება ბაირონის შემოქმედებისადმი. თერგდალეულებმა შეძლეს როგორც ქართველი რომანტიკოსების, ასევე მოწინავე ინგლისელი რომანტიკოსების შემოქმედებაში განეჭვრიტათ აქტუალური სამოქალაქო ჟღერადობა. ამის დასტურს წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მიერ „მგზავრის წერილებში“ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი და კულტურული ამოცანების დაკავშირება ბაირონის პიროვნებასა და შემოქმედებით კონცეფციასთან.

¹ ფ ა დ ე ი ბ ო ბ ი ლ ე ვ ი, კვლავ ქართული ლიტერატურის შესახებ, „კავკაზი“, 1857, № 92.

ილია ჭავჭავაძის ღრმა დაინტერესება ბაირონის მემკვიდრეობით არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს. „მგზავრის წერილებიდან“ აშკარად ჩანს ის დიდი მნიშვნელობა, რასაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია ანიჭებდა ბაირონის შემოქმედებას და მის პიროვნებასთან დაკავშირებულ სულისკვეთებას. წერილში ბაირონის პოეზია სამოქალაქო, მებრძოლი ლიტერატურის სიმბოლოდ არის დასახული, ხოლო თერგი „მრისხანე და შეუპოვარ“ ბაირონთანაა შედარებული, „ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადევ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ჯმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“². ამ სიტყვების წაკითხვისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ბაირონის მიერ თქმული: „მოქმედება, მოქმედება, მოქმედება — ამბობდა დემოსთენი, „მოქმედება, მოქმედება, მოქმედება — ვამბობ მე“³... აქ, ილიამ ბაირონის ცოცხალი, დაუოკებელი ბუნების ჩვენებით ნათელყო თავისი დამოკიდებულება ინგლისელი რომანტიკოსის შემოქმედების მიმართ. პატრიარქალურის, დრომოქმულის უკუგდება და თანამედროვე ცივილიზაციების ღონეზე საქართველოს კულტურულ-ისტორიული პრობლემების გატანა ახალგაზრდა ილიას ბაირონისტული სწრაფვით, „მოძრაობის“, შეუპოვარი ბრძოლის გზით ესახება. თერგისა და მყინვარის შეპირისპირებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს განახლებისა და ახალ ისტორიულ ვითარებაში ეროვნული თვითმყოფლობის განმტკიცების პერსპექტივა ილიას წარმოდგენილი ჰქონდა ეპოქის მოწინავე პროგრესული იდეალების, კერძოდ, ბაირონის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების კონტექსტში. ილია ჭავჭავაძის მიერ თერგის შედარებაში ბაირონთან საგულისხმოა არა მხოლოდ ინგლისელი პოეტის შემოქმედების მაღალი შეფასება, არამედ ბაირონის შემოქმედების გააზრება მებრძოლი რომანტიზმის ნიმუშად. ეს გარემოება იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ იმ დროს დასავლეთში, და ნაწილობრივ რუსულ ლიტერატურაშიც, ბაირონი ძირითადად „მსოფლიო სევდის“ გამომხატველ პესიმისტ პოეტად ითვლებოდა, ხოლო ილიას მისაბაძად მიაჩნდა ბაირონის შეუღრეკელი ბუ-

² ილია ჭავჭავაძე, რჩეული, ნაწ. II, 1974, გვ. 22.

³ The works of Lord Byron. ed. by R. E. Prothero, L, 1898—1901, Letters and Journals, v II, p. 345, M. К у р г и н я н, Джорж Байрон, М., 1958, с. 53.

ნება და წერდა: „ბაირონს... ცრემლის მაგიერ მღულარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერით ხელთ ეპყრა მეხი“⁴.

ილია ჭავჭავაძის თერგისა და მყინვარის ზემოაღნიშნული შედარება — „მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარ ბაირონსა“, — სხვა მხრივაცაა საგულისხმო. კერძოდ, ამ შეპირისპირებაში ასახულია თვით ილიას დამოკიდებულება იმ შემოქმედებითი მეთოდისადმი, რომლის ერთ-ერთ მესვეურადაც ბაირონი წარმოგვიდგება. გოეთეს მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ტრადიციის ანტითეზად ბაირონის მიჩნევა და უკანასკნელისათვის უპირატესობის მინიჭება ნათლად მიგვანიშნებს შემოქმედების ადრეულ საფეხურზე ილიას ლიტერატურულ სიმპათიებს რომანტიზმისადმი.

ეს სიმპათიები ილიას შემდეგშიაც არ განელებია. ამის დადასტურებაა ბაირონის ილიასეული თარგმანები. ამჯერად ჩვენ სწორედ ამ თარგმანთა თავისებურებას შევეხებით.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის 60-იან წლებში „ერის ცხოვრებაში დაწყებულმა დიდმა ძვრებმა მოამწიფეს ის დიადი აზრები და იდეები, რომლითაც... „თერგდალეულები“ გამოვიდნენ“⁵. „თერგდალეულებმა“ პეტერბურგიდან ჩამოიტანეს ახალი, რადიკალური იდეები და მოისურვეს ცხოვრებისა და ლიტერატურის გარდაქმნა ამ იდეების მიხედვით“⁶. ამ დროს „ეროვნული ცხოვრების წინამძღოლი“ ილია ჭავჭავაძე უაღრესად მრავალმხრივ და ინტენსიურ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. სწორედ ამ ეპრიოდში ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებაში გარკვეულ ადგილს იკავებს თარგმანები სხვადასხვა პოეტთა შემოქმედებიდან. ეს არ იყო დროებითი გატაცება, ან შეგირდული დაინტერესება, ვინაიდან ილია თარგმანს მიიჩნევდა ერის სულიერი ცხოვრების ორგანულ ნაწილად, ლიტერატურული ენისა და მხატვრული აზროვნების განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „სამშობლო ქვეყნის სიყვარული არ უნდა გამოდიოდეს კაცობრიობის სიყვარულიდან ისე, როგორც ნაწილი მთელისაგან. სამშობლო მამუ-

⁴ ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, 1953, ტ. III, გვ. 10.

⁵ ავ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX ს. II ნახევარში, თბ., 1973, გვ. 49.

⁶ ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959, გვ. 280.

ლის სიყვარული არის ისა, რომ გულით გინდოდეს ნახო, რაც კაცობრიობას გონებაში გამოუხატავს, აღსრულებით იყოს მოყვანილი და შენის ძალისა, შეძლებისკვალად შევლოდე მის აღსრულებას... სამშობლო ქვეყნის სიყვარული არ უნდა იყოს მკედარი კმაყოფილება“⁷.

ილიას ეს საპროგრამო სიტყვები მრავალმხრივია საინტერესო. „მგზავრის წერილების“ ავტორისათვის სამშობლოს სიყვარულის გზა კაცობრიობის სიყვარულის გზაა. ეს არის ეროვნული ინტერესებისა და ამოცანების დღის წესრიგში კაცობრიობის ინტერესებისა და ამოცანების მოთხოვნათა მიღების პრინციპი. ამ ამოცანის პრაქტიკულ განხორციელებაში კი აშკარაა ის როლი და მნიშვნელობა, რასაც ილია მხატვრულ თარგმანს ანიჭებს.

თარგმანი იყო ერთ-ერთი გზა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგებისა და გავრცელებისათვის. თარგმანი იყო ერის სულიერი და კულტურული დონის ამაღლების გზა. თარგმანი იყო ერის სულიერი და პრაქტიკული ინტერესების მსოფლიო ცივილიზაციისა და კულტურის გლობალურ ამოცანებთან ზიარების გზა. სწორედ ამ კუთხიდანაა განსახილველი ილიას ცნობილი წერილი „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“. წერილში ილია ჰავკავაძე მკაცრად აკრიტიკებს ბაირონის „აბიდოსელი პატარძლის“ კოზლოვისეულ თარგმანს და ამბობს: „სად არის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა“. ილია ხოტბას ასხამს „მომხიბლავ ბაირონის გენიას“ და საგანგებოდ მიუთითებს იმ დიდ გავლენაზე, რომელიც ბაირონმა ევროპული და რუსული აზროვნების განვითარებაზე მოახდინა: „ბაირონმა ბევრი ტალანტები გაიტაცა: არა პოეტს თითქმის არ დაუბანდია მბაძენი იმოდენა, რამოდენაც დაჰბადა ბაირონმა ევროპაში და ნამეტნავად რუსეთში, თუმცა კი სატანის სხოლის თავადად უხმობდნენ თანამედროვენი ბაირონსა. რასაკვირველია, მისი მბაძენი-ზოგნი სულ უნიჭონი იყვნენ, ზოგნი კი კარგა დიდ ტალანტებისანი, რომელთაგანაც კაზლოვი ბუზად გამოჩნდება“... აქვე, ილია მიუთითებდა ბაირონის პოეზიის გავლენას პუშკინის (განსაკუთრებით აღმოსავლური პოემები) და ლერმონტოვის შემოქმედების პირველ პერიოდზე და წერდა: „თვითონ პუშკინიც მთელ თავის გენით ვერ გადურჩა ემაჯ ჭირსა; მთელი ერთი პერიოდი პუშკინის წერისა, „კავკასი-

⁷ „საქართველოს მოამბე“, 1863, № 7. გვ. 70—71.

ის ტყვიდგან“ დაწყებული „ევეგენი ონეგინამდინ“, და თვით „ევეგენი ონეგინიცი“, თითქმის იყო ბაირონის გავლენის ქვეშა. ლერმონტოვიც ჰბაძავდა ბაირონსა; მთელ მის პოეზიას ეტყობა, როგორც ზემოხსენებულს პერიოდს პუშკინისას, ბეჭედი მომხიბლავ ბაირონის გენიისა, თუმცა კი ლერმონტოვი, როგორც მბაძავი ბაირონისა, მალლა დგას თვით პუშკინზედაც. აი, ეს უპირატესნი ვარსკვლავები რუსის ლიტერატურისა და, ამათ გარდა, რამდენი სხვა პაწაწკინტელა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის ქვეშა!“⁸...

წერილში „ორიოდე სიტყვა“ ...ილია ქავკავაძე ბაირონის პოეტური სამყაროს ძალზე საყურადღებო დახასიათებას გვაძლევს: „გაშინჯეთ, მაგალითად, მეცხრე გვერდი კაზლოვის «Чернец»-ისა, — ვკითხულობთ დასახელებულ წერილში, — ჩაიკითხეთ ცამეტი სტრიქონი და შეადარეთ „მანფრედის“ სიტყვებთან, როცა ის ელაპარაკება წყლის ფეიასა. როგორც «Чернец», ისე «Наталья Долгорукая» — ეს ორივე პოემა კაზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან; ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავით რიდაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწა ნიქს შთაებერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორკმული, მოუდრეველი სული ბაირონის ხასიათებისა! განა მარტო სიბნელე მოთხრობისა, მწუხარება, წყევლა და აი უი უხ! და ამაზედ უფრო უძლიერესნი შორისდებულნი შექქმნიან ბაირონსა? ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმემ; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ თავის ტანჯვების წვაში, ეჭვის ღრღენაში, თავის სულის წყურვილში ჰხედვენ უკვდავების ღირსს ცხოვრებასა, ისინი არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, ამათ სულ მოძრაობა უნდათ; ისინი არ მირბიან გულის გაუთავებელ წყლულთა მოსარჩენად კაცთან, არამედ თავიანთავე გულის სიღრმეში და სულის უკვდავებაში ეძებენ სასოწარკვეთილების წამალსა. ბაირონის ნაცვლად, რომელსაცა ცრემლის მაგიერ მდღლარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშულადა“⁹.

წერილებში XIX ს. ქართულ ლიტერატურაზე ილია მთელი რიგ ლიტერატურულ მიმართულებათა დასახელებისას და „ბაირონიზმზე“ საუბრისას ინგლისელ პოეტს ამ მიმართულების „გამძღოლს“ უწოდებს და წერს: ...„იშვიათი არ არის ქვეყნიერებაზე, რომ ცალკე კაცის სახელითაც იწოდებოდეს რომელიმე აზრი, თუ,

⁸ ილია ქავკავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III; გვ. 9.

⁹ იქვე, გვ. 10.

საქმე... ბაირონის მიმართულებას და აზრთა წყობას — ბაირონი-
ზმობით იხსენიებენ. ამის მიხედვით იტყვიან ხოლმე, ეს კაცი...
ბაირონისტია“¹⁰...

ცნება „ბაირონიზმი“ ილია ჭავჭავაძეს ქართულ მწერლობაში
შემოაქვს თავისებური გაგებით. ამ ტერმინში ილიას მიერ იგულის-
ხმება არა მხოლოდ ბაირონი — პოეტი, არამედ ბაირონი — პი-
როვნება და მოქალაქე, იგულისხმება ის სულსიკვეთება, რომელიც
„ბაირონიზმმა“ წარმოშვა ევროპასა და შემდგომ რუსეთში. ილიას
აზრით, ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში წარმოქმნილი ასეთი მემ-
ბოხე განწყობილების საფუძველზე უნდა ეზიაროს ქართველობა
„ზოგადს ცხოვრებას“ („აჩრდილი“), როგორც მისი აქტიური
წევრი, საკუთარი და საკაცობრიო ინტერესების მატარებელი.

ბაირონის შემოქმედების დახასიათება და შეფასება XIX სა-
უკუნის ქართულ სალიტერატურ კრიტიკაში ძირითადად ბარათა-
შვილის პოეზიასთან დაკავშირებით გვხვდება. ილია ჭავჭავაძემაც
ნ. ბარათაშვილი რომანტიზმის უდიდეს წარმომადგენელთა გვერ-
დით დააყენა და აღნიშნა, რომ „... ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს,
ჩვენს გულთაქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე
მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუ-
ხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც
დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვი-
ლის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, რომ
ესტქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემ-
კვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცე-
ბის მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“¹¹.

1892 წელს ილია ჭავჭავაძემ წერილში — „ნიკოლოზ ბარათა-
შვილი“ გაამახვილა ყურადღება ბაირონისა და ბარათაშვილის შე-
მოქმედების ზოგადსაკაცობრიო ხასიათზე და აღნიშნა, რომ „სა-
ზღვარ-დადებული სიგრძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის
პოეტის „სულიკვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი
ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარი ფიქ-
რი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს.
ბაირონმა ამისთვის ლუციფერი აირჩია, გეტეს ფაუსტმა — მე-
ფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“, ესე იგი თავისა
სულის ქროლა“¹².

¹⁰ ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული., ტ. III, გვ. 199.

¹¹ იქვე, გვ. 219.

¹² ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული..., ტ. III, გვ.
215—216.

ბაირონის ლირიკიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველ-მა მწერლებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს „ებრაულ მელოდიებს“ («Hebrew Melodies» ბაირონმა დაწერა 1814—15 წწ. და მიუძღვნა კომპოზიტორ ისააკ ნატანს, რომელმაც ლექსები მუსიკაზე ააქლერა). „ებრაულ მელოდიებში“ პოეტურად განზოგადებულია თემა ისტორიულად ტანჯული ხალხისა, რომელიც ვერ იტანს დამპყრობლებს და იღწვის თავისუფლებისათვის¹³.

ამ ლექსებში განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ბაირონის პოეზიის ინტერნაციონალისტური პათოსი. ლექსების ამ რკალში დიდი ინგლისელი რომანტიკოსი ებრაელი ერის ისტორიულ გზას პატრიოტიზმის მაღალი პოზიციებიდან აშუქებს. ვასაგებია, რომ ეროვნული მოტივის ასეთი გააზრება ახლობელი იყო ქართველი საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც სახელმძღვანელო პროგრამად იქცა ილია ჭავჭავაძის „აჩრდილის“ ეროვნული იდეები.

„ებრაული მელოდიებიდან“ ილიამ თარგმნა ცნობილი ლექსი „სტიროდეთ“... («Oh' weep for those»), რომელიც ღრმა სევდითაა გამსჭვალული და ბაირონის ერთ-ერთ საუკეთესო მელოდიას წარმოადგენს. (ამ დროისათვის ბაირონის აღნიშნული ლექსის მხოლოდ ერთი — ს. ღუროვის თარგმანი არსებობდა, რომელიც 1846 წ. გამოქვეყნდა¹⁴).

ბაირონის ამ ლირიკულ ქმნილებაში ცხარე გოდების ხმა ისმის სამშობლოსა და თავისუფლების დაკარგვის გამო. უთუოდ ეროვნული საკითხის მეტად მძაფრი განცდით მიიპყრო ბაირონის ამ ლექსმა ილიას ყურადღება.

ოხ, სტიროდეთ მათ, ვინც სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისც ტაძარი ნანგრევ არიან...
ვისიც მამული სამშობლოსა
არაა არს რა, გარდა სიზმრისა!
სტიროდეთ მსხვერულს იუდის ჩანგსა!
სტიროდეთ... სადაც ღმერთი იმ მტირალთ
იმყოფებოდა აჲ ამ ალაგსა
არიან — ვისაც ღმერთი არა ჰყავთ...

საინტერესოა, რომ ლექსი თარგმნილია არა 14 მარცვლიანი საზომით, რომლითაც ხშირად ითარგმნება ბაირონისეული ლექსები, არამედ 10 მარცვლიანი საზომით. თარგმანი გამოირჩევა დიდი

¹³ А. А. Елистратова, Байрон, М., 1956, стр. 91.

¹⁴ «Иллюстрация», т. 2, № 18, стр. 289.

ემოციურობით. ილია ზუსტად მიჰყვება რუსულ თარგმანს, რომელიც დედანთან დიდი სიახლოვეთ ხასიათდება. ქართველ მთარგმნელს არ შეაქვს ბაირონის ლექსში ინგლისელი რომანტიკოსისათვის რაიმე უცხო სახეები, პირიქით, ილიას ამოცანაა, რაც შეიძლება ზუსტად გადმოსცეს ბაირონის აზრები და განწყობილებანი. ამიტომ, თარგმანში იდეურ შინაარსთან და კონკრეტულ სახეებთან ერთად შენარჩუნებულია ორიგინალის ინტონაცია.

ბაირონის ლექსის რუსული თარგმანები, გარდა ს. ღუროვის ამავე სახელწოდების („О, Плачьте“) რუსული თარგმანისა, შესრულებულია 1859 წლის შემდგომ. ჩვენი ვარაუდით, ილიას ამ ლექსის თარგმანისას უსარგებლია საკმაოდ ზუსტი ბჭკარედით. არაა გამორიცხული, რომ მას ეს ლექსი დედანშივე წაეკითხოს (ლექსიკონის დახმარებით). თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ილიამ ინგლისური ენის საფუძვლიანად შესწავლას ხელი მიჰყო მოგვიანებით, 1973 წელს.

შევადაროთ ერთმანეთს დედანი, რუსული და ქართული თარგმანები.

Tribes of the wandering foot and weary breast
How shall ye thee away and be at rest
The wild-dove hath her nest, the fox his cave
Mankind their country-Israel but the grave!¹⁵

Народ затерянный, разбросанный судьбой,
Где ты найдешь надежное жилище?
У птицы есть гнездо, у зверя — лес густой;
Тебе ж одно осталось кладбище
Прибежищем от бурь и горести земной

ტომი ფეხითა — სვლით მოწყლულითა
ტომო, გულითა დაღალულითა
ვით აფრინდები სამშვიდო ადგილს?
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე-ჩიტს,
კაცსა — სამშობლო, და ისრაილსა
არარა, გარდა თვის საფლავისა!

(დაყოფით გამოვყოფთ იმ სიტყვებს, რომლებიც არის დედანში და ილიასეულ თარგმანში და არ გვხვდება ს. ღუროვის თარგმანში):

აღნიშნულ ლექსში გამოხატული პატრიოტული განცდები ეხმაურება თვით ილიას მამულიშვილური იდეებით გამსჭვალულ პოეტურ ქმნილებებსაც. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის პირველი

¹⁵ The Ellustrated Byron, ed. by Kenny Meadows, p. 441.

სტროფი მოგვაგონებს ილიას „აჩრდილის“ 24-ე კარის განწყობილებას და პოეტურ სახეებს. თუ ბაირონი ისრაელის ზვედრს საფლავს ადარებს, ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიული ბედის სიმბოლურ გამოხატულებას ანალოგიური შინაარსის სახეებში ზედავს:

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება
აწ იგი თითქო თვის ღენაში შეყენებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ....
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა....
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მასა.
ღენილა იგი ტანჯვით შორის და სიაშეთა
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შერი, მტრობა, ერთერთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვადასხვა ტოტად ვადმოსულან, ვადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულნი.

ბაირონის ლექსში „ოხ. სტიროდით“ საუბარია დაცარიელებული ტაძრების შესახებ: *Shrines are desolate* („ტაძრები დაცარიელებულა“), რუსულ თარგმანში — «Храм опустел». ილიას ეს ადგილი ოდნავი სახეცვლილებით უთარგმნია: „ტაძარნი ნანგრევ არიან“. საინტერესოა, რომ ამ ლექსის ზოგი ადგილი ჭავს არა მხოლოდ ილიას „აჩრდილის“ აღნიშნულ პასაჟს, არამედ ალ. ჭავჭავაძის „გოგჩასაც“ („აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი“).

როგორც ვიცით, პროგრესის, კაცობრიობის მარადიული სწრაფვის იდეები მე-19 საუკუნის ლიტერატურაში მჭიდროდ უკავშირდება ფაუსტურ პრობლემატიკას, რაც განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა ბაირონის პოემებში „მანფრედი“ და „კაენი“. აღნიშნული პრობლემატიკა უაღრესად ორგანულია ილია ჭავჭავაძისათვის, რომელიც „პოზიტიური ფაუსტური იდეების“ პრაქტიკულ განხორციელებაზე ფიქრობს და თავის პოემაში აყენებს „შრომის ახსნისა“ და „შრომის სუფევის“¹⁶ საკითხს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ინტერესი ფაუსტური იდეებისადმი იყო უთუოდ იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ მან სცადა ბაირონის „კაენისა“ და „მანფრედის“ თარგმნა. ამას, რა თქმა უნდა, თან ერთვოდა ილია ჭავჭავაძის სწრაფვა

¹⁶ მ. კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა, ფაუსტური პარადიგმები, ნ. I, 1961, გვ. 12.

ქართული პოეტური ეპოსის განახლებისაკენ, რაც მოითხოვდა არა მხოლოდ იდეების, არამედ მსოფლიო ეპიკური ხელოვნების, კერძოდ, რომანტიკოსთა გამოცდილების მხატვრულ თავისებურებათა გათვალისწინებას. საგულისხმოა, რომ ბაირონის „კაენისა“ და მანფრედის“ თარგმნა ილიას დაუწყია 1860 წ. (რალაც მიზეზების გამო თარგმანები არ არის დასრულებული), ანუ სწორედ მაშინ, როცა „აჩრდილის“ პირველი რედაქცია იქმნება.

ამ პოემების თარგმანთა ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ისაა, რომ ილია ჭავჭავაძეს ნაყოფიერად უსარგებლია ქართველ რომანტიკოსთა პოეტური ლექსიკითა და სტილისტური ხერხებით (კერძოდ, ერთი მხრივ, ბარათაშვილის ლექსებსა და, მეორე მხრივ, ბაირონის პოემათა ილიასეულ თარგმანთა შორის შეიმჩნევა გარკვეული სტილისტური მსგავსებანი).

ქართველ რომანტიკოსთა პოეტიზმების, არქაიზმების და მათთვის დამახასიათებელი სხვა სპეციფიკური გამოთქმების გამოყენებით ილია ჭავჭავაძემ შეძლო შეენარჩუნებინა თავის თარგმანში ბაირონის პოემებისათვის ნიშნული ზვიადი და ამალღებული ინტონაცია, მიახლოებოდა რომანტიკული პოეტური ეპოსისათვის დამახასიათებელ მხატვრულ, აზრობრივ და ემოციურ ქსოვილს (ანალოგიური ტენდენციები ბაირონის თანამედროვე ქართულ თარგმანებშიც შეიმჩნევა, კერძოდ, გაჩეჩილაძისეულ და ჭიჭინაძისეულ თარგმანებში).

ილიასეული თარგმანი იმდენად შორსაა ყველა სხვა რუსულ თარგმანისაგან, რომ ექვს არ იწვევს ილიას მიერ ბჭკარედის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ილიას თარგმანი ზედმიწევნით ახლოსაა დედანთან, ზუსტადაა შენარჩუნებული ტექსტის ცალკეული ფრაზები:

My slumber—if I slumber—are not sleep
და ჩემი ძილი, როს კი მძინავს, ძილი არ არი
And these eyes but close to look within
დავხუპავ რა თვალთ, შიგ ჩამკვერტენ გუშავსავითა
And tree of knowledge is not that of life
რომ ხე ცოდნისა არა არის ხე ცხოვრებისა
And I have met with good even among men
კაცთა შორის სიკეთეც ყოფილა თურმე

„მანფრედი“ ილიას თარგმნილი აქვს 14 მარცვლიანი საზომით, რომელიც დამკვიდრდა ქართულ მთარგმნელობით პრაქტიკაში 10

¹⁷ Библиотека для чтения, 1858, т. 150, № 8, отд. 1, с. 1—46.

მარცვლიანი ინგლისური ლექსის შესატყვისად (1873 წ. ილია ჭავჭავაძემ და ივ. მაჩაბელმა 14 მარცვლიანი საზომით თარგმნეს „მეფე ლირი“, რითაც საბოლოოდ განამტკიცეს 14 მარცვლიანი ლექსის ავტორიტეტი იამბიკური პენტამეტრის გადმოსაღებად).

ბაირონის „კაენის“ ნაწყვეტის თარგმანი ილია ჭავჭავაძეს შესრულებული აქვს 1860 წ. ცნობილია, რომ ბაირონის „კაენის“ რუსული თარგმანი მისი ორიგინალის გამოსვლიდან (1921) მხოლოდ 45 წლის შემდეგ გამოქვეყნდა (მთარგმნ. დ. მინაევი). ამრიგად, ცხადია, რომ ილია ვერ ისარგებლებდა რუსული თარგმანით. ამ შემთხვევაშიც, ილია დაყრდნობია საკმაოდ ზუსტ ბწყარედს და თავის მხრივ მაქსიმალურად დაუცავს სიზუსტე.

ვიმოწმებთ ორიგინალისა და თარგმანის სტროფებს:

God, the Eternal! Infinite! Allwise!
Who out of darkness on the deep didst make
Light on the waters with a word-All hail
Jehovah, with returning light, all hail!

ღმერთო უკვდავო უბოლოო მალალო სიბრძნე!
ვინც ერთის სიტყვით — უფსკრულისა გულსა წყვიდადსა
წყალსა სინათლე გარდმოასხი და ზედ მოჰფინე, —
თაყვანსა გცემ მე! იეგოვავ დილისა ჟამსა
თაყვანსა გცემ მე!

პოემაში „კაენი“ ბაირონი იყენებს არქაულ ფორმებს. «didst make» (შექმენი), «didst name» (უწოდე), «didst call» (აქციე), «madest» (გააკეთე) და სხვა, რომლებიც უაღრესად პოეტურ და ამაღლებულ ქდერადობას ანიჭებენ პოემის სტილს. ეს ამაღლებული ინტონაცია და განსხვავებულობა ყოველდღიური, ჩვეულებრივი მეტყველებისაგან ილიას შეუწარმუნებია თავის თარგმანში, როგორც ცალკეული არქაიზმებით, ასევე ინვერსიების გამოყენებით. როგორც ვიცით, ინვერსიულ ფორმებს (მსაზღვრელის გადაადგილებას საზღვრულის შემდეგ) და არქაიზმებს, ჩვეულებრივ, საზეიმო, პათეტიკური განწყობილება შემოაქვთ მხატვრულ ტექსტში, ამის მაგალითებია ილიასეული თარგმანის შემდეგი ფრაზები: „უფსკრულსა გულსა“, „დილისა ჟამსა“, „მოვეც სახელი“, „სივრცენი“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამავე დროს ილიასეული თარგმანი „კაენიდან“ ხასიათდება ხალხურ მეტყველებასთან თავისებური სიახლოვეთაც, ენის დემოკრატიზაციის ტენდენციებით, რაც იმას ნიშნავს,

რომ ილია ჭავჭავაძე, როგორც მთარგმნელი, ერთგული რჩება ახალი ქართული სალიტერატურო ენის განახლებისა და მისი მიახლოებისა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მეტყველებასთან:

ღმერთო ვინცა არაფრით შექმენი
მიწა, ჰაერი, ოქეანე, ცეცხლი, სივრცენი,
რომელმაც შექმენ სინათლე დღის, ბნელი ღამისა, —
რადგანც ქვეყნებსა ეფინება შენიე ნათელი
და შენი ჩრდილი, შემდეგ ღამის — დღის გაჩენისა,
ღმერთო, რომელმაც შექმენ ფორმა ყოველ არსისა.
რათა იხაროს.
რათა შენ თითონ, იეგოვავ, მან შეგიყვაროს
ღმერთო თაყვანს გცემ! თაყვანს გცემ მე!
ღმერთო უკვდავო.

ბაირონის ნაწარმოებების ილიასეულმა თარგმანებმა ხელი შეუწყვეს ქართველი მკითხველის გაცნობას ბაირონის შემოქმედებასთან. სწორედ ილიასი და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა, რომ დიდი ინგლისელი რომანტიკოსის მემკვიდრეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში გააზრებულ იქნა, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, საერთოდ, ეპოქის პროგრესული მოძრაობის, კაცობრიობის სულიერი განახლებისაკენ სწრაფვის შთამაგონებელ წყაროდ.

ბაირონის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითი უაღრესად ახლობელი იყო ქართველი სამოციანელებისათვის. აკაკი წერეთლის ნაწერებში არაერთგზის გვხვდება ბაირონის სახელი და ყოველთვის ისეთ კონტექსტში, რომელიც თვალნათლივ ამჟღავნებს მის დიდ პატივისცემას ინგლისელი პოეტისადმი. აკაკის თარგმნილი აქვს ბაირონის ლექსები — „ბაბილონის მდინარის პირას ვისხედით და ვსტიროდით“ («By the rivers of Babylon we sat down and wept»)¹⁷ და „იეფთას ქალიშვილი («Jeptha's daughter»)»¹⁸. ეს ლექსები შედის ინგლისელი პოეტის ლექსთა ციკლში — „ებრაული მელოდიები“, რომელმაც ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული ყურადღება გამოიწვია.

„უცხო ქვეყნიდან გადმოეკეთებულ თხზულებას სწორედ შესაფერი დრო და ადგილი უნდა აურჩიოს მწერალმა, რომ უცხოობა არ ეტყობოდეს, თორემ ტყუილი დროს დაკარგვა იქნება“¹⁹ —

¹⁷ The Illustrated Byron. ed. by Kenny Meadows, p. 442.

¹⁸ ი ქ ვ ე, გვ. 447.

¹⁹ ა. წ. რ. თ. ე. ლ. ი, პუბლიცისტური წერილები, 1960, ტ. XII, გვ. 137.

წერდა აკაკი ერთ-ერთ თავის წერილში. აკაკის აზრი თარგმანის აქტუალობაზე ამ შემთხვევაში საეხებით შეესიტყვებოდა არჩეული ლექსის შინაარსს.

ლექსში „ბაბილონის მდინარის პირას ვისხედით და ვსტიროდით“ რომანტიკოსი პოეტი გვიხატავს სამშობლოს მოცილებულ, დამონებულ ხალხს და ღრმა რწმენას გამოთქვამს, რომ მტერი საბოლოოდ ვერ შესძლებს გასტეხოს ჩაგრულთა სული, შეარყიოს მათი რწმენა და იდეალები. ბაირონის ლექსს აკაკის თარგმანში სათაურად აქვს „გოდება ებრაელთა“. ლექსში პირველი სტრიქონებიდანვე მოისმის ტირილი დაკარგულ სამშობლოზე, თავისუფლებაზე:

ბაბილონისა წყლისა კიდესა
დამონებული ერთად ვისხედით,
ვიგონებდით რა წარსულთა დღეთა
ბედით ჩაგრულნი, აღვსილნი სევდით.

აკაკის ლექსი გადმოღებული აქვს 1853 წელს შესრულებული ი. კოზლოვის რუსული თარგმანიდან, რომელიც „ბიბლიოტეკა დღისა ჩტენიაში“ დაიბეჭდა 1859 წელს. ქართული თარგმანი ორიგინალთან და რუსულთან შედარებით გავრცობილია (დამატებულია რამდენიმე სტროფი). მიუხედავად ამისა, ქართულ ლექსში შენარჩუნებულია ორიგინალისათვის ნიშანდობლივი იდეურ-მხატვრული უღერადობა.

აღნიშნული ლექსი სახეცვლილებით, მეორედ, 1901 წელს დაიბეჭდა²⁰. ეს ახალი ვარიანტი წარმოადგენს თავისუფალ თარგმანს, არსებითად ბაირონის ლექსის მოტივებზე შექმნილ ახალ ნაწარმოებს. ქართველმა პოეტმა კიდევ უფრო განავრცო სტრიქონების რაოდენობა, თარგმანში შეიტანა მისი პოეტიკისათვის დამახასიათებელი ხალხური სისადავე და უბრალოება. აკაკიმ მთელი აქცენტი გადაიტანა მნათრ ენერგიულ გამოთქმებზე, რის შედეგადაც ლექსმა პუბლიცისტური უღერადობა შეიძინა (ანალოგიური ხასიათის მაგალითებს ვხვდებით აკაკის პოეტურ შემოქმედებაშიც). მსგავსი ლექსები, უპირველეს ყოვლისა, იყო იარაღი მიმართული ქართველი ხალხის ეროვნული გამოფხიზლებისაკენ. მოგვაქვს ერთი სტროფი აკაკის თარგმანიდან:

დასწვდით სიმებო, გაქვავდი ენავ
მტრების მაქებარ-მადიდებლო!
წმინდა-წმინდათა ხარ ეროვნებაე,
თვით ტყვეობაშიც ხელუხლებლო.

²⁰ „ივერია“, 1901, № 213.

ბაირონის ლექსი „იეფთაის ასული“ ერისთავის, სამშობლო-სათვის თავდადების პატრიოტული ჰიმნია. ლექსი ბიბლიურ თემაზეა დაწერილი. ინგლისელი პოეტი აძლიერებს ამ მოტივის გმირულ თემას. ახალგაზრდა ქალი მსხვერპლად ეწირება სამშობლოს. ლექსის შინაარსი ასეთია: იეფთაი (ყაჩაღთა მეთაური), ბრძოლის წინ აღუთქვამს ხალხს, რომ გამარჯვების შემთხვევაში, მათ მსხვერპლად შესწირავს პირველსავე შემხედურს. გამარჯვებულ იეფთაის პირველად მისი ქალიშვილი ეგებება. ქალი მამას ფიცს არ ატეხინებს, მხოლოდ თხოულობს სიკვდილამდე მთაში წასვლას, რათა იქ — სოფოკლეს ანტიგონეს მსგავსად — საკუთარი ბედი დაიტეროს:

Since our Country, our God—Oh, my sire!
Demand that thy daughter expire;
Since thy triumph was bought by the vow
Strike the bosom that's bared for thee now!

(ბწკარედი: მას შემდეგ, რაც ქვეყანა და ღმერთი, მამა-ჩემო. თხოულობს თქვენი ქალიშვილის განდევნას, მას შემდეგ, რაც გამარჯვება იქნა მოპოვებული ბრძოლით, დაარტყით ამ გულს, რომელიც ეხლა ღიაა თქვენთვის).

ქართულ თარგმანში ეს აზრი ასეა გადმოცემული:

ოჰ, თუ ჩემს გამჩენს და ჩვენს ხალხსაცა
ჰსურს, მამა ჩემო, ჩემი სიკვდილი,
რადგან მის გამო დღეს ჩვენ მოგვეცა
მტერზედა ძლევა — ჰა, ჩემი გული.

თავისთავად ცხადია, ლექსის პატრიოტულმა შინაარსმა მოხიბლა ქართველი პოეტი. „თავდადებულთა“ სახეები ხომ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ პოეტთა ყურადღების ცენტრში დგანან.

ბაირონის აღნიშნული ლექსი იმ დროს რუსეთში სამკერ ითარგმნა (პანიუტინის მიერ 1859 წ., ი. კოზლოვის მიერ 1859 წ. და ნ. გერბელის მიერ 1864 წ.) როგორც შედარებამ ცხადყო, აკაკის მიერ თარგმნილი ბაირონის ეს ლექსი ემყარება ნ. გერბელისეულ თარგმანს, რომელიც 1864 წ. „სოფრემენიკში“ (№ 1) დაიბეჭდა. მოგვაქვს სანიმუშოდ ორიგინალი (ბწკარედით) და ნ. გერბელისეული და ქართული თარგმანი (მესამე სტროფი):

And of this, oh, my father, be sure
That the blood of thy child is as pure
As the blessing I beg are it flow
And the last thought that soothes me below

(ბწკარედი: და ამიტომ, მამა ჩემო, მერწმუნე, რომ შენი შვილის სისხლი წმინდაა, როგორც ლოცვა, რომელსაც მე ვლაღაღებ და ეს უკანასკნელი მამშვიდებს მე).

Отец мой! чиста моя кровь,
Как матери к детям любовь.
Пусть дух твой меня осенит,
Последний мой честь усладит.

საინტერესოა, რომ დედნისაგან და რუსული თარგმანისაგან განსხვავებით, ქართული თარგმანი შესრულებულია არა მოსაზღვრე, არამედ ჭვარედინი რითმებით.

ვითა დედისგან შვილთ სიყვარული,
ისე წმინდაა ეს ჩემი სისხლი.
დევ, მფარავდეს მე შენი სული,
რომ მეტკბოს ეამი უკანასკნელი.

აკაკი წერეთელი ბაირონის ლექსის თარგმანში ინარჩუნებს მისი ლირიკისათვის დამახსიათებელ მხატვრულ თავისებურებას, — იშვიათ სისადავეს და სიახლოვეს ხალხურ მეტყველებასთან. ლექსი უაღრესად მელოდირურია და ლაღად იკითხება.

ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის მიერ ბაირონის ნაწარმოებთა თარგმანები ერთხელ კიდევ მეტყველებენ იმ ფაქტზე, თუ რაოდენ ახლობელი იყო ქართული კრიტიკული რეალიზმის კორიფეებისათვის ევროპული ლიტერატურის მოწინავე ტრადიციები.

ისევე, როგორც დიდი რუსი მწერლების, კერძოდ, რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გამოცდილების ათვისებისას, ისინი ამ შემთხვევაშიც ქართული კულტურის ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ.

ბაირონის „მეზი სიტყვა“ მათ გამოიყენეს ქართველ ხალხში ირა მხოლოდ პატრიოტული გრძნობების, არამედ, საერთოდ, რევოლუციური სულისკვეთების, არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ პირობებთან შეურიგებელი დამოკიდებულებების გასაღვივებლად.

ასეთი ისტორიულად კონკრეტული სახე მიიღო „ბაირონიზმმა“ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში.

შალვა რაბინი

ქართული ჟურნალისტიკის საწყისებთან

(„ქართული გაზეთის“ მთარგმნელ-შემდგენელი)

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მკვლევართათვის დღეს კარგადაა ცნობილი, თუ ვინ იყვნენ გაზეთ „ტფილისის უწყებანი“ და ჟურნალ „სალიტერატურონი ნაწილნი-ს“ მესვეურები. სამაგიეროდ, თითქმის არავითარი წარმოდგენა არ გვაქვს, — ვინ იყო „საქართველოს გაზეთის“ — „ქართული გაზეთის“ ქართულ ენაზე მთარგმნელი, მასალის განლაგების ავტორი, კაცი, რომელიც შეიძლება ითქვას, პირველ ნაბიჯებს დგამდა ქართული „პრესის ენის“ ჩამოყალიბების საქმეში.

შევეცდებით ერთგვარი სინათლე შევიტანოთ ამ უთუოდ საინტერესო, საჭირო, მაგრამ ბნელით მოცული საკითხის გარკვევაში.

„საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი მკითხველმა 1819 წლის 8 მარტს მიღო. 1820 წლის მეორე ნახევრიდან ეს პერიოდული გამოცემა გამოდიოდა სათაურით „ქართული გაზეთი“. ამის გამო ერთხანს გაზეთი ორ სხვადასხვა გამოცემადაც კი მიაჩნდათ (დ. კარიჭაშვილი, ზ. ქიქინაძე). სათაურის შეცვლის შემდეგაც იდეურ-პოლიტიკური მრწამსი აღრინდელი დარჩა. სამაგიეროდ, ერთგვარად ამალდა თარგმნის კულტურა, მასალის შინაარსი უფრო გასაგები გახდა, შემცირდა რუსიციზმები და სხვ. ამკარაა, რომ გაზეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა პირი თარგმნიდა: 1819 წელს მას ერთი პიროვნება თარგმნიდა, 1820 წლის მეორე ნახევრიდან — მეორე. თვით სათაურის შეცვლაც სხვა არაფერია, თუ არა გაზეთის რუსული სახელწოდების (Грузинская газета) ქართული შესატყვისის დაზუსტება.

ამასთან დაკავშირებით პ. გუგუშვილი წერდა: „ვეფქრობთ, 1820 წლის მეორე ნახევრიდან „საქართველოს გაზეთის“ სახელის გადაკეთება გამოიწვია არა რაიმე საფუძვლიანმა რეორგანიზაციამ, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, არამედ ან თვით წინანდელმა მთარგმნელმა, ანდა, რაც უფრო საფიქრებელია, ახლად მოწვეულმა და თანაც გამოცდილმა და განსწავლულმა მთარგმნელმა ამ გაზეთის რუსულ სახელწოდებას გამოუნახა უკეთესი ქართული შესატყვისი“¹.

უფრო გაწაფული და განსწავლული მთარგმნელის ხელი მაშინვე დაეტყო გაზეთს. საქმე ეხება არა მხოლოდ თარგმანის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ თვით მასალის განლაგებას. სამართლიანად შენიშნავს პ. გუგუშვილი: „ვამჩნევთ, რომ ტრადიციული ჩვეულება, გაზეთის პირველი გვერდის მეფეთა ცხოვრებით და ან ბრძანებით დაწყებისა, თანდათან ცვლილებას განიცდის. „ქართული გაზეთი“ ხანდახან პირდაპირ „გამოცხადებით“ იწყება, რაც არა იშვიათი მოვლენა იყო „საქართველოს გაზეთისათვისაც“ და ხანაც „უცხო ქვეყნის ანბანით“. ეს უკანასკნელი განყოფილება თანდათან უფრო ფართოვდება მოსკოვისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებიდან ამოღებულ მასალათა ხარჯზე. აქ ჩვენ გვხვდება იტალიის, ინგლისის, ჩრდილოეთ ამერიკის, საფრანგეთის, პორტუგალიის ამბები. 1821 წელს „ქართული გაზეთი“ აცნობდა თავის მკითხველებს საბერძნეთის აჯანყების ამბებს, ცხადია აჯანყების მიზეზების და ბუნების თავისი აზრის მიხედვით ყოველგვარი განმარტების გარეშე“². რა ვუყოთ, რომ მთარგმნელი კომენტარს არ უკეთებდა მთელ რიგ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს, ამის ნებას მას არავინ მისცემდა. ამიტომ თვით ის გარემოება, რომ შეიცვალა კორესპონდენციების განლაგების პრინციპი, თვალსაჩინო ადგილზე მოთავსდა იმგვარი ფაქტები, რომლებიც გარკვეულ სულიერ საზრდოს აძლევდა ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავ ქართველ კაცს, მრავლისმეტყველია. ახლა, თუ ყველაფერს ამას მთლიანობაში გავიზიარებთ, ნათელი გახდება, რომ 1820 წლის მეორე ნახევრიდან გაზეთში მოვიდა ახალი პიროვნება, განათლებული ქართველი კაცი, რომლისთვის უცხო არ არის ეროვნული ინტერესები. იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაზეთმა რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს მის ხალხს.

¹ პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 59.

² იქვე, გვ. 59.

მაგრამ ვინ იყო ეს კაცი? ან მისი წინამორბედი ვინ იყო?

იმთავითვე უცნაური პედი დაპყვა პირველ ქართულ გაზეთს. შემორჩენილია ძალზედ ძუნწი ცნობები გაზეთის დაარსებასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით. და ესეც ოფიციალური მიმოწერის სახით. ეს დოკუმენტები შექმნილია რუსი მოხელეების მიერ და ოფიციალურ მხარეს ასახავენ. დღესდღეობით ისიც კი გაურკვეველია, ბოლოსდაბოლოს რუსულ ენაზე ვინ ადგენდა ამ გაზეთს. აღარას ვამბობთ მის ქართულ ვარიანტზე, იმაზე, ვინ იყო უშუალო ხელმძღვანელი, თუ შეიძლება ითქვას, რედაქტორი, გაზეთისა და სხვა. შემდეგ კიდევ უფრო უკულმა დატრიალდა საქმე. დაიხურა თუ არა „ქართული გაზეთი“, მისი სახსენებელიც გაქრა. რამდენადაც ჩვენ ამის დადგენა შეუძელით, არც ერთ იმდროინდელ ქართველ თუ რუს მწერალს, მემუარისტს ან პოლიტიკურ მოღვაწეს ერთი სიტყვითაც კი აღარ მოუხსენიებია ეს გაზეთი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს იგი არც არსებულებოდა.

ჩემი აზრით, ამ საერთო ღუმილის მთავარი მიზეზი, თუ მას საერთოდ ახსნა მოეძებნება, იმ პოლიტიკურ რეპრესიებში უნდა ვეძებოთ, რომელიც, ნიკოლოზ I-ის და გენერალ პასკევიჩის წყალობით, თავს დაატყდა კავკასიის გამგებელს ა. პ. ერმოლოვს, რომლის სახელთანაცაა დაკავშირებული პირველი ქართული გაზეთის („საქართველოს გაზეთი“ — „ქართული გაზეთი“) დაარსებაც³.

ნიკოლოზ I-მა, რომლის მეფობის ხანა სისხლიან ეპოქად დარჩა რუსი ხალხის ისტორიაში, ა. ერმოლოვი საექვო პოლიტიკურ პირად მიიჩნია და სამოქმედო ასპარეზიდან გააძევა, შერისხა. ეს საკმარისზე მეტი იყო იმისათვის, რომ ერმოლოვის მთელ მოღვაწეობას, მის ნამოქმედარს წარსულში მთლიანად ხაზი გადასმოდა, ხოლო თვით გენერალი მეტად საშიშ ფიგურად ქცეულიყო საზოგადოების თვალში. ადვილი წარმოსადგენია, როგორ მოიქცეოდნენ დამფრთხალი ადამიანები, რომელთაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ერმოლოვთან ან მის მიერ წამოწყებულ საქმეებთან! ვინლა იფიქრებდა ისტორიასა და შთამომავლობაზე?! აქაოდა, შარი არ მომდონო, ალბათ, ყველა გულმოდგინედ სპობდა ყოველგვარ კვალს, რომელიც ერმოლოვის ხანასთან აკავშირებდა.

ამ დასკვნას ეფუძნება ჩვენი ვარაუდი: ხომ არ შეიძლება ვი-

³ სამწუხაროდ, ჩვენ ამჟერად საშუალება არა გვაქვს, დაწერილებით შევეხოთ ამ საკითხს.

ფიქროთ, რომ პირველი ქართული გაზეთიც შექმნილი ისტორიული ვითარების მსხვერპლი შეიქნა?!

ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ვარაუდი არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. სხვანაირად წარმოუდგენელია აიხსნას იმ საყოველთაო დუმილის მიზეზი, რომელიც გამეფებული იყო გაზეთის დახურვიდან (1821 წლის ბოლო), ვიდრე 1887 წლამდე.

1887 წელს ილიას „ივერიამ“ საზოგადოებას აუწყა: „სოფიო გრიგოლის ასულმა დოდაშვილმა შესწირა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პირველი ნომერი უწინდელი გაზეთისა, რომელსაც ეწოდებოდა სახელად „საქართველოს გაზეთი“. ეს გაზეთი დაბეჭდილია თბილისში 1818 წელს მარტის ცხრასა (უნდა იყოს „მარტის რვასა“ — შ. რ.), სივრცით საწერ თაბახიანი ქალაქის ზომისაა. ოთხივე გვერდი დაჭერილია სხვადასხვა წერილებით. გაზეთში მოთავსებულია წვრილ-წვრილი ამბები რუსეთისა, საქართველოსი და უცხოეთისა, რედაქტორს ხელი არ უწერია, არც ამბებია ხელმოწერილი. თითო გვერდი გაზეთისა ორ ორს სვეტზეა გაყოფილი და ქართული ასოები საკმაოდ შნოიანებია“⁴.

ამ განცხადებაში ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: „საქართველოს გაზეთის“ პირველი ნომერი საზოგადოებას შესწირა ს. გ. დოდაშვილმა, რომელიც უთუოდ ს. დოდაშვილის ოჯახის შთამომავალია. გაზეთის პირველი (და იქნებ, სხვაც) ნომერი ს. დოდაშვილის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. იმხანად ვინმე სხვა დოდაშვილი არ ჩანს, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდეს ან ქართულ პერიოდიკასთან ან ქართულ კულტურასთან საერთოდ. იმ დროს, როცა „საქართველოს გაზეთს“ „ქართული გაზეთი“ ეწოდა, სიღნაღის სამრევლო სასწავლებლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლად გადმოიყვანეს (1820 წ. სექტემბერი) ს. დოდაშვილი. სასწავლებელში ს. დოდაშვილს დიდი ნიჭი და სიბეჭითე გამოუჩენია, რისთვისაც იგი სემინარიის სარიტორიკო კლასში გადაუყვანიათ. დაუჭერებელია, ასეთ ჭაბუკს ქართულ ენაზე გამომავალი გაზეთი უყურადღებოდ დაეტოვებინა. მას შესაძლოა გაზეთის ყველა ნომერიც ჰქონოდა. მაგრამ ს. დოდაშვილსაც კი შემდგომ არასოდეს არ უხსენებია პირველი ქართული გაზეთი.

დაუზბრუნდეთ „ივერიის“ განცხადებას. ამ განცხადებამ ბევრი დააფიქრა და ბიძგი მისცა, რომ უფრო ღრმად ჩაეხედა მშობელი ერის ისტორიაში.

⁴ „ივერია“, 1887, № 156.

საქმე დაიძრა. ბევრი ნიჭიერი მწერალი დაინტერესდა ქართული ჟურნალისტიკის ბედით. დაიწერა ცალკეული წერილები, გამოკვლევები, გამოთქვა სხვადასხვაგვარი თეალსაზრისი, კერძოდ, პირველ ქართულ გაზეთთან დაკავშირებით. რიგი საკითხებისა შეცნობიერი სიღრმით იქნა შესწავლილი, მაგრამ ბევრი გაუგებრობაც მოგროვდა. თუმცა ჩვენ ახლა ამას ყველაფერს გვერდს ვუვლით. ჩვენთვის მთავარია აღვნიშნოთ, რომ რევოლუციამდელი ქართველი მკვლევარებისათვის სხვა პრობლემურ საკითხებთან ერთად, საიდუმლოდ დარჩა „ქართული გაზეთის“ გამომცემლის, რედაქტორის, ცენზორის, ქართულ ენაზე მთარგმნელის ვინაობა და სხვ.

ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხების გარკვევა სცადა, პ. გუგუშვილი იყო.

ჯერ კიდევ 1929 წელს ახალგაზრდა მკვლევარი ვარაუდობდა, რომ გაზეთის რედაქტორი ალბათ პლეშჩევი იყო⁶. შემდეგ ეს თეალსაზრისი მკვლევარმა ოდნავ შეარბილა. წიგნში „ქართული ჟურნალისტიკა“, რომელიც 1941 წელს გამოვიდა, პ. გუგუშვილი წერდა: „როგორც ირკვევა, „კოლეჟსკი ასესორ“ პლეშჩევი (ალბათ „ქართული გაზეთის“ გამომცემლობის ახლო თანამშრომელი იყო) უბნის ზედამხედველთა დახმარებით“... და ა. შ.

და იქვე: „ამ საინტერესო საკითხის შესახებ, თუ ვინ იყო „ქართული გაზეთის“ (იგივე „საქართველოს გაზეთის“) ინციატორი-რედაქტორი, ჯერჯერობით დაბეჭდვებით არაფრის თქმა არ შეგვიძლია“⁷.

როგორც ვხედავთ, „ქართული გაზეთის“ რედაქტორის თუ მთარგმნელის შესახებ მკვლევარს სწორი ვარაუდი არ გააჩნია. რაც შეეხება პლეშჩევიზე მითითებას, გაუგებრობის შედეგი იყო.

„პლეშჩევი გაზეთის რედაქტორი არ ყოფილა, — წერს მ. გოცაძე, — იგი არც გაზეთის რედაქციის თანამშრომელი იყო. პლეშჩევი თბილისის პოლიციის თანამშრომელი იყო და გაზეთთან იმდენად ჰქონდა დამოკიდებულება, რამდენადაც მას ადგილობრივი ხელისუფლება გაზეთზე ხელის მომწერთა მომრავლებას ავალბებდა. ადგილობრივ ხელისუფლებას ასეთი პლეშჩევიები სხვაც ბევრი ჰყავდა“⁷.

⁶ გაზ. კომუნისტი, 1929, № 142.

⁷ პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბილისი, 1941, გვ. 60.

⁷ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1955, გვ. 52.

მართლაც, პლეშჩეევს არავითარი კავშირი არ შეიძლებოდა ჰქონოდა გაზეთთან. ის იყო თბილისის პოლიციის თანამშრომელი და 1821 ბოლოს დაევალა ყველაფერი ელონა, რათა „კვარტალთა ზედამხედველების დახმარებით“ გაეძრავლებინა გაზეთზე ხელის- მომწერთა რიცხვი⁸.

მ. გოცაძემ არა მარტო სამართლიანად მოხსნა პ. გუგუშვილის ვარაუდი, ერთგვარი ნაბიჯიც წარსდგა წინ. ასე: საარქივო მასალების მიხედვით მ. გოცაძემ დაადგინა; რომ თავდაპირველად ხელისმომწერლებს ფული უნდა შეეტანათ საქართველოს ცალკე კორპუსის შტაბის უფროსის, გენერალ-მაიორის ველიამონოვის სახელზე. მაგრამ ეს განზრახვა გადაუფიქრებიათ და შემოსული ფულის გამგებლობა ვინმე ნაუმოვისათვის მიუხდვიათ. ველიამონოვი ცნობილი პიროვნება იყო იმჟამად მთელს კავკასიაში, მაგრამ ეს ნაუმოვი ვინ იყო, მ. გოცაძისათვის გაუგებარი დარჩა. მისთვის გაურკვეველი დარჩა ისიც, თუ „კონკრეტულად რა ესაქმებოდა“ მას გაზეთთან.

ი. გოცაძისათვის „კვლავ უცნობი რჩება გაზეთის რედაქტორის ვინაობა და რედაქციის შემადგენლობა“⁹. აღარას ვამბობ გაზეთის ქართული პირის ხელმძღვანელზე, თუ მთარგმნელზე, საბოლოოდ კი მ. გოცაძემ დაასკვნა: ...ერთი რამ მაინც ცხადია, სახელდობრ ის, რომ გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობას უწყვედა კავკასიის ჯარების შტაბთან დაკავშირებული პირები. მართლაც, სხვაგვარად არც შეიძლებოდა“¹⁰. რატომ არ შეიძლებოდა სხვაგვარად, ამას სათანადოდ განმარტავს მკვლევარი, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ნ. ტაბიძემ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა პირველ ქართულ გაზეთს. მან ერთგვარად გააფართოვა კვლევა-ძიების სფერო, მაგრამ მის „ჰიპოტეზასაც“ (როგორც თვითონ ამბობს) დამაჯერებლობა აკლია.

ნ. ტაბიძე წერს: „იჩვენება, რომ რედაქციასთან დაკავშირებული იყვნენ მთავარმართველი ა. ერმოლოვი, გუბერნატორი რ. ხოვენი, პოლკოვნიკი ნაუმოვი და სხვა წარჩინებული მოხელენი.

ამ საქმეში მონაწილეობდნენ აგრეთვე ქართველები“¹¹..

⁸ Е. Венденбаум, Кавказские этюды, 1901, გვ. 303.

⁹ მ. გოცაძე, იხ. დამწ. გამოცემა, გვ. 53.

¹⁰ იქვე.

¹¹ ნ. ტაბიძე, პირველი ქართული გაზეთი, 1969, გვ. 12..

რა თქმა უნდა, გაზეთთან დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქართველი კაცი, მაგრამ ვინ?

ნ. ტაბიძე წერს: „საქართველოს გაზეთს“, როგორც ითქვა, ხელისუფლება მეურვეობდა. სამწუხაროდ, დაუდგენელია, როგორც რედაქტორის, ასევე სხვა წამყვანი თანამშრომლების ვინაობა, პერიოდული ორგანოს და სააჩქივო მასალების შესწავლამ გარკვეულ ჰიპოთეზამდე მიგვიყვანა. საფიქრებელია რედაქციის ერთ-ერთი ძირითადი წევრი ნაზარიშვილი (ნაზაროვი) ყოფილიყო. ამ მოსაზრებებს ამაგრებს შემდეგი გარემოება: გაზეთს საქართველოს კორპუსის შტაბი გამოსცემდა, ხოლო კორპუსის მთარგმნელად მუშაობდა კაპიტანი ნაზარიშვილი“¹².

მკვლევარი იქვე ასახელებს მიხეილ ფალავანდიშვილს, რომელმაც ეკატერინე მეორის განაწესი თარგმნა, რისთვისაც ალექსანდრე პირველის საჩუქარი დაიმსახურა: „მაგრამ ჰქონდა თუ არა მას რაიმე კავშირი ქართულ გაზეთთან, გაურკვეველია, გამორიცხული არ არის, რომ იგი როგორც კვალიფიციური მთარგმნელი და ამავე დროს, სახელმწიფო მოხელე, საგაზეთო საქმიანობაშიც ჩაებათ“¹³.

როგორც ვხედავთ, ნ. ტაბიძე ძირითადად ტრადიციულ თვალსაზრისზე რჩება, რაც შეეხება ნაზაროვს, ნაზარიშვილს), ძნელად სარწმუნოა, რომ კორპუსის შტაბის მთარგმნელს იმის დრო ჰქონდა, რომ მთელი გაზეთი ეთარგმნა ქართულ ენაზე. ამასთან, შეძლებდა კი ქართულ ენაზე გაზეთის გამოცემას?! თუმცა, რაკილა კონკრეტული საბუთები არ მოგვეპოვება, გამორიცხული არაფერი არ არის და არც, ცხადია, ის, რომ ნაზაროვი ყოფილიყო გაზეთის ქართულ ენაზე მთარგმნელი პირველ ხანებში მაინც.

1973 წელს რუსულ ენაზე მოსკოვში გამოვიდა ისტორიკოს დ. ვაჩიშვილის ვრცელი მონოგრაფია „რუსული საზოგადოებრივი აზრი და ბეჭდვითი სიტყვა კავკასიაში“.

წიგნში ბევრი საინტერესო საკითხია გაშუქებული, მონობილია დიდძალი სააჩქივო მასალა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული დასკვნა, ტრადიციულია. იმათგან, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა „ქართული გაზეთის“ გამოცემასთან, შენიშნავს მკვლევარი, საბუთებში მხოლოდ სამი სამხედრო პირი გვხვდება, რომელთაც არასდროს არ უმოდვანიათ

¹² ი ქ ვ ე. გვ. 77—78.

¹³ ი ქ ვ ე.

ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის სფეროში. შემდეგ აღნიშნულია ველიამინოვის, ნაუმოვის და პლეშჩეევის გვარები¹⁴.

ასეთია საერთო სურათი. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ „საქართველოს გაზეთთან“ დაკავშირებული ბევრი პრინციპული საკითხი კვლავაც გაურკვეველია. არ ვიცი, ვინ იყო რედაქტორი, რა შემადგენლობის იყო რედაქცია, ვინ თარგმნიდა გაზეთს ქართულად და პატრონობდა მას.

რაც შეეხება ველიამინოვს, ნაუმოვს და პლეშჩეევს, მათი ფუნქციების გათვალისწინება და ვინაობის გარკვევა რაიმე სიძნელეებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული.

ყველა მკვლევარისათვის ცნობილია, რომ გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობდა საქართველოს ცალკე კორპუსის შტაბის (1830 წლის 31 აგვისტოდან „საქართველოს ცალკე კორპუსის შტაბი“ იწოდებოდა: „კავკასიის ცალკე კორპუსი“) მმართველობა. ხოლო ამ შტაბის უფროსი იმხანად იყო ველიამინოვი. გასაგებია, რომ შტაბის უფროსი შტაბის ყველა გამოცემის უშუალო ხელმძღვანელი იქნებოდა. ის აგებდა პასუხს ერმოლოვის წინაშე. ერმოლოვი გაზეთს პირდაპირ კონტროლსაც უწევდა, მაგრამ ნდობას უცხადებდა შტაბის ხელმძღვანელობასაც.

ასე მაგალითად, ერმოლოვი ძალზე მაღალი აზრის იყო ა. ველიამინოვის სამხედრო ტალანტზე, მის ადამიანურ შესაძლებლობაზე¹⁵. ა. ველიამინოვს ჯერ კიდევ კავკასიაში ჩამოსვლამდე უმსახურია ერმოლოვთან საარტილერიო გვარდიულ ბრიგადაში. ერმოლოვმა, როგორც უკვე ამიერკავკასიის მთავარმართველმა, თან ჩამოიყვანა იგი თბილისში და მისცა შტაბის უფროსობა. ველიამინოვი სწორედ აქ აღზევდა, როგორც მოღვაწე. იგი ერმოლოვის დასაყრდენი და მარჯვენა ხელი იყო.

ბ. მურავიოვი შენიშნავს: «Вельяминов же делает из Алексея Петровича что хочет»¹⁶.

გასაგებია, რომ ასეთ პიროვნებას ვერავინ აკადრებდა, რომ ქართულ გაზეთზე ხელისმომწერთა შენატანი ეგროვებინა, ან ეფექტა იმაზე, თუ სად და როგორ დახარჯულიყო ეს ფული. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თავდაპირველი ჩანაფიქ-

¹⁴ იხ. დასახელებული შრომა, გვ. 99.

¹⁵ Записки Алексея Петровича Ермолова, ч. II, М., 1868, г. стр. 4.

¹⁶ იხ. „ნიკოლაზ ნიკოლაზის ძე მურავიოვის ჩანაწერები“, გვ. 325.

რი — ფული გაგზავნოდა შტაბის უფროსს ველიამინოვს, იმავე წუთში შეიცვალა. ამიერიდან ფული გაეგზავნებოდა გაცილებით უფრო დაბალი რანგის მოხელეს ნაუმოვს.

ნაუმოვიც ერმოლოვის ყურმოქრილი მონა იყო. იგი პოდპოლკოვნიკის ჩინით ჩამოვიდა თბილისში და მაშინვე მიიღო შტაბის მორიგე ოფიცრის ადგილი. პრაქტიკულად შტაბის მუშაობის ყველა მხარე მისთვის ცნობილი იყო.

ერმოლოვის აზრით, ნაუმოვი დაუღალავი მოღვაწე, საგანგებო წესრიგის დამცველი კაცი იყო. ეს ოფიციალურად, მაგრამ თანამედროვეთა აზრით, იგი დიდი გაიძვერა ცოფილა¹⁷.

რაც შეეხება მესამე პიროვნებას — პლეშჩეევს, უკვე ითქვა, რომ იგი თბილისის პოლიციის თანამშრომელი იყო და გაზეთთან იმდენად ჰქონდა კავშირი, რამდენადაც დავალებული ჰქონდა ხელისმომწერთა მოზიდვა. აი, რაც შეიძლება ითქვას იმ სამ პიროვნებაზე, რომელთა სახელები იხსენიება ქართულ გაზეთთან დაკავშირებით. მაგრამ, როგორც ვნახეთ, არც ერთ მათგანს არავითარი საქმე არ ჰქონდა არც ყურნალისტიკასთან და არც ლიტერატურასთან. ასე რომ, ქართული გაზეთის რედაქტორის, რედაქციის შემადგენლობისა და ქართულად მთარგმნელის ვინაობა სხვა სფეროშია საძიებელი.

ამჯერად ჩვენთვის უმთავრესი ამოცანაა იმის დადგენა, თუ ვინ იყო პირველი პერიოდული გამოცემის ქართულ ენაზე გამომღები, ანუ ერთ-ერთი პირველი ყურნალისტი საქართველოში?

პირდაპირი პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. არ ჩანს არავითარი კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც საკითხს ამა თუ იმ პიროვნების სასარგებლოდ გადაწყვეტდა. ვარაუდებისათვის კი საკმაოდ ვრცელი ასპარეზი არსებობს. შევეცდებით წამოვაყენოთ ჩვენი ვარაუდიც და შეძლებისდაგვარად დავასაბუთოთ იგი.

საკითხის ისტორიის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აქამდე ჩვენი მკვლევარები „ქართული გაზეთის“ მთარგმნელ-ინიციატორს მხოლოდ სამხედრო მოღვაწეთა წრეში ეძიებდნენ. თითქმის გამორიცხავდნენ შესაძლებლობას, სამოქალაქო პირთა შორისაც გვეძებნა ჩვენთვის საინტერესო პიროვნება. რით იყო პირობადებული ეს გარემოება?

¹⁷ ი ქ ე ე. გვ. 436.

აი, რას წერს მ. გოცაძე ამ საკითხთან დაკავშირებით: „ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ „საქართველოს გაზეთის“ სტამბა კავკასიის საკუთრება (!) იყო და იგი იქვე, ამავე ქარების შტაბის სახლში იყო ვამართული. ხოლო თუ ეს ასეა, ეს იმას ნიშნავდა, რომ აქ, ამ სტამბაში, სხვა უცხო პირს თუ არა სამხედროს ან შტაბის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებულს, არ შეუშვებდნენ. უცხო მოქალაქისათვის სამხედრო შტაბში შესვლა დასაშვები არ იყო“¹⁸.

ფიქრობთ, ახლა ნათელია, თუ რატომ არ ეძებდნენ ჩვენი მკვლევარები სამოქალაქო პირთა შორის ქართული გაზეთის მთარგმნელ-ინიციატორს. რაკი გაზეთი სამხედრო შტაბში იბეჭდება, ხოლო აქ სამხედრო პირებს აქვთ შესვლის უფლება, თავისთავად იხსნება საკითხი სამოქალაქო პირის შესახებ, მაგრამ ეს შეხედულება მცდარია. ჯერ ერთი, რატომ არ შეიძლებოდა საგანგებო ბრძანებით გაზეთთან დაკავშირებული სამოქალაქო პირი შეეშვათ შტაბის სტამბაში, რათა გაზეთის მასალები ეთარგმნა და გაზეთი შეედგინა! შტაბის გამომცემლობაში შესვლა სრულიადაც არ ნიშნავდა შტაბის სამხედრო საქმეებში გარეეას. მეორეც, თბილისის კორპუსის სტამბის მოღვაწეობა იმთავითვე მკაცრად დაუქვემდებარეს სამხედრო შინაგანაწესს, ხოლო ამ ტიპის სტამბებისათვის არსებობდა 1812 წლის 27 იანვარს შედგენილი ერთგვარი დებულება, რომელშიც დაწვრილებით იყო მითითებული, თუ როგორი უნდა ყოფილიყო სტამბა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ თანამშრომლებად, ვის როგორ ეძლეოდა ჯამაგირი, რა სამუშაო უნდა შეესრულებია ამა თუ იმ პირს და სხვ. ამ დებულების მიხედვით, სტამბის თანამშრომელთა კონტინგენტი შედგებოდა სამხედრო შენაერთებიდან დროებით მოწვეული პირებისაგან. მაგალითად, მთავარი სამხედრო შტაბის სტამბაში მობილიზებული იყო საქმის მცოდნე 15 კაცი სასწავლო კარაბინერთა პოლკიდან. ამათ გვერდით საქმიანობდნენ თავისუფალი დაქირავებული მუშები¹⁹, თავისუფალი დაქირავებული მუშები სამოქალაქო პირები არიან და სხვა არაფერი.

მაშასადამე, სამხედრო შტაბის სტამბაში ხელმძღვანელობას ჰქონია უფლება არასამხედრო პირებიც მიეღო სამუშაოდ.

რატომ არ ისარგებლებდნენ ამ უფლებით თბილისის კორპუსის სტამბაში? საქიროების შემთხვევაში, ცხადია, ისარგებლებდნენ!

¹⁸ მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 53.

¹⁹ დ. ვაჩეიშვილი, იხ. ზემოხსენებული წიგნი, გვ. 87—88.

მაშასადამე, ამ დებულებითაც სრულიად კანონიერი იქნებოდა მთარგმნელად მიეწვიათ სამოქალაქო პირი, რა თქმა უნდა, გარკვეული ანაზღაურებით.

ჩვენ ზემოთ დავადასტურეთ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ პირველ ქართულ გაზეთს სხვადასხვა დროს ორი სხვადასხვა მთარგმნელი უნდა ჰყოლოდა. ერთი — ვიდრე ეწოდებოდა „საქართველოს გაზეთი“, ხოლო მეორე, როცა სახელწოდება „საქართველოს გაზეთი“ შეიცვალა სახელწოდებით — „ქართული გაზეთი“.

ჩვენ უკვე გვქონდა შესაძლებლობა გვეთქვა, თუ რამ გამოიწვია გაზეთის სახელწოდების შეცვლა, როგორ გაუმჯობესდა თარგმანის ხარისხი, სტილი, მასალის განლაგება და სხვა. იქვე ისიც ითქვა, რომ ყველაფერი ეს უნდა იყოს ახალი, უფრო კვალიფიცირებული და განათლებული მთარგმნელის დამსახურება. მაგრამ ვინ შეიძლებოდა იგი ყოფილიყო?

ჩვენი ვარაუდით, „ქართული გაზეთის“ მთარგმნელი და რედაქტორი უნდა ყოფილიყო თავის დროისათვის ღრმად განსწავლული, მრავალი ენის მცოდნე, „ქართული ლექსიკოგრაფიის მშვენიება XIX საუკუნის პირველ ათეულ წლებში, საბა ორბელიანის საქმის განმგრობი“²⁰, ერუდირებული და შოულალავი მოღვაწე — ნიკოლოზ დავითის ძე ჩუბინაშვილი (ჩუბინოვი).

1821 წელს „ქართული გაზეთის“ (№ 12) ფურცლებზე დაიბეჭდა განცხადება-რეკლამა²¹: აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ სხვა შემთხვევაში ამ ტიპის განცხადება-რეკლამები გაზეთში საერთოდ არ დაბეჭდილა. იმ ხანებში, როგორც ქვემოთ ენახავთ, ათასგვარი „რაზღავორები“ და სხვ. გამოდიოდა. მათ შორის ზოგი პრემირებულიც, მაგრამ გაზეთს ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის. ამჟამად, რომ ამ განცხადება-რეკლამის უკან დაინტერესებული პირი უნდა იდგეს. ამავე დროს, ეს პიროვნება რედაქციასა და შტაბის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული უნდა იყოს. სხვაგვარად შეუძლებელია გაზეთის ფურცლებზე „შემთხვევით“ მოხვედრილიყო რაიმე მასალა.

²⁰ ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ალ. დლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, ტ. I, 1971, გვ. 5.

²¹ „კორპუსის სამხედრო ტიპოგრაფიაში დაიბეჭდა რუსული და ქართულები უბნობაი, წოდებით: თვით მასწავლებელი რუსულის ენისა, თითო წიგნი ამ უბნობათა ისყიდების მასვე ტიპოგრაფიაში ექვს შაურ თეთრ ფულად, ამ წიგნში რუსულნი ლექსნი დაწერილ არიან ქართული ასოებით და ამისთვის იგი უსარგებლეს არს რუსულის კითხვის უცოდინართათვის“.

ვინ უნდა იყოს ეს პიროვნება? იქნებ თვით ავტორი „შეკრება რუსულთა უბნობათანის?“. მაგრამ როგორ მოახერხა მან საკუთარი შრომის რეკლამირება, რა კავშირი აქვს მას ან გაზეთთან ან მის ხელმძღვანელობასთან?

თუ აზრის ამგვარ დინებას ვაგვიყვებით, აგრეთვე ვავითვალისწინებთ ნ. ჩუბინაშვილის ცხოვრების გზას, უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ის იყო „ქართული გაზეთის“ მთარგმნელი-რედაქტორი და გარკვეული აზრით, მისი კორესპონდენტიც (ამას ვქვემოთ ვნახავთ).

ის მაღალი ყურადღება, რომლითაც სარგებლობდა ნიკოლოზ ჩუბინაშვილი ერმოლოვისა და მის ახლო მყოფ პირთა მხრივ, შეეძლო მოეპოვებინა მას, ვისაც გარკვეული ურთიერთობა უხდებოდა ერმოლოვსა და მის ჯგუფთან. სრულიად წარმოუდგენელია სინოდის კანტორის რიგით მოხელეს — მდივანს (ეს თანამდებობა ეჭირა ოფიციალურად ნ. ჩუბინაშვილს) სხვაგვარად მთავარ მართებლის ნდობა და აღიარება დაემსახურებინა.

გავეცნოთ მოკლედ ნ. ჩუბინაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას:

საუკუნის განმავლობაში (1782—1890) ჩუბინაშვილების ოჯახიდან გამოვიდა სამი თაობა ცნობილი მოღვაწეებისა: დავით ჩუბინაშვილი, მისი შვილები — იასე და ნიკოლოზ, შვილიშვილი — დავით ჩუბინაშვილი.

დავითი სასულიერო პირი იყო და ერეკლეს კარზე სახელმწიფო სტამბასაც თავკაცობდა.

დავითს შეგიძლებოდა ჰყოლია, რომელთაც სასტამბო ხელოვნებას ასწავლიდა. ამავე დროს, დავითს კერძო სასწავლებელი გაუხსნია. აქ ბავშვები სწავლობდნენ კითხვას, წერას, სიმღერას, წმინდანთა ცხოვრებას, ქართული და საერთოდ ეკლესიის ისტორიას, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს. სხვათა შორის, მისმა შვილებმაც ამ სკოლაში მიიღეს პირველდაწყებითი განათლება.

ნიკოლოზი როგორც თვითონ წერს, დაბადებულა 1788 წლის 15 აპრილს „დიდ ხუთშაბათს, შუადღისას“²².

პირველდაწყებითი განათლება მიიღო მამის მიერ დაარსებულ სკოლაში. 1804 წლის 25 მაისს შევიდა თბილისის კეთილშობილთა

²² А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, выпуск третий, 1894, стр. LIX. ქვემოთ ციტირებას მოვახდენთ მხოლოდ ამ გამოცემიდან.

სასწავლებელში, რომელიც გაიხსნა 1804 წლის 21 მაისს მთავარ-მართებელ პ. ციციანოვის უშუალო ინიციატივით. აქ ნ. ჩუბინაშვილი წარჩინებით სწავლობდა ქართული და რუსული ენების გრამატიკას, საღმრთო სჯულს, რიტორიკას, ლოგიკას, ზნეობრივ ფილოსოფიასა და მათემატიკას, აგრეთვე, ლათინურ და გერმანულ გრამატიკას. მან განსაკუთრებული მიდრეკილება გამოიჩინა უცხო ენების შესწავლისადმი. კერძოდ, ძალზე მოკლე დროში დაეუფლა რუსულ ენას.

სასწავლებელში შესვლიდან ხუთი თვის შემდეგ მას შესძლება რუსულ ენაზე წარმოეთქვა სიტყვა ეგზარხოსის წინაშე, ხოლო უფრო გვიან, 1805 წლის იანვარში გამართულ საჯარო გამოცდაზე, რომელსაც პ. ციციანოვი ესწრებოდა, წარმატებით გამოსულა და სხვა სამ მოსწავლესთან ერთად ჯილდოდ ოქროს საათი მიუღია²³.

ნ. ჩუბინაშვილმა სასწავლებელი სამ წელიწადში დაასრულა. სწორედ მაშინ გარდაიცვალა რუსული ენის მასწავლებელი და აი. სასწავლებლის დირექტორი ა. პეტრიევი (პეტრიაშვილი) საგანგებო თხოვნას უგზავნის ლიტვინოვს (მთავარმართებელს), რათა რუსული ენის მასწავლებლად დანიშნონ სასწავლებლის კურსდამთავრებული ნ. ჩუბინაშვილი. თხოვნა შეწყნარებულ იქნა და 1807 წელს (ე. ი. დამთავრებისთანავე) ნ. ჩუბინაშვილი დანიშნეს რუსული ენის მასწავლებლად.

1813 წლის დეკემბრიდან იგი კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლის მათემატიკასაც.

სწავლის პერიოდში, კერძოდ, 1806 წელს, ნ. ჩუბინაშვილს რუსულ ენაზე უთარგმნია ანტონ I-ის „საქართველოს შემოკლებული ისტორია“, რისთვისაც დაუჯილდოებიათ ოქროს საათით.

1810 წლიდან ნ. ჩუბინაშვილი დიდ დროს უთმობს მთარგმნელობით მუშაობას.

ასე, 1810—1814 წწ. ნ. ჩუბინაშვილმა რუსული ენიდან თარგმნა ბრისონის სამტომიანი „საცდელი ფიზიკა“, გილიაროვსკის „ფიზიკა“, „შემოკლებული გეოგრაფია“, „მოკლე არითმეტიკა“...

საინტერესოა, რომ ხსენებული თარგმანებისათვის იოანე ელიზბარის ძე ერისთავმა ნ. ჩუბინაშვილი დაასაჩუქრა ერთი გლეხის ბიჭით (ოსი სოლომონ ფუხაშვილი), რომელიც შეფასებული ყოფილა 200 მან. ასიგნაციით. ამის შემდეგ ფორმულიარულ სიით.

²³ А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности. выпуск третий. 1894, стр. LXII.

გრაფაში — „გყავთ თუ არა გლეხი?“ იგი პასუხობდა: „მყავს ერთი გლეხი“²⁴.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში იგი დარჩა 1815 წლამდე. იმავე 1815 წელს ნიკოლოზი დაინიშნა თბილისის სანოტარო კანტორის მდივანად და ამ თანამდებობაზე დარჩა 1825 წლამდე, პეტერბურგში გამგზავრებამდე. 1816 წელს ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით 15 ჰაბუჯი უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში ბერძნული და ებრაული ენების შესასწავლად, შემდეგ ამ ჯგუფს დაევალებოდა ქართულ ენაზე ბიბლიის სრულყოფილი ტექსტის გამოსაცემად მომზადება. ჯგუფის ხელმძღვანელად დანიშნეს ახალგაზრდა, ჯერ ხელისუფლებისათვის უცნობი სინოდური კანტორის რიგითი მოხელე ნ. ჩუბინაშვილი. როგორ უნდა მომხდარიყო ეს? ამ საქმეში უეჭველად ურევია იმეამად კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორის — ბუკრინსკის ხელი. ბუკრინსკი, რომელმაც, სხვათა შორის, ჩინებულად იცოდა ქართული ენა, დაახლოებული იყო ადგილობრივი ხელისუფლების მაღალი რანგის მოხელეებთან, მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ერმოლოვთან. იგი, აგრეთვე შესანიშნავად იცნობდა ნ. ჩუბინაშვილს, დიდად აფასებდა მის ნიჭს, პატიოსნებას და შრომისმოყვარეობას. სწორედ ბუკრინსკის უნდა წამოეყენებინა ნ. ჩუბინაშვილის კანდიდატურა, როცა ხელმძღვანელის შერჩევის საკითხი დაისმებოდა. ნ. ჩუბინაშვილის ჩვეული გულმოდგინებით შეურჩევია 15 ბავშვი და გარკვეული ორგანიზაციულთ ხასიათის მუშაობაც ჩაუტარებია, მაგრამ კარგად წამოწყებული საქმე ჩაშლილა. წმინდა სინოდის ობერ-პროკურორის გოლიცინის საქართველოს ეგზარხოსის თეოფილაქტისადმი წარდგენილი მიმართვიდან (1818 წ. 23 ივნისი) ირკვევა, რომ რუსეთის ბიბლიის საზოგადოების კომიტეტს არ დაურთავს ნება პეტერბურგში 15 მოსწავლის გაგზავნის თაობაზე იმ მოტივით, რომ ეს ხანგრძლივ დროს მოითხოვს და არა ეფექტურიაო. ნ. ჩუბინაშვილის მიერ გაწეული შრომა წყალში ჩაიყარა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ობერ-პროკურორის აზრით, ნ. ჩუბინაშვილის „გულმოდგინება და მეცადინეობა — დახმარებოდა ბიბლიის საზოგადოების კეთილ საქმეს, იმსახურებს მოწონებას“²⁵.

²⁴ А. Цагарели. Сведения памятниках грузинской письменности, выпуск третий, 1894, стр. III.

²⁵ იქვე, გვ. 18—19.

ნ. ჩუბინაშვილი გატაცებული იყო საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და სხვ. საკითხებით. აგროვებდა მასალებს ამ მიმართულებით. მაგრამ მოულოდნელად ხელმძღვანელობას მისთვის დაუვალეზია რუსულ-ქართული „სასაუბროს“ შედგენა. და აი, 1819 წელს სამხედრო შტაბის სტამბაში დაიბეჭდა მის მიერ შედგენილი „შეკრება რუსულთა უბნობათა, საზოგადოდ ცხოვრებასა შინა სახმარებელთა, დართვით ქართულისა თარგმნისათა სასარგებლოდ კეთილშობილთა ყრმათა“.

„შეკრება რუსულთა უბნობათა“... 159 გვერდს შეიცავს და მასში გარდა საკუთრივ „უბნობისა“, წარმოდგენილია:

1) ანბანი: რუსული ქართულითურთ, ქართული რუსულითურთ.

რუსული ასოები გადმოცემულია ქართული ტრანსკრიპციით და პირიქით, ქართული-რუსული ტრანსკრიპციით.

2) რაოდენობითი რიცხვითი სახელი, რიგობითი რიცხვითი სახელი.

3) დღენი კვირისანი.

4) სახელი თვისანი.

ამას მოსდევს უშუალოდ „უბნობა“ 100 გვერთილი. „შეკრებას“... დართული აქვს ზმნები რუსულად, ქართულად, ზედსართავი სახელები, რელიგიური ცნებები; ცალ-ცალკეა დაჯგუფებული ტანსაცმლის, სამკაულების, მოხმარების საგნების აღმნიშვნელი სიტყვები. შემდეგ, როგორ იწოდება ბუნების მოვლენები, ვაჭრობის ცნებები, ქრისტიანული დღესასწაულები და სხვა.

ნ. ჩუბინაშვილის ნაშრომმა ხელისუფლათა მოწონება დაიმსახურა. ამით აიხსნება, რომ მასვე დაევალა „თვითმასწავლებლის“ შედგენა. ავტორს ჩვეული გულმოდგინებით შეუსრულებია დავალება, „რუსული ენის თვითმასწავლებელი“ არსებითად „შეკრება რუსულთა უბნობათა“-ს მე-2, გადამუშავებული გამოცემაა. იგი სტამბიდან უნდა გამოსულიყო 1820—21 წწ. მიჯნაზე, ყოველ შემთხვევაში, არაუგვიანეს 1821 წლის მარტისა, როცა „ქართულ გაზეთში“ დაიბეჭდა განცხადება-რეკლამა²⁸.

ეს წიგნები ადგილობრივ სკოლებში დიდხანს გამოიყენებოდა სახელმძღვანელოდ.

როცა ეს წიგნები იბეჭდებოდა სამხედრო კორპუსის შტაბის სტამბაში, აქვე იბეჭდებოდა „ქართული გაზეთიც“, შეუძლებელია

²⁸ გადარჩენილია „თვითმასწავლებლის“ ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ინახება საქ. სსრ. მეც. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ნ. ჩუბინაშვილს გარკვეული კონტაქტები არ დაემყარებინა სტამბის ხელმძღვანელობასთან საერთოდ, „ქართული გაზეთის“ გამომცემლებთან, საკუთრივ. ნ. ჩუბინაშვილს გაზეთთან სხვა მხრივაც უნდა ჰქონოდა შეხების წერტილი.

სპეციალურ ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ გაზეთისათვის საჭირო მასალის შეკრება იმ დროისთვის იოლი საქმე არ იყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გაზეთი თავისთავად ახალი მოვლენა იყო ჩვენ ცხოვრებაში, მეორეც, კორესპონდენციებში ჰონორარს არ იძლეოდნენ. სამაგიეროდ, გაზეთის რედაქცია სთხოვდა თავის ხელის მომწერლებს, ოფიციალურ დაწესებულებებს — მოეწოდებინათ ცნობები საინტერესო ამბების შესახებ. ამდენად, გაზეთი მასალებს იღებდა როგორც კერძო პირებიდან, ისე ორგანიზაციებიდან. დადასტურებულია²⁷, რომ ქართულ გაზეთს მასალებს აწვდიდა „აღმასრულებელი ექსპედიცია“, „საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორა“, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექცია, თბილისის საბაჟოს დირექცია და სხვ. რაკი ვიცით, თითოეულ ამ უწყებას ვინ ხელმძღვანელობდა, გასაგები გახდება, რომ გაზეთში გასაგზავნი მასალაც მათ ხელში გაივლიდა. ასე, საბაჟოს დირექტორი თუმანიშვილი ძალზე აქტიურობდა ამ მხრივ. კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი ბუკრინსკი, რომელიც ნ. ჩუბინაშვილის უფროსი მეგობარი იყო, ახლოს იდგა გაზეთთან, ხოლო რაც შეეხება სინოდალურ კანტორას, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მისი მდივანი ნ. ჩუბინაშვილი იქნებოდა საგაზეთო მასალის მომმზადებელიც და გამომგზავნიც.

სწორედ ამ მკიდრო და საქმიან ურთიერთობაში უნდა დაბადებულიყო აზრი, რომ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული და რუსულ ენების შესანიშნავი მცოდნე, უკვე აღიარებული და გაწაფული მთარგმნელი, გაზეთში სამუშაოდ მიეწვიათ. მის პოლიტიკურ პროფილს საკმარისად დაახასიათებდა როგორც ბუკრინსკი, ისე ეგზარხოსი თეოფილაქტი, რომელთანაც იმჟამად მსახურობდა იგი.

ჩვენი ვარაუდის განსამტკიცებლად მოვიტანთ ორ ფაქტს, რომელიც სწორედ იმ წლებში მოხდა ნ. ჩუბინაშვილის ცხოვრებაში.

თბილისში მომწიფებულა აზრი, რომ გამოეცათ ბიბლია ქართულ ენაზე. ამასთან დაკავშირებით ადგილობრივ ხელისუფლებას 1820 წელს მიუღია გადაწყვეტილება, რომ დაუყოვნებლივ გაეგ-

²⁷ იხ. მ. გოცაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, 1954, გვ. 68.

ზავნათ საგანგებო პირი ათონზე, ივერიის მონასტერში, სადაც ინახებოდა 978 წელს გადაწერილი ქართული ბიბლია, მას უნდა გადაეღო ამ ბიბლიის ზუსტი ასლი და ჩამოეტანა საქართველოში.

როგორც გოლიცინის მიერ თეოფილაქტისადმი გაგზავნილ მოხსენებიდან ჩანს, ეძებდნენ ისეთ პიროვნებას, რომელსაც ზედმიწევნით ეცოდინებოდა ქართული ენა და ამავე დროს იქნებოდა ერთგული და საიმედო ყველა ასპექტით. ჩვენ გვიჩვენებს თქვენს მდივანს ნ. ჩუბინაშვილს²⁸.

ეს მრჩეველიც, ეჭვი არ არის, ბუკრინსკი უნდა ყოფილიყო. როგორც ჩანს, ეგზარხოსმაც დადებითად დაახასიათა თავისი მდივანი და აი, ნ. ჩუბინაშვილს უბრძანეს წასასვლელად მომზადებულიყო. ისიც მოემზადა, მაგრამ ამ დროს იფეთქა საბერძნეთის აჯანყებამ და ექსპედიცია ჩაიშალა.

ცნობილია, რომ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგაც კარგახანს რჩებოდა ძალაში ვახტანგ VI-ის კანონები. მაგრამ სასამართლოს რუსმა მოხელეებმა ქართული ენა არ იცოდნენ, ხოლო ხალხმა — რუსული. ათასგვარ გაუგებრობას ჰქონია ადგილი ამა თუ იმ საკითხის განხილვისას.

ამ გარემოებას რომ ბოლო მოღებოდა, ხელისუფლებას გადაუწყვეტია ხელთ ჰქონოდა ვახტანგ VI-ის კანონების ზუსტი რუსული თარგმანი. ამ მიზნით, 1822 წელს ერმოლოვს შეუქმნია კომისია სამოქალაქო გუბერნატორის ზოვენის ხელმძღვანელობით. კომისიის წევრები: დავით ფალავანდიშვილი, ჭილაშვილი, ბუკრინსკი. ეტყობა, ხსენებულ პირებს გაუჭირდათ დავალებული საქმის შესრულება, ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ცოტა მოგვიანებით ერმოლოვმა კომისიაში შეიყვანა ნ. ჩუბინაშვილი. აი, რას წერს იგი ეგზარხოსს: მინდობილი საქმის წარმატებით შესრულებისათვის, საჭიროდ მიმაჩნია ხსენებულ კომისიაში შევიყვანოთ თქვენი უწყების მოსამსახურე ნ. ჩუბინაშვილი, რომელსაც მე ვიცნობ, როგორც რუსული და ქართული ენებს კარგ მცოდნეს²⁹.

ცხადია, ბუკრინსკი თავის სიტყვას იტყოდა, მაგრამ ერმოლოვი ასეთ დიდ იმედებს ვერ დაამყარებდა ნ. ჩუბინაშვილზე, იგი, რომ პირადად არ ყოფილიყო დარწმუნებული ნ. ჩუბინაშვილის მთარგმნელობით ნიჭიერებაში. მაგრამ როგორ შეიძლებოდა სცოდნოდა ერმოლოვს, რომ ნ. ჩუბინაშვილი ესოდენ მაღალკვალიფი-

²⁸ ა. ც ა გ ა რ ე ლ ი, იხ. ხსენებული გამოცემა, გვ. 22.

²⁹ იქვე, გვ. 27—28.

ციური მთარგმნელია? მხოლოდ — ზემოხსენებული წიგნების წყალობით? მაგრამ „სასაუბროები“ იმ დროს ხომ უამრავი იწერებოდა და საკმაოდ მაღალ დონეზედაც?

ჩვენი ღრმა რწმენით, ერმოლოვს ესოდენ მაღალი აზრი რიგით მოხელეებზე მხოლოდ საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შეიძლებოდა შექმნოდა. ეს კი დასაშვებია, თუ ვირწმუნებთ, რომ: ნ. ჩუბინაშვილი 1820 წელს მეორე ნახევრიდან გახდა „ქართული გაზეთის“ რედაქციის თანამშრომელი, ქართული გაზეთის მთარგმნელ-რედაქტორი.

1825 წელს ნ. ჩუბინაშვილი გადაიყვანეს პეტერბურგში და განაწესეს საგარეო საქმეთა სამინისტროში ქართული ენიდან მთარგმნელად. მან თან წაიყვანა ობოლი ძმისშვილები დავითი და ევგენია.

პეტერბურგში ნ. ჩუბინაშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, განსაკუთრებით ლექსიკოგრაფიის საკითხებზე. საკმარისია ითქვას, რომ მან შექმნა ორი კაპიტალური ნაშრომი: „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ და „სრული რუსულ-ქართული ლექსიკონი“³⁰. ამ ლექსიკონების გამოქვეყნებელი პროფ. ალ. ლლონტი სამართლიანად წერდა: „ნიკო ჩუბინაშვილს თანაბარი შრომა გაუწევია ქართულსა და რუსულ ლექსიკოგრაფიაში. მისი ქართული და რუსული ლექსიკონები უდიდესი ერუდიციის, ღრმა ცოდნისა და განათლების ფართო დიაპაზონის მაჩვენებელია. ლექსიკონების შედგენაზე გაწეულია ჭეშმარიტად ტიტანური შრომა. არა თუ ერთ ადამიანს, ახლა მთელ კოლექტივებსაც უძნელდებათ მსგავსი ლექსიკონების შედგენა“³¹.

ნ. ჩუბინაშვილი პეტერბურგში დარჩა 1837 წლამდე. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, იგი სთხოვს მინისტრს დააბრუნოს საქართველოში წლიური შემოსავლის (1500 მან.) შენარჩუნებით. მინისტრმა თხოვნა შეიწყნარა. ამის შემდეგ იგი ცხოვრობდა თბილისში, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროდან თბილისის გუბერნატორთან მოვლინებული პირი. მაგრამ, მიუხედავად ჯანმრთელობის გაუარესებისა, ამ დიდებულ ადამიანს მამულის სამსა-

³⁰ „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“, სათანადო რედაქციითა და გამოკვლევით გამოაქვეყნა პროფ. ალ. ლლონტი 1961 წელს. იმავე ავტორის წყალობით 1971 წელს გამოქვეყნდა „სრული რუსულ-ქართული ლექსიკონის“ — I ტომი, 1973 წ. II ტ.

³¹ ნ ი კო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ალ. ლლონტი რედაქციითა და წინასიტყვაობით. ტ. I, 1971, გვ. 6..

ხური არ შეუწყვეტია. 1842 წელს ნ. ჩუბინაშვილმა მოაწყო არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოსა და იმერეთში. ალ. ცაგარელი მაღალ შეფასებას აძლევდა ნ. ჩუბინაშვილის არქეოლოგიური ძიების შედეგებს.

ალ. ცაგარელი წერდა: „ნ. ჩუბინოვი იყო პირველი და ქართული ენის მცოდნე, რომელმაც მოაწყო არქეოლოგიური ექსკურსია სამცხესა და იმერეთში.

მეტად საინტერესოა სხვათა შორის ორი ისტორიული სიმღერა, დავით აღმაშენებელსა და თამარ დედოფალზე, რომელიც ნ. ჩუბინოვს ჩაუწერია და შესულია დ. ი. ჩუბინოვის ქრესტომატიკაში“³².

1843 წელს ნ. ჩუბინაშვილი პეტერბურგს გაემგზავრა, ხოლო 1845 წლის 11 ოქტომბერს — წმინდა მიწების მოსახილველად.

ა. ცაგარელი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ჩუბინაშვილის მოგზაურობას იერუსალიმში.

მის მიერ მოპოვებული მასალები ახლაც ძვირფასი განიბია, დასძენს, მკვლევარი³³.

იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ჩუბინაშვილს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი გარდაიცვალა 1847 წელს (59 წლის ასაკში), პეტერბურგში. დასაფლავებულია იქვე, სმოლენსკის სასაფლაოზე.

ნ. ჩუბინაშვილს მთელი ოჯისი ბიბლიოთეკა ძმისშვილის — დავითისათვის უანდერძებია. აღწერიდან ჩანს, თუ როგორი უნიკალური და მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია ნ. ჩუბინაშვილს.

ასეთია ნ. ჩუბინაშვილის ცხოვრების გზა:

ამ მცირე მიმოხილვიდანაც ნათელი უნდა იყოს, რომ ნ. ჩუბინაშვილის სახით შთამომავლობის წინაშე დგას ვალმოხდილი, დაუღალავი მოღვაწე, ფართოდ განათლებული და ღრმად ერუდირებული მკვლევარი-მეცნიერი, ჩვენი ვარაუდით; საქართველოში პირველი პერიოდული გამოცემის „ქართული გაზეთის“ ერთ-ერთი მთარგმნელი-რედაქტორი, დიდი ლექსიკოგრაფი და თავისი დროის ღირსეული მოქალაქე.

³² ა. ა. ცაგარელი, იქვე. ტ. I, 1894, გვ. VII.

³³ იქვე, გვ. VIII.

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. მ ა ნ ა ნ ა კ ა კ ა ბ ა ძ ე. ქართული რომანტიზმის საკითხები და აღორძინების პერიოდის მწერლობა	3
2. ა კ ა კ ი კ ე ნ კ ო შ ვ ი ლ ი. სამოქალაქო მოტივები XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ პოეზიაში	25
3. ლ ე ი ლ ა ს უ ლ ხ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. ვაჟა-ფშაველას ლირიკული კომპოზიციების შესახებ.	47
4. შ ო თ ა ვ ა შ ა ყ შ ა ძ ე. ანტონ ფურცელაძის პროზა	60
5. ნ ი კ ო ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი. „პატარა ადამიანის“ პრობლემა XIX საუკუნის მიწურულის ქართულ ლიტერატურაში	80
6. შ ა ლ ვ ა გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. აკაკი წერეთელი და სერგეი მესხი (საზოგადოებრივ-ლიტერატურული თანამეგობრობა)	107
7. გ ი ო რ გ ი ა ბ ა შ ი ძ ე. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება და პოეტის თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკა	132
8. მ ა ყ ვ ა ლ ა კ უ ქ უ ხ ი ძ ე. ქართველი სამოციანელები და ბაირონის შემოქმედება	186
9. შ ა ლ ვ ა რ ა ტ ი ა ნ ი. ქართული ჟურნალისტიკის საწყისებთან	201

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ე. ლ. ბ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი
ტექნორედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ლ. ქ ა შ ი

გადაეცა წარმოებას 14.6.1977; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.11.1977;
ქალაქის ზომა 60X90¹/₁₆; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 13,50;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.01;
უე 01223; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1898;
უასი 1 მან. 50 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР. Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19